

# **შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

განათლებისა და მეცნიერებათა ფაკულტეტი  
ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოლოგიის დეპარტამენტი

## **მამუკა ჯორბეგაძე**

**გლობალიზაციის პროცესი და ეროვნული კულტურები**

სპეციალობა: ხელოვნების ისტორია და თეორია  
ხელოვნების ისტორიისა და თეორიის დოქტორის  
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

## **დისერტაცია**

მეცნიერ-ხელმძღვანელები: ფილოსოფიის მეცნიერებათა  
დოქტორი, სრული პროფესორი  
აკაკი ჭულიჯანიშვილი

ისტორიის მეცნიერებათა  
დოქტორი, სრული პროფესორი  
ერმილე მესხია

ბათუმი – 2012

## შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი:	-----	3-18
თავი I. საზოგადოების განვითარების ეტაპები	-----	19-91
1. საზოგადოების აგრარული ეტაპის თავისებურებანი	-----	19-34
2. საზოგადოების ინდუსტრიული ეტაპის თავისებურებანი	-----	34-44
3. ნაციონალიზმი და ნაციონალური იდენტობა	-----	45-66
4. პოსტინდუსტრიული საზოგადოების თავისებურებანი	-----	66-91
თავი II. გლობალიზაცია და მისი კრიტიკული ანალიზი	-----	92-140
1. გლობალიზაციის ცნების დეტერმინაცია	-----	92-99
2. გლობალიზაციის თეორიული პარადიგმები	-----	100-107
3. გლობალიზაციის ძირითადი გახასიათებლები	-----	107-120
4. გლობალიზაციის ძირითადი აქტორები და მოწინააღმდეგენი	-----	120-140
თავი III. გლობალიზაციისადმი წინააღმდეგობის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ასპექტები	-----	141-213
1. გლობალიზაციისადმი წინააღმდეგობის ეკონომიკური ასპექტი	-----	141-159
2. გლობალიზაციისადმი წინააღმდეგობის პოლიტიკური ასპექტი	-----	159-172
3. გლობალიზაციისადმი წინააღმდეგობის კულტურული ასპექტი	-----	172-208
4. ეროვნული კულტურის ხასიათი და მისი სამომავლო განვითარების პერსპექტივები გლობალიზირებულ სამყაროში	-----	209-213
დასკვნა	-----	214-224
გამოყენებული ლიტერატურა	-----	225-237

## შ ე ს ა ვ ა ლ ი

**საკვლევი თემის აქტუალობა.** თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია. გლობალიზაცია გასცდა ეკონომიკის საზღვრებს და ადამიანთა მოღვაწეობის თითქმის ყველა სფერო მოიცვა. ეს პროცესი თანდათან კარგავს სივრცისა და დროის შეგრძნებას და როგორც ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, პლანეტარულ სახეს იღებს.

მიგვაჩნია, რომ ჩვენ ვცხოვრობთ ახალი ისტორიული რეალიების ეპოქაში. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესები იმდენად ყოვლისმომცველია, რომ მისი იგნორირება და რეაქციის გარეშე დატოვება შეუძლებელია. მსოფლიო გლობალიზაციის სწრაფად განვითარებადი პროცესი ძირითადად ეფუძნება უდიდეს ტექნოლოგიურ ბაზას უნივერსალური კომუნიკაციის სისტემით, რომელიც თავისთავად ქმნის მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებულ სოციალურ-კულტურულ კავშირებს. გლობალიზაციის ერაში ეკონომიკური, ფინანსური ურთიერთკავშირები ქმნიან მსოფლიოს „საზღვრების გარეშე“.

საინფორმაციო რევოლუციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სწრაფი განვითარების წყალობით მიმდინარეობს სამეცნიერო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია, რომელიც გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში საგრძნობლად დაჩქარდა და გაძლიერდა. ნაციონალური მეურნეობის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამართლებრივი და საინფორმაციო ურთიერთდამოკიდებულების ხარისხმა ისეთ დონეს მიაღწია, როდესაც გარდაუგალი გახდა თვისობრივად ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება. გლობალიზაციის პირობებში ხდება როლების ურთიერთგაცვლა ნაციონალურსა და მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებს შორის. გლობალიზაციას ობიექტურად მივყავართ ერი-სახელმწიფოს რეგულირებადი ფუნქციების შესუსტებისაკენ და წაშლისაკენ. დაიწყო მსოფლიო სოციუმის ერი-სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ტრადიციული ფორმების ტრანსფორმაციის მტკიცნეული პროცესი. მსოფლიო საზოგადოება გარდაიქმნა ერთიან, მთლიან ეკონომიკურ სისტემად, სადაც ნაციონალური სოციუმები ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური ორგანიზმის შემადგენელ ნაწილებს შეადგენენ.

„ცივი ომის“ ეპოქის დასრულების შემდეგ, დაირღვა ორპოლუსიანი მსოფლიოსათვის დამახასიათებელი ძალთა ბალანსის საერთაშორისო პრინციპი.

ყოფილ პოლარიზებულ მსოფლიოში დაიწყო გლობალური მასშტაბის ინტეგრაციული პროცესები, რომლებმაც მოიცვეს არა მარტო მეზობელი ქვეყნები და რეგიონები, არამედ მთელი საკონტინენტო შორისო სივრცე-საინფორმაციო სივრცის და საინფორმაციო სტანდარტების წარმოშობამ მსოფლიოს ფინანსური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და კულტურული ურთიერთქმედები უფრო ინტენსიური და ინტეგრირებული გახდა, რაც გამოხატულია გლობალიზაციის იმ ყოვლისმომცველ ბუნებაში, რომელიც ობიექტურად არის მიმართული (გლობალურ და ლოკალურ დონეზე) „თამაშის წესების“ გაერთგვაროვნებისა და სტანდარტიზაციისაკენ.

თანამედროვე მსოფლიოში გაბატონებილი პრინციპები და ნორმები განიხილება, როგორც დასავლური ცივილიზაციის იუდევურ-ქრისტიანულ საფუძველზე ჩამოყალიბებული ლიბერალურ-დემოკრატიული დირექტულებები. ფაქტობრივად, თითქმის ყველა განვითარებული და წარმატებული სახელმწიფო დღეს ამ ფასეულობების მატარებელია. მიუხედავად ამისა, ინდივიდუალიზმის, ლიბერალიზმის, კონსტიტუციონალიზმის, თავისუფლების, კანონის უზენაესობის, დემოკრატიის, თავისუფალი ბაზრის, სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის დასავლური იდეები ხშირად ძალიან სუსტ გამოძახილს პოულობენ ისლამურ, კონფუციანურ, იაპონურ, ინდურ, ბუდისტურ თუ მართლმადიდებლურ კულტურებში. რადგან ცივილიზაციები გარკვეულწილად იმთავითვე გამომდინარეობენ ურთიერთგანსხვავებული ფილოსოფიური შეხედულებების, დირექტულებების, სოციალური კავშირების, ადათ-წესების, მსოფლიოს სხვა-დასხვა რეგიონში აღმოცენებული რელიგიების და არსებული ტრადიციული მსოფლმხედველობებიდან.

მსოფლიოს ისტორია კონფლიქტების ერაში შედის. ოდონდ კონფლიქტებს აღარ წარმოშობს იდეოლოგია ან ეკონომიკა, არამედ – კულტურათა შეჯახება. ახალ მსოფლიოში, ფართო, სერიოზული და საშიში კონფლიქტები (ჰანთიგენის მიხედვით) იფეთქებენ არა სოციალური კლასებს, მდიდრებს და ლარიბებს, ან გარკვეულ ეკონომიკურ დაჯგუფებათა შორის, არამედ იმ ხალხებს შორის, რომლებიც სხვადასხვა კულტურებს მიეკუთვნებიან. ასეთი ხასიათის ომები და კონფლიქტები განვითარდება ცივილიზაციის ჩარჩოებში. ოდონდ ეს დაპირისპირებული სახელმწიფოები, თუ სხვადასხვა სახის საზოგადოებრივი დაჯგუფებები, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ძალადობას განახორციელებენ, სხვადასხვა ცივილიზაციების წარმომადგენლები იქნებიან.

ჩვენ გამოვდივართ მულტინაციონალური სამყაროს პოზიციებიდან. ეროვნული კულტურები უნდა არსებობდნენ და შესაბამისად გვაფიქრებს მულტინაციონალური სამყაროს მომავალი გლობალიზაციის გპოქაში. ამ კონტექსტში, ჩვენი ინტერესის საგანია არა მარტო იმის კვლევა და დადგენა თუ რა არის გლობალიზაცია, რა არის ეროვნული კულტურა, არამედ მნიშვნელოვანია გლობალიზაციის პროცესისა და ეროვნული კულტურების ურთიერთმიმართების პრობლემის კვლევა/ანალიზი.

გლობალიზაციის კოსმოპოლიტური ტალღა ყველა ქვეყანაში სხვადასხვა დონეს არჩევს და სხვადასხვაგვარად ვითარდება. რადგან თითოეული ქვეყნის კულტურა უნიკალურია და განსხვავდება სხვა ერის, ქვეყნის კულტურული ცნობიერებისაგან. გლობალიზაციის კულტურულ დონეზე გაშლამ განსხვავებულ საზოგადოებებში გამოიწვია უაღრესად საინტერესო და ურთიერთსაპირისპირო პროცესების წარმოშობა. მსოფლიო პრაქტიკაში გლობალიზაციიდან მომდინარე გამოწვევების წინააღმდეგ არაერთგვაროვანი გამოცდილება დაგროვდა, რაც გარკვეული მეცნიერული დასკვნების გაკეთების საშუალებას იძლევა.

გლობალიზაციის პროცესის მთავარი მოწინააღმდეგე მულტიკულტურალიზმია. მულტიკულტურული მსოფლიოს არსებობა განსაზღვრავს სამყაროს არაერთგვაროვნებას. გლობალისტების მიერ სამყაროს ორ იდეოლოგიურ ბანაკად დანაწევრების, განვითარებულ და განვითარებად ქვეყნებად, მოდერნიზებულ და არამოდერნიზებულ საზოგადოებებად, ანუ სამყაროს პოლარიზაციის მცდელობის მიუხედავად, მსოფლიო მაიც რჩება მრავალფეროვანი, ანუ მულტიკულტურული და მულტინაციონალური.

ეროვნულ კულტურებთან დაკავშირებული საკითხებისა და პრობლემების განხილვისას მიგვაჩნია, რომ აუცილებელია ადეკვატური მიმართება გაკეთდეს მსოფლიოში მიმდინარე გლობალური მასშტაბით აქტივირებულ პროცესებთან, რაც გულისხმობს ერი-სახელმწიფოებზე გარე ფაქტორების ზემოქმედების ნეგატიურ-პოზიტიური შედეგების ანალიზს/განხილვას, იმ ფონზე, როდესაც ეროვნული კულტურების წინაშე დგას ცივილიზაციური და კულტურული ადაპტაციის პრობლემები.

**კვლევის ობიექტი, მიზანი და ამოცანები.** სადისერტაციო ნაშრომში კვლევის ძირითად ობიექტს წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი და მისი ეროვნულ კულტურებთან ურთიერთ-მიმართების საკითხი.

ჩვენი მიზანი იყო მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესების და, აქედან გამომდინარე, მიღწევებისა და საფრთხეების წარმოჩნა, ზოგად კონკრეტული გლობალიზაციის ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გაკეთება. გლობალიზაციის ეროვნულ კულტურულთან ურთიერთქმედების პროცესი მრავალშრიანი მოვლენაა და იგი საფუძვლიან შესწავლას მოითხოვს. წინამდებარე სადისერტაციო თემის ფარგლებში შევეცადეთ გამოგვავლია და წარმოგვეჩინა გლობალიზაციის არსი, მოქმედების თავისებურებები და მისი ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ურთიერთმიმართება ეროვნულ კულტურებთან.

გლობალიზაციისა და ეროვნული კულტურების ურთიერთმიმართების პრობლემის ანალიზისას ჩვენ თავი ავარიდეთ კვლევის წარმოებას, რომელიმე ცალკე აღებული ქვეყნის მაგალითზე. შესაბამისად, კვლევის მიზანს არ წარმოადგენს რომელიმე კონკრეტული ერი-სახელმწიფოს მაგალითზე დასკვნების გაკეთება. რადგან, ჩვენი შეხედულებით, გლობალიზაციას მისი ყოვლისმომცველი ბუნებიდან გამომდინარე, ვერ მოვიაზრებთ მხოლოდ კონკრეტული ერი-სახელმწიფოს პრობლემად. იგი საზოგადო საერთაშორისო პრობლემაა.

ჩვენი ოპონტებისათვის ეს არგუმენტები შეიძლება საკმარისი და დამაჯერებელი არ იყოს, მაგრამ მიგვაჩინა, რომ ეს ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მაგისტრალური ხაზია.

თანამედროვე გლობალიზებულ სამყაროში ბუნებრივად ჩნდება კითხვა: როგორ შეიძლება მიაღწიოს სახელმწიფო და კულტურულმა ერთეულმა ეროვნული ინტერესების გათვალისწინებით ეკონომიკურ კეთილდღეობასა და პოლიტიკურ სტაბილურობას? - ამ პრობლემის საფუძვლიანი ანალიზი აღნიშნული კვლევის ძირითად ამოცანას წარმოადგენს.

საგულისხმოა, რომ ბიპოლარული სამყაროს დაშლის შემდეგ, საქართველო გარკვეულწილად ჩაება მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებში. კერძოდ, მან დაძლია „რუსული კარჩაკეტილობა“ და ცდილობს მსოფლიო ასპარეზზე გამოვიდეს როგორც დამოუკიდებელი სუბიექტი. საქართველო, როგორც ღრმა ისტორიული წარსულისა და კულტურის ქვეყანა, ამავე დროს, წარმოადგენს მცირერიცხოვან, მრავალეთნიკურ, პატარა ტერიტორიაზე განსახლებულ, მრავალათასწლოვანი ტრადიციის მქონე, მაგრამ განვითარებად სახელმწიფოს, რომელიც დგას ახალი ისტორიული გამოწვევების წინაშე. შესაბამისად, „გლობალიზაციის მახიდან“ ეროვნული გამოსავალის პოვნა

ქართველ ერსაც აქტიურად მოუწევს. ამ თვალსაზრისით კი, მსოფლიო გამოცდილების გაზიარება ჩვენთვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

**კვლევის მეთოდები, წყაროების და ლიტერატურის მოკლე მიმოხილვა.**

თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის პლატა მოითხოვს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ასპექტების რთული და ცვალებადი მახასიათებლების გათვალისწინებას, რომელთაგან ზოგიერთი ფაქტორი ურთიერთთანხვედრია, ზოგიერთი კი ურთიერთსაწინააღმდეგო. გლობალიზაციის ფენომენის შესწავლის თვალსაზრისით, პოლიტოლოგიური, ეკონომიკური და სოციოლოგიური კვლევები არ არის საკმარისი. აღნიშნული პრობლემატიკის საფუძვლიანი ანალიზი ობიექტურად მოითხოვს კვლევის წარმოებას კულტუროლოგიის მეცნიერული დისციპლინის მიმართულებითაც.

თანამედროვე მეცნიერებაში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა გლობალიზაციის პროცესის კულტუროლოგიურმა კვლევებმა. კულტურის ობიექტური ბუნებისა და მისი განვითარების თანამედროვე ტენდენციების ანალიზის გარეშე წარმოუდგენელია თანამედროვე მსოფლიოში გლობალურ თუ ლოკალურ დონეზე მიმდინარე მოვლენების გამომწვევი მიზეზ-შედეგობრივი კავშირების დადგენა.

სადისერტაციო ნაშრომის „გლობალიზაციის პროცესი და ეროვნული კულტურები“ თემატიკის კვლევის ასპექტში გამოყენებულია ლოგიკური ანალიზის, შედარების და სისტემურ-დიალექტიკური მეთოდები. კვლევის პროცესში საჭიროდ მივიჩნიეთ მოგვეხდინა საერთაშორისო ურთიერთობების ძირითადი პარადიგმებისა და გლობალიზაციის პროცესის თეორიული კონცეფციების შედარებითი ანალიზი. სოციოლოგიურ-კულტუროლოგიური კუთხით შეგვეცადეთ ყურადღება გაგვემახვილებინა საზოგადოების აგრარული, ინდუსტრიული და პოსტინდუსტრიული განვითარების თავისებურებებზე. ასევე, საკვლევი თემისადმი სწორი მეთოდოლოგიური მიდგომა, წარმოუდგენელია ეროვნული კულტურის, ეროვნული იდენტობისა და ნაციონალიზმის დოქტრინის თანამედროვე კონცეფციების და მათი ძირითადი მახასიათებლების ანალიზის გარეშე, რომლებიც ობიექტურად განაპირობებენ და განსაზღვრავენ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში სახელმწიფოთაშორის, კულტურათაშორის და ცივილიზაციათაშორის ურთიერთობებსა და ურთიერთქმედებებს.

კვლევის პროცესში საფუძვლიანად დავამუშავე და შევისწავლე აღნიშნული პრობლემის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურა.

ძირითადი აქცენტი გაკეთდა თანამედროვეობის იმ ქართველი და უცხოელი კულტუროლოგების, სოციოლოგების, პოლიტოლოგების, ეკონომისტების ფუნდამენტურ გამოკვლევებზე, რომლებმაც გლობალიზაციის ფენომენის, თანამედროვე სამყაროს პოსტმოდერნული მდგომარეობის გაგებისათვის, ასევე გლობალიზაციის ერი-სახელმწიფოებთან და ეროვნულ კულტურებთან პრობლემური ურთიერთქმედების კვლევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს თანამედროვე მეცნიერებაში.

კერძოდ, კვლევის პროცესში მნიშვნელოვანი იყო ს. პანთიგტონის, ფ. ფუგუიამას, უ. ბეგის, ე. გიდენსის, ე. გელნერის, ე. დ' სმითის, მ. ფუკოს, ჟ. ფ. ლიოტარის, დ. ბელის, ბ. ანდერსონის, მ. კასტელის, იმანუელ ვალერსტაინის, ე. ტოფლერის, ჟ. დერიდას, ზ. ბერზინსკის, უ. ეკოს, გ. ზემელის, ა. გრამშის, რ. ბარტის, ს. დიურინგის, ჯ. სოორის, ფ. სოსურის, ე. პეივუდის, ე. პობედაუმის, ზ. ბაუმანის, ო. კონტის, ტ. პარსონსის, ნ. ელიასის, ი. კანტის, ჯ. ლოკის, ო. პობსის, დ. პეგელის, ა. ფერგიუსონის, ე. დურკჰემის, მ. ვებერის, კ. მარქსის, ა. სმიტის, მ. ალბერის, დ. მაიერსის, რ. რეინის, ა. დ' ტოკვილის, კ. იასპერსის, ჟ. დელეზის, ფ. გვატარის, პ. პერსტის, გ. ტომპსონის, ჯ. კეინზის, მ. პორტერის, ლ. დაიმონდის, ფ. ფონ ჰაიეკის, ჯ. პერკინსის, კ. ბოვეს, უ. არენსის, პ. დრაკერის, ო. ფრიდმანის, გ. გრუნბერგის, დ. კოლას, ო. ლოუის, ტ. სტიუარტის, პ. დრაკერის, თაჟირ-ულ-ქადრის, ო. შუდრას, ა. პოფმანის, მ. ეპტერინის, პ. გურევიჩის, ვ. ინოზემცოვის, ვ. ციპინის, ო. ბოგომოლოვის, ს. კაპიცას, ემილანოვ-ჰალგენის, ვ. სმირნოვის, ნ. აქსენოვას, ა. უელიჯანიშვილის, ზ. დავითაშვილის, ა. რონდელის, ვ. მელიქიძის, ქ. კაკიტელაშვილის, ი. წერეთლის, ნ. ნათაძის, ა. ბერძენიშვილის, ნ. ჟვანიას, მ. მუსხელიშვილის, გ. ლორთქიფანიძის, ლ. გორდეზიანის, ა. აბზიანიძის, მ. ასათიანის, რ. ასათიანის, ე. აკობიას, მ. ბიჭაშვილის, გ. თევზაძის, ე. კოდუას, ქ. ჯაფარიძის, ს. კაპანაძის, ნ. ჟვანიას, ა. აბზიანიძის, ა. სამადაშვილის, კ. გოგოლაშვილის, ი. კვესელავას, ვ. შუბიოძე, მ. კოპალეიშვილის, ი. ბედინაშვილის, ა. ოქროცვარიძეს, ო. ლაჭუეპიანის, გ. უორჟოლიანის, თ. ბერიკაშვილის, გ. სანიკიძის, ნ. კილურაძის, ე. მარდიას, ე. კოდუას, ნ. ედილაშვილის, კ. კაციტაძის, გ. თურქიას მ. თვალიაშვილის, ო. სიმაშვილის, ი. ჩხაიძეს და სხვა მეცნიერთა შრომების შესწავლა და გათვალისწინება ამა თუ იმ კონკრეტული პრობლემის განხილვისა და ანალიზის დროს.

**მეცნიერული სიახლე.** გლობალიზაციის შესახებ თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის კვლევისა და ანალიზის საფუძველზე, შეგვიძლია დაგასკვნათ,

რომ თანამედროვე მეცნიერებაში სათანადო უურადღება არ მქონება გლობალიზაციის პროცესის ეროვნულ კულტურებთან ურთიერთქმედების პრობლემას. თანამედროვე კულტუროლოგიაში გლობალიზაციის პროცესის ეროვნულ კულტურებთან ურთიერთმიმართების საკითხი ფართოდ არის გაშლილი, მაგრამ საკმარისად არ არის შესწავლილი (განსაკუთრებით მცირე ერებთან და კულტურებთან მიმართებაში). ამასთან, სწრაფადცვალებადი გლობალური პროცესების გამო, კვლევის ის შედეგები, რომელიც რამდენიმე წლის წინათ პასუხობდა დროის გამოწვევას, ამ ეტაპზე არ შეიძლება საკმარისად ჩაითვალოს.

აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ მეცნიერული კვლევისთვის აღნიშნული თემა მუდმივი მსჯელობის საგანია.

სადისერტაციო ნაშრომში მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ამ პრობლემის წინწამოწევა, მისი შესწავლა და საფუძვლიანი კვლევა/ანალიზი:

1. გლობალიზაციის ეროვნულ კულტურებთან უერთიერთმიმართების ასპექტში საზოგადოების განვითარების ეტაპების შედარებითი ანალიზი (აგრარული, ინდუსტრიული, პოსტინდუსტრიული), საშუალებას გვაძლევს უფრო ნათლად წარმოვიდგინოთ გლობალიზირებულ სამყაროში თანამედროვე საზოგადოებების განვითარების ტენდენციები;

2. ჩვენს კვლევებში, ნაციონალიზმისა და ნაციონალური იდენტობის პრობლემა მიზანმიმართულად დაკავშირებულია გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული კულტურების სამომავლო განვითარების პრობლემურ საკითხებთან: ეროვნული თვითმყოფადობა და კულტურული განსხვავებულობა ერის თვალსაწიერიდან აღიქმება, როგორც ნაციონალური უსაფრთხოების ერთ-ერთი მთავარი დეტერმინანტი. ამ მოსაზრებას მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი კი იზიარებს, მაგრამ მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში ნიჭილისტური ტალღა დღითიდღე იმდენად მძლავრდება, რომ აღნიშნული თეზისის მართებულობის დასამტკიცებლად სულ უფრო მეტად მტკიცე და ლოგიკურად დასაბუთებული მეცნიერული არგუმენტების მოძიება ხდება საჭირო. ჩვენი კვლევა, სწორედ ამ მეცნიერული არგუმენტების ფორმულირება/წარმოდგენაზე არის ორიენტირებული.

3. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს ერი-სახელმწიფოს სუვერენიტეტზე, ეროვნულ პოლიტიკასა და ეროვნულ-კულტურულ თვითმყოფადობაზე. ერი-სახელმწიფოს ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნების, მისი გამტკიცების და

სამომავლო განვითარების პერსპექტივების განსაზღვრის თვალსაზრისით, სადისერტაციო ნაშრომში წარმოდგენილია (ეროვნული კულტურული მიმართებით) მსოფლიოს ეკონომიკური და პოლიტიკური გლობალიზაციის ეროვნების შესაბამისად, მულტინაციონალურ სამყაროზე პოზიტიურნების შედეგების მეცნიერული ანალიზი. ნაშრომში გამოკვლეულია ამ პრობლემის ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლებიც ცალსახად მიუთითებს, თუ რამდენად ეხმიანება თანამედროვე ეროვნების განვითარების ეკონომიკური და პოლიტიკური სტრატეგია ერის კულტურულ ცხოვრებას.

4. სადისერტაციო ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა კულტურული გლობალიზაციის ეროვნულ კულტურებზე ზემოქმედების კვლევის ასპექტებს. ამ მხრივ, სადისერტაციო ნაშრომში მეცნიერულ სიახლეს წარმოადგენს ის, რომ კულტურული გლობალიზაციის ფენომენის ანალიზისას, კვლევა აქცენტირებულია გლობალიზირებულ სამყაროში ეროვნული კულტურების ადაპტაციის შესაძლებლობებზე და მოქმედების სტრატეგიაზე. კერძოდ, იმ ობიექტურ მახასიათებლებზე, რომლებიც, ერთის მხრივ, წარმოადგენ გლობალიზაციის ძირითად წინააღმდეგობებს ეროვნულ კულტურებთან მიმართებით. მეორე მხრივ, ჩვენი კვლევებით წარმოჩენილია ის ძირითადი მახასიათებლები, რომლებიც სწრაფადგანვითარებად გლობალიზაციის პროცესთან „მძაფრი კონკურენციის“ პირობებშიც კი, ობიექტურად განსაზღვრავენ ეროვნული კულტურების სიცოცხლისუნარიანობას.

მეცნიერული თვალსაზრისით, გლობალიზაციის შედეგად მსოფლიო საზოგადოებების მიმდინარე კულტურათა გაერთგაროვნების ნებატიური ტენდენციების კვლევისას, ასევე, სიახლეს წარმოადგენს, თანამედროვე პოპულარული კულტურების ადგილობრივ კულტურებზე ზემოქმედების (რაც, კულტურული გლობალიზაციის თანმდევ პროცესად შეგვიძლია მოვიაზროთ) თავისებურებების კვლევა/ანალიზი

5. თანამედროვე ეტაპზე მულტინაციონალური სამყარო გარკვეულ კრიზისს განიცდის. კრიზისიდან თავის დაღწევა საკაცობრიო მნიშვნელობის პრობლემად არის მიჩნეული. შესაბამისად, გლობალურ გამოწვევებზე აუცილებელია ადეკვატური პასუხების გაცემა. ჩვენი აზრით, ეს პრობლემა ეროვნების შესაბამისად, გლობალურ გამოწვევებზე აუცილებელია დონეზეც შეიძლება გადაწყდეს, ოდონდ საერთაშორისო ურთიერთობების ობიექტურ კანონზომიერებათა გათვალისწინებით. რის დასაბუთებასაც ვცდილობთ წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში.

**ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.** თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესის პრობლემატიკით დაიტერჯებულ ნებისმიერ პირს, რომელსაც სურს წარმოდგენა შეექმნას და გაიაზროს გლობალიზაციის არსი, მისი მოქმედების ხასიათი, და თუ განსაკუთრებით აინტერესებს ამ კოსმოპოლიტური მოვლენის ეროვნულ კულტურებთან ურთერთმიმართების საკითხი – საშუალება მიუკემა წინამდებარე დისერტაციის „გლობალიზაციის პროცესი და ეროვნული კულტურები“ ფარგლებში გაეცნოს თანამედროვე ეტაპზე არსებულ ისტორიულ მოცემულობებს. ასევე, გლობალიზაციის ეროვნულ კულტურებთან ურთიერთქმედების კულტუროლოგიური კვლევის ასპექტში გამოჩენილ მეცნიერთა თეორიულ კოცეფციებსა და შეხედულებებს, და გაიაზროს, ამ მხრივ, თემაში განზოგადებული მსოფლიო გამოცდილება.

სადისერტაციო ნაშრომში წამოჭრილ პრობლემათა ავტორისეული კრიტიკული ანალიზის საფუძველზე, ნაშრომში გამოტანილია კონკრეტული მეცნიერული დასკვნები მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში ეროვნული კულტურების სამომავლო განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით. ასევე, მოცემულია გარკვეული რეკომენდაციები მსოფლიოს გლობალიზაციის პირობებში ეროვნული იდენტობისა და ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებისათვის, თუ როგორი არის, და როგორი უნდა იყოს ერისახელმწიფოების (ეროვნული კულტურების) მოქმედების სტრატეგია.

**დისერტაციის სტრუქტურა და შინაარსი** სადისერტაციო ნაშრომის „გლობალიზაციის პროცესი და ეროვნული კულტურები“ სტრუქტურაში მოცემულია: შესავალი, სამი თავი: თითოეული თავი შედგება ოთხი ქვეთავისაგან. ნაშრომს ერთვის დასკვნა და გამოყენებული ლიტერატურის სია. დისერტაციის მოცელობა შეადგენს 237 გვერდს.

პირველ თავში ძირითადად განხილულია საზოგადოების განვითარების თავისებურებანი.

პირველი თავის პირველ ქვეთავში აღწერილია საზოგადოების აგრარული ეტაპი, რომელიც მოიცავს კაცობრიობის ისტორიის უზარმაზარ პერიოდს უძველესი დროიდან მეჩვიდმეტე საუკუნეებს. ამ ეპოქის არსებითი მახასიათებელია მიჯაჭვულობა მიწაზე, იზოლაციონიზმი, რელიგიური ცნობიერების დომინანტობა, სამყაროს იერარქიული მოდელი, ისტორიის გაგება, როგორც წარჩინებულ გვართა და რჩეულ ხალხთა ისტორია.

წინამდებარე სადისერტაციო ნაშრომში საზოგადოების განვითარების აგარარული პერიოდის ანალიზი საშუალებას იძლევა უფრო თვალნათლივ გავიაზროთ პრეინდუსტრიული საზოგადოების ობიექტური მახასიათებლები და მისი თანდათანობითი ინდუსტრიალიზაციის ისტორიული პროცესი. ნაშრომში ყურადღება აქცენტირებულია იმ მიზეზ-შედეგობრივ ფაქტორებზე, რომლებმაც ობიექტურად განაპირობეს საზოგადოების განვითარების აგრძარული ეტაპიდან ინდუსტრიულ ეტაპზე გადასვლა.

მეორე ქვეთავმში აღწერილია პრეინდუსტრიული საზოგადოების თანდათანობითი ინდუსტრიალიზაციის პროცესი და გაანალიზებულია მისი თანმდევი შედეგები. ამ პერიოდიდან იწყება საზოგადოების მოდერნიზაციის და სეკულარიზაციის სწრაფად განვითარებადი პროცესი, საოავეს იღებს ნაციონალიზმი, ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია. წინა პლანზე გამოვიდა კაცობრიობა, როგორც ისტორიის ახალი სუბიექტი. ინდუსტრიალიზაციამ გამოიწვია ურბანიზაციის ტენდენცია, ობიექტურად განაპირობა პროფესიული სპეციალიზაცია და ფორმალური განათლების დონის ამაღლება საზოგადოებაში (ყველა ეს ელემენტი წარმოადგენს იმ ძირითად ასპექტებს, რომელიც მთლიანობაში აღიქმება „მოდერნიზაციად“).

სადისერტაციო ნაშრომში შევეცადეთ გამოგვევეთა, ის მნიშვნელოვანი გარემოება, რომ საზოგადოების თანდათანობითი ინდუსტრიალიზაციის პირობებში ცოდნა გადაიქცა მოქმედების სფეროდ. წარმოებითმა რევოლუციამ რადიკალურად შეცვალა საზოგადოებრივი ცნობიერება და სოციალური ცხოვრების რეგულაციის ახალი ფორმები დაამკვიდრა.

ნაციონალიზმი და ნაციონალური იდენტობის საკითხი თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მიმართულებაა.

მესამე ქვეთავმში მოცემულია ნაციონალური იდენტობის და ნაციონალიზმის შესახებ პრიმორდიალისტების, განსაკუთრებით კი, ეთნოსიმბოლისტების და მოდერნისტების ძირითადი თეორიების შედარებითი ანალიზი და მიღებულია, სადისერტაციო თემის ძირითადი პრობლემის წარმოჩნისათვის მნიშვნელოვანი, მეცნიერული დასკვნები.

ჩვენთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გლობალიზაციის ეპოქაში მულტინაციონალური სამყაროს სამომავლო განვითარების პრობლემის მეცნიერული ანალიზი, რაც სადისერტაციო ნაშრომის საკვანძო საკითხია.

მეოთხე ქვეთავმში განხილულია პოსტინდუსტრიული საზოგადოების თანამედროვე მდგომარეობა. საზოგადოების პოსტინდუსტრიული განვითარების

საფუძველია არნახული ტექნოლოგიური პროგრესი თავისი ყოვლისმომცველი კომუნიკაციით. ბიპოლარული სამყაროს რდგევის შემდეგ ერთიანი საინფორმაციო სივრცის და საინფორმაციო სტანდარტების წარმოშობამ გამოიწვია რევოლუცია ცოდნის სფეროში. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ცვლილებებმა, რომლებსაც ადგილი პქონდა ეკონომიკურ, ტექნიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ სფეროებში, გამოიწვიეს სერიოზული კულტურული ძვრები თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში. თანამედროვე საზოგადოების განვითარების პოსტინდუსტრიულმა ტენდენციებმა შეცვალა ყველაფერი: სტიმულები, მოტივაციები, წინააღმდეგობები რომლებიც ტრადიციულად არსებობდნენ საზოგადოებებში.

სადისერტაციო ნაშრომში ჩვენი კრიტიკის საგანია თანამედროვე ინფორმაციული ეპოქის ობიექტური ბუნება, რომლის პირობებშიც „სპეციალიზირებული ინდივიდი“ კარგავს მთლიანი კულტურის შეგრძებას, და ამასთანავე მისი კონტროლის შესაძლებლობას. ადგილი აქვს ობიექტური კულტურის ზრდას და ინდივიდუალური კულტურის ატროფიას

სადისერტაციო ნაშრომის მეორე თავი ეთმობა გლობალიზაციის კრიტიკულ ანალიზს. ნაშრომში მოცემულია გლობალიზაციის ფენომენის ტერმინოლოგიური და ცნებითი დეტერმინაცია. განხილულია გლობალიზაციის პროცესის წარმოშობის წინაპირობები და მისი თანამედროვე ეტაპზე განვითარების ობიექტური მახასიათებლები. ნაშრომში გლობალიზაციის შესახებ ჰიპერგლობალისტთა, ტრანსფორმაციონალისტთა და სკეპტიკოსთა თეორიებისა და ძირითადი კონცეფციების შედარებითი ანალიზის საფუძველზე გამოტანილია კონკრეტული მეცნიერული დასკვნები, რომლებიც მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, გლობალიზაციის ობიექტური ბუნების დადგენის და გლობალიზაციის თანმდევი გლობალურად აქტივირებული ინტერნაციონალიზაციის, ლიბერალიზაციის, ვესტერნიზაციის, დეტერიტორიალიზაციის პროცესების თანამედროვე მსოფლიოზე ასახვის შედეგების ანალიზის თვალსაზრისით.

მესამე თავი ეთმობა გლობალიზაციის წინააღმდეგობის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ ასპექტებს.

მესამე თავის პირველ ქვეთაგში განხილულია მსოფლიოს ეკონომიკური გლობალიზაციის ძირითადი ასპექტები და მოცემულია მისი ობიექტური მახასიათებლების ანალიზი.

მსოფლიოს ეკონომიკურ გლობალიზაციის პრობლემის შესწავლა უმნიშვნელოვანების საკითხია. აღნიშნული პრობლემატიკის სამეცნიერო ლიტერატურის

კვლევის და შესწავლის საფუძველზე დისერტაციაში გამოიკვეთა ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც განაპირობებს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციას. ნაშრომში განსაკუთრებული აქცენტები დასმულია გლობალიზაციის შედეგად მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკურ ტრასფორმაციებზე, რომელიც ობიექტურად იწვევს ერი-სახელმწიფოების ეროვნული ეკონომიკის დასუსტებას.

სადისერტაციო ნაშრომში მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესი გააზრებულია, როგორც ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების არნახული ზრდა, რაც თავის მხრივ წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის კანონზომიერ შედეგს წარმოადგენს. გლობალიზაციის პროცესი ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების სტიმულირებას. ეკონომიკური გლობალიზაცია არსებით გავლენას ახდენს გეოპოლიტიკაზე, ცალკეულ სახელმწიფოთა თანამშრომლობასა და დაპირისპირებაზე. წინააღმდეგობის ეკონომიკური ასპექტი გამოხატულია, ასევე, ტრანსნაციონალური კორპორაციების დომინანტური როლით ეკონომიკაში.

გლობალიზაციას რადიკალური ცვლილებები შეაქვს ეროვნულ სახელმწიფოთა მდგომარეობაში, სადაც სულ უფრო ძლიერდება პოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესი, და სტრატეგიული განვითარების ვექტორი პოლიტიკური და იდეოლოგიური მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადადის.

ჩვენს კვლევაში გამოკვეთილია, რომ გლობალური კონკურენტულობის და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი მისაღებია განვითარებული ქვეყნებისთვის, სამაგიეროდ მათი გლობალური ეკონომიკური პოლიტიკა ზღუდავს განვითარებული ქვეყნების წარმატებულ ფუნქციონირებას ინტერნაციონალიზირებულ ეკონომიკაში. გლობალიზაციის ეპოქაში მიმდინარე ეკონომიკური გარდაქმნები და ინტერნაციონალური ეკონომიკური პროცესები მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენენ ეროვნული სახელმწიფოს კულტურაზე და ეროვნულ თვითშეგნებაზე

მესამე თავის მეორე თავში გაანალიზებულია გლობალიზაციის წინააღმდეგობის პოლიტიკური ასპექტი. მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაციის პროცესის მკვლევართა ძირითადი თეორიებისა და შეხედულებების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ნაშრომში აღწერილია გლობალიზაციის ის ძირითადი წინააღმდეგობები, რომლებიც ობიექტურად იწვევს დეტერიტორიალიზაციის პროცესს, ანუ სახელმწიფოს როლის და საზღვრების შესუსტებას, სავაჭრო

ბარიერების ლიბერალიზაციას, საერთაშორისო ორგანიზაციების უპირატესობას ეროვნულ პოლიტიკურ ინსტიტუტებთან შედარებით, ნაციონალიზმის ჩანაცვლებას ინტერნაციონალიზმით.

სადისერტაციო ნაშრომში მოცემულია პრიტიკული ანალიზი, იმ მნიშვნელოვანი გარემოებისა, რომ გლობალიზაციის პროცესის შედეგად ეროვნახელმწიფო განიცდის ტრანსფორმაციას და გადადის ახალ ტრანსნაციონალურ ფაზაში, ანუ ხდება მისი ინტეგრირება კომპლექსურ გლობალურ სტრუქტურებში. ეს პროცესი მთელი რიგი სოციალურ-კულტურული, თუ პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემოებების გამო, იწვევს სისტემათა შორის არსებულ ღირებულებათა შეჯახებასა და წინააღმდეგობებს. გლობალიზაცია ზიანს აყენებს ერი-სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს.

გლობალიზაციის წინააღმდეგობის პოლიტიკური ასპექტის ანალიზისას, მივდივართ შემდეგ დაკვნამდე: მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი დიდ ზეწოლას ახდენს ეროვნახელმწიფოების ეროვნულ პოლიტიკაზე. ერი-სახელმწიფოები კვლავ რჩებიან პოლიტიკურ ერთობებად, რომლებიც ქმნიან ყველა პირობას წარმოქმნან და გააძლიერონ ბედის ისტორიული ერთობით დაკავშირებული ნაციონალური ერთობები. ნაციონალური პოლიტიკა კი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მაშინ იყო, როცა ერი-სახელმწიფოები პირველად ჩამოყალიბდა.

მესამე თავის მესამე ქვეთავში განხილულია გლობალიზაციისადმი წინააღმდეგობის კულტურულ ასპექტი. იგი დაყოფილია ქვეპარაგრაფებად: 1. თანამედროვე პოპულარული კულტურის კვლევის ასპექტები; 2. თანამედროვე კულტურული კონფლიქტების თეორიების კვლევის ასპექტები; 3. კულტურული გლობალიზაციის კვლევის ასპექტები; მეოთხე ქვეთავში გაანალიზებულია ეროვნული კულტურის ხასიათი და გლობალიზაციის წინააღმდეგობის ასპექტები.

კულტურული გლობალიზაციის მსოფლიოს საზოგადოებებზე ზემოქმედების პრობლემა თანამედროვე კულტუროლოგიაში მეტად აქტუალურ საკითხს წარმოადგენს. ამასთან, კულტურული კვლევები ყოველთვის წარმოშობდა აზრთა სხვადასხვაობას, იცვლებოდა ისტორიული და პოლიტიკური გარემოებების ცვლილებებთან ერთად.

1) გლობალიზაციისა და ეროვნული კულტურების ურთიერთმიმართების კონტექსტში ნაშრომში გამოკვლეულია და ფართოდ არის განხილული თანამედროვე პოპულარული კულტურების აღგილობრივ კულტურებზე

ზემოქმედების ხასიათი. კულტურული გლობალიზაციის პირობებში, თანამედროვე პოპულარული კულტურები მნიშვნელოვნად უწყობენ ხელს პოსტ-ტრადიციული ღირებულებების დანერგვის პროცესს. კულტურულ გლობალიზაციას ობიექტურად მივყავართ კულტურათა გაერთგვაროვნებისა და სტანდარტიზაციისაკენ, რაც ცალსახად უარყოფით მოვლენად შეიძლება შეფასდეს.

2) თანამედროვე კულტურული კონფლიქტების თეორიების შედარებითი ანალიზის საფუძველზე ნაშრომში გამოკვეთილია თანამედროვე საზოგადოებების კულტურულ/ცივილიზაციური ადაპტაციის პრობლემური საკითხები. დასავლური ღირებულებების მთელი მსოფლიოს მასშტაბით ექსტრაპოლაციის მცდელობა, ანუ იდეების პროპაგანდა დასავლეთის მხრიდან, სხვა ცივილიზაციებში იწვევს რეაქციას ე. წ. „დემოკრატიული იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ.

ნაშრომში გაანალიზებულია, თუ რა ფაქტორები განაპირობებს ანტიგლობალისტურ მოძრაობებს. თუ რომელი კულტურა (ცივილიზაცია) როგორ მიმართებას ამჟღავნებს მსოფლიოს გლობალიზაციის პროცესისადმი.

კერძოდ, თუკი დასავლური მოდელის გლობალური მოძალება, ერთი მხრივ, კაცობრიობას უფრო იდენტურს და მსგავს ხდის, მეორე მხრივ, იგი იწვევს მძაფრ უკურეაქციას, განსაკუთრებით კულტურის სფეროში.

3) თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბებულ საერთაშორისო სისტემაზე ზედაპირული დაკვირვებაც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ თანამედროვე ეპოქის სახელმწიფოთა უმრავლესობა კულტურულად ჰეტეროგენულია, ანუ „მულტიკულტურულია“. შესაბამისად, სადისერტაციო ნაშრომში მულტიკულტურალიზმი განხილულია, როგორც თანამედროვეობის მნიშვნელოვანი მახასიათებელი, რომელიც გარკვეული პოლიტიკური სუბიექტის ფარგლებში სხვადასხვა ხარისხის კონსოლიდირებული პოლიტიკური თემის არაერთგვაროვნების, სოციო-პოლიტიკური გარემოს შიდა სიჭრელის გამომხატველია.

სადისერტაციო ნაშრომში მულტიკულტურალიზმის ობიექტური ბუნების განსაზღვრის თვალსაზრისით, განხილულია, როგორც მისი გლობალიზაციის პროცესთან ურთიერთქმედების პრობლემა, ასევე გაანალიზებულია მულტიკულტურალიზმისა და ეროვნული კულტურების ურთიერთმიმართების ობიექტური მახასიათებლები.

მესამე თავის მეოთხე ქვეთავი ეთმობა გლობალიზაციის ეპოქაში ეროვნული კულტურების სამომავლო განვითარების პერსპექტივის ანალიზს. იგი

მოიცავს ეროვნული კულტურის და გლობალიზაციის ურთიერთქმედების პრობლემის კვლევის საფუძველზე ფორმირებულ მირითადად დებულებებს.

სადისერტაციო ნაშრომი მთავრდება დასკვნით, რომელშიც შევეცადეთ, შეჯამებული სახით წარმოგვედგინა გლობალიზაციისა და ეროვნული კულტურების ურთიერთმიმართების პრობლემის საკვანძო საკითხები და კვლევის შედეგები.

**ნაშრომის მირითადი დებულების ამსახველი პუბლიკაციები და სამეცნიერო კონფერენციები.**

#### **სამეცნიერო პუბლიკაციები:**

1. „გლობალიზაცია და ეროვნული კულტურის ზოგიერთი საკითხი“, სამეცნიერო კრებული „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“, გამომცემლობა: „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, 2008 წელი, ბათუმი.
2. „მსოფლიო საზოგადოების ენის საკითხისათვის“, სამეცნიერო „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა: „უნივერსალი“, 2010, თბილისი
3. „ნაციონალური იდენტობის პრობლემა თანამედროვე სახელმწიფოში“, საერთაშორისო კონფერენციის ნაშრომთა კრებული „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“, გამომცემლობა: შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012 წელი, ბათუმი.
4. „კულტურული ძვრები ინფორმაციულ საზოგადოებაში“, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციის ნაშრომთა კრებული „ინტერნეტი და საზოგადოება“, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „ინსო 2011“, ქუთაისი.
5. „რწმენისა და ცოდნის ურთიერთმიმართების პრობლემა – კრიტიკული ანალიზი“, სამეცნიერო კრებული „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა: „უნივერსალი“, 2011, თბილისი
6. „თანამედროვე პოპულარული კულტურა და „Love City 3D“, სამეცნიერო კრებული „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“, გამომცემლობა: ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011, თბილისი

#### **სამეცნიერო კონფერენციები:**

1. საერთაშორისო კონფერენცია „ჰუმანიტარული მეცნიერებები ინფორმაციულ საზოგადოებაში“. საკონფერენციო ოემა „ნაციონალური იდენტობის პრობლემა

თანამედროვე სახელმწიფოში“, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2009 წელი, 29-30 მაისი, ბათუმი.

2. შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი პუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დოქტორანტთა პირველი სამეცნიერო კონფერენცია. საკონფერენციო თემა „ერები სახელმწიფოს გარეშე“, შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2010 წელი, 30 ოქტომბერი, ბათუმი.
3. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია „ინტერნეტი და საზოგადოება“, საკონფერენციო თემა: „კულტურული ძვრები ინფორმაციულ საზოგადოებაში“. აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2011 წელი, 17-18 ივნისი, ქუთაისი.
4. პროფესორ-მასწავლებელთა სამეცნიერო კონფერენცია. საკონფერენციო თემა: „თანამედროვე პოპულარული კულტურა და „Love City 3D“, ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, 2011 წელი, 25 ნოემბერი, ბათუმი.

## თავი I. საზოგადოების განვითარების ეტაპები

### 1. საზოგადოების აგრარული ეტაპი

თანამედროვე კულტუროლოგიური კლასიფიკაციით კაცობრიობის ისტორია, ტექნოლოგიებისა და ცხოვრებაზე მათი გავლენების თვალსაზრისით, სამ - აგრარულ, ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ - ტალღად შეიძლება დაიყოს. პირველი ტალღა უკავშირდება იმ აგრარულ ძვრას, რომელმაც დაახლოებით ათი ათასი წლის წინათ, ძირეულად შეცვალა კაცობრიობის ცხოვრების წესი და „ნეოლითურ რევოლუციად“ მოინათლა. ამ პერიოდში განხორციელდა მოხევტიალედან მკვიდრ ცხოვრებაზე გადასვლა. მოხევტიალე ტომები შეცვალეს თემებმა, რომლებიც დედამიწის გარკვეულ მონაკვეთებზე დამკვიდრდნენ. განხორციელდა მსოფლმხედველობრივ-კულტურული განვითარება, ჩამოყალიბდა აზროვნების მითოსური წესი, ხოლო მოგვიანებით შეიქმნა დამწერლობა, რამაც შესაძლებელი გახადა ინფორმაციის დაფიქსირება და დროსა და სივრცეში მისი გადაცემა.

ათიათასი წლის მანძილზე (საზოგადოების აგრარული პერიოდი), პირველი ტალღის ცივილიზაციის პერიოდში ჩვენს პლანეტაზე ბატონობდა სოფლის მეურნეობა. ინდივიდები მჭიდროდ იდენტიფიცირდებოდნენ ოჯახთან, კლანთან, სოფელთან და სხვა დაჯგუფებებთან. ფაქტიურად მთელ ცხოვრებას ადამიანი ატარებდა იმ სოფელში სადაც დაიბადა. რელიგიური მსოფლმხედველობა მომდევნო თაობაზე გადაიცემოდა მშობლებისა და ადგილობრივი საზოგადოების მეშვეობით. ადამიანისათვის რელიგიური დებულების ჭეშმარიტება ეჭვს გარეშე იდგა მთელი ცხოვრების მანძილზე. ანუ, ყველაზე უფრო ბაზისური ინდივიდუალური თუ ჯგუფური მიკუთვნებულებები დაბადებიდანვე იყო განსაზღვრული. ამ თვალსაზრისით, ინდივიდს თითქმის არანაირი არჩევანი არ გააჩნდა. ჯგუფური იდენტობა რჩებოდა ადამიანის მუდმივ თანამგზავრად მთელი ცხოვრების მანძილზე.

ძველი ადმოსავლეთის დიდი სახელმწიფოების ტერიტორიებზე თავდაპირველად იქმნებოდა ირიგაციის ლოკალური ქსელები, მაგრამ მეურნეობის ექსტენსიური ხასიათიდან გამომდინარე, ადამიანები სულ ახალ და ახალ მიწებს ითვისებდნენ, რასაც, საბოლოოდ, ადგილობრივი სისტემების გაზრდა-გაფართოვება და ერთიანი ქსელის შექმნა მოსდევდა. ყოველივე ეს სათანადო აისახებოდა იმდროინდელ პოლიტიკურ სისტემაზეც.

ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების მეურნეობა უპირატესად აგრარული იყო და ნატურალურ ხასიათს ატარებდა, ანუ ემყარებოდა საქონელის უშუალო გაცვლას საქონელზე ფულადი მიმოქცევის განვითარებული სისტემის გარეშე. მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ხასიათი, რასაკვირველია, არ გამორიცხავდა ხელოსნობისა და ვაჭრობის განვითარების გარკვეულ დონეს. თუმცა ვაჭრობის და ხელოსნობის პროდუქციის მოხმარების და შესაბამისად, გასაღების ძირითადი არეალი იყო ქალაქების მიმდებარე სასოფლო დასახლებები, რომელთა მოსახლეობა სოფლის მეურნეობის პროდუქციას ცვლიდა მისთვის აუცილებელ ხელოსნობის პროდუქციაზე. განუვითარებელი იყო და მასობრივ ხასიათს არ ატარებდა საერთაშორისო ვაჭრობა. იგი, ძირითადად, ფუფუნების ნივთების ექსპორტით შემოიფარგლებოდა. თუმცა აღმოსავლეთის ვაჭრებს საკმაოდ დიდი თვალსაწიერი გააჩნდათ და თავიანთი სამშობლოდან საკმაოდ მოშორებულ ადგილებში მიმოდიოდნენ.

რამდენადაც, ძველი აღმოსავლური ცივილიზაციები აგრარულ ხასიათს ატარებდნენ, თანაც განუვითარებელი ფულადი სისტემის პირობებში, ცხადია, რომ ეკონომიკის ბაზისი, სიმდიდრის და კეთილდღეობის წყარო მიწის მფლობელობა იყო. ამავე დროს მიწა გამოდიოდა მალიმიტირებელი, ისეთი ფაქტორის როლში, რომელიც ხელს უშლიდა საზოგადოების განვითარებას. ექსტენსიური მეურნეობის პირობებში მიწის ახალი მასივების მიერთებაც კი თავისთავად არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ მიერთებულ მიწას ეფექტიანად აითვისებდნენ. მიწა კი ძველ აღმოსავლეთში ყოველთვის არასაკმარისი იყო (კაციტაძე 2007: 9).

კაცობრიობის ისტორიის აგრარულ პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენს დამწერლობისა და კლერიკალური კლასის ან ფენის წარმოშობა. მეტ-ნაკლებად მისაღები, სტაბილური და სტანდარტიზირებული დამწერლობითი ნორმების შემოღებამ – საბოლოოდ, კულტურისა და ცოდნის დაგროვებისა და მისი ცენტრალიზაციის პროცესი (ცოდნის ცენტრალიზაცია, კოდიფიცირება და პოლიტიკური ცენტრალიზაცია) გამოიწვია. შრომის დანაწილების ორ გადამწყვეტ და განსაკუთრებულ, ერთმანეთისაგან განსხვავებულ ფორმამ – მალაუფლების ცენტრალიზაციამ და კულტურის შემეცნების ცენტრალიზაციამ – განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა აგრო-დამწერლობითი სახელმწიფოებრივი მოწყობის ტიპიური სოციალური სტრუქტურებისათვის.

დაწერილმა სიტყვამ ისტორიაში პირველად საბუღალტრო ანგარიშებისა და გადასახადთა ამკრებებთან ერთად შეაბიჯა (სამწერლობო ნიშნების ყველაზე

ადრეული გამოყენება, ანგარიშების შენახვის საჭიროებით უნდა ყოფილიყო განპირობებული). ერთხელ წარმოშობილი დამწერლობა შემდეგ უპვე სხვა ფუნქციებს იძენს: იურიდიულს, სავაჭროსა და ადმინისტრაციულს. ბოლოს კი თავად ღმერთი აძლევს საკუთარ ქმნილებებს წერილობით აღთქმასა და კანონებს.

თეოლოგია, კანონმდებლობა, სასამართლო, ადმინისტრაცია, თერაპია: ყოველი მათგანი წარმოშობდა წერა კითხვის მცოდნე სპეციალისტთა ფენას. ჩვეულებრივ აგრო-დამწერლობით სახელმწიფოებრივ მოწყობაში, მმართველი კლასი წარმოადგენს მოსახლეობის უმცირესობას (მეომრები, სასულიერო პირები, ჩინოვნიკები, ადმინისტრატორები, ბიურგერები), რომელიც მკვეთრად არის გამიჯნული აგროკულტურის მწარმოებლების დიდი უმრავლესობისაგან ანუ გლეხებისაგან.

ჩვენი შეხედულებით, საზოგადოების განვითარების აგარარულ ეტაპზე, მმართველსა და დანარჩენ ქვეფენებს შორის კულტურული სხვაობა უფრო დიდია, ვიდრე ერთობა. ამ სისტემას ხელს აძლევს კულტურული დაშორების პორიზონტალური ხაზების არსებობა. რადგან, როგორც წესი, ფენებს შორის არსებული ფუნქციური სხვაობები გენეტიკურ და კულტურულ სხვაობებად ინათლებოდნენ და მის განმტკიცებას ცდილობდნენ ავტორიტეტითა და არსებული მსოფლმხედველობის მუდმივობის განცდის გამყარების საშუალებით.

თავში მოქცეული პორიზონტალურად სტრატიფიციერებული უმცირესობების ქვევით არსებობს სხვა სამყარო, საზოგადოების არასპეციალიზირებული წევრების განცალკევებული მცირე თემების სამყარო. კულტურული სხვაობა აქ კვლავ, ძალიან შესამჩნევია, მიუხედავად იმისა, რომ მიზეზები საკმაოდ განსხვავებულია. ზოგადად, გლეხების მცირე თემები ცხოვრობენ კარჩაკეტილი ცხოვრებით და ერთ ადგილს მიჯაჭვული არიან, თუ პოლიტიკური ბრძანებით არა, ეკონომიკური საჭიროების გამო მაინც. რაც მთავარია, საზოგადოების აგრარულ ეტაპზე თითქმის არავინ, არა არის დაინტერესებული ამ სოციალურ დონეზე კულტურული ერთიანობის მხარის დაჭერით. სახელმწიფო მხოლოდ გადასახადების ამოღებითა და მშვიდობის შენარჩუნებითაა დაინტერესებული და არ ზრუნავს მის სუბიექტ დაჯგუფებათა შორის პორიზონტალური კავშირის ხელის შეწყობისათვის (ინოზემცოვი 2000 : 243).

აგრო-დამწერლობითი საზოგადოების ცენტრალური მნიშვნელოვანი ფაქტი შემდეგში მდგომარეობს: ყოველი მისი შემადგენელი ნაწილი იბრძვის პოლიტიკური საზღვრების იმ განსაზღვრების წინააღმდეგ, რომელიც მას

კულტურულ საზღვრებს ამთხვევს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ნაციონალიზმი ასეთ პერიოდში რომ წარმოქმნილიყო, მისი გაფრცელების ალბათობა მინიმალური იქნებოდა, რადგან ორი პოტენციური პარტნიორი, სახელმწიფო და კულტურა, რომელიც ნაციონალისტური თეორიის მიხედვით ერთმანეთს განაპირობებენ, აგრარული პერიოდის პირობებში სულაც არ მიიღწვიან ერთმანეთისაკენ (გელნერი 2003: 18).

### **პრეინდუსტრიული საზოგადოების ცნობიერება**

ნებისმიერი ეპოქის კულტურის არსი გამოიხატება, უპირველეს ყოვლისა იმაში, თუ როგორ აღიქვამს ადამიანი საკუთარ თავს, შესაძლებლობებსა და ინტერესებს.

უძველესი ადამიანისათვის ბევრი რამ იყო იდუმალი და შეუცნობელი, ამასთან შიშისმოგვრელი და შემზარავიც. მას არ შეეძლო შეეცნო მოვლენათა არსი. იმ უხსოვარ დროში ყველაფერი უხილავი ღმერთების ნება-სურვილის გამოვლინებად მიაჩნდათ და მითებში ცდილობდნენ ბუნების მოვლენების ახსნას, სიკვდილისა და სიცოცხლის საიდუმლოებათა შეცნობას, ადამიანისა და სამყაროს ურთიერთობის გარკვევას.

რელიგიის, როგორც კულტურის დამოუკიდებელ ფორმად ჩამოყალიბება შეიძლება ვივარაუდოთ იმ მომენტიდან, როცა ადამიანის ცნობიერებაში მკვეთრად გაიმიჯნებიან სიკვდილი და სიცოცხლე, იმქვეყნიური და ამქვეყნიური, ბუნებრივი და ზებუნებრივი, როცა გრძნობად უმჭველობას ენაცვლება უპირობო რწმენა.

კულტურის არსებობის გზაზე ვერ მივუთითებთ თუნდაც ერთ მომენტს, სადაც მითოსი წყდება და რელიგია იწყება. მთელი თავის ისტორიის მანძილზე რელიგია შეიცავს მითოსურ ელემენტებს და მეორეს მხრივ, მითოსი შეიცავს ისეთ მოტივებს რომლებიც მნიშვნელოვნად შექრილია ძველი საზოგადოებების რელიგიური მსოფლმხედველობის საფუძვლებში.

დასავლეთევროპული შუასაუკუნეების სულიერი კულტურის მთავარ მახასიათებლად მისი რელიგიურობა გვევლინება. ის ადამიანის შემეცნების ახალი მსოფლმხედველობითი საყრდენია, რომელიც ვლინდება ასკეტურ ცხოვრებაში, რაც არ იყო წარმოდგენილი წარმართულ რელიგიებში. ძველმა წარმართულმა სამყარომ შეძლო შეექმნა კანონები და ადამიანთა ცხოვრება გარკვეულ საზღვრებში მოაქცია, მაგრამ მან ვერ დასძლია ძლიერი ეგოისტური ინსტიქტები, რომელიც ადამიანებს ერთმანეთსგან თიშავდა და წინა პლანზე მათ

სუბიექტური მოთხოვნებს აყენებდა. ძველ სამყაროში კაცომოყვარეობა და ლმობიერება განსაკუთრებულ სათხოებებად არ ცხადდებოდა, რაც წარმართული ცნობიერებით აიხსნება. საყოველთაო სიყვარულის პრინციპი წარმართობისათვის უცხო ელემენტია – სიკეთე მხოლოდ მას შეიძლება გაუკეთო, ვისგანაც სიკეთეს ელოდები, ბოროტების მკეთებლის მიმართ კი სასტიკი და შეუბრალებელი უნდა იყო.

არისტოტელეს მიხედვით, რისხვა და შურისძიება კანონიერი ვნებებია, რადგან მათ გარეშე ადამიანს სიკეთის წადილი არ ექნებოდა. ამგვარად, ჩვენი წარმოდგენით, მტრის სიყვარული წარმართისთვის სავსებით გაუგებარია, მაშინ როდესაც საყოველთაო სიყვარულის პრინციპი ქრისტიანული მოძღვრების რაციონალური მარცვალია. თუ კი წარმართობა, ადამიანს ბუნებისადმი მის დამოკიდებულებაში ავლენდა, ქრისტიანობა ადამიანს ღმერთისადმი დამოკიდებულებაში განიხილავს.

დასავლეთ ევროპული შუასაუკუნეების სოციალური კულტურის ერთ-ერთი მთავარი ელემენტი იყო ბერ-მონაზვნობა. იგი განასახიერებდა დვოის სასუფევლის მოლოდინს დედამაწაზე. შუასაუკუნეების წარმოდგენებში საზოგადოებრივი ურთიერთობების ახსნას ცდილობდნენ ადამიანსა და ღმერთს შორის დამოკიდებულების მსგავსად. ქრისტიანული მორალიდან გამომდინარე, მორჩილება, არსებულისადმი შეგუება საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარ ფასეულობად აღიქმებოდა, რაც თავის მხრივ იდეურად ამართლებდა საზოგადოებრივი ცხოვრების წოდებრივ ორგანიზაციას, მის იერარქიულობას, მაშინ როცა თითოეულმა ადამიანმა იცოდა თავისი ადგილი სამყაროში და ცხოვრობდა სოციალური ჯგუფების – უმაღლესიდან (სამდვდელოება, თავადაზნაურობა) უმდაბლესამდე (გლეხობა, ხელოსნობა) მოწესრიგულ ვითარებასთან მიმართებაში.

კულტურა ამ პერიოდის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მკაცრად განსაზღვრული ურთიერთქმედებაა სოციალური ჯგუფებისა, დამყარებული მიწაზე უფლებასა და საზოგადოებაში ადგილის შეთავსებაზე. ცენტრალიზებულ სახელმწიფოთა შექმნასთან ერთად ყალიბდება წოდებანი, რომლებიც შეადგენენ შეა საუკუნეების საზოგადოების სტრუქტურას – სასულიერო, სათავადაზნაურო წოდებანი და დანარჩენი მოსახლეობა, ე. წ. „მესამე ფენა“. სასულიერო წოდება ზრუნავდა ადამიანთა სულებზე, თავდაზნაურობა (რაინდობა) დაკავებული იყო სახელმწიფო საქმიანობით, ხალხი კი შრომით (ყულიჯანიშვილი 2004: 112).

რელიგიურობა, როგორც განსაკუთრებულობა შუა საუკუნეების სულიერი ცხოვრებისა, განაპირობებს ეკლესიის უმნიშვნელოვანეს როლს ქულტურაში. ავითარებდა რა თავის „ზეციურ“ ცხოვრებას თავის რელიგიურობის უმაღლეს ფორმებში. შუასაუკუნეების ქულტურის მოღვაწენი, უპირველეს ყოვლისა დვთისმეტყველნი არიან, ამიტომ განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინტელექტუალური საქმიანობის ისეთ ფორმებს, როგორიცაა დისკუსია და ქადაგება. ამ ეპოქაში, სულიერი ცხოვრების ფსიქოლოგიური თვითჩაღრმავება, კლინდება იმ უზარმაზარ როლში, რომელიც ადამიანის სულიერ ცხოვრებაში აღსარებას ეცისრება. შუა საუკუნეების სულიერი ცხოვრების ისტორიზმი განპირობებულია ქრისტიანული იდეის მოვლენათა განუმეორებლობით. ეს გამოწვეულია ქრისტეს, როგორც მოვლენის და როგორც ისტორიის დასაწყისის ფაქტორით. ანტიკურობის ციკლურობისაგან განსხვავებით, როცა ხდება მოვლენათა განმეორება დროში, შუა საუკუნეები განმსჭვალულია საშინელი სამსჯავროს მოლოდინით, ადამიანისა და საერთოდ, მთელი სამყაროს საბოლოო მიზნის გააზრებით. შუა საუკუნეების სულიერი კულტურის ტრაგიკულობა მდგომარეობს ლმერთისა და ადამიანის ერთიანობისაკენ განუხორციელებელ ლტოლვაში, რაც არ ხერხდება არც მიწაზე და არც ცაში.

„სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის“ კვლევის საკითხთან დაკავშირებით ადსანიშნავია ქრისტიანული რელიგიის ერთ-ერთი გამოჩენილი თეოლოგის ნეტარი ავგუსტინე ავრელიუსის (354-430) შეხედულებანი. მისმა ნაშრომმა „დვთის ქალაქის შესახებ“ უდიდესი გავლენა მოახდინა თეოლოგიისა და ქრისტიანული აზროვნების განვითარებაზე. ავგუსტინეს თვალსაზრისი სახელმწიფოზე განსხვავდება შუა საუკუნეების თეორიისაგან სახელმწიფოზე. ცდებოდნენ შუა საუკუნეების პუბლიცისტები, რომლებმაც ავგუსტინეს დვთის ქალაქში დაინახეს თავიანთი თეორიის გამართლება სახელმწიფოს ეკლესიაზე მორჩილებისა. სადაც ავგუსტინე ახსენებს სახელმწიფოს მსახურებას, მას მხედველობაში აქვს სახელმწიფოს მსახურება არა ეკლესიისადმი, რომის ეპისკოპოსისასდმი, არამედ დვთისადმი. შეიძლება ითქვას, რომ სახელმწიფო ხელისუფლებისათვის დვთის განმმარტებლად ითვლება არა პაპის კურია, არამედ ეკლესია მისი სულიერი თვალსაზრისით, როგორც ის ესმოდა ავგუსტინეს. ავგუსტინე სახელმწიფოსგან მოითხოვდა ეკლესიის დაცვას (სწორედ ამ პრინციპს დაეფუძნა შემდგომში მართმადიდებლური ეკლესია, რომელიც ბიზანტიური მოდელით ცდილობდა ეკლესიის მფარველობას). ავგუსტინეს „დვთის სამეფო“ ეკლესიას აჩვენებს თავის ადგილსა და

დანიშნულებას. იგი ითვლება დვთის ქალაქის ნაწილად, მაგრამ მიწაზე და მისი ცხოვრება მიმართულია არა მიწისაკენ, არამედ ზეცისაკენ.

თეოლოგიასა და ფილოსოფიას შორის გარდამავალი ეტაპი, ანუ მათ შორის შერიგების პერიოდი, რომელიც აზროვნების ისტორიაში სქოლასტიკის სახელითაა ცნობილი, სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობის შესწავლის თვალსაზრისით გამოირჩეოდა იმით, რომ ამ ეპოქაში, კერძოდ IX საუკუნეში დაწყებული პროცესები რწმენისა და გონების, ანუ თეოლოგიისა და ფილოსოფიის შერიგებისა, დაწყებული იოანე სკოტით დამთავრდა თომა აქვინელის სქოლასტიკით, რომელმაც არა თუ შეარიგა თეოლოგია და ფილოსოფია, არამედ სამტროდ გადაკიდა ერთმანეთს. ვინაიდან გონება, ანუ ფილოსოფია დაემორჩილა რწმენას – თეოლოგიას და ამით საფუძველი ჩაუყარა სასულიერო ხელისუფლების საერო ხელისუფლებაზე უპირატესობის თეორიას, რომლის წინააღმდეგაც მწვავე რეაქცია გამოხატა შემდგომი დროის შეა საუკუნეების ფილოსოფიამ და სწორედ ამ პერიოდში ხდება როგორც ეკლესის, ასევე რომის იმპერიის გაყოფა აღმოსავლეთად და დასავლეთად სახელმწიფოსა და ეკლესის ურთიერთობების თვალსაზრისით.

დასავლეთ ევროპის კულტურულ-ისტორიულ განვითარების პროცესში „აღორძინების ეპოქა“ ერთგვარად, ემიჯნება შუასაკუნეობრივ შეზღუდვებს. ამ დროის გამავლობაში ხდება ქრისტიანული ეთიკის მოდიფიკაცია, მეცნიერებისა და ხელოვნების თანდათანობითი ემანსიპაცია და დასავლეთად სახელმწიფოსა და ეკლესის ურთიერთობების თვალსაზრისით.

ჩვენი შეხედულებით, აღორძინების ეპოქის ადამიანებმა არ დაკარგეს ღმერთი, რწმენა, მაგრამ ახლებურად შეხედეს თავიანთ შესაძლებლობებს. შუასაუკუნეობრივი შეგნების მოდიფიკაცია შენდებოდა ანტიკურისამი დაუინებულ ინტერესზე. ადამიანთა ახალი მსოფლშეგრძნება მსოფლმხედველობით საყრდენს საჭიროებდა. ამ საყრდენად იქცა ანტიკურობა, რაც უნიკალურ და განუმეორებელ კულტურას ქმნიდა. აღორძინების ეპოქის პუმანისტური იდეოლოგია თანდათანობით, საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა უნივერსალურ გამოხატულებად იქცა, მაგრამ მის საფუძველზე შექმნილი კულტურა – ფილოსოფიური სწავლებანი, მეცნიერული მიღწევები, ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებები – განათლებულ მოქალაქეთა მცირე ნაწილის საკუთრებას წარმოადგენდა და მას არ შეეძლო გავლენა მოეხდინა მასების ცნობიერებაზე, რათა ხელი შეეწყო ახალი წყობის

გამარჯვებისათვის. ამ დროისათვის ხალხთა უმრავლესობის სულიერ ცხოვრებას რელიგია განსაზღვრავდა.

რომაულ-კათოლიკური ეკლესია წარმოადგენდა ფეოდალური დასავლეთ ევროპის საერთაშორისო ცენტრს, რომელიც თავისი სულიერი და პოლიტიკური ძალაუფლების ქვეშ აერთიანებდა მას. იგი თავგამოდებით იცავდა ფეოდალური წყობილებას, კლასებისა და წოდების იერარქიას, ხალხთა მასების ჩაგვრასა და ექსპლუატაციას დამატებით წყალობის სახელით. ეკლესიის ძალაუფლება უზარმაზარი იყო. საკმარისია ითქვას, რომ თითქმის XIV საუკუნემდე ევროპის მეფეებს რომის პაპი აკურთხებდა და ისინი მისი დამოკიდებულების ქვეშ იყვნენ. მას შემდეგ რაც სამეფო ხელისუფლებამ ქალაქის წოდებებზე დაყრდნობით თანდათანობით შეარყია ფეოდალ დიდგვაროვანთა ძლიერება და დაიწყო მსხვილი ცენტრალიზებული მონარქიების შექმნა, რომის პაპის შეუზღუდავი გავლენა უფრო და უფრო მიუღებელი ხდებოდა საერო ხელისუფლებისათვის.

რეფორმაცია – ფართო რელიგიურ და პოლიტიკურ მოძრაობა, რომელიც ჩაისახა XVI საუკუნის დასაწყისში და მიმართული იყო ქრისტიანული ეკლესიის სრულყოფისაკენ – გახდა პირველი გაბედული გამოსვლა შუასაუკუნეების დრომოჭმული წესების წინააღმდეგ. კათოლიკურმა ეკლესიამ, რომელიც უზარმაზარი ავტორიტეტით სარგებლობდა, საერო ხელისუფლების ძალას ეყრდნობოდა და მკაცრად უსწორდებოდა ყოველგვარ გადახვევასა და ერესს, გერ შეძლო წინ აღდგომოდა პროტესტანტი თეოლოგების იდეებს, რომელთაც მიიზიდეს ადამიანთა ფართო მასები. მარტინ ლუთერის უშუალო წინამორბედის, ჩეხი დათისმეტყველისა და პროფესორის იან ჰუსის მოღვაწეობამ მძიმე დარტყმა მიაყენა კათოლიციზმს. იგი მოითხოვდა კათოლიკური დათისმსახურების შეზღუდვას და გამარტივებას, მის ნაციონალურ ენაზე ჩატარებას და ფაქტობრივად რომისაგან დამოუკიდებელი, ნაციონალური ეკლესიების მშენებლობას. ამის გამო, გერმანიის იმპერატორის მიერ მისთვის მიცემული დაცვის სიგელის მიუხედავად, ის ვერაგულად შეიპყრეს და დაწვეს 1415 წელს.

რომაულ-კათოლიკური ეკლესიის გაბატონებამ ცხოვრების ყველა სფეროში, მისმა სრულმა მონოპოლიამ ძალაუფლებაზე და აურაცხებელმა სიმდიდრემ, საბოლოოდ ეს ეკლესია შინაგან კრიზისამდე მიიყვანა. კათოლიკურმა ეკლესიამ თავისი ძალაუფლების განმტკიცებისათვის XIII საუკუნეში შექმნა ინკვიტია – ეკლესიის წინააღმდეგ „შემცვდე“, საშიში „ერეტიკოსების“ დევნის (დამსჯელი) დაწესებულება. მისი საინკვიტიო ტრიბუნალები გადაიქცა „ეკლესიის მთავრების“ – ეკლესიის ნომენკლატურის ბრძოლის იარაღად თავიანთი

მოწინაადგენებთან. ინკვიტიციის მსხვერპლი გახდა ბევრი გამოჩენილი მეცნიერი, მწერალი, ექიმი, აგრეთვე ათასობით უბრალო ადამიანი, რომლებმაც ეკლესიის მსახურთა რისხვა დაიმსახურეს.

მარტინ ლუთერმა მოითხოვა დაბრუნება პირველსაწყისი ქრისტიანობის ზნეობრივი პრინციპებისაკენ, მისი უბრალოებით, გულრწფელობით და სრული რწმენით. ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ვილჰელმ დილთაი (1833-1915) თავის ფუნდამენტურ გამოკვლევაში „ადამიანის გაგება და ანალიზი მე-15-ე და მე-16-ე საუკუნეებში“ (1882) წერდა: „ლუთერმა თავისში გააქრთიანა ოპოზიციის ყველა მოთხოვნა“. ლუთერმა წამოაყენა კონკრეტული პიროვნების ღმერთთან უშუალო მიმართების შესაძლებლობის პრინციპი (ყულიჯანიშვილი 2003: 512).

როგორც ვიცით, ამის საფუძველზე უარიყოფოდა კათოლიკური ქრისტიანობის, როგორც ღმერთთან შუამავალის საჭიროება. ეს ნიშნავდა გერმანიის განთავისუფლებას რომის ეკლესიის რელიგიური და კულტურული ბატონობისაგან, ამავე დროს ეს იყო პიროვნების ღირსების დაფუძნება, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ინდივიდუალური შემოქმედებისათვის გზის ოფიციალური გახსნა.

ჰეგელის მტკიცებით, ლუთერი დაუპირისპირდა საერთოდ სქოლასტიკური აზროვნების და შუა საუკუნეების ცხოვრების წესს. ჰეგელი, ასევე, ლუთერის განმათავისუფლებელ მოღვაწეობას ჰეგელი დამაჯერებლად უკავშირებს მის მიერ ბიბლიის გერმანულად თარგმნას, როგორც მსოფლმხედველობით საკითხს. მისი აზრით, ახალი რწმენა ვერ გახდებოდა შინაგანი გერმანული კულტურისათვის, ლუთერს რომ ადამიანის უშინაგანესი განცდების გერმანულ ენაზე გამოხატვის საშუალება არ შეექმნა. „სუბიექტური აზროვნება შეუძლებელია, თუ საკუთარ ენაზე აზროვნება არ შეგიძლია“ ხოლო თუ ადამიანი თავისუფალი არ არის, იგი ვერ იქნება შინაგანად მორწმუნე. ამიტომ ლუთერი თავის რეფორმაციას ვერ დაასრულებდა, ბიბლია გერმანულად რომ არ ეთარგმნა, ამტკიცებდა ჰეგელი თავის „ლექციებში ფილოსოფიის ისტორიაზე“ (ყულიჯანიშვილი 2003: 513).

რეფორმაციის რადიკალური გამგრძელებელი გახდა უან კალვინი, პროტესტანტობის ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი მიმდინარეობის დამაარსებელი. კალვინიზმა უფრო მეტად გაამარტივა ქრისტიანული კულტი და ლგოსმსახურება, ეკლესიისათვის დემოკრატიული ხასიათის მიცემით (ეკლესიის ხელმძღვანელობის არჩევითობა საერთო პირების მიერ), გამოყო იგი სახელმწიფოსაგან, თუმცა დამოუკიდებელ პოლიტიკურ ძალად დატოვა.

ბურჟუაზიული ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელი სულიერი და იდეოლოგიური პლურალიზმისადმი სწრაფვის შესაბამისად, კალვინიზმა წარმოშვა მთელი რიგი მიმდინარეობები და პროტესტანტული სექტები – პრესვიტერიანელები, კონგრეგაციონალისტები, პურიტანები, ბაპტისტები და სხვა.

ქრისტიანობის ახალი გაგება, როგორც უშუალოდ პირადი კავშირისა ადამიანის ღმერთთან, უძლიერესი დარტყმა აღმოჩნდა კათოლიკურ ეკლესიაზე, როგორც ფეოდალიზმის სულიერ და პოლიტიკურ ბურჯზე. ქრისტიანობის ახალი გაგება გულისხმობდა გარკვეულ შეზღუდვას ეკლესიის ავტორიტეტისა - სარწმუნოებისა და ზნეობის საკითხებში. ეს არის სინდისის თავისუფლების გაგება, როგორც პიროვნების დირსებისა. ქრისტიანული ეკლესიის გარდაქმნის საშუალებით, სარწმუნოებრივი აღმსარებლობისა და რიგითი ადამიანის მსოფლმშეგრძნების შეცვლით, პროტესტანტიზმა ხელი შეუწყო ბურჟუაზიული საზოგადოების ადამიანის წარმოშობას – დამოუკიდებელი ინდივიდის ზნეობრივი არჩევანის თავისუფლებით, პასუხისმგებლობით თავის აზროვნებაზე და საქციელზე. პროტესტანტული იდეის მატარებლებში გამოიკვეთა პიროვნების ახალი, ბურჟუაზიული ტიპი ახალი კულტურით და სამყაროსადმი ახლებური დამოკიდებულებით. პროტესტანტიზმა ძლიერი ბიძგი მისცა ახალი კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებას და ადამიანის ახლებური ტიპის ჩამოყალიბებას.

პირველი პერიოდის რეფორმაციას პქონდა მონარქიული ხასიათი, ამ ეპოქის მთელი სახალხო მდელგარების მიუხედავად. მაშინ როდესაც მეორე პერიოდში იგი სამეფო ხელისუფლების მხრიდან აწყდება ოპოზიციას და ღებულობს რევოლუციურ მიმართულებას. რეფორმაციამ რომს ჩამოაშორა დასავლეთ-ევროპელი ერების ნაწილი, ამასთან ზოგიერთ მათგანში პროტესტანტიზმა მოიპოვა სრული გამარჯვება (კარევი 2010).

ფეოდალიზმი, რომელმაც ათას წელზე მეტ ხანს იარსება უკროპაში, ხასიათდებოდა განსაკუთრებული მდგრადობითა და სტაბილურობით. თუმცა, შრომის იარაღების თანდათანობითმა გაუმჯობესებამ და მათი დამზადების სპეციალიზაციის გაღრმავებამ გამოიწვია ხელოსნური წარმოების გაფართოება და გარე საშოვარის გაჩენა. ამან განაპირობა ხელოსნური წარმოების გამოყოფა მიწათმოქმედებისაგან და მრავალი ახალი დასახლების – მომავალი ქალაქების, როგორც ახალი ქალაქის კულტურის ცენტრების წარმოქმნა.

ადამიანთა თვითდამკვიდრების პროცესში, საკმაო როლი ითამაშა სოციალ-ეკონომიკურმა ფაქტორებმა, კურძოდ, სასაქონლო ფულადი მეურნეობის განვითარებამ. ადსანიშნავია, რომ სწორედ ქალაქებში იყრიდნენ თავს გლეხურ მეურნეობას ჩამოშორებული ხელოსნები და ოსტატები, რომლებიც იძულებული იყვნენ ხელობით ერჩინათ თავი, ასევე გამორჩენის, სარგებლის მოსურნე ადამიანები. სწორედ ქალაქურმა კულტურამ შექმნა ახალი პიროვნებები, ჩამოყალიბა ახალი მიდგომა ცხოვრებისადმი, შექმნა ატმოსფერო, რომელშიც საბოლოოდ განხორციელდა ახალი იდეები და შემოქმედების ნიმუშები. ქალაქურმა კულტურამ გააძლიერა თავისუფალი აზროვნება, სწორედ ქალაქში ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი ადამიანის ტიპი. ქალაქები სწრაფად იზრდებოდა და ვითარდებოდა, შრომის ინტენსიური დანაწილების, კერძო საკუთრების მატების, სასაქონლო წარმოებისა და ვაჭრობის განვითარების საფუძველზე. სასაქონლო წარმოება ათავისუფლებდა ნატურალურ მეურნეობას მისთვის ჩვეული შეზღუდულობისაგან, ხელს უწყობდა საწარმოო ძალთა განვითარების მოთხოვნილებათა გაზრდას, წარმოების საშუალებათა და მშრომელის უნარის განვითარებას. მწარმოებლობითი ძალების განვითარების მოთხოვნილებამ ბიძგი მისცა ბუნების ექსპერიმენტულ შეცნობას, ხოლო გარეგანი იძულებითი შრომისაგან თავისუფალი, დამოუკიდებელი მშრომელის საჭიროებამ ახლებური წარმოდგენა შექმნა ადამიანზე, მის ღირსებებსა და თავისუფლებაზე.

XIV საუკუნიდან იწყება ძლევამოსილი გზა ამქვეყნიური, უპირველეს ყოვლისა, ქალაქური ცხოვრებისაკენ, სადაც სწრაფად ვითარდება სავაჭრო-სამრეწველო ურთიერთობები, რომელიც ძირს უთხრის მსოფლიოს მხოლოდ რელიგიური კუთხით ათვისების იდეას, მიისწრაფვის და ბადებს დამოუკიდებლობის, ინდივიდუალიზმის სურვილს.

პირველი მცდელობა რწმენის შერიგებისა გონებასთან („მრწამს, რათა გავიგო“) დმერთის არსებობის ლოგიკური დასაბუთება მოხდა XI საუკუნეში ინგლისელი ეპისკოპოსის ანსელმ კენტერბერიელის მიერ. ცოტა მოგვიანებით გონების როლის წამოწევას რელიგიური დოგმების დასაბუთებისათვის („მესმის რათა ვიწამო“) შეეცადა ფრანგი დვორისმეტყველი პიერ აბელიარი. საბოლოო ჯამში თომა აქვინელი თანხმდება, რომ გონების დახმარებით შესაძლებელია რწმენის ნაწილობრივი დასაბუთება.

ინგლისელი ფილოსოფოსი და ბუნებისმეტყველი როჯერ ბეკონი (1214-1292) თვლიდა, რომ რწმენისა და ცოდნის გაერთიანება შეუძლებელია რწმენის მხრიდან, რომელსაც არ სურს დაემორჩილოს გონებას, და ცოდნის მხრიდანაც,

რომელიც გვერდს უვლის რწმენის მისტიკურ ბუნებას. ფაქტიურად, მისი შემოქმედებით იწყება შედარებით დამოუკიდებელი არსებობა რწმენისა და ცოდნისა. ამავე დროს, ბურუუაზიული ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება მძლავრ იმპულსს იძლევა სამეცნიერო ცოდნის განვითარებისათვის. (ლორთქიფანიძე 2003: 476).

აბსოლუტურად ლოგიკურად მიგვაჩნია, ის, რომ ახალი დროის მატერიალიზმი პირველად იმ ქვეყნებში აღმოცენდა, სადაც კაპიტალიზმი ყველაზე მოწინავე იყო და სადაც მან პირველად იწყო აღორძინება. ასეთ ქვეყანას იმ დროისათვის წარმოადგენდა დიდი ბრიტანეთი. XVII-XVIII საუკუნეები იყო უდიდესი მეცნიერული რევოლუციებისა და აღმოჩენა-გამოგონებათა საუკუნე. ამ საუკუნეების მეორე ძირითადი თვისება მის მატერიალისტურ-ათეისტურ ბუნებაში მდგომარეობდა.

ჩვენი აზრით, XVII საუკუნეში მატერიალიზმი ჯერ კიდევ იმდენად გაბედული არ არის. იგი ათეიზმის თეორიებს ასაბუთებს, მაგრამ პრაქტიკაში ხშირად ზავს ამყარებს ეკლესიის წარმომადგენლებთან. მატერიალიზმი მხოლოდ XVIII საუკუნეში გადადის შეტევაზე და რადიკალურად ანგრევს ყველაფერს, უპირველეს ყოვლისა რელიგიასა და ეკლესიას.

ინგლისელი მეცნიერი თომას ჰობსი (1588-1679) თავის ნაშრომში „ლევიათანი, ანუ საეკლესიო და სამოქალაქო სახელმწიფოს მატერია, ფორმა და ხელისუფლება“ განიხილავს საერო და სასულიერო ხელისუფლების ურთიერთობათა საკითხებს. ის მიიჩნევს, რომ მატერიალისტი პირდაპირ არ იღაშქრებს სასულიერო ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ უპირატესობაში მაინც სახელმწიფოს აყენებს, დაფუძნებულს სუვერენიტეტზე და ადამიანთა თანხმობაზე (ბიჭაშვილი 2006:47). ბენედიქტე სპინოზამ (1632-1677), როგორც მატერიალისტმა და ათეისტმა გაიღაშქრა როგორც რელიგიის, ასევე აბსოლუტიზმის წინააღმდეგ. მისთვის მისაღები იყო კონსტიტუციური მონარქია, უფრო მეტად კი დემოკრატიული წყობა და წინა პლანზე წამოწევს სამართლიანობის ცნებას. ამით ლაიბნიცი ევროპულ ფილოსოფიაში სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობათა სიმფონიის იდეის რეანიმაციას შეეცადა, მაგრამ ამაოდ ამისათვის არც მაშინდელი სახელმწიფო იყო მზად და არც მაშინდელი ეკლესია, ვინაიდან ამ დროს მატერიალიზმი უკვე საკმაოდ ძლიერია თავისი რელიგიასთან და ეკლესიასთან მებრძოლი იდეით, რომლის გამოხატულებაც არიან შემდეგი დროის ფრანგი ფილოსოფოსები პიერ ბეილი და უან მელე (ლორთქიფანიძე 2003: 477-478).

პიერ ბეილი (1647-1706) გამოდის რომის კათოლიკური ეკლესიის პრიტიკით და ამხელს ამ ეკლესიის გახრწნილ და გადაგვარუბულ ბუნებას, თუმცა აღინიშნოს, რომ მისი მსოფლმხედველობა უფრო მეტად პრობლემის ათეისტური ხედვაა, ვიდრე კრიტიკა. მონტესკიუ ბეილის ათეისტური მსოფლმხედველობის წინააღმდეგია და იცავს რელიგიის როლს სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში და მათი ურთიერთობის აუცილებლობას აღიარებს.

ფრანსუა-მარი ვოლტერი (1694-1778) რელიგიის აუცილებლობაზე საუბრობს სახელმწიფოსა და სამართლიანობასთან მიმართებაში.

ჟან-ჟაკ რუსო აკრიტიკებს სახელმწიფოსა და რელიგიასთან მიმართებაში ათეისტებისა და დეისტების შეხედულებებს და აღნიშნავს: „თუ ისტორიულ მოვლენებს განვიხილავთ, შევძლებთ ბეილისა და უორბერტონის საპირისპირო მოსაზრებათა უარყოფას. ერთი მათგანის თანახმად პოლიტიკური ცხოვრებისათვის რელიგიას არავითარი სარგებლობა არ მოუტანია, მეორე პირიქით, ამტკიცებდა, რომ ქრისტიანული სარწმუნოება სახელმწიფოსათვის ყველაზე მყარი საყრდენია. პირველს შეიძლება შევედავოთ, რომ რელიგიური საწყისი გარეშე არც ერთი სახელმწიფო არ შექმნილა, ხოლო მეორესათვის შეიძლებოდა გვეთქვა, რომ მტკიცე სახელმწიფოებრივი წყობისათვის ქრისტიანული კანონი არსებითად უფრო საზიანოა ვიდრე სასარგებლო“ – ასეთია რუსოს დამოკიდებულება სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობებისადმი (აბზიანიძე 2006: 31).

თანამედროვე თვალთახედვით, მართებულად რომ წარმოვიდგინოთ სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობები, ნათლად უნდა დავინახოთ განსხვავება მათი ბუნებისა. ეკლესიას და სახელმწიფოს აქვთ განსხვავებული ბუნება და წარმომავლობა. ეკლესია დაფუძნებულია უშუალოდ თვით დმერთის – უფალ იესო ქრისტეს მიერ. ეკლესიის მიზნად ითვლება ადამიანთა ხსნა. ეკლესიას და სახელმწიფოს აქვთ მოქმედების თავიანთი სფეროები, თავიანთი განსხვავებული საშუალებები და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელნი არიან. არის სფერო, რომელიც არ შეიძლება იყოს განსხვავებული ეკლესიისა და სახელმწიფოსათვის. ეს უპირველეს ყოვლისა არის საზოგადოების ზნეობრიობა, რომელსაც, ერთის მხრივ, ურთიერთობა აქვს სახელმწიფოსთან ადამიანთა ხსნის საქმეში, ხოლო, მეორე მხრივ, შეადგენს საზოგადოებრივი წყობის შინაგან საყრდენს და ასევე ეს არის სახელმწიფოში ეკლესიის სამართლებრივი სტატუსი (ციპინი 2002: 677).

XVIII საუკუნეში გაბატონებული იდეოლოგიის და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობის „განმანათლებლობის“ წარმომადგენელთა აზრით, დრომოქმული წყობილება, ზეობა, პოლიტიკა და ყოფა შესაძლებელია შეიცვალოს სიკეთისა და სამართლიანობის იდეებისა და მეცნიერული ცოდნის გავრცელებით, ამასთან, ეს ცვლილებები უნდა მოხდეს მშვიდობიანი რეფორმების მეშვეობით. საზოგადოებრივი წყობილების მანკიერებებს „განმანათლებლობა“ ხსნის უვიცობით, საკუთარი ბუნების უცოდინარობით. ფართო გაგებით, განმანათლებლობა არის კაპიტალიზმის ჩამოყალიბების პერიოდში ანტიფეოდალური იდეოლოგიის სინონიმი.

განმანათლებლობის იდეები ფართოდ გავრცელდა მრავალი ქვეყნის მხატვრულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. ცნობილი განმანათლებლები: ვოლტერი, რუსო, მონტესკიე, დალამბერი, დიდრო, პოლბახი, პერდერი, ლესინგი, შილერი, გოეთე, ფრანკლინი, ჰაინკ, დესნიცკი, კობელსკი და სხვა, უდიდესი შემართებით ებრძოდნენ ეკლესიასა და ფეოდალიზმს, რელიგიურ დოგმატიზმს, სქოლასტიკურ აზროვნებას.

XVIII საუკუნეში განმანათლებლობამ დიდი გავლენა მოახდინა სოციალურ შეხედულებათა ჩამოყალიბებაზე (უტოპისტები, ნაროდნიკები). განმანათლებლობის ნიშნებია: ყველა ადამიანური და საზოგადოებრივი პრობლემის გადაჭრაში გონების ავტორიტეტი; 2. თავისუფალი მოაზროვნეობა და ანტიდოგმატიზმი; 3. ანტიკლერიკალიზმი; 4. პოლიტიკური რადიკალიზმი; ეს ნიშნები საერთოა განმანათლებლობის ყველა სახეობისათვის და ამიტომაც ახასიათებს: 1. დემოკრატიზმი; 2. რაციონალიზმი; 3. ისტორიული ოპტიმიზმი. პირველი დაკავშირებულია ფართო მასების მიერ კულტურისა და ცოდნის ზიარება-დაუფლების აუცილებლობასთან. მეორე გულისხმობს გონების შეუზღუდავი შესაძლებლობების რწმენას, ხოლო მესამე – მეცნირებისა და საზოგადოების პროგრესის, ისტორიული განავითარების ერთიანი მიზნების არსებობის რწმენა (აბზიანიძე 2006: 34).

განმანათლებლობის ფილოსოფიური საფუძველია რაციონალიზმი (რენე დეკარტი და გოდფრიდ ვილჰელმ ლაიბნიცი), რომლის მიხედვითაც, შემცნება გონებაზე, აზროვნებაზეა დამყარებული. რაციონალური აზროვნების ფარგლებში სიკეთე გაიგივებულია გონიერებასთან, რაციონალისტები ცდილობდნენ, ბუნებრივი პროცესები დაეყვანათ გასაგებ და ლოგიკურად ახსნად კანონზომიერებებზე.

XVIII საუკუნეში დიდი გარდატეხა მოხდა ევროპის სოციალური ცხოვრებაში: წოდებრივად დანაწევრებული და იდეოლოგიურად ეპლეხიას დაქვემდებარებული საზოგადოება ჩანაცვლდა სამოქალაქო (ბურჟუაზიული. ბიურგერული) საზოგადოებით, რომელიც მოითხოვდა თანასწორობასა და თავისუფლებას როგორც აზროვნებაში, ისე ეკონომიკურ საქმიანობაში. საუკუნის მთავარი მოვლენაა 1789 წლის საფრანგეთის რევოლუცია, რომელსაც მრავალი ინტელექტუალი აღტაცებით შეხვდა. ამ რევოლუციით დაიწყო აბსოლუტიზმის (ფეოდალთა ერთპიროვნული მმართველობის) და ინდივიდის ემანსიპაცია (გათავისუფლება) სოციალური და დოგმატური შეზღუდვებისაგან. ფეოდალურ იერარქიას დაუპირისპირა სამყაროს, საზოგადოების და ცხოვრების მისეული მოდელი.

ამ მოდელის ფარგლებში ადამიანის ღირებულება განისაზღვრება არა წარმომავლობითა და მემკვიდრეობით პრივილეგიებით, არამედ მისი ინტელექტუალური, ფსიქიკური და ფიზიკური მონაცემების განვითარებით. ვითარდება ბურჟუაზიული იდეოლოგია, რომელშიც განდიდებულია ადამიანის თავისუფალი ნება, მისი ბუნებრივი სიკეთე, და გაპრიტიკებულია არაბუნებრივი ცხოვრების წესის გამო გადაგვარებული და გარევნილი ფეოდალი.

მიშელ ალბერის მიხედვით, „თავისუფალი ინდივიდუალობა, დაფუძნებული ინდივიდის უნივერსალურ განვითარებაზე, თავის მხრივ გადაიქცევა კოლექტიურ, საზოგადო შემოქმედებად და საზოგადო კეთილდღეობას ემსახურება“ (ალბერი 1998 :152).

\* \* \*

საზოგადოების აგრარული ეტაპი მოიცავს კაცობრიობის ისტორიის უზარმაზარ პერიოდს უძველესი დროიდან მეჩვიდმეტე საუკუნეებული. ამ ეპოქის არსებითი მახასიათებელია მიჯაჭვულობა მიწაზე, იზოლაციონიზმი, რელიგიური ცნობიერების დომინანტობა, სამყაროს იერარქიული მოვლი, ისტორიის გაგება, როგორც წარჩინებულ გვართა და რჩეულ ხალხთა ისტორია.

ჩვენი შეხედულებით, წინაინდუსტრიული, წინარაციონალური ხედვების ყველაზე განსაკუთრებული შტრიხი იყო არა საფუძვლიანად გაერთიანებული, არამედ იერარქიულად დაკავშირებული ქვესამყაროების თანაარსებობა და განსაკუთრებულად პრივილეგირებული, საკრალიზებული და ყოველდღიური ცხოვრების წესისგან გამოთიშული მოვლენების არსებობა. ტრადიციულ სოციალურ წყობაში ეს ქვესამყაროები თავის ავტონომიურ სისტემებს ქმნიდნენ. ხოლო, განსხვავებული სფეროებიდან აღებული ფორმულირების

შეერთების და მათ შორის შეუთანხმებლობის გამოკვლევის, ან მათი გაერთიანების მცდელობა იქნებოდა ან სოციალური სოლეციზმი ანდა უარესი – დვოისგმობა ან ურწმუნოება.

საზოგადოების განვითარების აგრარული ეტაპი გადალახულ იქნა და საზოგადოებები თანდათანობით გადავიდნენ განვითარების თვისობრივად ახალ ეტაპზე. კერძოდ, ინდუსტრიულ ეტაპზე იწყება საზოგადოების მოდერნიზაციის და სექულარიზაციის სწრაფად განვითარებადი პროცესი, სათავეს იღებს ნაციონალიზმი, ინდუსტრიალიზაცია, ურბანიზაცია. წინა პლაზე გამოვიდა კაცობრიობა, როგორც ისტორიის ახალი სუბიექტი. ყოველდღიურობა განიმსჭვალა მეცნიერული სულით. საზოგადოების თანდათანობითი ინდუსტრიალიზაციის პირობებში ცოდნა უკვე მოქმედების სფეროდ გადაიქცა და მომხმარებლობითი ფუნქციები შეიძინა. წარმოებითმა რევოლუციამ რადიკალურად შეცვალა საზოგადობრივი ცნობიერება და სოციალური ცხოვრების რეგულაციის ახალი ფორმები დაამკვიდრა.

მკველავრთა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ კაცობრიობა საბოლოოდ გაერთიანდა ინდუსტრიულ საზოგადოებად, ანუ საზოგადოებად რომლის პროდუქტიული სისტემა კონცენტრირებულ მეცნირებასა და ტექნოლოგიაზეა დამყარებული. დღეს, აგრარული საზოგადოება უკვე არჩევის საგანი აღარ არის, მის აღდგენის შემთხვევაში კაცობრიობის უდიდესი ნაწილი სიკვდილისათვის გაიწირება. აღარაფერი რომ არ ვთქვათ შესაძლო გადარჩენილთა მდგომარეობასა და ენით აუწერელ სიღარიბეზე.

## 2. საზოგადოების ინდუსტრიული ეტაპი

ინდუსტრიული საზოგადოება წარმოიშვა მაღალი ტექნოლოგიის და განუხერელი ზრდის მოლოდინის ბაზაზე, რომელიც ობიექტურად მოითხოვდა მობილიზაციას, შრომის დანაწილებასა და უცნობ ადამიანებს შორის მყარ, ხშირ და ზუსტ კომუნიკაციას.

ჩვენი შეხედულებით, დიდ, მრავალფეროვან და შერეულ საზოგადოებაში არაჩვეულებრივად რთული ტრანსფორმაცია მოხდა და შედეგიც უნიკალური მივიღეთ. ეს არის პირველი საზოგადოება, რომელმაც პროგრესის, განუწყვეტელი გაუმჯობესების კონცეფცია და იდეალი გამოიგონა.

როდესაც წარმოებითმა რევოლუციამ გამოიწვია ცვლილებათა მეორე ტალღა დედამიწაზე, მოთხოვნილება მიკუთვნებულობაზე შენარჩუნდა, მაგრამ მისი ინდივიდუალური და ჯგუფური ბუნება შეიცვალა. ამ ახალ რეალობაში

იდენტიფიცირება ხდებოდა არა სოფლისადმი მიკუთვნებულობით, არამედ ეროვნული მიკუთვნებულობის საფუძველზე. კიდევ ერთ ფორმად იდენტიფიკაციისა და მიკუთვნებულობისა წარმოგვიდგა – კლასობრივი ცნობიერება. შრომის დაყოფა-გადანაწილების ახალმა მექანიზმებმა გამოიწვია თვისობრივად ახალი დაჯგუფებების ფორმირება. ცვლილებათა მეორე ტალღამ ბუნებრივად განაპირობა ახალი „ფენის“ გაჩენა. მართალია, იდენტიფიკაციის მრავალი ადრინდელი ფორმები შენარჩუნდა, მაგრამ გარკვეულწილად მათი ინტეგრირება მოხდა იდენტიფიკაციის ახალ ფენებთან, იდენტობების ძველი ფორმების ნაწილმა დაკარგა მისი ემოციონალური ძალა, მაშინ როცა ახლებმა იგი შეიძინეს (ინოზემცოვი 1999: 281).

XVII-XIX საუკუნეებში ევროპისათვის კოლონიალიზმისა და სამფლობელოთა გაფართოების პერიოდი იყო. ამ პერიოდში, ისევე როგორც ძველი სამყაროს დაპყრობითი ომების და იმპერიების პერიოდში, ქალაქთა როლი კიდევ უფრო გაიზარდა. იაფი ნედლეულის არსებობა ხელს უწყობდა ინდუსტრიალიზაციის ზრდასა და წარმოების გაფართოებას. კოლონიალიზმა მოიტანა საჭიროება სატრანსპორტო საშუალებების დახვეწისა, რამაც დიდი ტვირთვისა და ადამიანთა დიდი რიცხვის დიდ მანძილზე გადაყვანის შესაძლებლობა შექმნა. ამ კუთხით კოლონიალიზმი და ინდუსტრიალიზაცია ერთმანეთს დაუკავშირდა.

როგორც ვიცით, საერთო საზოგადოებრივი გარდასახვები, რომელიც თანამედროვე კაპიტალიზმა და წარმოებითმა რევოლუციამ გამოიწვია, დასავლეთ ევროპაში გამოვლინდა ჯერ კიდევ 100 წლით ადრე. 1750 წლისათვის კაპიტალისტები და პროლეტარიატი უფრი დინამიკურ კლასად ჩამოყალიბდა და დომინირებად პოზიციებზე აღმოჩნდნენ ყველგან იმ საზოგადოებებში სადაც კაპიტალიზმა და თანამედროვე ტექნიკამ შეაღწია.

ჩვენი აზრით, კაპიტალიზმი და ტექნიკური პროგრესი ვერ გადაიქცეოდა მსოფლიო მასშტაბის პანდემიად, რომ არა ერთი უმნიშვნელოვანების ელემენტი, რომელიც ეფუძნება რადიკალურ ცვლილებებს ცოდნის მნიშვნელობის გაგებაში.

არსებობს უამრავი თეორიები ცოდნის ბუნებასა და საზღვრებზე.

პიტერ დრაკერი აღნიშნავს, რომ ცოდნის ფუნქციასთან და მნიშვნელობასთან მიმართებით, პლატონიდან მოყოლებული დასავლეთში მხოლოდ ორი თეორია და კიდევ ორი შეიქმნა აღმოსავლეთში. სოკრატეს მიაჩნდა, რომ ცოდნის ერთადერთი ფუნქცია – თვითშემეცნებაა, ანუ ადამიანის ინტელექტუალური,

ზნეობრივი და სულიერი ზრდა. მისი ძირითადი ოპონენტი, ბრწყინვალე და მაღალგანათლებული პროფესიონალი ამტკიცებდა, რომ ცოდნის მიზანია ადამიანის საქმიანობა (მოდვაწეობა) გახადოს უფრო წარმატებული და ეფექტური. პროფესიონალის ცოდნა არის ლოგიკა, გრამატიკა და რიტორიკა. შემდეგში, ეს სამი დისციპლინა (ტრივიუმი), როგორც შუასაუკუნეებში ასევე დღესაც ეთანხმება ფართო განათლების გაგებას. ცოდნის ორი თეორია, რომელიც აღმოსავლეთში აღმოცენდა, მთლიანობაში დასავლურის ანალოგიურია. კონფუციანულთა შეხედულებით, ცოდნა – არის იმის გაგება, თუ რა უნდა თქვა, რომ მიწიურ ცხოვრებაში საკუთარ მიზნებსა და წარმატებას მიაღწიო. დაოელთა და ძენ-ბუდისტთა ბერთათვის ცოდნა თვითშემეცნებაა, გზა განათლებისა და სიბრძნისაკენ. მართალია, ამ ორ თეორიას შორის აშკარა სხვაობაა ცოდნის გაგების თვალსაზრისით, მაგრამ სრული თანხმობაა იმასთან მიმართულს მოქმედებისაკენ (ან მოქმედების უნარს). ამ თვალსაზრისით, სარგებლიანობა არ არის ცოდნა, სარგებლიანობა არის უნარი, რასაც ბერძნულად ეწოდება „techne“. თავის აღმოსავლელ თანამედროვეებისაგან განსხვავებით, დასავლელი სოკრატე და პროფესიონალი გაგებით ეკიდებოდნენ - techne-ს. მიუხედავად ამისა, მათვისაც techne არ აღნიშნავდა ცოდნას. მას მხოლოდ კონკრეტული გამოყენება ჰქონდა და არ შეიცავდა რაიმე საერთო პრინციპს. მაგალითად, გემის კაპიტანის ცოდნას საბერძნეთიდან სიცილიაში ცურვის შესახებ, ვერ მიუსადაგებდი რომელიმე სხვა საქმეს. უფრო მეტიც, გარკვეული პროფესიული უნარ-ჩვევების შეძენა-გამომუშავება შესაძლებელი იყო მხოლოდ მოწაფედ დადგომის ან ემპირიული პირადი გამოცდილების საფუძველზე. უნარის, techne-ს ასენა წარმოუდგენელი იყო წერითი ან ვერბალური ფორმით – ის შეიძლებოდა მხოლოდ გეჩვენებინა.

1700 წლამდე და უფრო მოგვიანებითაც, ინგლისურ ენაში „ხელოსნობა“ აღინიშნებოდა სიტყვით „mystery“ (სიტყვასიტყვით „საიდუმლოებანი“). ადამიანი რომელიც ამა თუ იმ ხელოსნობის დარგს დაუუფლებოდა, ფიცს დებდა პროფესიულ საიდუმლოებათა შენახვაზე. ხელობას ვერ აითვისებდი თუ ოსტატს შეგირდად არ მიებარებოდი და თავად ოსტატიც პრაქტიკულად არ გიჩვენებდა და გაზიარებდა საიდუმლოებებს (ინოზემცოვი 1999: 283-284)

იმანუელ კანტი (1724-1804) თავის მთავარ ნაშრომში „წმინდა გონების კრიტიკა“ ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ცოდნის არსებობა ახალი ცოდნის შეძენის, ცოდნის წინსვლის შესაძლებლობას ნიშნავს. ეს ახალი ძველს

გამოცდილებისაგან დამოუკიდებლად, ქ. ი. საყოველთაობითა და აუცილებლობით უნდა დაუკავშირდეს (კანტი 1979:7).

გაგება „ტექნოლოგია“ ფორმულირდება ორი პრინციპის ერთიანობით: „techne“ – ანუ ხელოსნობის საიდუმლოებაზი და „ლიგია“ – ორგანიზებული, სისტემატიზირებული, მიზანმიმართული ცოდნა.

აღსანიშნავია, რომ პირველი ტექნიკური დაწესებულება – ხიდებისა და გზების სკოლა – დაარსდა საფრანგეთში 1747 წელს. მას მოჰყვა პირველი სკოლები: სოფლის მეურენეობის (გერმანია, 1770 წ.) და სამთო საქმის დარგში გერმანია, 1776 წ.) 1749 წელს დაარსდა პირველი ტექნიკური უნივერსიტეტი (პოლიტექნიკური სკოლა) საფრანგეთში და მასთან ერთად გაჩნდა ინჟინერის პროფესიაც. 1829-1850 წლებში სისტემატიზირებული ცოდნის სფეროდ გარდაიქმნა სამედიცინო განათლება და პრაქტიკა. ამის პარარელულრად დიდ პრიტანეთში 1750-1800 წლებში, პატენტებიდან რომლებიც ამჟარებდნენ მეფის ფავორიტების მონოპოლიურ უფლებებს გამდიდრებაზე, თანდათანობით შეიმჩნეოდა გადასვლა პატენტებზე, რომლებიც ხელს უწყობდნენ ახალი სამუშაო იარაღების, ნაწარმისა და წარმოებითი ტექნოლოგიების შემუშავება-განვითარებას. ეს პატენტები შეიცავდნენ ერთგვარ წამახალისებელ მექანიზმებს იმ გამომგონებლებისათვის, რომლებიც სიახლეებს წარმოებით ტექნოლოგიაში საყოველთაოდ მისაწვდომს ხდიდნენ. ახალ წარმოებით ტექნოლოგიათა საყოველთაო მისაწვდომობამ ხელოსნობა ნაკლებად საიდუმლოებამოცული გახდა და სრულიად ახალი პერსპექტივები გახსნა ამ მიმართულებით (ინოზემცოვი 1999:75).

უდიდესი დოკუმენტი, რომელიც ცხადყოფდა გრანდიოზულ გადასვლას ხელოსნობიდან ტექნოლოგიებზე გახდა „ენციკლოპედია“. ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წიგნი და საყოველთაოდ ცნობილი ნაშრომი (გამოიცა დენი დიდორსა და ჟან დ' ალბერის მიერ 1751-1772 წლებში), წარმოადგენდა მნიშვნელოვან მცდელობას ორგანიზებული და სისტემატიზირებული სახით გადმოეცათ ცოდნა ხელოსნობის სხვადასხვა დარგების შესახებ, რათა ხალხს „სპეციალური ცოდნის“ მიღების შესაძლებლობა პქონოდათ. მიედოთ სისტემატიზირებული ცოდნა ოსტატთან შეგირდად დადგომის გარეშე. შემთხვევითი არ არის, რომ ენციკლოპედიაში შეტანილი სტატიები ხელოსნობის სხვადასხვა დარგების შესახებ შედგენილი იყო არა ხელოსნების (ოსტატების), არამედ სპეციალისტების მიერ „ინფორმაციის სფეროში“: ანალიტიკოსები, მათემატიკოსები და ა. შ. (მათ შორის გოლტერის და რუსოს მიერ).

ენციკლოპედიის შექმნის მთავარი იდეა ეფუძნებოდა ერთ მნიშვნელოვან არგუმენტს: მატერიალურ საქმიანობაში წარმატებული რეზულტატების მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ მიღწეულის სისტემატიზირებული ანალიზით და ცოდნის მიზანმიმართული გამოყენებით (ინოზემცოვი 1999:80).

აქევ უნდა აღინიშნოს, რომ XVIII საუკუნის არც ერთი ტექნიკური სასწავლებელი არ იყო მიმართული ახალი ცოდნის გამომუშავებისაკენ. იგივე შეიძლება ითქვას ენციკლოპედიის ავტორებზე. არავის უცდია დაეკავშირებინა და გამოეყენებინა მეცნიერება წარმოებითი იარაღებისა და ტექნოლოგიების შესაქმნელად. მეცნიერული ცოდნის ტექნიკისა და ტექნოლოგიის სფეროში გამოყენების იდეა მოგვიანებით, ასი წლის შემდეგ მომწიფდა როდესაც 1830 წელს გერმანელმა ქიმიკოსმა იუსტუს ფონ ლიბიხმა გამოიგონა ხელოვნური სასუქი.

ჩვენი შეხედულებით, პირველმა ტექნიკურმა სკოლებმა და „ენციკლო-პედიატ“ შეასრულეს უმნიშვნელოვანესი ამოცანა: ახალმა მეთოდოლოგიურმა მიღომამ მოახდინა ერთგვარი სისტემატიზირება, საყოველთაოდ მისაწვდომი გახადა და ერთიან მექანიზმი მოაქცია techne, უნარები და საიდუმლოებანი. ათასწლეულობით დაგროვილი პრაქტიკული გამოცდილება გარდაისახა ცოდნად. პრაქტიკული სწავლება სახელმძღვანელოებად, საიდუმლოებანი მეთოდოლოგიად და კონკრეტული მოქმედებები – გამოყენებით მეცნიერებად. ყოველივე ამან ობიექტურად დაუდო საფუძველი წარმოებით რევოლუციას – საზოგადოების გლობალური გარდაქმნის პროცესს და ციფილიზაციის ტექნიკური განვითარების დინამიურად მზარდ ტენდეციებს.

ინდუსტრიული რევოლუციის ხანამ – 1700-1800 წლებმა განსაკუთრებული როლი შეასრულეს ურბანიზაციის განვითარებაში. ორთქლის ძრავის გამოგონებამ და ინდუსტრიული მანქანა-დანადგარების გამოგონებამ დასაბამი მისცა ახალ ერას და დააჩქარა ქალაქის განვითარება.

1750-1800 წლებში ევროპის მოსახლეობა ზედმიწევნით იზრდებოდა, მაშინ როცა სიკვდილიანობის მაჩვენებელი დაეცა, რაც გამოწვეული იყო ორი ძირითადი ფაქტორით: პირველი, სოფლის მეურნეობის პროდუქციის გაუმჯობესებით და მეცხოველეობაში ცხოველთა ხელოვნური ჯიშების ხელოვნური გამოყვანის ტექნოლოგიის განვითარებით; და მეორე – გაიზარდა მედიცინის როგორც მეცნიერების დონე და ცოდნა, შესაბამისად კი გაიზარდა სასიკვდილო დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის შესაძლებლობანი. გაჭრობის განვითარება მნიშვნელოვანი პირობა იყო ინდუსტრიალიზაციის

შემდგომი განვითარებისათვის, რადგან ვაჭრობამ გაზარდა ევროპის გასაღების ბაზრები სხვა კონტინენტებზე, განსაკუთრებით ინგლისი ბაზრები თავის კოლონიებში. დროთა განმავლობაში ევროპაში გამოიკვეთა ურბანიზაციის ორი მოდელი: პირველი – ჭეშმარიტად რევოლუციური სისწრაფის ურბანიზაცია ინგლისსა და შოტლანდიაში, და მეორე – შედარებით ნელი ტემპის ურბანიზაციის მოდელი, რომელსაც ამ პერიოდის ბელგია, რუსეთსა და საფრანგეთში ვხვდებით (სულუხია 2001: 24).

კაპიტალიზმის პოლიტიკურმა და იურიდიულმა ურთიერთობებმა დაიწყო მოქმედება არა მარტო ქალაქში, არამედ სოფლადაც. შემოვიდა კერძო საკუთრების იურიდიული სანქციების მოთხოვნა. მიწა, რომელიც აქამდე მხოლოდ ეკლესიისა და დიდგვაროვანთა მფლობელობაში იყო გახდა საყოველთაო ყიდვა-გაყიდვის პროდუქტი და უძრავი ქონების ბაზარმა დაიწყო ზრდა. იზრდებოდა რა კაპიტალი, იზრდებოდა კლასთა სეპარაცია, რაც გამოხატულებას სივრცით გარემოში პოულობდა.

ინდუსტრიულ ურბანულ რევოლუციას არ მოჰყვა სახელმწიფოს მხრიდან მარეგულირებელი მექანიზმების შემუშავება, რომელსაც შეეძლებოდა ქალაქური პროცესების გარკვეული მართვა. არ იქნა შემოღებული საცხოვრებლის, ჯანდაცვის, ან სოციალური პოლიტიკა. ქალაქის განვითარება არ ხდებოდა დაგეგმილად და, შესაბამისად ქალაქთა ზრდას ქაოსური ხასიათი ჰქონდა. საცხოვრებელი სახლები შენდებოდა ქარხნების ჩრდილში, დაბინძურებულ გარემოში, სანიტარული ნორმების ყოველგვარი დაცვის გარეშე. სოფლის მოსახლეობა ქალაქს მიაშურებდა მზარდი ეკონომიკური შესაძლებლობების იმედით. ამავე დროს, ქალაქები ხდებოდა სულ უფრო დამოკიდებული არა თავის შრომაზე, არამედ კონკურენციასა და სხვა გარეშე ფაქტორებზე, რომელზეც მას არ ჰქონდა კონტროლისა და გავლენის მოხდენის საშუალება. (აღსანიშნავია, რომ XX საუკუნეში წარმოების თავმოყრა ქალაქში აღარ არის ქალაქთა ზრდის გამომწვევი ძირითადი ფაქტორი. ამის მაგალითია მესამე სამყაროს ქალაქთა კატასტროფული ზრდა, მიუხედავად წარმოების განვითარების არც თუ ისე მაღალი დონისა. ეს პროცესები იმ ფაქტორით აისხება, რომ დღეს ქალაქის მოსახლეობა სულ უფრო ნაკლებად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობის ადგილობრივ ნაწარმზე და ბევრ ქვეყანაში მისი იმპორტიც კი არის ხელსაყრელი.

აქედან გამოდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ პერიოდისათვის, თუ, ერთი მხრივ, ინდუსტრიულიზაცია მოსახლეობისათვის მატერიალური

მდგომარეობის გაუმჯობესებას გულისხმობდა. მეორე მხრივ, გარდაქმნა მიმდინარეობდა თავრუდამხევევი ტემპებით, რაც ართულებდა მოსახლეობის ადაპტაციის პირობებს.

კაპიტალიზმი, თავის პროგრესიბადი ეკონომიკური მექანიზმებით ნერგავდა ახალ სტანდარტებს, სოციალურ ქცევას, მოქმედებას, აქტივობის ახალ მოდელებს, რაც თავისთვად ართულებდა ადაპტაციის პროცესს. მარქსის მიხედვით, საკუთრების კონცენტრაციას მფლობელთა ვიწრო ჯგუფის ხელში ობიექტურად უნდა გამოეწვია უუფლებო პროლეტარიატის გადატაკება და ეს პროცესი გაგრძელდებოდა მანამ, სანამ მცირერიცხოვან კაპიტალისტებს არ ჩამოაგდებდნენ პროლეტარები. მაგრამ, როგორც ვხედავთ მარქსის წინასწარმეტყველება არ გამართლდა. მარქსიზმა, როგორც ზნეობრივი, ასევე ეკინომიკური თვალსაზრისით, ტოტალური მარცხი განიცადა (სმირნოვი 2007: 248).

ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, მაინც როგორ მოახერხა კაპიტალიზმის განვითარებადმა სისტემამ მთელი რიგი წინააღმდეგობათა გადალახვა, მშრომელთა გადატაკებისა და კლასობრივი დაპირისპირების თავიდან აცილება?!

ჩვენი აზრით, პასუხი ცალსახაა - რევოლუცია შრომით წარმოებაში. ცოდნის მნიშვნელობის ახლებურმა გააზრებამ, პოზიტიური შედეგები გამოიღო. ცოდნის გამოყენება შრომითი იარაღების, ტექნოლოგიებისა და ახალი სახის პროდუქციის შექმნის პროცესში.

ეს იყო წინგადადგმული პროგრესული ნაბიჯი.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, ერთი ძალზედ მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც დააჩქარა და უფრო პროგრესული გახადა რევოლუცია შრომით წარმოებაში. კერძოდ, 1881 წელს ფრედერიკ უინსლოუ ტეილორმა (1856-1915 წ.წ.) პირველად გამოიყენა ცოდნა პროდუქტიული საქმიანობისა და შრომითი პროცესების პროექტირების ანალიზისათვის (ინოზემცოვი 1999: 85).

აღმოსავლეთში, ისევე როგორც დასავლეთში განათლებული, მდიდარი, ძალაუფლების მქონე ადამიანები შრომას მონების საქმედ მიიჩნევდნენ. მათი წარმოდგენით, მუშას დიდი მოცულობის სამუშაოს შესასრულებლად უნდა ემუშავა უფრო დიდხანს, ან უფრო სწრაფად. ამ პრინციპს ეთანხმებოდა მარქსიც და სხვა XIX საუკუნის ეკონომისტები და ინჟინრები. ტეილორის მიდგომა, შრომის წარმოებასთან მიმართებაში, ეწინააღმდეგებოდა ამ ტრადიციულად გამყარებულ კონცეფციას.

ტეილორის კონცეფციის ძირითადი განმსაზღვრელი პრინციპი იყო წარმოების ეფექტურობის ამაღლება და არა საჭარმოს მფლობელთათვის დამატებითი მოგების უზრუნველყოფა. მას სიცოცხლის ბოლომდე მიაჩნდა, რომ ეფექტური წარმოებით პირველ რიგში მოგებული უნდა დარჩეს მუშა და არა მფლობელი. მისი მთავარი მიზანი იყო ისეთი ტიპის საზოგადოების შექმნის პერსპექტივა მომავალში, რომელშიც კაპიტალისტები და პროლეტარიატი ერთობლივად იქნებოდნენ დაინტერესებულნი შრომითი წარმოების ამაღლებით და ცოდნა გამოყენებული იქნებოდა წარმოების პროცესში.

ტეილორის მიერ შემუშავებული სისტემის „მეცნიერული მართვის“ თანახმად, ნებისმიერი შრომის მიმართ მიდგომა ხორციელდება ერთი და იგივე სქემის საფუძველზე: თითოეულ მუშას, რომელსაც შეეძლო კარგად შეასრულებინა მისთვის დაკისრებული სამუშაო – წარმოადგენდა მაღალი კლასის მუშას და შესაბამისად იმსახურებდა მაღალი კლასის ანაზღაურებას, ანუ მისი ხელფასი უნდა გათანაბრებულიყო ე. წ. „კვალიფიციური მუშის“ ხელფასთან, რომელიც თავის მხრივ წლების მანძილზე ეუფლებოდა ხელოსნობის (ოსტატობის) საიდუმლოებებს.

ტეილორის კონცეფცია ეფუძნებოდა ცოდნის ახლებურ გაგებას. ცოდნის ექსპლუატაციას წარმოებით საქმიანობაში, ცოდნის საშუალებით წარმოების ეფექტურობის გაზრდას და შრომითი მოტივაციების ამაღლებას. ტეილორის მიხედვით ფიზიკური შრომა, კვალიფიციური იქნება ის თუ არაკვალიფიციური, შეიძლება გაანალიზდეს, შესწავლილ იქნეს და მისი ორგანიზება მოხდეს ცოდნის საშუალებით.

1930 წელს ტეილორის მეცნიერული მართვის სისტემამ, პროფკავშირებისა და ინტელეგენციის (ასევე, ზოგიერთი საჭარმოთა მფლობელების) წინააღმდეგობის მიუხედავად, ფართო გაქანება ჰპოვა ყველა განვითარებულ ქვეყანაში.

ჩვენი შეხედულებით, კაპიტალიზმა და წარმოებითმა რევოლუციამ პირველ რიგში სარგებელი მოუტანა მუშებს და არა კაპიტალისტებს. სწორედ ამით აიხსნება მარქსიზმის სრული კრახი მაღალგანვითარებულ ქვეყნებში. ტეილორმა არა მარტო შეიმუშავა თეორიული საფუძვლები, არამედ ნამდვილი გადატრიალება მოახდინა წარმოების მართვის სფეროში.

პიტერ დრაკერის შეფასებით: მას შემდეგ, რაც ტეილორმა საკუთარი პრინციპების პრაქტიკაში დანერგვა დაიწყო, მწარმოებლითი შრომის პროდუქტიულობა განვითარებულ ქვეყნებში ორმოცდაათჯერ გაიზარდა. ამ

უპრეცედენტო ზრდამ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოწინავე ქვეყნებში მოსახლეობის მატერიალური პეთილდღეობისა და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებას (სმირნოვი 2007: 251).

ინდუსტრიული საზოგადოების მთავარი ელემენტი იყო საწარმო. აქ კონცენტრირდებოდა ნედლეული, სამუშაო ძალა და ორგანიზაციული ხელოვნება. ქალაქები, სადაც თავმოყრილი იყო მრავალრიცხოვანი წარმოებები, ერთგვარად „სუპერფაბრიკებს“ წარმოადგენდნენ. საწარმო უფრო მეტი იყო, ვიდრე უბრალოდ წარმოების საშუალება. ის განსაზღვრავდა ცხოვრების სახეს, განსაზღვრავთა მუშათა სამუშაო დღის გრაფიკს, მოითხოვდა ელემენტარულ განათლებასა და შესაბამის უნარ-ჩვევებსა და პასუხიმგებლობებს. უპირველეს ყოვლისა ფაბრიკა-საწარმოები ემსახურებოდა მოდელად სხავა ინსტიტუტებს. სახელმწიფო დაწესებულებები, საავადმყოფოები და სკოლები გარეგნული თვისობრივი მახასიათებლებით ემსგავსებოდნენ ამ ორგანიზაციულ სტრუქტურებს. ინდუსტრიალიზმის ეპოქაში ბიუროკრატია რჩებოდა ორგანიზაციის დომინირებად ფორმად. საწარმოები აწარმოებდნენ სტანდარტიზირებულ პროდუქციას. ასევე, ბიუროკრატია იყო მანქანა, რომელიც სტანდარტიზირებულ გადაწყვეტილებებს იღებდა.

ელვინ ტოფლერი თავის ნაშრომში „ადაპტაციური კორპორაცია“ აღნიშნავს, რომ ბიუროკრატიას ახასიათებს ფორმალიზებური გადანაწილება, რუტინული ოპერაციების შესრულება, მუდმივობა და მკაცრი იერარქიულობა. უმაღლესი ხელმძღვანელობა იღებს გადაწყვეტილებებს, უშვებს ინსტრუქციებს, რომელიც ზევიდან გადაიცემა იქ სადაც სრულდება სამუშაო (ინოზემცოვი 1999: 322).

დაზგებისა და ინვესტიციების გამოყენების მასშტაბებით კაპიტალიზმის მეორე ასტლეული დიდად არ განსხვავდებოდა პირველი ასტლეულისაგან. მაგრამ პირველი 100 წელი წარმოებითი შრომის ხარისხი არ იზრდებოდა, შესაბამისად არ შეიმჩნეოდა შემოსავლების ზრდაც (ასევე, სამუშაო დროის შემცირებაც). მეორე ასტლეული ამ მხრივ ძირებული განსხვავდება პირველისაგან. შემცირდა სამუშაო დრო და პარალელურად გაიზარდა წარმოებითი შრომის ეფექტურობა და შემოსავლები. ყოველივე ამის პირველი მიზეზად შეძლება მივიჩნიოთ ცოდნის გამოყენება შრომით წარმოებაში.

\* \* \*

ინდუსტრიული საზოგადოების ძირითადი მახასიათებლები: წერა-კითხვის საყოველთაო გავრცელება, ტექნიკურ-არითმეტიკული და ზოგადი ცოდნის მაღალი დონე მის ფუნქციურ წინაპირობებს შორისაა. ამ საზოგადოების

წევრებს მობილობა მოეთხოვებათ, ისინი მზად უნდა იყვნენ ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასასვლელად. სოციალური როლის სტრუქტურის სტაბილურობა უბრალოდ შეუთავსებელი ხდება ინდუსტრიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი განვითარების ტემპებთან და ინოვაციასთან. ხოლო, ინოვაცია ნიშნავს ახლის შექმნას (დანერგვა), რომლის საზღვრებიც ვერ იქნება იმის მსგავსი რაც მან შეცვალა.

როდესაც კონკრეტული საზოგადოებრივი პროცესები ტემპს იღებს და იწყებს განვითარებას, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს გარდაქმნები ქმნის სერიოზული ცვლილებების შესაძლებლობის ალბათობას. მაგალითად, ინდუსტრიალიზაცია იწყებს ურბანიზაციის ტენდენციას, პროფესიულ სპეციალიზაციას და ფორმალური განათლების დონის ამაღლებას ნებისმიერ საზოგადოებაში. ყველა ეს ელემენტი წარმოადგენს იმ ძირითად ასპექტებს, რომელიც მთლიანობაში აღიქმება „მოდერნიზაციად“.

ინდუსტრიული საზოგადოება შეიძლება წარმოიშვას მხოლოდ ცენტრალიზებული სახელმწიფოს პირობებში, ანუ როდესაც ადგილობრივი ხელისუფლება ქვემდებარება ცენტრალურ ხელისუფლებას, რომელიც, თავის მხრივ, მთელ სახელმწიფო სისტემას აკონტროლებს, რის შესაძლებლობაც რა თქმა უნდა არა აქს დანაწევრებულ ფეოდალურ სახელმწიფოს.

ამასთან ერთად, ინდუსტრიული საზოგადოების პირობებში საზოგადოების კონსოლიდაციის დონე გაცილებით უფრო მაღალია, და შესაბამისად საზოგადოებრივ-სოციალური ცხოვრების თვითრეგულაციისათვის ფართო შესაძლებლობები გააჩნია.

გარკვეული თვალსაზრისით, პრეინდუსტრიულ საზოგადოებათა თანდათანობითი ინდუსტრიალიზაციის ისტორიული პროცესი, აგრეთვე შეგვიძლია მოვიაზროთ ნაციონალიზმის აღმოცენების და თანემდროვე ერი-სახელმწიფოების წარმოშობის მნიშვნელოვან წინაპირობად.

მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური, კულტურული და პოლიტიკური გარდაქმნები თავის განვითარებაში იმდენად დაკავშირებულია ერთმანეთთან, რომ ეს ურთიერთკავშირი საშუალებას იძლევა, გარკვეულწილად პროგნოზირებადი გავხადოთ მათი ზემოქმედების ხასიათი საზოგადოებაზე. ეს არის მოდერნიზაციის თეორიის მთავარი თეზისი, რომელსაც ეყრდნობიან თავის ნაშრომებში მეცნიერები, კარლ მარქსისა და მაქს ვებერიდან დაწყებული და დანიელ ბელით დამთავრებული.

ამერიკელი სოციოლოგი რონალდ ინგლეგარტი აღნიშნავს, რომ თითქმის ორი საუკუნეა ამ თეზისის ირგვლივ აქტიური პოლემიკაა გამართული და მთლიანობაში ის მართალია: შესაძლებელია ჩვენ არ გვძალუძს ზუსტად ვიწინასწარმეტყველოთ, რა განვითარებას პოვებს მოცემული საზოგადოება მოცემულ დროში, მაგრამ ძირითადი ტენდენციები მაინც ექვემდებარება პროგნოზირებას (ინოზემცოვი 1999: 262).

ჩვენი აზრით, შეუძლებელია წინასწარ ზუსტად განვსაზღვროთ და ვიწინასწარმეტყველოთ გზა, იმ სოციალური გარდაქმნებისა, რომელსაც მომამავალში ადგილი შეიძლება ჰქონდეს ამა თუ იმ საზოგადოებაში. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ტრანსფორმაციები ვითარდება გარკვეულ ლოგიკურ ურთიერთკავშირში, რომელშიც ზოგიერთი მოცემულობის განვითარება ნაკლებად საგარაუდოა, ზოგიერთის კი პირიქით.

თანამედროვე მსოფლიოში წარმოდგენილი საზოგადოებების განვითარების დონე არაერთგვაროვანია, შესაბამისად, გლობალიზაციის პირობებში მათი განვითარების შესაძლებლობებიც განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომში განხილულია საზოგადოების განვითარების ეტაპები აგრარული ეპოქიდან დაწყებული თანამედროვეობის პოსტინდუსტრიული მდგომარეობით დამთავრებული, იმ მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინებით, რომ თანამედროვე გლობალიზირებული სამყარო თავისთავად ქმნის ისეთი სახის კონკურენციას, სადაც წარმატების მისაღწევად ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუტების მოდერნიზაცია აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

გლობალიზაციას თავისი არაპროგნოზირებადი და თვითგანვითარებადი ობიექტური ბუნება გააჩნია, მეორე მხრივ, მსოფლიოს წამყვანი ზე-სახელმწიფოები განსაზღვრავენ „გლობალური თამაშის წესებს“ და „მესამე სამყაროს“ კ. წ. „არამოდერნიზებული“ ქვეყნები პასიური რეციპიენტების როლში გამოდიან. ამიტომ, ობიექტური სინამდვილე ისეთია, რომ რაც უფრო არამოდერნიზებულია საზოგადოებები, მით უფრო მეტად უჭირთ თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზირებულ სისტემაში საკუთარი ადგილი პოვნა, შესაბამისად, საკუთარი კეთილდღეობის წარმატებით უზრუნველყოფა.

### **3. ნაციონალიზმი და ნაციონალური იდენტობა**

ნაციონალიზმი და ნაციონალური იდენტობის საკითხი თანამედროვე სამეცნიერო კვლევის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური მიმართულებაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანი და საინტერესოა მისი წარმოშობისა და განვითარების მკაფიო გააზრება. აღნიშნული პრობლემის კვლევა შეუძლებელია რომელიმე დიციპლინის საზღვრებში. იგი თავისი არსით ინტერდისციპლინურ პრობლემათა რიცხვს განეკუთვნება და ძალზე ფართო და კომპლექსურია ერთი, კონკრეტული დარგის ფარგლებში კვლევისათვის. ნაციონალიზმის ფენომენის კომპლექსურობა, მისი შესწავლისათვის საჭირო სამეცნიერო დისციპლინათა მრავალფეროვნებას განაპირობებს. სოციოლოგია, კულტუროლოგია, ისტორია, ფილოლოგია ლინგვისტიკა, ფსიქოლოგია, გეოგრაფია – ეს იმ დარგების არასრული ჩამონათვალია, რომელთა გამოყენებაც მიზანშეწონილია ნაციონალიზმის სრულყოფილი შესწავლისათვის. ნაშრომში განვიხილავთ კონკრეტულად იმ ასპექტებს, რომლებიც ამ ფენომენის კულტურულ საფუძვლებს ეხება.

ნაციონალიზმის ფენომენის წარმოშობა და განვითარება ურთულესი პრობლემაა და მასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში სხვადასხვა-გვარი შეხედულება არსებობს. ამ შეხედულებებიდან გამომდინარე სამი ძირითადი თეორიული მიმდინარეობა გამოიყოფა – პრიმორდიალიზმი, რომლის მიხედვით ნაციონალიზმი ყოველთვის არსებობდა და მას ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორიც თავად კაცობრიობას. პრიმორდიალისტების აზრით, ეროვნულობა ადამიანთა არსებობის ბუნებრივი ფორმაა. ეთნოსიმბოლიზმი, რომელიც თვლის, რომ თანამედროვე ერები მათი შორეული „ორეულებისაგან“ – ეთნოსებისაგან ჩამოყალიბდნენ და მესამე – მოდერნიზმი, რომლის ძირითადი არსი გამოიხატება თეზისით, რომ ნაციონალიზმი ახალი ფენომენია და მისი ისტორია უკანასკნელი ორი საუკუნით შემოიფარგლება. მოდერნისტული თვალთახედვით, ნაციონალიზმი საფრანგეთის დიდი რევოლუციის შემდეგ ჩნდება იგი ამ ეპოქის ისეთივე პროდუქტია როგორიც კაპიტალიზმი, ინდუსტრიალიზაცია, სეკულარიზმი და ა.შ. (სმითი, 2008: 11).

თანამედროვე მკვლევარების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს და აკეთებს დასკვნას, რომ პრიმორდიალიზმი („primordial“- პირველქმნილი, დასაბამიდან არსებული, დროში და განვითარებაში პირველს, საწყის აღნიშნავს) ნაციონალიზმის თეორიაში ნაკლებად დასაბუთებული თეორიაა და ფაქტიურად

მთლიანად უარყოფილია. ერებისა და ნაციონალიზმის წარმოშობის პრიმორდიალურ შეხედულებას უპირისპირდებიან, როგორც მოდერნისტები, ასევე ეთნოსიმბოლისტებიც.

ნაციონალიზმის თეორიულ მიმდინარეობებს შორის მოდერნიზმი ფართოდ გავრცელებული და პოპულარული თეორიაა. იგი თავისი კლასიკური სახით XX საუკუნის 60-იან წლებში ჩამოყალიბდა. მისი ავტორები არიან ნორვეგიული წარმოშობის ამერიკელი მეცნიერი ბენედიქტ ანდერსონი და ინგლისში მოღვაწე ჩეხურ-ებრაული წარმოშობის მკვლევარი ერნესტ გელნერი.

გელნერი, მოდერნისტური თვალთახედვით, გამოყოფს ისტორიის სამ საფეხურს; მონადირე შემგროვებლურს, აგრო-დამწერლურს და ინდუსტრიულს: ნაციონალიზმი ჩნდება აგრო-დამწერლობითი კულტურიდან ინდუსტრიულ საფეხურზე გადასვლისას. აგრო-დამწერლობით საფეხურზე ელიტები სარგებელს ნახულობენ კულტურულ მრავალფეროვნებაში – ამ დროს მათ ძალაუფლებას არაფერი ემუქრება. ინდუსტრიალ საზოგადოებებში „მაღალი კულტურა“ ხდება მთელი საზოგადოების განმსაზღვრელი და საჭიროებს პოლიტიკის მიერ უზრუნველყოფილ მდგრადობას“ (გელნერი 2003: 54). ინდუსტრიულ საზოგადოებაში სამუშაოს ბუნების შეცვლა ითხოვს კულტურულ პომოგენურობას. ანუ, წარმოიშობა საჭიროება იმპერსონალურ, კონტექსტიდან თავისუფალ კომუნიკაციაში. ტექნიკური უნარების მოთხოვნილი მაღალი დონე ნიშნავს, რომ ბევრი ადგილი უნდა გადანაწილდეს მერიტორატიულად. ეს კი აუცილებელს ხდის გარკვეულ ეგალიტარიზმს. მნიშვნელოვან ადგილს იკავებს განათლება. განათლება იწყებს ინდივიდის სტატუსის განსაზღვრას, ისევე, როგორც ამას მანამდე, აგრო-დამწერლობით საზოგადოებაში, ნათესაობა აკეთებდა. ამდენად, გელნერის შეხედულებით სახელმწიფო აერთიანებს სახელმწიფოს და კულტურას. ამიტომ, წარმოიშობა საჭიროება, რომ გადაიფაროს კულტურული წვდომის ყველა არე, და ნაციონალიზმი არის ერთადერთი გზა, რომ ეს გადაფარვა წარმატებით განხორციელდეს (გელნერი 2003: 54).

ნაციონალიზმის მოდერნისტული თეორიის ერთ-ერთი ავტორიტეტული წარმომადგენელი, ჩეხი მეცნიერი მიროსლავ პროში აღნიშნავს, რომ ნაციონალიზმის ფორმირებისათვის აუცილებელია პოლიტიკური თვითადმინისტრირების განსაზღვრული დონის უზრუნველყოფა, ასევე მწარმოებელთა და ვაჭართა კლასის ფორმირება და ეროვნული კულტურის განვითარება და აღორძინება, რომელიც დაფუძნებული იქნება ადგილობრივ ენაზე.

ცნობილი ისტორიკოსი ერიკ პობსბაუმი მიიჩნევს, რომ „ნაციონალიზმი წინ უსწრებს ერებს, ერები კი არ ქმნიან სახელმწიფოებსა და ნაციონალიზმს, არამედ პირიქით“ (გელნერი 2003: 57).

ჩვენი აზრით, ეს სიტყვები ძალიან კარგად გამოხატავს მოდერნისტული თეორიის არსეს.

ინგლისელი მეცნიერი ჯონ ბროილი თვლის, რომ ნაციონალიზმის ყოველი შემთხვევა მკვეთრად ინდივიდუალურია. თუმცა, ეს არ გამორიცხავს ნაციონალიზმის გარკვეული ტიპოლოგიის შესაძლებლობას. პირიქით, აუცილებელია ნაციონალიზმის კონკრეტული შემთხვევების დაჯგუფება გარკვეული საერთო ნიშნების მიხედვით და შემდეგ მათი ცალ-ცალკე შესწავლა. ბროილი თავის წიგნში „ნაციონალიზმი და სახელმწიფო“ მიზნად ისახავს დასაბუთოს, რომ ნაციონალიზმი პოლიტიკის ერთ-ერთი ფორმა. ნაციონალიზმის სახელმწიფოსაგან მოწყვეტა შეუძლებელია, რადგან ნაციონალიზმის პოლიტიკური მიზანი ერი-სახელმწიფოა, ხოლო ერი-სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითადი დანიშნულება, ეროვნული პოლიტიკის წარმართვაა, რომლის მთავარი მიზანი თვით სახელმწიფოს შენარჩუნებაა. ბროილის მიხედვით, ნაციონალიზმი, უპირველეს ყოვლისა, ოპოზიციური პოლიტიკაა. იგი სამნაირ დამოკიდებულებაში შეიძლება იყოს არსებულ სახელმწიფოსთან: ა) ცდილობდეს მისგან გამოყოფას; ბ) რჩებოდეს მასთან და გარდაქმნას იგი; გ) ერთიანდებოდეს სხვა ქვეყნებთან. ანუ ნაციონალიზმი შეიძლება იყოს: სეპარატისტული, რეფორმისტული და გამაერთიანებელი (დავითაშვილი 2003: 67-68).

ნაციონალიზმი სხვადასხვაგვარია. ამიტომ, ჩვენი შეხედულებით, ყოველი სახეობის ჩამოყალიბების შემთხვევაში, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ისტორიული გარემოება და პოლიტიკური მიზნები, რომელსაც ისინი მისდევდნენ.

როგორც ვიცით, ნაციონალიზმი პოლიტიკურ სფეროში წარმოჩნდება შემდეგ სახეობებში: ლიბერალური ნაციონალიზმი; კონსერვატორული ნაციონალიზმი; ექსპანსიური ნაციონალიზმი; ანტიკოლონიური ნაციონალიზმი. ლიბერალური ნაციონალიზმი ემყარება ერის თვითგამორკვევის საერთო უფლებას; კონსერვატორული ნაციონალიზმი უპირატესობას ანიჭებს პატრიოტიზმს; ექსპანსიური ნაციონალიზმი არის აგრესიის და დამპურობლური ხასიათის მატარებელი; ანტიკოლონიალური ნაციონალიზმისთვის კი დამახასიათებელია ბრძოლა ნაციონალური და სოციალურ-ეკონომიკური განთავისუფლებისათვის.

ინგლისელი მკვლევარი ჯეიმს კელასი თავის წიგნში „ნაციონალიზმი და ეთნიკურობის პოლიტიკა“, ნაციონალიზმის სამ ძირითად ტიპს გამოყოფს: „ეთნიკური ნაციონალიზმი არის ეთნოსის ნაციონალიზმი, რომელიც ერს განსაზღვრავს, როგორც საერთო წინაპრებისა და საერთო წარმოშობის ადამიანთა ერთობას (სისხლის ერთობა). ამ ტიპის ნაციონალიზმის მიხედვით, კერავინ ვერ მოხვდება ამა თუ იმ ერის შემადგენლობაში მისი კულტურისა და ტრადიციების გათავისებისა და შერწყმის გზით, თუ იგი სისხლით და წარმოშობით სხვა ერს მიეკუთვნება“ (დავითაშვილი 2003:69).

ვოლკერ კონორი აღნიშნავს, რომ „სისხლით ერთობის განცდა“ – ერის ცენტრალური მაკონსტრუირებელი ფენომენია. როდესაც ადამიანებს სჯერათ საკუთარი საერთო წარმომავლობა, ეს მნიშვნელოვან საფუძველს ქმნის ერთობის შესაქმნელად. სწორედ საერთო წარმომავლობის ეს განცდაა სიცოცხლისუნარიანი, თუმცა საერთო ძირებთან იდენტიფიკაცია ფიქტიურია. როგორც კონორი აღნიშნავს, ამგვარი განცდა არარაციონალურია და ამიტომ შესაძლებელია მისი გაანალიზება, მაგრამ არა რაციონალური ახსნა. კონორი შატობრიანის სიტყვებს იმოწმებს, რომელმაც 200 წლის წინ ეს აზრი შემდეგნაირად გამოხატა: „ადამიანები არ კვდებიან საკუთარი ინტერესებისათვის, ისინი კვდებიან საკუთარი ვნებებისათვის“. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადამიანები თავს არ გასწირავენ ისეთი რამებისათვის, რაც რაციონალურია (მჭედლიშვილი 2010:31).

პოლიტიკური ლიდერები კარგად აცნობიერებდნენ ეთნონაციონალური ფსიქოლოგიის ისეთ კომპონენტს, როგორიცაა სისხლით ერთობა და კარგად აცნობიერებენ მის ძალას ხალხის მასების მხარდაჭერის მოპოვების საქმეში. კონორი ასკვნის, რომ ამგვარ ფენომენზე აპელირების სიხშირე და წარმატება მოწმობს იმ ფაქტს, რომ ერები მართლაც ხასიათდება სისხლის ერთობის განცდით. ის აღნიშნავს, რომ ერი - „ეს არის ხალხის ჯგუფი, რომელიც გრძნობს, რომ მათ საერთო წარმომავლობა გააჩნიათ“

სოციალური (სამოქალაქო) ნაციონალიზმი, ამ ტიპის ნაციონალიზმი დამახასიათებელია იმ ერებისათვის, რომლებიც თავიანთ თავს კულტურულ და სოციალურ ერთობად მიიჩნევენ და საერთო წარმომავლობასა და სისხლით ერთობას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. სოციალური ნაციონალიზმი ბუნებრივია აღიარებს ეთნიკურ თავისებურებებს, მაგრამ მიიჩნევს რომ ნებისმიერი ეთნოსის წარმომადგენელი შეიძლება გახდეს სხვა ერის წევრიც თუკი იგი მის კულტურასა და სოციალურ მახასიათებლებს შეითვისებს. მაგალითად რუსები

რუსად თვლიან ნებისმიერი ეთნიკური წარმომავლობის ადამიანს, თუ იგი სოციალურად და კულტურულად შეერწყმება ეთნიკურ რუსებს. ანუ სოციალურად და კულტურულად რუსია.

ოფიციალური (სახელმწიფო) ნაციონალიზმი ცდილობს ერთ ერად ჩამოაყალიბოს და საერთო ეროვნული თვითშეგნება დაუმკვიდროს ქვეყნის ყველა მოქალაქეს. მიუხედავად მათი ეთნიკურობისა. ეროვნულობისა თუ კულტურისა. ერი-სახელმწიფოები, რომლის მოსახლეობა თითქმის მთლიანად შედგება ერთი ეთნოსისაგან საკმაოდ იშვიათია. ერთი სოციალური ერისაგან შემდგარი ერი-სახელმწიფოები კი უფრო ხშირი შემთხვევაა (დავითაშვილი 2003:70).

კულტურული მხრიდან ერი წარმოადგენს ხალხთა ერთობას, დაკავშირებულს საერთო რელიგიით, ენით, ისტორიით და ტრადიციებით. საბოლოოდ ერები განსაზღვრავენ თავიანთ თავს როგორც ერთობას, რომელიც შეკრულია მოქალაქეობრივი აზროვნებით და მიიღებიან შექმნას ან შეინარჩუნონ სახელმწიფოებრიობა. კულტურული ნაციონალიზმი ატარებს ერის განახლების იდეას. პოლიტიკური ნაციონალიზმი ერს ხედავს, როგორც ჩაკეტილ ერთობას და ამიტომაც წინა პლანზე სწევს სუვერენიტეტისა და თვითგამორკვევის იდეას. თუმცა უნდა ითქვას, რომ ერის ბუნება განისაზღვრება კულტურული და პოლიტიკური ფაქტორების შერწყმით.

ნაციონალიზმის ეთნოსიმბოლისტური პარადიგმა თვლის, რომ თანამედროვე ერები მათი შორეული ეთნოსებისაგან ჩამოყალიბდა. ეთნოსიმბოლისტებს მიუღებლად მიაჩნიათ ერების მთლიანად ახალი პერიოდის ფენომენად წარმოსახვა და ერის ისტორიაში გარკვეული ეთნიკური ერთობის როლის უგულებელყოფა. ეთნოსიმბოლიზმი მჭიდროდ აკავშირებს თანამედროვე ერებს მათ ეთნოსოციალურ წინაპრებთან.

ეთნიკურობისა და ნაციონალიზმის კვლევის დარგში აღიარებული სპეციალისტი თანამედროვე ბრიტანელი მეცნიერი ენტონი დ. სმითი თეზისის მიხედვით, თანამედროვე ერების არსის გაგება შეუძლებელია მათი ეთნიკური წარსულისა და ისტორიის შესწავლის გარეშე. ნაციონალიზმის ფორმირების საფუძველი ის ეთნიკური ერთობაა, რომლის ტრადიციებისა და მემკვიდრეობის საფუძველზე ხდება თანამედროვე ერის ჩამოყალიბება, რომელსაც სმითი მოდერნულ ფენომენად მიიჩნევს. ნაციონალიზმი ამ თვალსაზრისით არის „იდეოლოგიური მოძრაობა იმ მოსახლეობის ავტონომიურობის, ერთიანობის და იდენტობის მიღწევა-შენარჩუნებისათვის, რომელიც მისი ზოგიერთი წევრის მიერ

განიხილება როგორც არსებული ან „პოტენციური“ ნაცია. სმითისეული განმარტების მეორე ნაწილი ეხება მოძრაობას ერთიანობისა და იდენტობის მიღწევა-შენარჩუნებისათვის. რადგან ნაციონალიზმი, როგორც წესი, მოსახლეობის უფრო აქტიური და ორგანიზებული სექტორების ბევრად უფრო დიდ, პასიურ და დანაწევრებულ სეგმენტებთან დაკავშირებას ემსახურება (სმითი 2004: 28).

ნაციონალური იდენტობის ყველაზე არსებითი ფუნქცია არის იმ საერთო კანონიერ უფლება-მოვალეობათა ლეგიტიმაცია, რომლებიც ნაციის სპეციფიკურ ღირებულებებს განსაზღვრავენ და საუკუნოვან წეს-ჩვეულებებს გამოხატავენ. დღეს სოცილური წესრიგისა და სოლიდარობის დასამყარებლად ნაციონალური იდენტობის მოშველიება აუცილებელ პირობად იქცა. ამასთან ნაციონალური იდენტობები ერთობის წევრი ინდივიდებისათვის ასრულებენ უფრო ინტიმურ შინაგან ფუნქციასაც, ამათგან ყველაზე თვალსაჩინოა წევრების, როგორც „ნაციონალების“ და „მოქალაქეების“ სოციალიზაცია. ნაცია, აგრეთვე, მოწოდებულია საერთო ღირებულებების სიმბოლოებისა და ტრადიციების შერწყმის გზით ინდივიდებსა და კლასებს შორის განავითაროს სოციალური კავშირები. სიმბოლოების – დროშების, ფულის ნიშნების, ჰიმნების, უნიფორმების, მონუმენტებისა და ცერემონიების მეშვეობით წევრებს შეახსენებენ მათი საერთო მემკვიდრეობას, კულტურულ ნათესაობას, აღვივებენ და ამძაფრებენ მათ გრძნობებს საერთო იდენტობისა და საერთო კუთვნილების გათავისებით.

ჩვენი აზრით, თანამედროვე ნაციებს ხანგრძლივი ეთნიკური განვითარების შედეგია. ამასთან იგი მიუთითებს, რომ მდგომარეობათა, მოდელთა ცვლილებების მიუხედავად კოლექტიური იდენტობანი განგრძობადი და თვითიგივეობრივი რჩება, რადგან ამ ცვლილებებს ყოველთვის გარკვეული პარამეტრების ფარგლებში აქვთ ადგილი და ისინი ძალზე ნელა მიმდინარეობენ. ამის შედეგია, რომ ცვალებადობის მიუხედავად, თაობიდან თაობამდე ერთობის განგრძობადი თვითიგივურობა ნარჩუნდება. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, ეთნიკური კატეგორიიდან ნაციამდე იდენტობის განვითარების უწყვეტი ხაზის წარმოდგენაც კიდა შესაძლებელი.

მნიშვნელოვანია იმ გარემოების გათვალისწინებაც, რომ, ეთნიკური და ნაციონალური იდენტობები კოლექტიური კულტურული იდენტობების მოდელებს წარმოადგენენ. მათ შორის არის მსგავსებაცა და განსხვავებაც. ეთნოსი უფრო ზოგადია, ნაცია უფრო სპეციფიკური შემთხვევაა. აუცილებლობით ნაცია არ

წარმოადგენს ეთნოსის პოლიტიზირებულ ფორმას. მთავარი, რაც ნაციას ეთნოსისაგან განასხვავებს, არის საჯარო კულტურა, რომელიც გამსჭვალავს კოლექტივის წევრთა უმეტესობას სახელმწიფოებრივი სტანდარტიზირებული განათლების სისტემისა და სახელმწიფოებრივი ონსტიტუციების მეშვეობით, მაშინ როცა ეთნოსების შემთხვევაში კულტურა შეიძლება ცირკულირებდეს მოსახლეობის მხოლოდ გარკვეული სეგმენტის შიგნით.

პოლ კენედი აღნიშნავს, რომ ეროვნული მიკუთვნებულობა სჭირდება ადამიანს როგორც შეგუებისა და ორიენტაციის საუკეთესო საშუალება თანამედროვე როლ სამყაროში, როგორც განსაზღვრული სოციალური მიზნების მიღწევის მექანიზმი. ეთნო – ეროვნული ერთობების „წარმოსახვითობის“ მიუხედავად ისინი მძლავრი რეალობაა და კოლექტიური მოქმედების უმნიშვნელოვანესი საფუძველია (ტიშკოვი 1993 : 5).

ენტონი სმითი, იდენტობის ცნებაში მოიაზრებს საერთო გამოცდილების ან ერთიანი კულტურული მახასიათებლების (რელიგია, ენა, ადათ-ჩვეულებები) მქონე ხალხის სუბიექტურ გრძნობებს და შეფასებებს. ეს გრძნობები და ლირებულებები მიუთითებს მათი საერთო გამოცდილების სამ კომპონენტზე:

1. მემკვიდრეობის გრძნობა/განცდა თაობების გამოცდილებებს შორის გარკვეული ხალხის კონტექსტში/ფარგლებში; 2. საერთო მეხსირება განსაკუთრებული მოვლენებისა და პიროვნებების შესახებ, რომლებიც შემობრუნების (გარდატეხის) წერტილს წარმოადგენდა კოლექტიურ ისტორიაში; 3. საერთო ბედის განცდა კოლექტივის მიერ, რომელიც იზიარებს ამ გამოცდილებებს.

სმითის მიხედვით, შეგვიძლია ჩამოთვალოთ ეთნიკური ერთობის ექვსი ძირითადი მახასიათებელი:

1. კოლექტიური საკუთარი სახელი;
2. საერთო წინაპრის მითი;
3. ზიარი ისტორიული მეხსიერება;
4. საერთო კულტურის ერთი ან მეტი განმასხვავებელი ელემენტი;
5. განსაკუთრებულ მშობლიურ მიწა-წყალთან ასოცირება;
6. სოლიდარობის გრძნობა პოპულაციის მნიშვნელოვან ნაწილში.

ნაციონალური იდენტობის ძირითადი ნიშან-თვისებებია:

1. ისტორიული ტერიტორია, ანუ სამშობლო;
2. საერთო მითები და ისტორიული მეხსიერება;
- საერთო საზოგადოებრივი მასკულტურა;
4. ყველა წევრისათვის საერთო სამართლებრივი უფლება-მოვალეობებანი;
4. საერთო ეკონომიკა მის წევრთათვის ტერიტორიული მობილურობის უზრუნველყოფით.

ნაციონალური იდენტობა და ნაცია როლი კონსტრუქციაა, რომელიც რამდენიმე ურთიერთდაკავშირებული კომპონენტისაგან შედგება. ესენია:

ეთნიკური, კულტურული, ტერიტორიული, ეკონომიკური და სამართლებრივ-პოლიტიკური ასპექტები. ნაციონალური იდენტობა და ნაცია გულისხმობს ერთობის წევრებს შორის სოლიდარობის ისეთი კავშირების არსებობას, როგორიცაა საერთო წარსული, მითები, ტრადიციები, რაც აირეგლება ან არ აირეკლება საკუთარი სახელმწიფოს იერსახეში; თუმცა ისინი ძირეულად განსხვავდებიან სახელმწიფოსთვის დამახასიათებელი წმინდად სამართლებრივი და ბიუროკრატიული კავშირებისაგან. კონცეპტუალურად, ნაცია არსებობს იმისათვის, რომ სხვადასხვა განზომილებაში მყოფი ორი რეალობა – ერთი მხრივ, სამოქალაქო და ტერიტორიული, მეორეს მხრივ კი – ეთნიკური და გენეალოგიური – ერთმანეთს დაუკავშიროს (ცალკეულ შემთხვევებში სხვადფასხვაგვარი პროპორციულობით).

ისტორიკოსები, ჩვეულებრივ, ერთმანეთისაგან განსხვავებენ დასავლეთის „ძველი ნაციების“ ბუნებრივი წარმოშობის პროცესსა და ნაციის მიზანმიმართულ ფორმირებას აღმოსავლეთ ევროპაში, აზიაში, ლათინურ ამერიკასა და აფრიკაში.

ნაციის დასავლური ანუ „სამოქალაქო მოდელი“ უპირველეს ყოვლისა სივრცული თუ ტერიტორიული კონცეფციაა. ამ თვალსაზრისის თანახმად, ნაციის განკარგულებაში უნდა იყოს კომპაქტური, სამართლებრივ – პოლიტიკური საზოგადოება და სამოქალაქო კულტურა და იდეოლოგია – ყოველივე ეს არის დასავლური მოდელის კომპონენტები.

როგორც ვიციოთ, აღმოსავლეთ ევროპასა და აზიაში აღმოცენდა ნაციის საქმაოდ განსხავებული მოდელი, ე. წ. „ეთნიკური“ კონცეფცია. მისი განმასხვავებელი ნიშნებია განსაკუთრებული აქცენტი წარმომავლობასა და მშობლიურ კულტურაზე. მაშინ როდესაც დასავლური შეხედულებით ადამიანი უნდა ეკუთვნოდეს რომელიმე ნაციას და ამავე დროს შეუძლია აირჩიოს, რომელ ნაციას მიაკუთვნოს თავი, არადასავლური მოდელი ვერ ეგუება ამგვარ თავისუფლებას. განურჩევლად იმისა, შენს საზოგადოებაში დარჩები თუ ემიგრანტად იქცევი, უცილობლად და სამუდამოდ ნიშანდებული და ორგანულად დაკავშირებული ხარ იმ საზოგადოებასთან, რომლის წევრადაც დაიბადე. ანუ ნაცია ამ თვალსაზრისით არის საერთო წარმომავლობის საზოგადოება და განიხილება როგორც ერთგვარი „ზეოჯახი“. გენეალოგია, სავარაუდო მემკვიდრეობითი კავშირები, აღგილობრივი ენები, სახალხო მობილიზაცია, ადათ-წესები – ეთნიკური კონცეფციის ის ელემენტებია, რომლებიც ასახავს

აღმოსავლეთ ევროპისა და აზიის არაერთი საზოგადოების მიერ განვლილ სრულიად განსხვავებულ გზას „ნაციის ჩამოყალიბებისა“ (სმითი 2008: 15).

წვენი შეხედულებით, ნაცია, უპირველეს ყოვლისა, განსაზღვრავს გარკვეულ სოციალურ სივრცეს, რომლის ფარგლებშიაც უნდა იცხოვორონ და იშრომონ მისმა წევრებმა. იმავდროულად ის შემოსაზღვრავს ისტორიულ ტერიტორიას, რომელიც საზოგადოებრივ ერთობას დროში და სივრცეში მიუჩენს ადგილს. ნაცია ადამიანებს აწოდებს ასევე „საკრარულ ცენტრებს“, სულიერ და ისტორიულ სალოცავებს, ობიექტებს, რომლებიც ამ ნაციის „მორალური გეოგრაფიის“ უნიკალურობას გამოხატავს.

ეკონომიკური თვალსაზრისით, ნაციები იძლევიან ტერიტორიულ რესურსებზე, მათ შორის ადამიანის სამუშაო ძალაზე, კონტროლის დამყარების გარანტიას; ისინი შეიმუშავებენ შრომის დანაწილების ერთიან სისტემას; ასევე, ხელს უწყობენ როგორც შრომით საქმიანობასა და საქონელთბრუნვას, ისე მის წევრებს შორის რესურსების განაწილებას მშობლიური ტერიტორიის ფარგლებში. წევრობის საზღვრებისა და რესურსების განსაზღვრით ნაციონალური იდენტობა გვაზიარებს ნაციონალური ავტარქიის იდეალების პირველმიზებს. ითვლება, რომ ნაციონალური ინტერესი გამოხატავს მასში შემავალი მთელი ხალხის ნაციონალურ ნებასა და ნაციონალურ იდენტობას.

წვენი დაკვირვებით, პრაქტიკაში ეთნოსებსა და ნაციებს შორის მკაფიო გამმიჯნავი ხაზის გავლება არცთუ იოლია. თუმცა აღსანიშნავია, რომ ანალიზისათვის, აზრობრივად ეს ხაზი მაინც გვჭირდება. ნაციები ეთნოსების საფუძველზე წარმოიშობა; ეს ყველა ეპოქაში შეიძლება მოხდეს. მაგრამ ნაციების გაჩენა მაინც უფრო მოდერნული ეპოქისათვისაა დამახასიათებელი, რადგან ნამდვილი საჯარო კულტურა მხოლოდ ამ ეპოქაში ჩნდება. სახელმწიფოც იმდენად არის ნაციის ატრიბუტი, რამდენადაც სტანდარტიზირებულ კულტურას უზრუნველყოფს.

XVII-XVIII საუკუნეებიდან მოყოლებული, დასავლეთ ევროპელ ინტელექტუალთა დიდი ძალის ხმელის შედეგად აღმოცენდა ნაციონალისტური მისწრაფებანი. ნაციონალური იდენტობის საფუძველზე დაიწყო ნაციების აღმოცენებისა და ჩამოყალიბების პროცესი. ასე თანდათანობით გამოიწრო ახლი მულტინაციონალური სამყარო, რომელშიც ნაციისა და ნაციონალიზმის მოთხოვნა გლობალურია. ამ ახალ რეალობაში, თანამედროვე სახელმწიფოთა უმრავლესობა მოქმედებს თვითმყოფადობისა და ერთიანობის ნაციონალისტური იდეის ზემოქმედებით.

ამერიკის და საფრანგეთის რევოლუციებმა დააფუძნეს მოდერნული საზოგადოების ახალი ტიპი – კონსტიტუციური და დემოკრატიული. ამის შემდეგ ცხადი გახდა, რომ პოლიტიკურ სისტემებს აღარ უნდა ჰქონოდათ პრეტენზია ლეგიტიმურობაზე, თუ ის არ იქნებოდა დამყარებული კონსტიტუციურად გამოხატულ „ხალხის ნებაზე“. ამ თვალსაზრისით, თანამედროვე ერისახელმწიფოს ფორმის შეძენით, საზოგადოებრივმა თვითმართველობამ განსაკუთრებული ნდობა მოიპოვა. იგი საკუთარი ტერიტორიების მართვას ისეთი როლი და გაძლიერებული მექანიზმებით ახერხებს, რომელთა განხორციელებაც შეუძლებელი იყო წინა რეჟიმების დროს. სახელმწიფოს მიეცა შესაძლებლობა შექმნას ერთიანი ეროვნული სისტემა, მაგრამ ამის მიღწევა ნაციონალური იდენტობის, ნაციონალური იდეოლოგიისა და ნაციის აღმოცენების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა.

უნდა აღინიშნოს, რომ დასავლური და არადასავლური მოდელების კონცეპციური სახესხვაობის გამო, ნაციებად დაყოფილი მსოფლიო არაერთგვაროვანია, იგი მოიცავს, როგორც განვითარებულ და განვითარებად ერისახელმწიფოებს, ასევე ეთნიკური კონფლიქტებით გაჯერებულ არშემდგარ სახელმწიფოებს. ამ თვალსაზრისით, ნაციონალური იდენტობის პოლიტიკა იმდენად გართულებულია რომ, ნაციის იდეა, შეიძლება არათანმიმდევრულად და ბუნდოვნად მოგვეჩვენოს, უარეს შემთხვევაში კი – აბსურდულად და წინააღმდეგობრივად.

ჩვენი აზრით, ნაციონალური იდეის არასწორმა ინტერპრეტაციებმა არაერთი პრეცედენტი შექმნა მსოფლიო ისტორიაში, როდესაც ნაციონალური იდენტობის ჯანსაღი გრძნობა აგტედით ნაციონალიზმად გარდაიქმნა. ამის ნათელი მაგალითია: ნაციზმი, კომუნიზმი, ახლი დროის ისეთი ფენომენი, როგორიცაა გენოციდი და გენოციდური აქციები.

ჩვენს მულტინაციონალურ სამყაროში არა ერთი „ნაციონალური პროექტი“ განხორციელდა, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ნაციონალიზმი ალბათ არ არის პასუხისმგებელი იმ შემთხვევების გამო, ტირანული რეჟიმების რეფორმების და დემოკრატიზაციის დროს რომ იჩინა თავი. ნაციონალიზმი, შედარებით, ახალი დროის ფენომენია, შესაბამისად მსოფლიოს უმეტესი ნაწილი ამ ახალ რეალობას მოუმზადებელი შეხვდა, ან ალლო ვერ აუდო ნაციების აღმოცენების პროცესს – და ადეკვატურად ვერ შეაფასა შექმნილი ვითარება, ანდა მმართველმა ელიტებმა საკუთარი, აგტოკრატიული ინტერესებისათვის გამოიყენეს ნაციონალიზმის ჯანსაღი გრძნობა.

დასავლეთის მიღმა ნაციების ფორმირების პროცესის ანალიზისას, უნდა გავითვალისწინოთ პრენაციური, ანუ წინა პერიოდის პოლიტიკური სისტემების ხასიათი და იგი უნდა დავყოთ იმპერიულ და კოლონიურ მიმართულებებად.

უპირველეს ყოვლისა ადგნიშნოთ, რომ „იმპერია არავისათვის არ ყოფილა არანაირი „სამშობლო“, რადგან ასე მას არავინ აღიქვამდა. პატრიოტიზმს საფუძველი უწნდება მხოლოდ მას შემდეგ, რაც ჩნდება ახალი რეალობა – სამშობლო, როგორც ლოიალობის სუბიექტი (ბერძენიშვილი 2008:2)

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვასკვნით, რომ საკმაოდ რთულია ეთნიკური სახელმწიფოებისა და იმპერიების კომპაქტურ ტერიტორიებად გარდაქმნა, წარმატება ამ სფეროში დამოკიდებულია როგორც გეოპოლიტიკურ, ისე სოციალურ ცვლილებებზე.

ჩვენი შეხედულებით, ნაცია-სახელმწიფო, მით უფრო წარმატებულია, რაც უფრო სწრაფად ახერხებენ დომინანტური ეთნიკური ჯგუფი და მისი მმართველები იმპერიული მემკვიდრეობისაგან გათავისუფლებას. ეს, ხდება, როგორც წესი, საზღვრების შეკვეცის გზით, როგორც, მოხდა მაგალითად თურქეთის შემთხვევაში. განსხვავებული ვითარება შეიქმნა საბჭოთა კავშირის სოციალისტურ რესპუბლიკებში, აქ ნაციონალიზმა და ეროვნულ - გამათავისუფლებელმა მოძრაობამ ისეთი სიმბლავრით იფეთქა, რომ იმპერიამ გეღარ გაუძლო. მართალია, საბჭოთა კავშირის დაშლა სხვა ობიექტურმა მიზეზებმაც განაპირობა, მაგრამ ნაციონალიზმა იმპერია საბოლოოდ დაასამარა. ამის საპირისპიროდ, იაპონია ნაციონალიზმის გზით იმპერიის მოდერნიზაციის ყველაზე წარმატებული მაგალითია, მაგრამ აქაც კი მწვავედ დგას იდენტობის პრობლემები როგორც პოლიტიკურ, ისე კულტურულ დონეზე.

ისტორია ცხადყოფს, რომ ზოგიერთი ნაცია მისი წინაპარი ეთნოსისაგან დამოუკიდებლად ჩამოყალიბდა. ეს მოხდა იმიგრანტების (უმთავრესად ევროპელების) კულტურათა შერწყმის გზით – ასეა, ამერიკაში, არგენტინასა და ავსტრალიაში. სხვა შემთხვევებში სახელმწიფოები აღმოცენდნენ იმპერიათა იმ პროცესიებიდან, რომელთა მოსახლეობასაც თავს მოახვიეს საერთო ენა და რელიგია. ეს პროცესი განსაკუთრებით ლათინურ ამერიკაში გამოიკვეთა სადაც კრეოლთა ელიტაში დაიწყო ნაციად ჩამოყალიბება ისე, რომ განსხვავებული ეთნოსის სახით წინაპარი არ ჰყოლია.

არადასავლური სახელმწიფოების მნიშვნელოვანი ნაწილი ევროპული სახელმწიფოების ყოფილი კოლონიებია, სადაც მეტწილად შეინიშნება

კულტურული და პოლიტიკური იდენტობის არარსებობა. ნაციები თავისი საზღვრებითა და ხასიათით, როგორც წესი, ხელოვნურად იქმნებოდა, რამაც, რა თქმა უნდა, გაამწვავა ნაციონალური იდენტობის პრობლემა. კოლონიური სახელმწიფო ადგილობრივი სამოქალაქო საზოგადოების წიადიდან არ ამოზრდილა, რადგან კოლონია მეტროპოლიის კულტურულად განსხვავებული პოლიტიკური ერთობის საშუალებით იმართებოდა. ასეთი ტიპის პოსტ-კოლონიური სახელმწიფო დღემდე ცდილობს ახალი პოლიტიკური მითოლოგიის და სიმბოლოთა სისტემის შექმნას, ანუ ერთგვარად – ნაციის გამოგონებას, რამაც საბოლოო ჯამში უნდა გამოიწვიოს ეთნიკური ჯგუფებს შორის ლოიალობა და მათი კულტურული შერწყმა.

ჩვენი დაკვირვებით, ნაციონალიზმის მსგავსი ექსპერიმენტები, ხშირ შემთხვევაში შიდა ეთნიკური კონფლიქტებითა და სეპარატული მოძრაობებით არის აღსავსე. ამას, ერთი მხრივ, განაპირობებს რიგ სახელმწიფოებში არსებული როლი პოლიტიკურ-ეპონომიკური მდგომარეობა, მეორე მხრივ, მმართველი ელიტების ავტოკრატიული მმართველობა.

პოლიეთნიკურმა სახელმწიფოებმა, რომლებიც დომინანტური ეთნოსის გარშემო ჩამოყალიბდა, დაიპყრო და მიიზიდა სხვა ეთნიკური ჯგუფები და იმ სახელმწიფოს მიუერთა, რომელსაც თავად განუსაზღვრა სახელიცა და კულტურული პრივილეგიებიც.

ჩვენი აზრით, დომინანტური ეთნოსები და ნაციები ცდილობენ მოდერნული სახელმწიფო გამოიყენონ საკუთარი მიზნებისათვის, რათა როგორმე მოახერხონ სხვა ეთნიკური ერთობების ინკორპორაცია. მსგავსი „რეჟიმები“ ცდილობენ სუპრა-ეთნიკური „პოლიტიკური კულტურის“ თუ სუპრა-ეთნიკური „სამოქალაქო რელიგიების“ შექმნას, მაგრამ, როგორც ვიცით, დიდ წარმატებას გერც ამ შემთხვევაში აღწევენ.

ჩვენი შეხედულებით, პოსტკოლონიური სახელმწიფოებიდან გამოყოფის მიზნით, ეთნონაციონალიზმა უკიდურესად გაამწვავა განსხვავება სახელმწიფოსა და ნაციებს შორის. ეთნიკური თვითგამორკვევის კლასიკური პერიოდის შემდეგ (რომელსაც „ძველი ნაციების“ აღმოცენება მოჰყვა), ეთნონაციონალიზმის მეორე და მესამე ტალღამ ბიძგი მისცა ნაციონალური იდენტობის კრიტიკულ გადაფასებას. გარდა ამისა, არ გამართლდა ზოგიერთი მეცნიერის წინასწარმეტყველება, რომ სეკულარული ტენდენციების გამო დომინანტური ეთნიკური ერთობების მიერ განხორციელდებოდა „დაბალი“ კულტურის მქონე მცირე ერთობების ასიმილაცია. მეცნიერები, ასევე, მივიღნენ

იმ დასკვნამდე, რომ ეთნონაციონალიზმის რადიკალური მოთხოვნები, მნიშვნელოვანწილად განაპირობა პოსტკოლონიური სახელწიფოების პლურალურმა ხასიათმა და მყიფე ლეგიტიმაციამ, ხოლო აჯანყებათა გამომწვევ ძირითად მიზეზად უნდა მივიჩნიოთ ექონომიკური სირთულეები. სამწუხაროდ, არამოდერნიზებული ეთნიკური საზოგადოებებისათვის რეაქციული სეპარატიზმი უფრო დამახასიათებელია, ავტონომიის მოთხოვნა კი უფრო ხშირია განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში.

ჩვენი დაკვირვებით, რაც უფრო მეტად ცდილობენ ახალი სახელმწიფოების მმართველები პოლიეთნიკური მოზაიკიდან ინტეგრირებული ნაციის შექმნას, მით უფრო მეტია იმის ალბათობა, რომ ამ სახელმწიფოს შიგნით ეთნიკური უთანხმოება ჩამოვარდეს ან გამოყოფის პროცესი დაიწყოს. იმისათვის რომ, პოლიეთნიკურმა სახელმწიფომ შემდოს ქვეყნის შიგნით სტაბილურობისა და ერთიანობის უზრუნველყოფა და თავიდან აიცილოს მარგინალური და სეპარატიული პროცესები, აუცილებელია ნაციონალური იდენტობის ფორმირების პროცესში მოახდინოს ხალხის როგორც „ნაციონალების“ და „მოქალაქეების“ სოციალიზაცია. დღეს ეს მიიღწევა საზოგადოებრივი, სტანდარტიზირებული განათლების სისტემის მეშვეობით, რაც ხელს უწყობს თვითმყოფადი პომოგენური კულტურის დანერგვას. ამასთან ერთად, ნაცია ადამიანებს აწოდებს „საკრალურ ცენტრებს“, ანუ სულიერ და ისტორიულ სალოცავებს, ობიექტებს, რომლებიც ამ ნაციის „მორალური გეოგრაფიის“ უნიკალურობას გამოხატავს. არანაკლებ მნიშვნელოვანია რომ, ერი-სახელმწიფოების ეკონომიკური და პოლიტიკური დოქტრინები უცილობლად ასახავდეს ნაციის ინტერესებს და საუკეთესო შემთხვევაში ეფუძნებოდეს „ხალხის სუვერენის“.

ახლა კი ზოგადად შევეხოთ რელიგიის საკითხს ნაციონალურ იდენტობასთან მიმართებით.

მიგვაჩნია, რომ რელიგია ნაციონალიზმის მძლავრი იარაღია და შეიძლება ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდეს ნაციის ფორმირების პროცესში, (როგორც ებრაელების შემთხვევაში მოხდა), თუ, რა თქმა უნდა თავის უკიდურეს ფორმაში რელიგიურ ნაციონალიზმში არ გადაიზრდება. ეს განსაკუთრებით ნაშანდობლივია, თუ გავითვალისწინებთ, რომ მეოცე საუკუნის დასასრული აღინიშნა მთელ მსოფლიოში რელიგიათა საყოველთაო აღორძინებით. გაძლიერდა რელიგიური თვითშეგნება, გააქტიურდა ფუნდამენტალისტური მოძრაობები, გაიზარდა რელიგიათა შორის გასხვავებანი.

რელიგიურად ჩამოყალიბებულ ხალხებს თავიანთი სპეციფიკური მახასიათებლები გააჩნიათ. რელიგიური სიმბოლოები და ძველი რელიგიური ტრადიციები ამ ხალხებისათვის ერთგვარი დამცავი გარსის როლს ასრულებს, მაგრამ იმ მომენტში, როცა ნაციად გარდაქმნის საკითხი წამოიჭრება, როგორც ეთნიკური ყალიბისა და ცხოვრების ნირის შეცვლა. ამის კარგი მაგალითია ისლამური არაბული სამყარო. არაბული დემოტური ერთობების ნაციებად გარდაქმნა როგორც მიმდინარეობს, რადგან არაბული ნაციის იდეა გადაფარა ისლამური კულტურის თუ ლოიალობის უფრო ფართო წრემ (ყულიჯანიშვილი 2004: 171).

მსოფლიო გამოცდილება ცხადყოფს, რომ, არა მარტო პანარაბიზმა, არამედ ზოგადად პანნაციონალისტურმა იდეამ განიცადა კრახი. მაგალითად, ისეთი კრცელი „პან“ მოძრაობები, როგორიცაა პანთურქიზმი, აფრიკანიზმი, ლათინური ამერიკანიზმი, პანსლავიზმი – პოლიტიკურად წარუმატებელი აღმოჩნდა. სამაგიეროდ კოსმოპოლიტებმა - ამ ბოლო ხანებში თავიანთი იმედები მიმართეს - სხვა უფრო „რეგიონული“ სახელმწიფოთა დაჯგუფებებისაკენ. ასეთებია: სკანდინავიური კოოპერაციის ექსპერიმენტი თუ შიდა აფრიკული, შიდა ლათინოამერიკული რეგიონული ბლოკები.

სხვათა შორის, პოსტნაციონალური კონცეფციის მომხრენი მიიჩნევენ რომ, ამ მხრივ, ყველაზე იმედის მომცემია ევროკავშირი. მაგრამ რეალურად, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების ეკონომიკური სისტემების ფუნქციონირებაში, სოციალურ სტანდარტებსა და პოლიტიკურ ინტერესებში უზარმაზარი განსხვავებები შეინიშნება. კავშირი შორსაა ერი-სახელმწიფოების კონსტიტუციური ფორმების მსგავსებისაგან. საერთო გადაწყვეტილებების მიღების სისტემა დამოკიდებულია ეროვნულ მთავრობებს შორის შეთანხმებებზე. ევროპის ერი-სახელმწიფოები ჯერ კიდევ ინარჩუნებენ მნიშვნელოვან და განსაკუთრებულ სამთავრობო ფუნქციებს. ერებს აქვთ საკუთარი ენა, კულტურული ტრადიციები და საკანონმდებლო სისტემები, რაც ევროპის სრულ ინტეგრაციას გამორიცხავს (ჰერსტი 2005: 267-268).

პოლ ჰერსტი და გრემ ტომსონი თვლიან, რომ დასავლეთ ევროპის გაერთიანება შეუძლებელია მოხდეს ცენტრალური ფედერალური სახელმწიფოს მოდელის მიხედვით, როგორც მაგალითად აშშ-ა. ისევე როგორც ნაკლებად საგარაუდოა ევროპაში „სუპერნაციის“ თუ „ზესახელმწიფოს“ აღმოცენება. თუმცა შესაძლებელია ევროპის პოლიტიკური ასოციაციის ახალი ფორმის

დამკვიდრება, რომელიც ორმაგი იურისდიქციის ფარგლებში იმოქმედებს და ერთობლივ სუვერენიტეტზე იქნება დაფუძნებული.

ჩვენი აზრით, რთულია ამ საკითხებზე დარწმუნებით საუბარი, მითუმეტეს ფაქტია რომ, ჯერჯერობით ეპროპულ ნაციებში ნაციონალიზმის და ნაციონალური იდენტობის დაკნინების ნიშანწყალიც არ შეინიშნება.

\* \* \*

თანამედროვე ნაციონალიზმი ძირითადად ვლინდება იმ ხალხების ნაციონალიზმის სახით, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიან და ეთნიკურ უმცირესობას შეადგენენ. ასეთი ნაციონალიზმის ძირითადი თავისებურება ის არის, რომ მიმართულია სახელმწიფოს ცენტრალიზებული მმართველობის წინააღმდეგ და თვითგამორკვევისათვის იბრძვის. თვითგამორკვევა კი საერთაშორისო სამართალში განისაზღვრება, როგორც ერთ ტერიტორიაზე მცხოვრები ხალხის უფლება თვითონ განსაზღვროს საკუთარი პოლიტიკური სტატუსი, აკონტროლოს თავისი თავი და არ იყოს სხვის მიერ მართული.

ჩვენი დაკვირვებით, როდესაც ამ მოთხოვნით გამოდის ხალხი, რომელიც ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენს სხვა ხალხის ეროვნულ სახელმწიფოში, იგი თითქმის გარდაუვლად შედის კონფლიქტში ტიტულარული ერის ნაციონალიზმთან, რომელიც იმავდროულად ოფიციალური, სახელმწიფო ნაციონალიზმია. სწორედ ეს არის დღეს მიმდინარე კონფლიქტების დიდი უმრავლესობის მიზეზი.

ამ თვალსაზრისით, სეპარატიზმი თანამედროვეობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა გახდა, ხოლო წინააღმდეგობა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს შორის დღითიდღე დრმავდება (დავითაშვილი 2003: 150).

აქედან გამომდინარე, ობიექტურად ისმება კითხვა, რა ელით მომავალში სახელმწიფოს არმქონე ერებს, როგორ განვითარდება მოვლენები და რა ტენდენციები გამოიკვეთება მომავალში ეთნიკური უმცირესობების თვითგამორკვევის საკითხთან დაკავშირებით ?! . . .

მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, სწორედ სახელმწიფოსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის დაპირისპირება, საერთაშორისო სამართლის ორი პრინციპის – ხალხთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შეუთავსებლობა შეიძლება გახდეს მთავარი პოლიტიკური წინააღმდეგობა მომავლის მსოფლიოში.

როგორც ვიცით, ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპი – საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ფუნდამენტური პრინციპია და თეორიულად აღიარებს ყველა ხალხის უფლებას თვითონ გამნეაზღვროს თავისი პოლიტიკური სტატუსი, მაგრამ თუ თვითგამორკვევას სუვერენიტეტთან გავაიგივებთ, მაშინ მსოფლიოში 6000 ათასამდე დამოუკიდებელი სახელმწიფო უნდა გვქონდეს. რაც სრული აძსურდია. ამიტომ ყველა ხალხის პოლიტიკური დამოუკიდებლობის საკითხი არასოდეს წამოჭრილა. უფრო მეტიც, როგორც დავით ზურაბიშვილი ამტკიცებს („ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“), მათი უმრავლესობა ავტონომიასაც არ ითხოვს. მათ უბრალოდ არა თუ სახელმწიფოს, არამედ ავტონომიის მართვაც არ შეუძლიათ თავიანთი მცირერიცხოვნებისა და პოლიტიკური თუ ეკონომიკურ-კულტურული განვითარების დაბალი დონის გამო.

თანამედროვეობის ობიექტური სინამდვილიდან გამომდინარე, იმ შემთხვევაშიც კი, როცა ეთნიკური ჯგუფი მრავალრიცხოვანია და განვითარების დონეც საკმარისია იმისათვის რომ საკუთარი სახელმწიფო ჰქონდეს, იგი დიდი წინააღმდეგობას აწყდება არა მარტო იმ სახელმწიფოს ხელისუფლებისა და ტიტულარული ერისაგან, რომლის შემადგენლობაშიც შედის, არამედ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სხვა სახელმწიფოებისაგანაც. ამის მიზეზი კი ისაა, რომ ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპმა არ უნდა დაარღვიოს საერთაშორისო სამართლის პრინციპები. კერძოდ, იგი წინააღმდეგობაში არ უნა შევიდეს ტერიტორიული მთლიანობისა და საზღვრების უცვლელობის პრინციპებთან.

თანამედროვე სახელმწიფოთა მნიშვნელოვანი ნაწილი შედგება ურთიერთდაპირისპირებული პოლიტიკური ძალებისაგან, რომლებიც შიგნიდან „ხლეჩენ“ სახლემწიფოს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სშირ შემთხვევაში, ამ პროცესების აქტორად და ძირითად „გამხლება“ ძალად ეთნიკური თვითგამორკვევის ნიადაგზე აღმოცენებული „მინინაციონალიზმი“ გვევლინება.

ამავე დროს, მსოფლიოს ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, რომ თუ მოცემული სახელმწიფოს ქვეყნის მთავრობა და მოსახლეობის უმრავლესობა თანახმად მიანიჭოს დამოუკიდებლობა ეთნიკურ უმცირესობას და შეცვალოს სახელმწიფოს ტერიტორიული საზღვრები, მაშინ თვითგამორკვევის პრინციპი რეალობად იქცევა. ასე განხორციელდა ბანგლადეშის გამოყოფა 1972 წელს, ერითრეის დამოუკიდებლობა ეთიოპიისაგან 1993 წელს და ჩეხეთსლოვაკიის დაშლა ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკებად 1993 (დავითაშვილი 2003: 151).

ეს უნიკალური შემთხვევები, უნიკალური ისტორიული მოცემულობაა და მომავლის პერსპექტივაში გასათვალისწინებელი მნიშვნელოვანი გამოცდილებაა, მაგრამ ასევე უნიკალურია თითოეული შემთხვევა, თითოეული ეთნიკური უმცირესობების მისწრაფებანი, რომელთა უმეტესი ნაწილი შინაარსით იმდენად რადიკალურია, რომ ვერანაირად ვერ თავსდება ზემოთ მოყვანილ ისტორიულ მოცემულობაში.

ეთნიკურ უმცირესობებში განსაკუთრებით ყურადღებას იმსახურებს ის კატეგორია (ზურაბ დავითაშვილი „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია), რომლებსაც ადგილობრივ, ანუ მკვიდ, ძირეულ მოსახლეობას უწოდებენ. ეს ის ხალხია, რომლებიც თავიანთ ისტორიულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ, მაგრამ სხვადასხვა ისტორიული და პოლიტიკური გარემოებების გამო უმცირესობად იქცნებ. (მათი რაოდენობა დედამიწის მოსახლეობის 5% შეადგენს და ხშირად მსოფლიო საზოგადოების ამ ნაწილს მეოთხე სამყაროდ მოიხსენიებენ). აქვე აღსანიშნავია, რომ მკვიდრი მოსახლეობის დიდი ნაწილის ბრძოლა უბრალოდ უფლებების დაცვისათვის ან ავტონომიისათვის ბრძოლაა და იშვიათად თუ აყენებენ დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის მოთხოვნას.

ყველა შემთხვევაში, ბუნებრივად დგება პრობლემა: რა უფლებები შეიძლება ჰქონდეთ ამ ათასობით არასახელმწიფო ეროვნებებს?

ასევე, საკმაოდ რთულია განსაზღვრო რას წარმოადგენს ეროვნული კულტურა იმ სახელმწიფოს ფარგლებში, რომელშიც შიგნიდან არის ასეთი არაერთგვაროვანი. მითუმეტეს მაშინ რთულდება პრობლემა როდესაც გსაუბრობთ ეროვნულ-კულტურული იდენტობის დაცვასა და შენარჩუნებაზე.

რას შეიძლება წარმოადგენდეს ეროვნული კულტურა მრავალეთნიკურ სახელმწიფოში? თუ მაგალითად, სახელმწიფოში დომინანტი ერი ვერ ახერხებს ეთნოსების, მცირე ერების ნებაყოფლობით გაერთიანებას მათი კულტურის ფარგლებში, შეიძლება თუ არა სახელმწიფოში დომინანტურ პოზიციებზე მყოფი ერის, ეთნოსის კულტურა მოვიაზროთ მოცემული სახელმწიფოს ეროვნულ კულტურად? (ეს საკითხი განსაკუთრებით მტკიცნეულად აღიქმება მაშინ, როდესაც საუბარია ეთნოსზე/ერზე რომელსაც არ გააჩნია სხვა სამშობლო და ცხოვრობს სახელმწიფოში სადაც სხვა ეთნოსი/ერი განსაზღვრას სახელმწიფოს ეროვნულ პოლიტიკას).

მნელია ზუსტად განსაზღვრო ის კულტურული ერთიანობა, რომლის გამოხატულებად მრავალნი ერს მიიჩნევენ. როგორც ენდრიუ ჰეივუდი აცხადებს, „იგი კულტურული ფაქტორების მერყვევ კომპონენტს უფო წარმოადგენს, ვიდრე

ზუსტ ფორმულას. საბოლოო ჯამში უნდა დავასკვნათ, რომ ერები შეიძლება განისაზღვროს „სუბიექტურად“ - მათი წევრების მიხედვით და არა რაიმე გარე ფაქტორების საფუძველზე“ (პეივუდი 2005 : 185).

ერნესტ გელნერის აღნიშნით „ყველა საზოგადოება არ შეიძლება იყოს სახელმწიფოს გარანტი. აქედან გამომდინარეობს, რომ ნაციონალიზმი და ეროვნული თვითგამორკვევის მოთხოვნა არ წარმოიშობა სახელმწიფოს არმქონე საზოგადობებში. თუ არ არსებობს სახელმწიფო, ნამდვილად ვერავინ იკითხავს შესაბამისობაშია თუ არა მისი საზღვრები ეთნიკურ საზღვრებთან. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ნაციონალიზმი აღმოცენდება მხოლოდ იმ გარემოცვაში, სადაც სახელმწიფოს არსებობა უკვე თავისთავად ნაგულისხმევი ფაქტია (გელნერი 2003: 8-9).

აქვე უნდა აღვნიშნოთ, ერის ხასიათის ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი: ერი რჩება ერად იმ შემთხვევაშიც, თუ იგი თავის სახელმწიფოებრიობას კარგავს, ოდონდ მანამდე, სანამ საკუთარი ეროვნული სახელმწიფოს არსებობის სურვილი ამოძრავებს. როგორც კი ხალხში სახელმწიფოებრიობის სურვილი ქრება ის წევეტს არსებობას როგორც ერი.

აქედან გამომდინარე, ერი შეიძლება შემდეგნაირად განვმარტოთ „ერი არის მხოლოდ ის ეთნოსი, რომელსაც აქვს (ან წარსულში ჰქონდა) საკუთარი სუვერენული სახელმწიფო, სადაც ეთნოსის მშობლიური ენა ქვეყნის ოფიციალური სახელმწიფო და ლიტერატურული ენაა. ამასთანავე, დამოუკიდებელი ეროვნული სახელმწიფოს შენარჩუნება (ან მისი აღდგენა) ეთნოსისი უმთავრესი მიზანია და ამის უნარი შესწევს“ (დავითაშვილი 2003:19).

შედარებით რთულია პოტენციური ერების დადგენა. ე. ი. იმ ეთნოსების გამოყოფა, რომელთაც არც დღეს და არც წარსულში თავიანთი სახელმწიფო არ ჰქონიათ., მაგრამ, ამჟამად იბრძიან პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის და აქვთ ყველა პირობა საკუთარი ძალებით უზრუნველყონ დამოუკიდებლად არსებობა. ასეთი ხალხების რიცხვი შედარებით მცირეა და სანამ დამოუკიდებლობის მიაღწევენ, როგორც ზურაბ დავითაშვილი ამტკიცებს, ნაადრევია მათი ერებად მოხსენიება, ამგრამ არ ხალხოვნებად იქნებოდა მათი ჩათვლა სწორი. ამდენად, მკვლევარები მათ პოტენციური ერების სახელით მოიხსენიებენ.

ერის ზემოთ მოცემულ განმარტებებს გარკვეული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის ისეთი უმნიშვნელოვანები პრობლემის უკეთ გარკვევის საკითხში, როგორიცაა ხალხთა თვითგამორკვევა.

კითხვაზე, რომელ ხალხს აქვს უფლება მოითხოვოს პოლიტიკური დამოუკიდებლადა და საკუთარი სახელმწიფოებრიობა, ცალსახა პასუხი უნდა გაეცეს. მკვლევარები თანხმდებიან ერთზე: მხოლოდ და მხოლოდ იმ ერებს (როგორც რეალურს, ისე პოტენციურს), რომლებსაც ამის ისტორიული გამოცდილება აქვთ, ან გააჩნიათ ყველა პირობა, რომ დამოუკიდებლად იარსებონ. ხოლო ხალხოვნებისა და ტომებისათვის თვითგამორკვევის უფლება, ნიშნავს, რომ მსოფლიოში არსებულმა ათასობით ეთნოსმა თავისი დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნა მოითხოვოს. ეს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ აბსურდულია.

ნორბერტ ელიასი აღნიშნავს, „მხოლოდ მაშინ, რაც ეს სახელმწიფოთაშორისი და შიდასახელმწიფოებრივი დაბაბულობანი გადაიღა უფრო მეტი უფლება გვექნება ვთვათ, რომ ჩვენ ცივილიზებულნი ვართ“ (ელიასი 2008: 356).

ჩვენი შეხედულებით, ეთნიკური სეპარატიზმი, მინინაციონალიზმი თანამედროვეობის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს, მაგრამ არა ნაკლებ პრობლემურია დამოკიდებულება ავტოქტონური მოსახლეობის იმ კატეგორიისადმი, რომლებიც მოცემულ სახელმწიფოში ეთნიკურ, თუ ეროვნული უმცირესობებს წარმოადგენენ, და რომელთა უფლებებიც ხშირ შემთხვევაში ირღვევა. რაც გამოხატულია, სახელმწიფოში დომინანტი ეთნოსის მხრიდან, ეთნიკური უმცირესობის თვითგამოხატვის უფლების მნიშვნელოვანი შეზღუდვის მცდელობით.

სახელმწიფო უნდა ზრუნავდეს თავის მოქალაქეებზე, განუსხვავებლად რასობრივი, ეროვნული, ეთნიკური წარმომავლობისა, თუ რელიგიური მიკუთვნებულობისა. სამწუხაროდ, ხშირ შემთხვევაში, შეთანხმების მიღწევა სახელმწიფოს შიგნით არსებულ განსხვავებულ ეთნოკულტურულ ერთეულებს შორის თანამედროვეობის ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით, განსხვავებული მდგომარეობაა დასავლეთ, ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში, კავკასიაში, ლათინურ ამერიკაში, აფრიკაში, აღმოსავლეთის ისლამურ ქვეყნებში, ჩინეთში, ინდოეთში და ა. შ.

აქედან გამომდინარე, არ არსებობს საერთო რეცეპტი, რომელიც მსოფლიოს ყველა რეგიონში პრობლემის გადაწყვეტას შეძლებს. თითოეული შემთხვევა უნიკალურია, შესაბამისად გამოსავალიც თითოეული შემთხვევისათვის განსხვავებულია.

მომავლის პროგრესული აღქმა მოითხოვს, რომ სახელმწიფოთა სისტემების გვერდით გაჩნდეს ერების სისტემა.

მსოფლიო საზოგადოება თანდათანობით მიდის იმ დასკვნამდე, რომ ერები უნდა ჩამოყალიბდნენ საერთაშორისო სტატუსი მქონე ერთეულებად, რომლებიც გახდებიან საერთაშორისო ურთიერთობების აქტორები და წარმოდგენილნი იქნებიან საერთაშორისო ორგანიზაციებში. ამ თვალსაზრისით, ერებს ენიჭებათ საერთაშორისო სტატუსი, რომელიც არ გულისხმობს ახალი ტერიტორიული სახელმწიფოების შექმნას. სახელმწიფო სუვერენიტეტი უნდა გადანაწილდეს სხვადასხვა დონეებს შორის და იურიდიული, ფუნქციური და ტერიტორიული კომპეტენციები დანაწილდეს სახელმწიფოებს, ერებს, საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ადგილობრივ თვითმართველობას შორის.

ჩვენი შეხედულებით, ერებს ამ შემთხვევაში მიეცემათ საშუალება სახელმწიფოთა პარალელურად შექმნან „ეროვნული სახლები“, ისე, რომ არ ხელყონ სახელმწიფოთა მთლიანობა. ასოციაციები და კავშირები უნდა შეიქმნას არა მარტო სახელმწიფოებს, არამედ ერებს შორისაც.

ამ კოცეფციიდან გამომდინარე, ერებს ენიჭებათ დიდი უფლებები და რაც მთავარია წინააღმდეგობაში არ შედის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპთან

გ. გოტლიბის აზრით, ერების მსგავსი სამართლებრივი სტატუსით აღჭურვა, ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების რეალური გზაა. გოტლიბი ასევე მიიჩნევს, რომ პოსტ-ტრადიციულმა სახელმწიფოებმა თავი უნდა გაანებონ კულტურულ პომოგენიზაციაზე ოცნებას და კულტურულ-ეთნიკურ რეგიონებზე პოლიტიკურ და ეკონომიკურ დომინირებას. ეთნიკურად განსხვავებული რეგიონები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ საპუთარი ავტონომიური ხელისუფლებით (დავითაშვილი 2003 : 386).

\* \* \*

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს თანამედროვე სამყაროს სახეს და ხასიათს, მაგრამ მსოფლიო მაინც რჩება მულტინაციონალური. სადაც ერისადმი მიკუთვნებულობა და ეროვნული თვითგამორკვევის პრობლემა კვლავ წამყვან პოზოციებზეა და კვლავ ადამიანთა სოციოკულტურული ერთობის ყველაზე მძლავრ, უპირველეს მისწრაფებას წარმოადგენს.

თუ გვხვდეთ მსოფლიოში, მაშინ აუცილებელი პირობაა, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში, სახელმწიფოსა და ერს შორის, ტიტულარულ

ერებსა და ეთნიკურ უმცირესობებს შორის მოხდეს კონსესუსის მიღწევა და ინტერესთა თანხვდრა.

ჩვენი აზრით, ამის მიღწევა, თანამედროვეობის ობიექტური სინამდვილიდან გამომდინარე, საკმაოდ რთულ ამოცანად რჩება და როგორც ჩანს ეს პრობლემა დარჩება ერთ-ერთ უმთავრეს წინააღმდეგობად გლობალიზაციის ხანაშიც.

სკეპტიკური მოსაზრებით, ჩვენი ურთიერთობა „უცხოსთან“, ანუ სხვა კულტურასთან, ეთნოსთან, ერთან, სახელმწიფოსთან მიმართებაში ფორმირდება საკუთარი უპირატესობის განცდის ნიადაგზე. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, ნაციონალიზმი თავისი არსით, თავისებური იზოლაციონიზმია და გამორიცხავს კულტურათა შორის დიალოგს, მაგრამ ამის საწინააღმდეგოდ შეიძლება ითქვას, რომ ეროვნულ გრძნობას აქვს ზნეობრივი დირექტულებები, თუ იგი საზღვრებშია მოქცეული და ზომიერია, თუ სხვა ერების (ეთნოსების) სიყვარულსა და პატივისცემას გულისხმობს (წერეთელი 2006: 51).

კულტურის სფეროში ეროვნული ინტერესი, უპირველეს ყოვლისა, ზემოთაღნიშნული მახასიათებლების შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაში უნდა მდგომარეობდეს. კულტუროლოგთა ენაზე ამ პროცესს თვითმყოფადობისა და თავისთავადობის შენარჩუნებას უწოდებენ და იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ე.წ. პატარა ერებისათვის.

გასულ საუკუნეში დაწყებულმა გლობალიზაციის პროცესმა სერიოზულად შეარყია მულტინაციონალური სამყაროს პოზიციები. თანამედროვე სამყაროში ნაციონალიზმი მსოფლიოს გლობალიზაციის პროცესისადმი საქმაოდ მგრძნობიარე აღმოჩნდა. რადგან კულტურის სფეროში ეროვნული ინტერესი, უპირველეს ყოვლისა, თვითმყოფადობისა და თავისთავადობის შენარჩუნებაში მდგომარეობს (ყველა აღნიშნული შენიშვნის გათვალისწინებით), ხოლო ნაციონალიზმი კი ამ ინტერესების პრევალირებას ნიშნავს, მაშასადამე ეს იდეოლოგია გულისხმობს აღნიშნულ პროცესებთან (დენაციონალიზაცია, კულტურული აგრესია) დაპირისპირებას.

ჩვენი შეხედულებით, ყოველივე ეს სულაც არ ნიშნავს წმინდა სამეცნიერო და ტექნიკურ ინოვაციებზე ან მსოფლიო კულტურის ცალკეულ მიღწევებზე უარის თქმას. აქ საუბარია წარსულთან, წინა თაობებთან უწყვეტი ჯაჭვის არსებობაზე, ანუ ეროვნული კულტურის მიერ ფორმით, შინაარსითა და სტატუსით ეთნიკური ხასიათის შენარჩუნებაზე, ხოლო მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესზე უარის თქმა უბრალოდ გამოიწვევს იმას, რომ ერს არ ექნება შესაბამისი ინსტრუმენტარი ამ სტატუსის შესანარჩუნებლად.

მაშასადამე, კულტურის დონეზე (სფეროში) ერის მიერ საკუთარი სტატუსის შენარჩუნება-განმტკიცება არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სხვა დონეებზე (უპირველეს ყოვლისა სამხედრო და ეკონომიკურ) სტატუსის შენარჩუნება-განმტკიცების პროცესს.

კაცობრიობის ერებად დაყოფა და ეროვნული იდენტობის გაუტეხავი სიცოცხლისუნარიანობა, მთელ მსოფლიოში, ერთდროულად საფრთხესაც შეიცავს და იმედსაც გვისახავს. (ე. სმითი, 2008: 224).

ჩვენდა საბედნიეროდ, ნაციონალური იდენტობა დღესდღეობით კვლავ რჩქად და არის კოლექტიური იდენტიფიკაციის მთავარი ფორმა.

თუ ერი-სახელმწიფო სწორად და გონივრულად მიიღებს გლობალურ ეკონომიკურ ცვლილებებს, შექმნის ეფექტურ ბაზას კაპიტალიზმის განვითარებისათვის და ამავე დროს საკუთარ კულტურასაც განავითარებს, მაშინ ერისა და სახელმწიფოს ინტერესებზე აგებული ეროვნული პოლიტიკა დიდი ალბათობით იქნება ჯანსაღი ერის არსებობის გარანტი. ჯანსაღი ერი თავის მხრივ ყოველთვის გახსნილი იქნება ურთიერთობისათვის, რაც თანდათანობით სტაბილურობასა და მშვიდობას დაამკვიდრებს მსოფლიოში. თუ ასეთი პერსპექტივა რეალურია, მაშინ ერი-სახელმწიფოს აქვს მომავალი და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეროვნული კულტურებში ნაციონალური იდენტობა და ნაციონალიზმი, როგორც კაცობრიობის მამოძრავებელი ერთ-ერთი ძირითადი ძალა, კვლავაც დარჩება წამყვან პოზიციებზე.

#### 4. პოსტინდუსტრიული ეპოქის საზოგადოების თავისებურებანი

**მოდერნის ეპოქის თავისებურებანი.** სიტყვა „მოდერნი“ ეტიმოლოგიურად თანამედროვეს ნიშნავს. ამ ტერმინით აისახება ის ახალი თვისობრიობა, რაც XIX-XX საუკუნეების სამყაროსათვის (პირველ რიგში, დასავლური სამყაროსათვის) გახდა დამახასიათებელი. ტერმინი „მოდერნიზაცია“ კი ცვლილებების პროცესს გულისხმობს, რომელთაც დასავლურ ცივილიზაციაში ტექნიკურმა პროგრესმა, ინდუსტრიის განვითარებამ და სოციალური თუ ბუნებრივი სამყაროს სხვადასხვა სფეროებში ცოდნის ზრდამ მისცა სტიმული. მოდერნიზმი, თანამედროვეობა, ანუ მოდერნის ეპოქა აღნიშნავს იმ სოციალურ სინამდვილეს, რომელშიც მოდერნი დამკვიდრდა მოდერნიზაციის შედეგად.

მოდერნიზაციის თეორიის მთავარი მტკიცებულება არის ის, რომ ინდუსტრიალიზაცია უკავშირდება სოციო-პოლიტიკური ცვლილებების თავისებურ პროცესს, რომელიც ყველგან გრცელდება: მიუხედავად იმისა, რომ

პრეინდუსტრიული საზოგადოებები უაღრესად მრავალფეროვანია, შესაძლოა დასაბუთებულად ვილაპარაკოთ „მოდერნული“ ან „ინდუსტრიული“ საზოგადოების მოდელზე, რომლის მიმართულებითაც ყველა ეს საზოგადოება მიისწრაფვის, რახან ის ინდუსტრიალიზაციის გზას დაადგა.

საზოგადოების თანდათანობითი ინდუსტრიალიზაციის პირობებში, ეკონომიკური განვითარებისა და ქალაქების აღმოცენების ფონზე პოლიტიკური აზროვნების შეცვლა გარდაუვალი იყო. სწორედ ამიტომ, თომას ჰობსი (1588-1679), ჯონ ლოკი (1632-1704) და ადამ სმიტი (1723-1790) თვლიდნენ, რომ საზოგადოება ინდივიდუებმა შექმნეს და ისინი მართავდნენ. შესაბამისად, ახალმა ისტორიულმა გარემოებებმა განაპირობა ის, რომ ახალი ტერმინები – ინდივიდის თავისუფლება და ინდივიდის უფლებები – მალევე დამკვიდრდა.

სოციოლოგის დამფუძნებელმა ოგიუსტ კონტა (1798-1857), განსაზღვრა მოდერნულობის, ანუ, ახალი სოციალური წესრიგის ძირითადი ნიშნები. ესენია: 1. სამუშაო ძალის კონცენტრირება ურბანისტულ ცენტრებში; 2. სამუშაოს ორგანიზაცია, რომელშიც წარმართველია ეფექტურობა და სარგებლიანობა; 3. მეცნიერების და ტექნოლოგიის გამოყენება წარმოებაში; 4. ფარული, ან ღია წინააღმდეგობის წარმოშობა დამქირავებლებსა და დაქირავებულებს შორის; 5. სოციალური კონტრასტების და არათანაბრობის ზრდა; 6. ეკონომიკური სისტემა, რომელიც დამყარებულია თავისუფალ წარმოებაზე და ღია შეჯიბრებაზე (კონტი 2003: 347).

კარლ მარქსის (1818-1883) მოდერნის მთავარ მახასიათებლად მიაჩნია კაპიტალისტური ეკონომიკა და, აქედან გამომდინარე სოციალური კლასი. ტრადიციულ-აგრარული და კაპიტალისტური საზოგადოებების დაპირისპირების თვალსაზრისით ვებერისეული ხედვა უპირატესობას იმ ფასეულობათა ხასიათში ხედავს, რომელიც მატერიალური სიკეთის დაგროვებასა და გაფართობაზეა ორიენტირებული.

მაქს ვებერის მიხედვით (ვებერი „პროტესტანტული ეთიკა და კაპიტალიზმის სული“), XIX საუკუნეში, ევროპულ საზოგადოებაში მიმდინარე დიდი გარდაქმნების შედეგად, დაიწყო ტრადიციული ევროპული საზოგადოების მოდერნულ საზოგადოებად გარდაქმნა. ანუ, მაქს ვებერის (1864-1920) სიტყვებით რომ ვთქვათ, „ტრადიციულ-აგრარული საზოგადოების კაპიტალისტური საზოგადოებით ჩანაცვლება“ (ნადარიძ 2010).

ტალკონტ პარსონსი მოდერნიზაციის პროცესის ანალიზისას თანამედროვე ტიპის საზოგადოებების აღმოცენებას უკავშირებს შემდეგ მაფორმირებელ

უნივერსალიებს: 1) ბიუროკრატიული ორგანიზაცია 2) ბაზარი და ფული 3) უნივერსალური სამართლებრივი სისტემა 4) დემოკრატიული მოდელით და მეთოდებით მიღებული გადაწყვეტილებები საზოგადო და კერძო სფეროებში (პარსონსი 1977: 182).

მოდერნისათვის დამახასიათებელი თვისებები აისახა სოციალური ცხოვრების ყველა სფეროში:

ეკონომიკაში – ახალი ტექნოლოგიებისა და კაპიტალის ზრდა, ბუნებრივი რესურსების ფართო ათვისება, მეურნეობის მეორეული და მესამეული სექტორის გაფართოება, შრომის ბაზრის განვითარება, მეწარმეთა ძლიერება და დაქირავებული შრომის გამოყენების კოლოსალური ზრდა. ეკონომიკური განვითარება უკავშირდება ცვლილებების სინდრომს, რომელიც მოიცავს არა მარტო ინდუსტრიალიზაციას, არამედ ასევე ურბანიზაციას, მასობრივ განათლებას, დასაქმების სპეციალიზებას, ბიუროკრატიზაციას და კომუნიკაციის განვითარებას, რომელიც, თავის მხრივ, უკავშირდება უფრო ფართო კულტურულ, სოციალურ და პოლიტიკურ ცვლილებებს.

სოციალურ სფეროში – სოციალურობის ადრინდელი, ასკრიპტული (წინასწარგანსაზღვრული) ტიპების და სოციალური კუთვნილების ზოგადი ტიპების შესუსტება. ძველი ტრადიციული კავშირების (მაგ. რელიგიური, ნათესაური) რღვევა და მათ ნაცვლად ახალი, საბაზრო ან პროფესიულ კრიტერიუმებზე დაფუძნებული კავშირების გაფართოება. თანდაყოლილი სტატუსის ჩანაცვლება მიღებული (მიღწეული) სტატუსით. სოციალური ცვლილებები, ისეთები როგორიცაა მობილურობა და ინდუსტრიალიზაცია, განაპირობებენ ინტელექტუალურ და სულიერ ცვლილებებს, რადგან ისინი უბიძგებენ ხალხს, დათმონ ძველი ჩვევები და რწმენები – რელიგია ან ტრადიციული მორალი – რომლებიც მიუღებელი ხდებიან, კარგავენ რა დამოუკიდებელ რაციონალურ საფუძველს, რაც გააჩნია მოდერნულობის ისეთ წარმოდგენებს როგორიცაა ინდივიდუალიზმი და ინსტრუმენტული აზროვნება (წერეთელი 2006: 18).

განვითარების ტრადიციული თეორიების მიხედვით, მოდერნიზაციას ავტომატურად მოჰყვება, ასევე ქალთა მდგომარეობისა და სტატუსის გაუმჯობესება (ხომერიკი 2006:41).

პოლიტიკის სფეროში – ცენტრალიზებული ეროვნული სახელმწიფოების ჩამოყალიბება, რომელთა ფარგლებშიც თავის მხრივ ყალიბდება საკუთარი ინტერესებისათვის მებრძოლი ელიტები და ჯგუფები. პერიფერიისთვის უფრო

ხელმისაწვდომი ხდება ხელისუფლება ცენტრში. შემოდის დემოკრატიზაციის ზოგიერთი ელემენტი. მოდერნიზაცია თავის მხრივ ბადებს ისეთ ტენდენციებს, როგორიცაა მასის პოლიტიკური აქტივობის ამაღლება. მოსახლეობის მაღალი ჩართულობა პოლიტიკურ ცხოვრებაში და ა. შ.

კულტურულ სფეროში – ხდება ღირებულებითი ორინტაციების შეცვლა, საზოგადოებრივი ცოდნის და განათლების სექულარიზაცია და პლურალიზაცია, მასმედიის განვითარება და იდეოლოგიური მრავალფეროვნება. პიროვნების თვითგამორკვევა და ინდივიდუალიზაცია. მოღვაწეობის პრაქტიკული და რაციონალური ფორმების გაფართოება, რომელშიც განმსაზღვრელი კრიტიკუმები არის არა სულიერი, მორალური ან ესთეტიკური მოსაზრებები, არამედ ეფექტურობა და სარგებელი.

კულტურაში არსებული გარკვეული ღირებულებები ხელს უწყობენ ეკონომიკური კაპიტალის დაგროვებასა და ინვესტირებას, რაც ქმნის ინდუსტრიალიზაციის შესაძლებლობას, ხოლო მკეთრად საპირისპირო გენდერული როლები, რომლებიც პრეინდუსტრიულ საზოგადოებებს ახასიათებენ, განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებებში თითქმის გარდაუგალად ადგილს უთმობენ სულ უფრო მსგავს გენდერულ როლებს.

მოდერნისტული საზოგადოების ძირითადი ნიშნებია:

- ინდუსტრიალიზაცია
- ურბანიზაციის მაღალი ხარისხი
- მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი
- თავისუფალი აზროვნების წარმოება
- კონსტიტუციონალიზმი
- ლიბერალური დემოკრატია
- ინდივიდუალიზმი
- სექულარიზმი
- რაციონალური აზროვნება

მოდერნიზაციის თეორიის წინააღმდეგობები შემდეგია:

1. პრაქტიკული წინააღმდეგობები: XX საუკუნის შუა წლების შემდეგ გაირკვა, რომ მოდერნიზაციას ხშირად არ მოაქვს ის შედეგები, რომელსაც ისახავდა მიზნად. მოდერნიზაციის არასასურველ შედეგებად მიჩნეული იყო ომები, ახალი ფუნდამენტალისტური რელიგიები, ნაციონალიზმის სხვადასხვა სახე, რეგიონალიზმის გაჩენა და სხვა. მრავალი შემფასებლის აზრით, ბევრი ქვეყნის პოლიტიკურ სფეროში მოდერნიზაციას განვითარება არ მოუტანია.

ტრადიციულობის და მოდერნულობის მკვეთრი განსხვავება დადგა ეჭვის ქვეშ. ახალი ქვეყნების მოდერნიზაციის დაწყებამ აჩვენა, თუ რა დიდი როლი აქვს ტრადიციას, როგორ შენარჩუნდება და ხანდახან როგორ ძლიერდება იგი მოდერნიზაციისას.

ასევე, ჩვენ ვერ გავიზიარებთ, მოდერნიზაციის ისეთ ხედვას, რომელიც მას ვესტერნიზაციასთან აიგივებს. ისტორიის ერთ-ერთ მომენტში მოდერნიზაცია იყო თავმოყრილი დასავლეთში, მაგრამ დღეს აშკარაა, რომ პროცესი გლობალურია.

ვესტერნიზაციის კერძო სახედ შეიძლება განვიხილოთ ამერიკანიზაციაც. მოდერნიზაციის თეორეტიკოსები მოდერნში დასავლეთის და კერძოდ ამერიკის განსაკუთრებულ მიღწევებს უსვამდნენ ხაზს და მიაჩნდათ, რომ დანარჩენი მსოფლიოც ამ მიმართულებით უნდა წასულიყო განვითარების გზაზე. სწორედ ამ მიღგომამ გამოიწვია აღმოსავლეთის კულტურების პროტესტი, რომელთაც საკუთარი და საკმაოდ არგუმენტირებული პოზიცია აქვთ, რატომ არ უნდა მოიხვიონ თავზე დასავლური კოგნიტური სტილი.

ამ დასკვნებმა, მსოფლიო სამეცნიერო ლიტერატურაში გამოიწვია მოდერნიზაციის პროცესის არსის გადახედვა. ასეთი გააზრების ერთგვარ კატეგორიული ფორმულირებაა ს. ჰანთინგტონს ეკუთვნის: „მოდერნიზაცია აუცილებლად არ ნიშნავს ვესტერნიზაციას. არადასავლური საზოგადოებებმა შესაძლოა განიცადონ მოდერნიზაცია ისე, რომ უარი არ თქვან საკუთარ კულტურაზე, არ მიიღონ დასავლური დირებულებები, ინსტიტუტები და ქცევის ფორმები. სინამდვილეში მოდერნიზაცია აძლიერებს ამ კულტურებს და იწვევს დასავლეთის შედარებით დასუსტებას. შეიძლება ითქვას, რომ სამყარო სულ უფრო და უფრო მოდერნიზებული და ნაკლებად დასავლური ხდება“ (წერეთელი 2006: 14-15).

მოდერნიზაციის სუბიექტებად უპირველეს ყოვლისა სახელმწიფოები მიიჩნეოდნენ, უფრო სწორედ კი პოლიტიკური რეჟიმები. შესაბამისად, პოლიტიკის სფერო განმსაზღვრელად ითვლებოდა ეკონომიკასთან და პოლიტიკასთან შედარებით. მაგრამ გარდაქმნებმა რაც უფრო ფართოდ მოიცვეს სოციალური რეგულაციის სხვადასხვა სფერო, მით უფრო მკაფიოდ გამოიკვეთა საკუთრივ კულტურული კანონზომიერებებისა და სოციალური რეგულაციის სპეციფიკის განსაკუთრებული მნიშვნელობა.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ტრადიციული კულტურებისთვის სეკულარიზაცია, უტილიტარიზმი და

რაციონალიზმი, ყოველთვის არ იყო ეფექტური, თუნდაც მოდერნიზაციის გზაზე. ამ კულტურებში გაცილებით უფრო ეფექტური აღმოჩნდა საწარმოო ურთიერთობებში ტრადიციულ კავშირებზე დაყრდნობა, ვიდრე ინდივიდუალიზაცია, რომელიც უფრო მეტად საზოგადოების დესტრუქციის მიზეზი ხდებოდა.

ჩვენი შეხედულებით, გლობალიზაციამ მოდერნი უკვე გაავრცელა არადასავლურ საზოგადოებებში, თუმცა, ცხადია სხვადასხვა ხარისხით. შეიძლება სადაცო იყოს, თავსმოხვეულია ეს მოვლენა მათვის თუ ბუნებრივი, მაგრამ თავად მოვლენის ფაქტობრიობა ეჭვს აღარ იწვევს.

ბოლო სამი ათწლეულის მანძილზე მოდერნიზაციის პროცესში ნაციონალური და ცივილიზაციური თვითმყოფადობის შენარჩუნების პრინციპი საბოლოოდ დამკვიდრდა სამეცნიერო ლიტერატურაში. ადრეული საუკუნეებიდან დღემდე არსებული ცვლილებები ჩვენ შეგვიძლია ავსნათ რაღაც „განვითარების“ მსგავსით – როგორც ტრადიციული საზოგადოების დასასრული და მოდერნის დასაწყისი (წერეთელი 2006: 16).

ჩვენი აზრით, თეორეტიკოსთა შორის ყველაზე სადაცო მოდერნის ეპოქის საზღვრების დადგენა. უან ბოდრიარი, ფრედერიკ ჯეიმსონი, ანდრეი ბელი, მიიჩნევენ, რომ მოდერნის ეპოქა უკვე შეიცვალა პოსტმოდერნით. განსხვავებულ პოზიციაზე ისეთი მნიშვნელოვანი თეორეტიკოსი როგორიცაა ენტონი გიდენსი, ასევე ზიგმუნდ ბაუმანი. გიდენსის შეხედულებით, თანამედროვე ცხოვრებაში არაფერი შეცვლილა თვისობრივად და კაცობრიობა იგივე პრინციპებისა და კანონზომირების მიხედვით ცხოვრობს, რომელთაც წინა საუკუნეებში მისდევდა. მთავარი არგუმენტი, კი, რასაც გიდენსი თანამედროვეობის მოდერნულობის დასამტკიცებლად იყენებს - ფორმალური რაციონალიზმია.

ფორმალური რაციონალიზმი ოთხი განზომილებით ხასიათდება:

- ეფექტურობა
- პროგნოზირება
- აქცენტი რაოდენობაზე და არა ხარისხზე
- კონტროლი ადამიანური ტექნოლოგიების უნიფიცირებული ოპერაციებით ჩანაცვლების გზით.

ეს ოთხივე განზომილება სახეზეა დღევანდელ ცხოვრებაში და კაცობრიობას აიძულებს საკუთარი ცხოვრება ფორმალური რაციონალიზმის ჭრილში წარმართოს. აქედან გამომდინარე, ენტონი გიდენსი ამტკიცებს, რომ კაცობრიობა

ისევ მოდერნის ეპოქაში ცხოვრობს. ის შევიდა მაღალი მოდერნის ფაზაში, მაგრამ არამც და არამც პოსტმოდერნში.

გიგი თევზაძე თავის ნაშრომში „ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგია“, „მოდერნულობის“ და „თანამედროვეობის“ ცნებებს აცალკავებს და განსხავებული მნიშვნელობით იყენებს. „მოდერნულობა“ შეესაბამება ტერმინს „Modernity“ და ადნიშნავს კაცობრიობის ისტორიის განსაზღვრულ პერიოდს შუა საუკუნეების და აღორძინების შემდეგ. „თანამედროვეობა“ შეესაბამება ტერმინს „Contemporarity“ და ნიშნავს ახლანდელ ან ცოტა ხნის წინანდელ და ახლანდელ სოციალურ მდგომარეობას. „თანამედროვეობის“ ტერმინის შემოტანა გახდა საჭირო, რადგან სოციოლოგიაში და სოციალურ თეორიაში XX საუკუნის პირველი ნახევრის შემდეგ მოდერნულობის და მისი შემდგომი დროების განსხვავება და მათი ორ დამოუკიდებელ სოციალურ და ინტელექტუალურ ფენომენად დაფიქსირება ერთ-ერთი ცენტრალური დისკურსია (თევზაძე 2002:3).

გიდენსის აზრით, პოსტმოდერნი იქნება აზროვნების ის სივრცე, რომელიც ფორმალურ რაციონალიზმს დაამარცხებს და ყოველდღიურობაში დააბრუნებს არამატერიალურ ღირებულებებს. ზიგმუნდ ბაუმანიც, გიდენსის მსგავსად, დღევანდელობას განიხილავს მოდერნულად. ბაუმანს და გიდენს პოსტმოდერნის ეპოქა წარმოუდგენიათ მოდერნთან დაპირისპირებულ მოცემულობად, რომელმაც საპირისპირო ლოგიკით უნდა შეცვალოს მოდერნის ლოგიკა, შეავსოს ის სიცარიელე, რომელიც მოდერნში განიცადა ადამიანურობამ და გადალახოს ადამიანთა გაუცხოება ცხოვრების საზრისისასაგან. ხოლო, სანამ კაცობრიობა ამ სააზროვნო სივრცეში არ შევა, მანამადე ის მოდერნის ეპოქაში განაგრძობს არსებობას.

### **პოსტინდუსტრიული ეპოქის საზოგადოების თავისებურებანი**

მეოცე საუკუნის დასასრულის და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში მსოფლიო განიცდის გლობალურ გარდასახვებს, თავის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე სწრაფ და იშვიათი სახის რევოლუციურ ცვლილებას, რომელიც ხასიათდება „მატერიალისტური კულტურის“ ტრანსფორმაციით. ეს ტრანსფორმაცია კი მიმდინარეობს ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ახალი ტექნოლოგიური პარადიგმების მიხედვით.

გლობალური საკომუნიკაციო სისტემების დანერგვა ყოველდღიურობაში მოასწავებს ახალი ეპოქის დადგომას, რომელშიც ძალაუფლება, როგორც ამტკიცებენ მკვლევარები ვრცელდება სიმდიდრის, ინფორმაციისა და იმიჯის

გლობალური ქსელების საშუალებით. ახალი ძალაუფლება გამომდინარეობს ინფორმაციული კოდებიდან, წარმომადგენლობითი იმიჯებიდან, რომლის საფუძველზეც საზოგადოება საკუთარი ინსტიტუტების ორგანიზებას ახდენს (ინოზემცოვი 1999: 305).

ალექსანდრე ფედოტოვის აზრით, „თანამედროვე მსოფლიოს რეკონსტრუქციის პროცესი, ერთგვარად, ატარებს რადიკალურ, ინტელექტუალური რევოლუციის ხასიათს“ (ფედოტოვი 2002 : 224).

ჟან ფრანსუა ლიოტარი თავის ერთ-ერთ ნაშრომში „პოსტმოდერნული მდგომარეობა“ აღნიშნავს, რომ იცვლება შემეცნებასთან ცოდნის მიმწოდებლებისა და მომხმარებლების დამოკიდებულება და ეს მიმართება ისეთ სახეს მიიღებს, როგორიც საქონლის მწარმოებლებსა და მომხმარელებს აქვთ თვითონ საქონელთან, ანუ ცოდნის წარმოება ხდება და მომავალშიც მოხდება მის გასაყიდად. შესაბამისად, შემეცნებანი, იმის ნაცვლად, რომ ისინი მათი „საგანმანათლებლო“ ფასეულობის წყალობით ვრცელდებოდნენ, იმ ქსელებით შევლენ მიმოქცევაში, რა ქსელებითაც ფული მიმოიქცევა, და მაშინ ცოდნასა და არცოდნას შორის განსხვავება კი აღარ იქნება მართებული, არამედ სწორი იქნება, რომ ერთმანეთისაგან განვასხვავოთ „ინგესტირებადი“ და „ანაზღაურებადი შემეცნებანი“. აქედან გამომდინარე, ფრანსუა ლიოტარი თვლის, რომ „თანამედროვე პოსტინდუსტრიული ეპოქის საზოგადოებაში, ცოდნა აღარ განეკუთვნება გონების, სულიერების ან პიროვნების განვითარების კატეგორიას, იგი გადაიქცა კონკრეტული მიკუთვნებულობის არმქონე ინფორმაციად, რომელიც „ითარგმება“ მანქანების ენაზე, ხოლო შემდეგ თავს იყრის ინფორმაციის ბანქში და ხდება გაყიდვადი“ (ლიოტარი 1998: 158).

დანიელ ბელი პოსტინდუსტრიალიზმს განიხილავს პოლიტიკურად მემარჯვენე პოზიციიდან, ხოლო ალენ ტურენი მემარცხენე პოზიციიდან.

ალენ ტურენის მიხედვით, პოსტინდუსტრიული საზოგადოების ფორმირების პროცესში, წარმოიშვა ახალი პოსტ ინდუსტრიული ცოდნის კლასი, რომელიც საზოგადოებაში ატარებს ინოვაციის ძირითად პასუხისმგებლობას და რომელსაც აქედან გამომდინარე ხელში უჭირავს მნიშვნელოვანი ძალაუფლება; თუმცა შედარებით ნაკლებად არის შეზღუდული წარმოების ურთიერთობებით და ამიტომ მომავალში იქნება უფრო რადიკალური, ვიდრე ძველი ინდუსტრიული პროლეტარიატი.

დანიელ ბელი გამოყოფს ინდუსტრიულ საზოგადოებაში მომხდარ ხუთ (პოსტინდუსტრიალიზმის ცნება, როგორც წესი, ასოცირდება დანიელ ბელის

ნააზრევთან) ძირითად ცვლილებას: 1) პოსტფორდისტული წარმოების ტექნიკა; 2) ახალი და გაფართოებული პროცესიული და ტექნიკური კლასის წარმოშობა; 3) უფრო მეტი თეორიული ცოდნის გამოყენება როგორც პოლიტიკისა და ინოვაციის საფუძველი; 4) ზრდადი ორიენტაცია მომავალზე ტექნოლოგიების მართვის დროს; 5) ორგანიზაციული და ინფორმაციული თეორიის მზარდი ნდობა (ასათიანი 2006: 64).

თომას ფრიდმანი ამბობს: „ჩემი დასკვნები საზოგადოების ინფორმატიზაციის უწყვეტ პროცესთან მიმართებით, რომელიც საზოგადოების განვითარების ობიექტური ფაქტორებით არის განპირობებული“, იგი პარალელს ავლებს დანიელ ბელის, ჯანი ვატიმოს და მარკ პოსტერის მეცნიერულ შეხედულებებთან და აღნიშნავს, რომ „აღნიშნული საკითხისადმი განსხვავებული მიდგომების მიუხედავად, ყველა მათგანი აღიარებს პრინციპულად ახალი ტიპის საზოგადოების აღმოცენებას, რომელიც შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ინფორმაციული საზოგადოება, ასევე პოსტთანამედროვეობა და მოქნილი სპეციალიზაციის ეპოქა“ (ფრიდმანი 2000: 383).

გიდენსისთვის და ბეკისთვის ნორმატიულ პროექტს, რომელიც რეფლექსური მოდერნიზაციის თეორიიდან გამომდინარეობს აქვს მძაფრი მოთხოვნილების ფორმა. მათი შეხედულებით, პოსტ-ტრადიციულ საზოგადოებაში იშლება ყველა ერთ დროს მყარი პარამეტრი, რომელიც არსებობდა საზოგადოებასა და ბუნებას შორის ურთიერთობაში, ოჯახის სტრუქტურაში, რწმენასა და კლასობრივ ცნობიერებაში. ამ პროცესს თან სდევს ინდივიდუალიზაცია, რომელიც რისკის კულტურაში თითქმის აუცილებლობის სახე აქვს.

პოსტიუნდუსტრიული საზოგადოებაში ინდივიდები და ჯგუფები მეტნაკლებად იძულებულები არიან, რომ ძლიერი პოზიცია დაიკავონ საკუთარი ცხოვრების ხარისხის მიმართ. იმდენად რამდენადაც ცხოვრების ხარისხს შეიძლება გლობალური საფრთხე დაემუქროს, თვითონ ამ პოზიციაც გლობალური ხასიათი ეძლევა. აუცილებლობიდან გამომდინარე ჩვენ გავიარეთ პრივატულობის ეტაპი და რთულია თავი ავაცილოთ აქტიურ პოლიტიკურ ჩართულობას. ამასთან, ბაჟმანისგან განსხვავებით, ბეკი პოსტთანამედროვე საზოგადოებას წარმოგვიდგენს როგორც თანამედროვე საზოგადოებისგან თვისებრივად განსხვავებულს (ასათიანი 2006: 70).

სხვადასხვა სოციალური გამოკვლევები საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, რომ ინფორმაციული ეპოქის პირობებში ისტორიულ ტენდენციას მივყავარ

იქამდე, რომ დომინირებული ფუნქციები და პროცესები უფრო და უფრო მეტად ხდებიან ორგანიზებულები ქსელური პრინციპის მიერ, რადგანაც სწორედ ქსელი წარმოადგენს ჩვენი საზოგადოების ახალ სოციალურ მორფოლოგიას. „ქსელური ლოგიკის“ გავრცელება გარკვეულწილად აისახება იმ პროცესების შედეგებსა და მიმდინარეობაში, რომლებიც დაკავშირებულია წარმოებასთან, ყოველდღიურ ცხოვრებასთან, კულტურასთან და ძალაუფლებასთან.

მანუელ კასტელსის ნაშრომებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ „ინფორმაციული ეპოქა“ ახალი საზოგადოების წარმოქმნას მოასწავებს, რომელიც ქსელთა გაშლისა და გაფართოების წყალობით წარმოშობა (ქსელები კი უზრუნველყოფილია ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიებით) და რომელშიც პრიორიტეტული მნიშვნელობა ინფორმაციულ ნაკადებს აქვს.

მანუელ კასტელსი ხაზგასმულად აღნიშნავს, რომ „კაპიტალიზმი კვლავაც აგრძელებს თავის არსებობას და რომ იგი საშიში გახდა, უფრო ძლიერ განმტკიცდა ვიდრე ოდესმე“ („მანუელ კასტელსი“ – ფრენკ უბსტერის მიხედვით 2010).

ჩვენი წარმოდგენით, ტერმინი კაპიტალიზმი, გვაძლევს იმის დანახვის შესაძლებლობას, რომ თანამედროვე ეტაპზე კვლავაც პრევალირებს ეკონომიკური ურთიერთობების ჩვეული ფორმები: მოგებისადმი სწრაფვა, კერძო საკუთრება, საბაზრო ეკონომიკის პრინციპები და ა. შ. მაგრამ, მერე მხრივ, (მანუელ კასტელსის მიხედვით) „ინფორმაციონალური კაპიტალიზმი“ – კაპიტალიზმის განსაკუთრებით უმოწყალო ფორმაა, რამდენადაც იგი თავის თავში აერთიანებს არნახულ მოქნილობას გლობალურ არსებობასთან (რაც წინამორბედ კაპიტალისტურ ეპოქებში არ შეიმჩნეოდა) ქსელური კავშირების წყალობით.

კასტელსის აღიარებით, ჩვენს დროში კაპიტალიზმი წამყვან როლს თამაშობს, რაც ჩვენი აზრით, იმას ნიშნავს, რომ ადრინდელი ურთიერთობები გრძელდება და ფართოვდება კიდეც. ამავე დროს, კასტელსის კონცეფციის მიხედვით, ფუნდამენტური ცვლილებები ხდება „ქსელური საზოგადოების“ დადგომა-წარმოქმნის გამო და რომ ეს ქსელები მომავალი სოციალური ორგანიზაციის აუცილებელ წინამდევრებს წარმოადგენენ.

კასტელსი ასაბუთებს, რომ „ჩვენ განვიცდით „ინფორმაციულ ეპოქაში“ გადასვლას, რომლის მთავარი ნიშანი ხდება ქსელი, რომელიც თავის მხრივ ერთმანეთს შორის აკავშირებს ადამიანებს, ინსტიტუციებს და სახელმწიფოს. ეს მრავალ შედეგს იწვევს, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი არის მზარდ

გლობალურ საქმიანობასა და გამწვავებულ სოციალურ დაყოფას შორის განხენთქილების „შესაძლო გადრმავება“ („მანუალ კასტელსი“ – ფრენა უებსტერის მიხედვით 2010).

ამ თვალსაზრისით, ჩვენთვის ყურადსაღებია ინფორმაციული გაოქის პირობებში არსებული წესები, რომლებითაც გლობალიზაცია ადამიანთა ინტეგრაციას აძლიერებს და ასევე, სხვა პროცესებიც, კურძოდ, მასთან დაკავშირებული ფრაგმენტაცია და დეზიგნირენტაცია.

იმისათვის, რომ ნათელი გახდეს, თუ რამდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობს ქსელური კულტურა ინფორმაციული საუკუნის საზოგადოებაში, პირველ რიგში უნდა გავარკვიოთ ქსელური კულტურის არსი.

ჩვენი შეხედულებით, ეს უკანასკნელი წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული კვანძების კომპლექსს, რომელთაგან თითოეულის შემადგენლობა დამოკიდებულია იმ კონკრეტული ქსელის სტრუქტურაზე, რომელზეც არის საუბარი.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქსელი თავისთავად წარმოადგენს დია სტრუქტურას, რომელსაც უსასრულოდ შეუძლია გამსხვილება სხვა, ახალი კვანძების ჩართვით. სოციალური სტრუქტურა, რომელსაც აქვს ქსელური საფუძველი, ახასიათებს მაღალი დინამიურობა და გახსნილია ინოვაციურობისადმი, ბალანსირებულია და ამ ბალანსირებულობას არაფერი ემუქრება. ქსელი არის ინსტიტუტი, რომელიც ხელს უწყობს მთელ რიგ სფეროებს განვითარებაში, მაგალითად, ესენია: კაპიტალისტური ეკონომიკა, რომელიც დაფუძნებულია ინოვაციაზე, გლობალიზაციაზე და დეცენტრალიზებულ კონცენტრაციაზე; პოლიტიკის სფერო, რომელიც ორიენტირებულია ახალი ფასეულობების მომენტალურ ათვისებასა და საზოგადოებაზე ზეგავლენის მოხდენაზე; სოციალური ორგანიზაცია, რომლის ამოცანაა დროის განადგურება. ამავდროულად ქსელის მორფოლოგია წარმოადგენს გარდაქმნათა წყაროს ხელისუფლებასთან მიმართებაში.

კვანძის შეერთება ქსელთან (მაგალითად, როდესაც ამა თუ იმ იმპერიის ფინანსური სტრუქტურების კონტროლქვეშ ექცევა ინფორმაციული საშუალებები, რომლებიც, თავის მხრივ, ზეგავლენას ახდენენ პოლიტიკურ პროცესებზე) წარმოგვიდგება როგორც საშუალება, იარაღი ძალაუფლების განხორციელებისათვის რჩეულთა ხელში, ვინც ამ „იარაღს“ ფლობს სწორედ მის ხელშია ძალაუფლება და სწორედ ის უზრუნველყოფს საზოგადოების სახის ფორმირებას ხელისუფლებასთან შეთანხმებით, მის პარალელურად.

მატერიალური ბაზისი, რომელზეც დაფუძნებულია ყველა ქსელი, წარმოადგენს დომინირებული სოციალური პროცესების განუყოფელ ატრიბუტს და თავის მხრივ განსაზღვრავს თვით ამ სოციალურ სტრუქტურას.

დღეს, ცოდნა წარმოებითი საქმიანობის განმსაზღვრელი პირობაა. ისეთი ტრადიციული „წარმოებითი ფაქტორები“ როგორიცაა ბუნებრივი რესურსები, შრომითი ძალა და კაპიტალი – არ გამქრალა, მაგრამ მეორესარისხოვანი მნიშვნელობა შეიძინა. ამ რესურსების მიღება და წარმოების ეფექტური შედეგიანობა თანამედროვე ეტაპზე შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ აუცილებელი ცოდნის ფლობის საფუძველზე. ზემოთაღნიშნული პრინციპების პრაქტიკაში დანერგვამ ობიექტურად გააჩინა წინაპირობები და გამოიწვია წარმოებითი რევოლუციიდან თვისობრივად ახალ ეტაპზე გადასვლა, რომელსაც შეიძლება ვუწოდოთ „რევოლუცია მართვის სფეროში“. საზოგადოებაში, რომელიც ცოდნაზეა დამყარებული – მართვის სფეროს განსაკუთრებული როლი მიეკუთვნა, რადგან ცოდნის გარდაქმნა ახალ ცოდნად და მისი სისტემატიზირება და ეფექტური გამოყენება წარმოუდგენელია მენეჯმენტის გარეშე.

პიტერ დრაკერის შეხედულებით (დღეს „მენეჯმენტი“ ნიშნავს არა მხოლოდ წარმოებით-კომერციული საქმიანობის მართვას, არამედ მართვას არაკომერციული ორგანიზაციების პირობებშიც), ბაზრის გლობალიზაცია წინა პლანზე აყენებს ინფორმაციის პრობლემას, ვინაიდან მთელს მსოფლიოში გადანაწილებულმა მარკეტინგულმა სტრატეგიამ და წარმოებამ შეიძლება იარსებოს მხოლოდ სრულყოფილი მომსახურების პირობებში. წარმოების გლობალიზაცია თავის მხრივ იწვევს, როგორც ამას დიკენი უწოდებს „ინფორმაციული საქმიანობის“ ზრდას, რომელიც წარმოების სხვადასხვა ნაწილებს ერთ მთლიანში აერთიანებს, ანუ ერთ-ერთი მთავარი პირობა წარმოების გლობალიზაციისა გახდა ინფორმაციული მომსახურების გლობალიზაცია, მაგალითად: რეკლამა, საბანკო საქმე, თავდაცვა, საკონსულტაციო მომსახურება და სხვა, რომლებიც შეადგენენ კიდეც „ახალ გლობალურ ინფრასტრუქტურას. მთელ მსოფლიოში, გლობალური საკომუნიკაციო სისტემების არსებობის პირობებში, ურთიერთკავშირები გარდაიქმნება ელექტრონულ სიგნალებად, რომელიც სინათლის სისტრაფით მოძრაობს. სამომხმარებლო მოთხოვნილებათა სტანდარტიზაცია და მეორე მხრივ პორტუგალის ექსპლუზიური ხასიათი გზას უხსნის წარმოებით პროდუქციას მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში. ამასთან, ინტელექტუალური და

ფინანსური კაპიტალი შეიძლება გამოვიდეს ნებისმიერი წყაროდან და ელგისისწრაფით გავრცელდეს გლობალური მასშტაბით. აქაც, რა თქმა უნდა, ინფორმაცია თამაშობს უმნიშვნელოვანეს როლს, უფრო მეტი, მხოლოდ გლობალური კომუნიკაციური სისტემის არსებობის პირობებში არის შესაძლებელი მსგავსი ტრანს-გლობალური ურთიერთკავშირები. ტრანსნაციონალური კორპორაციები სულ უფრო ხშირად ანთავსებენ თავიანთ ოფისებს, არა მარტო ქვეყნის, არამედ მსოფლიოს სხვადასვა ნაწილში (მათი სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე) და დიდ ხანია გასცილდნენ ერი-სახელმწიფოების ჩარჩოებს. გლობალიზაციის შეუბრალებელი ლოგიკა საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებისაკენ უბიძგებს კორპორაციებს (გურიის 1986:100-101).

ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტურად წარმოებისათვის ინფორმაციის მნიშვნელობის ზრდის ტენდენციასთან ერთად, განსაკუთრებული როლი ენიჭება ორგანიზაციის ურთიერთობას საზოგადოებასთან. საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში, ათწლეულების მანძილზე ფორმირდებოდა და იხვეწებოდა „საზოგადოებასთან ურთიერთობაზე სპეციალიზირებული სამსახურები“ (**Publik Relations**) - გაჩნდა შუამავალი რგოლები, ორგანიზაციის ქვეუწყებები (ასევე, დამოუკიდებელი კერძო სამსახურები), რომელთა პირდაპირ ფუნქციას წარმოადგენდა ურთიერთობების რეგულირება და კეთილგანწყობილი პოზიციების ფორმირება/შენარჩუნება დამქირავებელსა და დაქირავებულებს შორის. „საზოგადოებასთან ურთიერთობის“ სპეციალური სამსახურები, ორგანიზაციის მიზნებიდან გამომდინარე შეიმუშავებდნენ და დღესაც შეიმუშავებენ ეფექტური თანამშრომლობის კონცეფციებს, როგორც შიდა, ასევე, გარე საზოგადოებრიობასთან მიმართებით (მარლია 2006 :83).

ჩვენი შეხედულებით, სამომხმარებლო ბაზარზე წარმატების მისაღწევად, თანამედროვე კომერციული თუ არა კომერციული საქმიანობის ეფექტურად წარმოება მნიშვნელოვანწილად დამოკიდებულია ორაგანიზაციის მოდვაწეობის, მიმდინარე თუ სამომავლო გეგმების შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობის დონეზე.

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვისაუბროთ იმაზე, რომ ახალი ეკონომიკური ფორმები შენდება გლობალური ქსელური კაპიტალის სტრუქტურის ირგვლივ და ამ ქსელების მეშვეობით განხორციელებული ტექნოლოგიური ცოდნები დღესდღეობით გვაძლევს კონკურენტუნარიანობისა და წარმოების საფუძველს. მაგალითად, იმისათვის, რომ ფინანსური კაპიტალი

კარგად მუშაობდეს და იყოს კონკურენტუნარიანი, იგი უნდა ეფუძნებოდეს ცოდნასა და ინფორმაციას, რომელიც უზრუნველყოფილი და გავრცელებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების საშუალებით. კაპიტალი, რომელსაც განკარგავენ მხოლოდ ინტუიციით, ყოველთვის საფრთხის ქვეშ არის და საბოლოო ჯამში განადგურდება ბაზრის ნებისმიერი, თუნდაც ელემენტარული ფინანსური მერყეობის პირობებშიც კი. მისი დაგროვების პროცესი მდგომარეობს შესაბამის ფირმებში სახსრების სარფიან განთავსებაში და მიღებული მოგების სარგებლიანად გამოყენებაში გლობალური ფინანსური ქსელების პირობებში. ტომას სტიუარტის თქმით: „ინტელექტუალური კომპანია რომელიც ინფორმაციულ დინებებში „ლავირებს“ გაცილებით უფრო მოქნილი და მობილურია (სტიუარტი 1996:2). ამგვარად, კაპიტალის დაგროვება დამოკიდებულია წარმოების უნარიანობაზე, კონკურენტუნარიანობაზე, ინვესტიციებთან დაკავშირებული ინფორმაციების მოპოვებაზე (და ა.შ.) ეკონომიკის ნებისმიერ სექტორში. ფირმები, რომლებიც ორიენტირებულნი არიან მაღალ ტექნოლოგიებზე, ემყარებიან ფინანსურ საშუალებებს, რის გარეშეც მათ არ შეუძლიათ ინოვაციების ძიება და რაც, თავისმხრივ, უზრუნველყოფს მწარმოებლურობასა და კონკურენტუნარიანობას. ფინანსური კაპიტალი, რომელიც მოქმედებს საბანკო ინსტიტუტების ან უშუალოდ ფონდების ბაზრების დინამიკით, განსაზღვრავს მაღალტექნოლოგიურ წარმოებასა და ცოდნას. მეორე შერივ, ტექნოლოგიები და ცოდნა გამოდიან განმსაზღვრელ საშუალებებად, რომლებიც უზრუნველყოფენ მოგების მიღებასა და ბაზრების დაპყრობას.

ჩვენთვის ძალზედ მნიშვნელოვანია იმ გარემოების ხაზგასმულად აღნიშვნა, რომ კაპიტალიზმს არ გააჩნია იმის მტკიცებულება, რომ მიაღწევს გარკვეულ მთავარ მიზანს – წარმოების მაქსიმალურ ზრდას და მოსახლეობის მაღალ შემოსავლებს. თუმცა, მას აქვს პრეტენზია, რომ ის სისტემაა, რომელსაც ძალუს მაქსიმალურად უზრუნველყოს ინდივიდუალური ადამიანური მოთხოვნილებების დაქმაყოფილება (აქვე აღვნიშნოთ, რომ ინფორმაციული ეპოქის მახასიათებლებმა უკვე გამოიწვია მეტ-ნაკლები ცვლილება კაპიტალიზმის ეკონომიკური სისტემის ბუნებაში).

მომსახურეობით დაკავებული კლასის წარმოშობის პარალელურად, უპრეცედენტო კოლექტიურმა მობილობამ განაპირობა უმრავლესობის ჩართვა ინდუსტრიულ საზოგადოებაში; მომხდარმა ცვლილებებმა უმრავლესობას შესძინა მატერიალური ინტერესები, რომლებიც განსაკუთრებით მზარდ

მომხმარებლობაში (კონტუმერიზმში) გამოიხატა და შესაბამისად შეამცირა მათი იდეოლოგიური დაპირისპირებანი და უტოპიური ხედვები.

ჩვენ შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ადამიანი წარსულში უფრო ეფექტური და ადამიანური იყო და შეუძლია გახდეს უფრო ეფექტური და ადამიანური მომავალში თუ ჩავუნერგავთ სწორ სოციალურ დირებულებებს.

ეს მტკიცებულება შეიძლება მართებულია, მაგრამ არავინ იცის როგორ მიაღწიოს ამას, რა არის სწორი დირებულებები და როგორ შევძლებთ გადავიდეთ ამ საზრისის ერთობლივ გაგებაზე. დღევანდელობის თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ დირებულებები დღეს ინერგება და დაინერგება ხვალ, არა ოჯახის, ეკლესიის ან სხვა რომელიმე საზოგადოებრივი ინსტიტუტების საშუალებით არამედ, მათი აღქმა და თავსმოხვევა ხდება ტელევიზიების, ინტერნეტ სოციალური ქსელების და სხვა მასობრივი ინფორმაციის ელექტრონული საშუალებებით.

მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ ინფორმაციულ საზოგადოებაში ნებისმიერი ადამიანის წარმატება-წარუმატებლობა გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად კარგად ადაპტირებს ინფორმაციულ ნაკადებში. რანდენად ფლობს ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების, ანალიზის, ოპტიმალური გამოსავალის მიზნების, ოპერატიულ რეჟიმში გადაწყვეტილების მიღების და მისი პრაქტიკაში გამოყენების უნარს.

ჟან ფრანსუა ლიოტარი მიიჩნევს, რომ მოთხოვნა ექსპერტებზე მოწინავე სექტორებში დღითიდღე იზრდება და აქედან გამომდინარე უმაღლესი განათლება უფრო მეტად ფუნქციონალური და სპეციალიზირებული ხდება (ლიოტარი 1998:165).

ზოგიერთი მკვლევარის აზრით, ინფორმაციული ეპოქის პირობებში ადამიანი უფრო კარგად აცნობიერებს თავის ინდივიდუალურ შესაძლებლობებს და შესაძლებლობებს რომელიც კონკრეტული გარემოებიდან გამომდინარეობს (სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ პირიქით, შესაძლებელია ინფორმაციული ნაკადების დინებაში მოქცეული ადამიანი დეზორინგირებული იქნეს).

ომარ შუდრას განცხადებით, „იცვლება რა ცოდნის მთელი სისტემა, ახალი ცოდნის გამოდევნებაში ჩვენ უნებურად გვემუქრება მუდმივი ინფორმაციული ჩამორჩენა. შეუძლებელია ადამიანს ისეთი განათლება მისცე, რომ საკმარისი იყოს მთელი ცხოვრება, ამიტომ ნამდვილად უკეთესია, თუ ასწავლი, როგორ ისწავლოს მთელი ცხოვრება“ (შუდრა 2009:3).

მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში ინტელექტუალურ სივრცეში გამოჩნდა განსხვავებული აღწერები, რომელთა საერთო ნიშანია იმის განცხადება, რომ მოდერნულობისათვის ტრადიციული და დამახასიათებელი ძირითადი ელემენტები ჩანაცვლებულია ახალი განზომილებებით. მაგალითად, ფუკო მიხედვით, დისკურსიული ფორმაციები ანაცვლებენ წარმოების ფორმებს. ბურდიეს მიხედვით, ეკონომიკური ტიპის კაპიტალი ჩანაცვლებულია კულტურული კაპიტალით. ლიოტარი ამბობს, რომ დიდი ნარატივების გაქრობის და უმუშევრობის ფონზე რაციონალიზმი ქრება დიდ ნარატივებთან ერთად და მხოლოდ ჯანყი რჩება განმსაზღვრელი და დომინანტი. ბოდრიარის აზრით, წარმოება და კვლავწარმოება გადაქცევულია სიმბოლურ აქტად, და ხდება სიმულაციური წარმოების გაბატონება. ლუმანის მიხედვით, მონოკონტექსტუალური სამყარო აღარ არსებობს, და საზოგადოების კვლავწარმოება განაწილებულია სხვადასხვა ფუნქციონალურ სისტემებს შორის, რომელთაგანაც ყოველი ოპერირებს მისთვის საეციფიკური, სისტემური კოდით. „პოლიკონტექსტუალური“ საზოგადოება ნიშნავს, რომ არც ერთ ფუნქციურ სისტემას არ შეუძლია იბატონოს, ან ჩანაცვლოს სხვა სისტემა (თევზაბე 2002:18).

ჩვენი შეხედულებით, ყველა ეს თეორია სოციალურ სამყაროში მიმდინარე რაღაც ისეთი მოვლენების შესახებ მიუთითებს, რაც საშუალებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენ მოდერნულობიდან განსხვავებულ დროში ვცხოვრობთ, რომელსაც პოსტმოდერნულობა ჰქვია (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამა არ ეთანხმება ენტონი გიდენსი).

პოსტმოდერნულ ეპოქაში სწრაფვა ცოდნისაკენ, რომელიც ტექნიკას და ტექნოლოგიებს თავიდანვე აკისრებს მწარმოებლურობის გაუმჯობესებასა და მის ნაყოფთა ხორცშესხმას, სიმდიდრის მოხვეჭის ნდომას ემსახურება.

ჩვენი აზრით, როცა მეცნიერება საწარმოო ძალად იქცევა ანდა როცა იგი წარმოადგენს ერთ მომენტს კაპიტალის მიმოქცევაში... სარგებელთან ტექნიკის „ორგანული“ შერწყმა წინ უსწრებს მეცნიერებასთან მის შეუდლებას; ტექნიკის მნიშვნელობა თანამედროვე ცოდნაში გაშუალებულია საყოველთაო მწარმოებლურობის სულისკვეთებით; ცოდნის პროგრესი ტექნოლოგიური ინვესტირების ზრდას დღესდღეისობითაც კი უშუალოდ არ მოსდევს.

აქედან გამომდინარე, შეიძლება დაგასკვნათ, რომ პოსტმოდერნულ კულტურაში ცოდნამ დაკარგა თავისი დირექტულება, იგი გარკვეულ მიზანს კი აღარ წარმოადგენს, არამედ საშუალებად იქცა.

გეორგ ზიმელის მიხედვით, ობიექტური კულტურა ისეთი ხარისხითა და ტემპით ვითარდება, რომ უფრო მეტად უსწრებს სუბიექტური კულტურის განვითარებას, რომელშიც ობიექტთა სრულყოფის აზრი მდგომარეობს. ზიმელის აზრით, ამაშია ჩვენს დროში სტილის არარსებობის მიზეზი, ვინაიდან სტილი ყოველთვის საერთო ფორმის მიმდევრობაა, რომელიც შინაარსით განსხვავებულ ქმნილებათა რიგს საერთო ხასიათს ანიჭებს. კულტურის ცალკეული განშტოებანი ურთიერთგაუცხოების პირობებში სხვადასხვა მიმართულებით მიღიან, ისე, რომ მათ ბაბილონის გოდოლის ბედი ელით. მათ სიღრმისეულ ლირებულებას კი, რომელიც სწორედ ცალკეულ ნაწილთა კავშირში მდგომარეობს, განადგურება ემუქრება (ზიმელი: 2011).

გეორგ ზიმელის აზრით, მზარდ სპეციალიზაციას მივყევართ სამყაროს სხვადასხვა კომპონენტების შესაძლებლობების გაუმჯობესებასთან, მაგრამ ამავე დროს, სპეციალიზირებული ინდივიდი კარგავს მთლიანი კულტურის შეგრძნებას, და ამასთანავე მისი კონტროლის შესაძლებლობას. ადგილია აქვს ობიექტური კულტურის ზრდას და ინდივიდუალური კულტურის ატროფიას (ზიმელი: 2011).

ჩვენი აზრით, ფული და ცოდნა პოსტმოდერნულსა და პოსტინდუსტრიულ ეპოქაში წარმოადგენენ ყველაზე უფრო მძლავრ იარაღებს ძალაუფლების ფლობისათვის მსოფლიო კონკურენციაში. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით თავს იჩენს საქმაოდ რთული პრობლემა: ცოდნა წყვეტს თვითმიზნად ყოფნას და კარგავს იმ ღირებულებას, რომელსაც იგი თავის თავში მოიცავს.

როგორც ვიცით, პოსტმოდერნისტული ხანა შეეხება ისტორიულ ეპოქას, რომელიც განიხილება, როგორც თანამედროვე პერიოდი. პოსტმოდერნიზმი შეეხება კულტურულ პროდუქტებს (ხელოვნებაში, ფილმებში, არქიტექტურაში და ა.შ.), რომლებიც განხვავდებიან თანამედროვე კულტურული პროდუქტებისგან. პოსტმოდერნი მოიცავს ახალ ისტორიულ ეპოქას, ახალ კულტურულ პროდუქტებს და ა.შ. ყოველივე ამათ აერთიანებთ ის ახალი, რაც მოხდა ბოლო წლების მანძილზე და უკვე ვეღარ მიეკენება სიტყვა „თანამედროვე“, რამდენადაც ახალი ეტაპები ცვლიან თანამედროვე რეალობას.

თანამედროვე სამყაროს პროსტმოდერნული მდგომარეობა, შეიძლება გავიგოთ როგორც დე-დიფერენციაციის პროცესი (პარსონსი, ჰაბერმასი), რომელიც ატრიალებს და ცვლის სოციალური დიფერენციაციის პროცესს, რომლითაც ხასიათდება თანამედროვე საზოგადოების განვითარება. დამახასიათებელია კონტექსტუალიზაცია – სხვადასხვა სტილისა და მიდგომის „შერევა“, რომლებიც ადრე ერთმანეთისგან გამოირჩეოდნენ (მაგალითად:

არქიტექტურა, მოდა, რელიგია); 2. შერევა, „მელტ დაუნი“ – „გაერთიანებისა“ და ფრაგმენტაციის განცდა (იმიტაცია დიზაინსა და რეკლამაში); 3. პასტიში – სტილებისა და მიდგომების ირონიული კოპირება (მაგალითად, კომედიაში); 4. ზედაპირი - სიღრმის ნაკლებობა, „რეალობასა“ და რეალობის „რეპრეზენტაციას“ შორის განსხვავების უარყოფა (ასათიანი 2006: 63).

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხდება საზღვრების რდვევა: საზღვრები ან განსხვავებები რომლებიც შეიქმნა სოციალური დიფერენციაციის შედეგად არეულია პოსტმოდერნისტულ საზოგადოებაში: მაგალითად, საზღვარი მაღალ და დაბალ კულტურას შორის, რეალობასა და რეალობის რეპრეზენტაციას შორის ტელევიზორში (ან ფილმში, მხატვრობაში, ლიტერატურაში), პოლიტიკასა და რეკლამას შორის, ეკონომიკურ ცხოვრებასა და კულტურას შორის; წარმოებასა და გაცვლას შორის, ხელოვნურსა და ადამიანურ გონებას შორის, დასავლური და აღმოსავლური რწმენის სისტემებს შორის (მარქსი და დურკჰემი).

ჩვენი შეხედულებით, ეს იდეა საფუძვლად უდევს პოსტმოდერნისტულ სოციალურ თეორიაში ფრაგმენტაციის თემას. დე-დიფერენციაციის ცნება გულისხმობს რომ უკვე შეუძლებელი ხდება საზოგადოების როგორც ინტეგრირებული სისტემის მოაზრება, ან კიდევ როგორც ერთი მთლიანობის.

„პოსტმოდერნიზმი ეძებს დამამტკიცებელ თეზისებს ყველგან სადაც კი ოდნავ მაინც ვლინდება შესაბამისი ნიშნები, რომლებიც შეიძლება თანამედროვეობის პოსტმოდერნული სულის გამოვლინებად ჩაითვალოს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოსტმოდერნიზმი ცდილობს საკუთარი შინაარსიდან გამომდინარე დაინახოს და ახსნას მთელი თანამედროვე სამყარო, იმის მაგივრად, რომ ამ სამყაროს სახესხვაობრიობიდან გამოყოს პოსტმოდერნიზმი და მიიჩნიოს იგი თანამედროვეობის ერთ-ერთ და არა ერთადერთ ტენდენციად“ (ილინი 1996: 253).

ფუქოს მიხედვით, ევროპულ კულტურაში პოსტმოდერნულთან კავშირში მეცნიერების როლისა და მნიშვნელობის ანალიზს, მივყავართ იმ დასვნამდე, რომ პოსტმოდურნულობა ვერ უზრუნველყოფს მეცნიერებისა და ფილოსოფიის მთლიანობას, რადგან პოსტმოდერნი არ წარმოადგენს ერთიან მეცნიერულ პარადიგმას. ამიტომ ფუქო მიიჩნევს, რომ პოსტმოდერნი უფრო მეტად უნდა განვიხილოთ, როგორც ანტიმეთოდოლოგიური მოძრაობა ფილოსოფიაში, მაგრამ იმის ხაზგასმით, რომ ის ვერ იქნება განხილული, როგორც ახალი

მეთოდოლოგია, რომლის გამოყენებაც შესაძლებელია პიროვნული მთლიანობის გააზრებისათვის.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ ინფორმაციული საზოგადოების ჩამოყალიბების პროცესში პოსტურიზაციულ ტენდენციების გადვივების ფონზე, შემოდის და დამკვიდრებას იწყებს ახალი ღირებულებები, რომელიც თანდათანობით ანაცვლებს ინდუსტრიული საზოგადოების ტრადიციულ ღირებულებათა სისტემას. ახალი ტექნოლოგიები, როგორც აცხადებს ოლგინ ტოფლერი, „არ გამოიწვევს სტანდარტიზირებული ერთგვაროვანი საზოგადოების შექმნას. თანამედროვე სოციალური სტუქტურები არნახული დონით დიფერენცირდება, ტოფლერის აზრით, საზოგადოებრივი ჯგუფები დარჩება მთლიანი საზოგადოების ჩარჩოებში და ამავდროულად დაიწყებს ღირებულებათა საკუთარი ქვესისტემების შექმნას და ორგანიზაციებს ადაპტირება მოუწევთ პატარა, არამუდმივ სუბკულტურულ ჯგუფებთან, რომლებიც მოახდენენ საკუთარი ღირებულებების დემონსტრირებას (ოლგინ ტოფლერი ასევე, აღნიშნავს, რომ არავის არ შეუძლია ამ ეტაპზე დეტალურად აღწეროს და განსაზღვროს სუპერინდუსტრიული საზოგადოების თავისებურებები), პროპაგანდირებას და ეცდებიან მათ რეალიზებას მოცემულ პირობებში“ (ტოფლერი 2005: 364).

მანუელ კასტელსი ამტკიცებს, რომ ის ძალები, რომლებიც გამოხატავენ მომავლისკენ მიმართულ თვითმყოფადობას, ორიენტირებულნი იქნებიან კულტურული კოდებისა და კოდექსების ცვლილებებზე. შესაბამისად ისინი გამოვლენ სიმბოლოების მატარებლების ხარისხში, რადგან ზემოქმედებას კულტურაზე განახორციელებენ იმ ვირტუალური რეალობის საშუალებით, რომელიც ობიექტურად არის განპირობებული საზოგადოების ქსელური სტრუქტურის კომუნიკაციური მექანიზმებით (ინოზემცოვი 2006: 248).

ცვლილებები კულტურაში, ამ თვალსაზრისით, განხორციელდება ალტერნატიული ღირებულებების, ახალი კოდებისა და კოდექსების დანერგვის გზით. ინფორმაციული საუკუნე, რომლის სოციალური სტრუქტურაც ორგანიზებულია ინფორმაციული დინებებისა და სიმბოლოებით მანიპულაციის ირგვლივ, აუცილებლად გამოიწვევს გარდაქმნებს, ცვლილებებს საზოგადოების ქსელურ სტრუქტურაში. მთავარი პოზიტივი, მომავლის საზოგადოების ფორმირების პროცესში შეიძლება გახდეს „ცხოვრების ხარისხზე“ ორიენტირებული პოსტმატერიალისტური მსოფლმხედველობა, რომელიც აქცენტირებს ადამიანის ცხოვრებაში სულიერი და მატერიალური ღირებულებების

ობიექტური თანაარსებობის შესაძლებლობაზე (პოსტმატერიალისტური მსოფლმხედველობით სერიოზულად დაინტერესდნენ ინტელექტუალურ წრებში), და რაც მთავარია ამ აქტივობას უკვე აქვს მოქმედების დამოუკიდებელი ხასიათი.

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ცვლილებებმა, რომლებსაც ადგილი პქონდა ეკონომიკურ, ტექნიკურ და სოციალურ-პოლიტიკურ სფეროებში, გამოიწვიეს სერიოზული კულტურული ძვრები თანამედროვე ინდუისტრიულ საზოგადოებაში. შეიცვალა ყველაფერი: სტიმულები, მოტივაციები, წინააღმდეგობები რომლებიც ტრადიციულად არსებობდნენ საზოგადოებებში.

ჩვენი აზრით, თანამედროვე ინდუსტრიულ საზოგადოებაში შეიცვალა შეხედულებები ადამიანური ყოფისა და არსებობის იმ ძირითად ასპექტებთან მიმართებაში, თუ რა სურთ ადამიანებს ცხოვრებისაგან.

რატომ ექვემდებარებიან კულტურები ცვლილებებს? პირველ ყოვლისა, ალბათ იმიტომ, რომ კულტურა წარმოადგენს ხალხის ადაპტაციის სტრატეგიას. გრძელვადიან პერსპექტივაში ასეთი სტრატეგიები, როგორც წესი ბუნებრივი რეაქციაა ეკონომიკური, ტექნიკური და პოლიტიკური ხასიათის გარდასახვებზე, და რა თქმა უნდა აქედან გამომდინარე, სტრატეგიები დიდი ხნის მანძილზე შეუცვლელი ვერ დარჩება. ცვლილებები კულტურის სფეროში მართალია წარმოადგენს ადაპტაციურ რეაქციას, მაგრამ ის არა მარტო გავლენის რეციეპტია, არამედ თავადაც ახდენს ზემოქმედებას განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ, პოლიტიკურ და ტექნიკურ-ტექნოლოგიურ გარემოებებზე.

სერიოზულმა ცვლილებებმა კულტურის სფეროში ხელი შეუწყვეს წარმოებითი რევოლუციის აყვავებას დასავლეთში, ხოლო თავის მხრივ რევოლუციურმა ცვლილებებმა ცოდნის წარმოებით სფეროში რადიკალური ცვლილებები შეიტანეს დასავლურ კულტურაში. ინდუსტრიალიზაციის ადრეულ ეტაპებზე ეკონომიკური ფაქტორები იმდენად მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ, რომ ფაქტიურად განსაზღვრავდნენ საზოგადოების რაციონალური ქცევის სტანდარტებს. მაგრამ, თანამედროვე პირობებში, ეკონომიკური ზრდა აღარ წარმოადგენს დომინირებად სოციალურ ორიენტირს. ფასეულობათა და ღირებულებების ორიენტაციები შეიცვალა.

დასავლეთის განვითარებული ქვეყნების მოქალაქეები დღესდღეობით შედარებით ნაკლებ ყურადღებას უთმობენ მატერიალურ კეთილდღეობასა და ფიზიკურ უსაფრთხოებას, ისინი უფრო მეტად ცხოვრების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნავენ. მსგავსი კულტურული ძვრების მიზეზ-შედეგობრივი

კავშირები საქმაოდ რთულ ხასიათს ატარებენ. აღსანიშნავია, რომ დასავლეთის ქვეყნების მოსახლეობის უმეტესი ნაწილი, მთელი თაობები გაიზარდა ეკონომიკური უსაფრთხოების პირობებში. მართალია მატერიალური კეთილდღეობა დღესაც მნიშვნელოვან ფასეულობას წარმოადგენს, მაგრამ ეკონომიკური უსაფრთხოების პირობებში, ის აღარ წარმოადგენს საზოგადოების ქცევის/მოქმედების ძირითად განმსაზღვრელ ორიენტირს და აშკარად შეიმჩნევა არამატერიალისტური ღირებულებების წინწამოწევის ტენდენციები (ინოზემცოვი 1999: 250).

მიგვაჩნია, რომ ამ ცვლილებებმა, რომლებიც თანდათანობით მიმდინარეობდა თანამედროვე ადამიანის ფორმირების პროცესში, მთელი თაობების სახე განსაზღვრა. საზოგადოების უფროსი წევრები პვლავ ეკრანობოდნენ ფართოდ გავრცელებულ და აპრობირებულ ტრადიციულ ღირებულებებსა და ნორმებს, მაშინ როცა ახალგაზრდობა ბუნებრივად მიისწრავოდნენ ახალია ორიენტაციებისაკენ. როდესაც ახალგაზრდა თაობა გადადიოდა სიმწიფის ასაკში, უფროსი თაობა სულ უფრო პასიურ მდგომარეობაში გადადიოდა და შესაბამისად ხდებოდა იმ მსოფლმხედველობის ტრანსფორმაცია, რომელიც პრევალირებდა საზოგადოებაში.

ჩვენი აზრით, ღირებულებათა ცვლა თანამედროვე მომწიფებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში თანდათანობით განაპირობებს კულტურული და პოლიტიკური ნორმების მოდიფიკაციას. მატერიალური ფასეულობითი პრიორიტეტებიდან პოსტმატერიალურზე გადასვლამ ობიექტურად განაპირობა გარკვეული მსოფლმხედველობითი გარდასახვები და სერიოზული იმპულსი მისცა ახალ პოლიტიკურ მოძრაობებს. პოსტმატერიალისტურმა ორიენტაციებმა გამოიწვია რელიგიურ ორიენტაციათა, სქესთა როლებრივი ფუნქციების, სექსუალური და კულტურული ნორმების გადაფასება და ახლებურად გააზრება. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ძვრების შედეგად, სულ უფრო და უფრო მეტად გამახვილდა ყურადღება ცხოვრების ხარისხზე და სულ უფრო ნაკლები აქცენტები კეთდება ტრადიციულად არსებულ პოლიტიკურ, რელიგიურ და მორალურ-სოციალურ ნორმებზე.

განსხვავებანი მატერიალისტურ და პოსტმატერიალისტურ მიდგომებში მსხვილმასშტაბიანი ისტორიული ცვლილებების შედეგია. როგორც რონალდ ინგლეგარტი აღნიშნავს, ღირებულებების სისტემისა და სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების ურთიერთქმედება საქმაოდ რთულ ხასიათს ატარებს და ერთი შეხედვით პარადოქსულიც შეიძლება მოგვეჩენოს. როგორც წესი,

პოსტმატერიალიტებს აქვთ უკეთესი სამუშაო და სამუშაო პირობები, მაღალკვალიფიციური განათლება და უფრო მაღალი შემოსავლები, ვიდრე მატერიალისტებს. ისინი ნაკლებად აკეთებენ აქცენტს ეკონომიკურ წარმატებაზე და ამ მხრივ განვითარებაზე და მეტ ყურადღებას უთმობენ „ცხოვრების ხარისხს“. პირად ცხოვრებაში პოსტმატერიალიტებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სამუშაო პროცესი იყოს საინტერესო და გააზრებული – „არამაშინალური“. ისინი უფრო მეტად ორიენტირებულნი არიან სტატუსზე, ვიდრე შემოსავლებზე (აქ შეიძლება აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე ინფორმაციული საზოგადოების პირობებში, სტატუსი დასაქმების პროცესში, ერთმნიშვნელოვნად მოქმედების სამუშაო ანაზღაურების ზრდა-შემცირებაზე).

რონალდ ინგლეგარტის შეხედულებით, პოსტმატერიალისტები ქადაგებენ და ცდილობენ დანერგონ ისეთი ფასეულობები, რომლებიც არ არის გათვლილი მხოლოდ ეკონომიკურ წარმატებაზე. ისინი საკუთარი ენერგიის მნიშვნელოვან ნაწილს მიმართავენ სხვა მიმართულებით, ორიენტირებულნი არიან რა სტატუსზე და ცხოვრების შინაარსობრივი ხარისხის გაუმჯობესებაზე (ინოზემცოვი 1999: 451).

„პოსტმატერიალიზმი“ მანუელ კასტელსის თვალსაზრისით, სინამდვილეში, მხოლოდ ერთ-ერთი ასპექტია იმ ფართო პროცესისა, რომელიც გარდასახავს საზოგადოების მსოფლიმედველობას. აბსოლუტური (უნივერსალური) ნორმები რელიგიასა და კულტურის სფეროში ტრადიციულად უზრუნველყოფდნენ ადამიანისათვის აუცილებელ უსაფრთხოების განცდას. მაგრამ როცა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რამდენიმე ათწლეულის განმავლობაში მატერიალურმა კეთილდღეობამ (ინდუსტრიულ საზოგადოებებში) და სოციალურმა დაცულობამ მანამადე არნახულ დონეს მიაღწია, დაუცველობის განცდამ თანდათან დაკარგა თავის სიმძაფრე. საშუალო ადამიანის ბედი უკვე ნაკლებად განიცდიდა გაუთვალისწინებელი ფაქტორების ზეგავლენას, როგორც ეს აგრარულ ეპოქაში და ინდუსტრიული წევობის ადრეულ ეტაპზე შეინიშნებოდა.

როგორც ზოგიერთი ექსპერტი ვარაუდობს, ადამიანის მომავალი უფრო მეტად პროგნოზირებადი, ხოლო აწმყო უფრო მეტად სტაბილური გახდა.

ჩვენი წარმოდგენით, მატერიალიზმი მთლიანად არ დევნის სულიერებას ჩვენი ცხოვრებიდან, მაგრამ საზოგადოების ინდუსტრიალიზაციის პირობებში აქტივირებულმა მნიშვნელოვანმა გარემოებებმა სელი შეუწყო არარელიგიური და პოსტმატერიალიური ორიენტაციების გავრცელებას, სადაც ტრადიული რელიგიური და კულტური ნორმები კარგავენ წამყვან პოზიციებს.

ჩვენი აზრით, ამას განაპირობებს ის რომ, ტრადიციულად არსებული ნორმები უცილობლად შედის კონფლიქტში ინდივიდუალური თვითგამოხატვის თავისუფლებასთან.

მიგანია, რომ ტრადიციულად არსებული რელიგიური, სოციალური და სექსუალური ნორმების დაცემა მომწიფებულ ინდუსტრიალ საზოგადოებაში განპირობებული შემდეგი მიზეზ-ფაქტორებით: პირველ რიგში, მაღალი სოციალური დაცულობისა და უსაფრთხოების განცდა ამცირებს ნებისმიერი სახის აბსოლუტურ მოთხოვნას. როდესაც ადამიანი ცხოვრობს ძლიერი სტრესის ქვეშ, მას აუცილებლად სჭირდება მოქმედების მკვეთრად განსაზღვრული, ლოგიკით თავისუფლება მისაწვდომი წესები. ეს აუცილებელია მისთვის, რამდენადაც ზუსტად უნდა იცოდეს კონკრეტულად რა ემუქრება. მას აქვს მინიმალური უფლება შეცდომის დაშვებაზე და ნათლად, ზუსტად უნდა წარმოიდგინოს მოვლენათა შემდეგი განვითარება. მაგრამ როდესაც ადამიანები იმყოფებიან სოციალური დაცულობის პირობებში, ის მშვიდად გრძნობს თავს, კარგად ადაპტირებს და მაღალმხადყოფნაშია მომავალის სახესხვაობრივი განვითარების პერსპექტივის წინაშე. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ მას აღარ სჭირდება დაცულობის ისეთი ფორმები, რომელსაც მანამდე რელიგიური ნორმები თავისი „აბსოლუტური წესებით“ უზრუნველყოფდა.

როგორც ვიცით, ტრადიციულად ოჯახი ძეელად უმთავრეს ეკონომიკურ ერთეულს წარმოადგენდა, მაგრამ განვითარებულ ინდუსტრიულ საზოგადოებაში შრომითი ცხოვრება სცილდება ოჯახის ფარგლებს. თანამედროვე სახელმწიფო საკუთარი ინსტიტუტების მეშვეობით ის მნიშვნელოვანი სოციალური რეგულაციის ფუნქციების შეითავსა, რომელიც ადრე ოჯახის როგორც მნიშვნელოვანი სოციალური ერთეულის კომპეტენციაში შედიოდა (აღზრდა-განათლება, უსაფრთხოება, სოციალური დაზღვევა და ა. შ).

თუ დავეყრდნობით ტოფლერის შეხედულებებს, ზემოთაღნიშნული ტენდენციების მიუხედავად, ტოფლერი თვლის, რომ „ოჯახის ფენომენი“ პვლავ რჩება საზოგადოების უმნიშვნელოვანეს სტრუქტურულ ელემენტად. რადგან ოჯახი – ადამიანის ისეთ სულიერ ღირებულებებს ეყრდნობა, რომლის გადაფარვაც რაციონალური ანგარიშიანობით უბრალოდ წარმოუდგენელია (ტოფლერი 2005: 271)

მესამე მიზეზი ტრადიციული მსოფლმხედველობისაგან დაშორებისა დაკავშირებულია კოგნიტური პარმონიის საკითხებთან. შინაგანი პარმონიისაკენ სწრაფვა დამახასიათებელია ადამიანისათვის, სწორედ ამიტომ მის

მსოფლმხედველობაში კლინდება ტენდენციები, რომელიც ყოველდღიური გამოცდილებისაკენ არის მიმართული, ხოლო ეს უკანასკნელი დღესდღეობით ძირეულად განსხვავდება იმისაგან, რომლის ფარგლებშიც მოხდა იუდეურ-ქრისტიანული ტრადიციების ფორმირება. სრულიად ცხადია, რომ ასე შორს მიმავალი ცვლილებები ადამიანის მიერ გარემომცველი სამყაროს ფუნქციონირების ყოველდღიურ აღქმაში ბუნებრივად მიგვიყვანდა იქამდე, რომ ცვლილებები მოხდებოდა ადამიანის მიერ შექმნილ კოსმოლოგიაშიც.

პოსტინდუსტრიული საზოგადოების პირობებში შესაძლებელია კოსმოლოგიურ წარმოდგენათა ევოლუციური სახეცვლა, თუმცა ოდნავ განსხვავებული მიმართულებით, ვიდრე ინდუსტრიალიზაციის ადრეულ ეტაპზე.

მკვლევარები მიიჩნევენ, რომ სამყაროს შეცნობის და სამყაროში ადამიანის არსებობის როლებრივი ფუნქციების ტრადიციული მოდელები დაცველდა მთელ რიგ ასეექტებში: წარმოდგენები, რომლებიც ტრადიციულად არსებობდა ხშირ შემთხვევაში არ ემთხვევა იმ წარმოდგენებს, რომლებსაც ადამიანთა უმრავლესობა იზიარებს და ყოველდღიური გამოცდილების საშუალებით ეუფლება. მაგრამ ამავე დროს ის ფუნდამენტური საკითხები, რომლებზეც დაფუძნებულია უდიდესი რელიგიური ტრადიციები ცხოვრების არსის გაგებასთან და მიზნებთან დაკავშირებით, დღესაც უცვლელი რჩება და როგორც ჩანს ასევე დარჩება მომავალშიც.

\* \* \*

ვიმედოვნებთ, რომ პოსტმატერიალისტურმა მსოფლმხედველობამ სრულიად მოსალოდნელია, რომ სულიერი ლირებულებები წამოსწიოს პირველ პლანზე. მაგრამ, ასევე ვიზიარებთ ტოფლერის შეხედულებას იმასთან დაკავშირებით, რომ არავის არ შეუძლია ამ ეტაპზე დეტალურად აღწეროს და განსაზღვროს სუპერინდუსტრიული საზოგადოების თავისებურებები.

დღესდღეობით მხოლოდ იმაზე შეიძლება საუბარი, რომ თანამედროვე სამყაროს ინფორმაციული ბუნება უდიდეს გავლენას ახდენს საზოგადოებრივ ცნობიერებაზე, ადამიანები ცხოვრობენ და ადაპტირებენ ინფორმაციულ სივრცეში. ახალი კომუნიკაციური სისტემა დროისა და სივრცის, ადამიანური ცხოვრების ფუნდამენტური განზომილებების რადიკალურ ტრანსფორმაციას ახდენს. ადგილები კარგავენ საკუთარ კულტურულ, ისტორიულ, გეოგრაფიულ მნიშვნელობას და რეინტეგრირდებიან ფუნქციონალურ ქსელებში ან ხატოვან კოლაჟებში, ცხოვრებისაკენ უხმობენ რა ნაკადების სივრცეს, რომლებიც ანაცვლებენ ადგილთა სივრცეს. დრო იშლება კომუნიკაციურ სისტემაში:

წარსულის, აწმეოსა და მომავლის პროგრამირება ისეა შესაძლებელი, რომ მათ შეეძლოთ ურთიერთზემოქმედება ერთსა და იმავე შეტყობინებაში. ახალი კულტურის მატერიალურ ფუნდამენტს წარმოადგენს ნაკადების სივრცე და არადროული დრო.

მთელ მსოფლიოში კულტურების ინტენსიურმა ურთიერთქმედებებმა შესაძლოა გამოიწვიოს მონოკულტურალიზმის აღმოცენება და ადგილობრივი კულტურების გაქრობა (აზმაიფარაშვილი 2010: 105).

ჩვენი აზრით, ინფორმაციული ეპოქის მახასიათებელებზე დაფუძნებული თანამედროვე კულტურა ფარავს და მოიცავს ისტორიაში გადმოცემულ ასახვის სისტემის მრავალფეროვნებას. ეს არის რეალური ვირტუალობის კულტურა, სადაც გამოგონილი სამყარო არის გამოგონება საკუთარი თავის შექმნის პროცესში.

კულტურა ის მექანიზმია, რომელიც სოციალურ სივრცეში გარკვეული აზრებისა და ფასეულობების ტრანსლაცია ახდენს. ეს განსაკუთრებით საგულისხმოა თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენს თანამედროვე რეალობაში ადამიანი უმთავრესად მედიურ განზომილებაში არსებობს (დემეტრაძე 2007:90).

ჰერბერტ მაკლუენის აზრით „საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლებიც შეერთებულია აუდიოვიზუალურ ხერხებთან, ქმნიან მთელი სამყაროს ქცევათა მოდელებს (ჯაფარიძე 2009: 126).

აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კომუნიკაციური სისტემა, წარსულის ისტორიული გამოცდილების საწინააღმდეგოდ ქმნის რეალურ ვირტუალობას.

ჩვენი შეხედულებით, ეს არის – სისტემა, რომელშიც თვით რეალობა მთლიანად მოცელია, სრულად ჩაფლულია ვირტუალურ სახეებში, გამოგონილ სამყაროში, სადაც გარეგნული გამოხატულებანი იმყოფება არა უბრალოდ ეკრანზე, რომლის საშუალებითაც გადაიცემა გამოცდილება, არამედ თავად იქცევიან გამოცდილებად. ადამიანები ცვლილებების შესახებ ინფორმაციას იღებენ მთავარი გზით – მასობრივი ინფორმაციის საშუალებებიდან. ეს აყალიბებს აზრს, რომ ძირითადი მახასიათებელი ცვლილებებისა არის ინფორმაცია და შესაბამისად ტექნოლოგიები, რომლებიც ოპერირებენ, ამუშავებენ და გადასცემენ მას. თვით მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა განიცადეს ცვლილებები ინფორმაციის შერჩევისა და გადაცემის ახალი საშუალებების წყალობით.

ვცხოვრობთ თუ არა „გლობალური ინფორმაციული ეკონომიკის“ პირობებში, რომლის მამოძრაველი ძალა ინფორმაცია და „ვირტუალური ეკონომიკა“ გახდა?

შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ადამიანთა გონიერებისათვის გამართულ ჭიდილ ში (ადამიანი: მომხმარებელი, ზემოქმედების ობიექტი, ინფორმაციული კოდების მიმღები/გამტარებელი/ გადამცემი), მიმღინარეობს ბრძოლა კულტურული კოდებისა და საზოგადოების კოდექსთა ირგვლივ. განურჩევლად იმისა ვინ გაიმარჯვებს ამ კომუნიკაციურ სისტემაში, სწორედ გონიერად და უნარები არის განმსაზღვრელი და ის წარმართავს მომავლის მსოფლიოს (ინოზემცოვი 1999:305).

ჩვენი შეხედულებით, მთავარი ალბათ რაც უნდა გაითვალისწინონ არამოდერნიზებულმა, და მოდერნიზაციის გზაზე მდგომმა საზოგადოებებმა არის ის, რომ ობიექტურად შეაფასონ თანამედროვე სამყაროს გლობალური გამოწვევები. საზოგადოებას არ შეუძლია განვითარდეს თვითიზოლაციის პირობებში, შესაბამისად საზოგადოება უნდა იყოს „გახსნილი“, მაგრამ მისი სრული მზაობა გახდეს გლობალური სივრცის ნაწილი მასთან სრული შერწმით გზით, შესაბამისად მოსალოდნელი საფრთხეების სრული უგულებელყოფით – ასევე დამღუპებელი აღმოჩნდება მისთვის.

დღესდღეობით, ჩვენთვის რთულია (ემპირიულად) ბოლომდე ჩავწევდეთ ამ პრობლემის სიღმისეულ არსეს და ბოლომდე შევიგრძნოთ ინფორმაციული ეპოქის ყოვლისმომცველი ვირტუალური ბუნების სიცხადე. მაგრამ თანამედროვე გლობალიზირებულ სამყაროში ქართული საზოგადოების თანამედროვე განვითარებულ მსოფლიოსთან თანდათანობით მზარდი ინტეგრაციის პირობებში, სულ უფრო ნათელი გახდება ჩვენთვის საზოგადოების განვითარების პროცესში შემოჭრილი პოსტინდუსტრიული ტენდეციების, ინფორმაციული ეპოქის ჰემმარიტი ხასიათი და თანამედროვე პოსტმოდერნული მდგომარეობის ჰემმარიტი ბუნება.

თუ გავითვალისწინებთ თანამედროვე გლობალიზაციის სწარაფადგანვითარებად და ყოვლისმომცველ ტექნოლოგიურ ბუნებას, ვფიქრობთ, ამ დღემდე არც თუ ისე შორია . . .

## II თავი. გლობალიზაციის კრიტიკული ანალიზი

### 1. გლობალიზაციის ცნების დეტერმინაცია.

ხშირად ახალი სიტყვა იმიტომ ხდება პოპულარული, რომ მსოფლიოში მიმდინარე ამა თუ იმ მნიშვნელოვან ცვლილებას ასახავს. ახალი იდეა ახალი ვითარების აღსაწერად არის საჭირო. მაგალითად როდესაც 1780-იან წლებში ფილოსოფოსმა ჯერემი ბენთონმა ტერმინი „საერთაშორისო“ შემოიღო, უკანასკნელი იმის გამო დამკიდრდა, რომ თანამედროვეობის ღრმა რეალობას აშუქებდა, კერძოდ, ერთი – სახელმწიფოებისა და მათ შორის საზღვარმკვეთი კავშირების გააქტიურებას. როგორც ვიცით, აღნიშნულ დრომდე არავინ საუბრობდა „საერთაშორისო ურთიერთობების“ შესახებ, ვინაიდან კაცობრიობა ტერიტორიული სახელმწიფოების მიერ მართულ ეროვნულ საზოგადოებებად ორგანიზებული არ იყო.

ორასი წლის შემდეგ, 1980-იან წლებში გახშირდა საუბარი „გლობალიზაციაზე“. XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა მკვლევართა გარკვეულ წრებში წარმოშვა აზრი, რომ ცნება „საერთაშორისო“ უკვე აღარ შეესაბამება რეალობას, რადგან ერები და სახელმწიფოები აღარ წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობების ძირითად აქტორებს.

ჩვენი შეხედულებით, გლობალიზაციის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი საერთაშორისო სტრუქტურისა და მსოფლიო წესრიგის ძირეული ცვლილებაა. ცივი ომის შემდგომი მსოფლიო კარდინალურად განსხვავდება წინა ისტორიული პერიოდების მსოფლიოსაგან როგორც საერთაშორისო ურთიერთობების აქტორების ურთიერთდამოკიდებულების ხასიათით, ისე ძალთა განაწილებისა და ერთმანეთთან კავშირების ფორმირების თვალსაზრისითაც.

ტერმინი „გლობალიზაციის“ ასეთი ინტენსიური და ფართო გავრცელება მით უფრო საინტერესო და ანგარიშგასაწევია, რომ XX საუკუნის 80-იან წლებამდე ტერმინი „გლობალიზაცია“ საერთოდ არ არსებობდა. იგი პირველად გამოიყენა ამერიკელმა მეცნიერმა ტ. ლევიტმა 1983 წელს გამოქვეყნებულ სტატიაში, სადაც ტერმინით აღნიშნა ცალკეულ პროდუქტთა ბაზების შერწყმის ფენომენი. ტერმინი „გლობალიზაცია“ სწრაფად გავრცელდა სტანდარტულ ლექსიკონში – არა მხოლოდ აკადემიურ წრებში, არამედ უურნალისტების, პოლიტიკოსების, ბანკირების, რეკლამის მწარმოებლებისა და შოუ ბიზნესის წარმომადგენლებს შორისაც. ამავე დროს, სხვადასხვა ენაში დაახლოებით ეკვივალენტური ცნებები გაჩნდა. ინგლისური „Globalizartion“ - ის პარალელურად წარმოიშვა ჩინური - „Quan Qui hua“, იტალიური -

„Globalizzazione“. რუსული - „глобализация“, სინჰალური - „jatynthareekaranaya“ და სხვა (სანიკოძე 2001:38).

„გლობალიზაცია“ - ინგლისურ სიტყვას globe-ს უკავშირდება, რაც დედამიწას, გლობუსს ნიშნავს. ინგლისურ ენაზე მოსაუბრებებმა მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს ზედსართავი სახელის „გლობალური“ - მთელი მსოფლიოს აღსანიშნავად გამოყენება დაიწყეს. მანამადე კი ამ სიტყვას მხოლოდ „სფერულის“ მნიშვნელობა ჰქონდა.

გლობალიზაციის ცნებამ უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა მას შემდეგ, როცა გამოქვეყნდა 1990 წელს ჰარვარდის ბიზნეს სკოლის იაპონელი კონსულტანტის პ. ომეს წიგნი „მსოფლიო საზღვრების გარეშე“ და კრებული „გლობალიზაცია: შემეცნება და საზოგადოება“, რომლის შესავალში მ. ელბროუმ ამ ტერმინში გააქრთიანა ყველა ის პროცესი, რომელთა წყალობითაც მსოფლიოს ხალხები ერთიან მსოფლიო საზოგადოებაში ერთვებიან (დავითაშვილი 2003: 183).

სოციალურ მეცნიერებებში ძალზედ რთულია ტერმინის ზუსტი წარმოშობის განსაზღვრა, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ზემოთ აღნიშნული ტერმინის განმარტება პირველად 1994 წელს გამოშვებულ ოქსფორდის სოციოლოგიურ ლექსიკონში გვხდება. ლექსიკონის მიხედვით, გლობალიზაცია არის თეორია, რომელიც ცდილობს შეისწავლოს გლობალურ კულტურათა სისტემის ჩამოყალიბება. ასევე საყურადღებოა, რომ ტერმინი „გლობალიზაცია“ ტექნიკური მეცნიერებიდან არის ნასესხები. ინფორმატიკის ენაზე გლობალიზაცია ისეთი პროგრამული ბირთვის შემუშავებას ნიშნავს, რომელიც არ არის დამოკიდებული მომხმარებელი ქვეყნის ენასა და სტანდარტებზე.

მარტინ ელბროუმ ტერმინი „გლობალიზაცია“ გამოიყენა ცალკეული პროდუქტების ბაზრების შერწყმის მნიშვნელობით. რაც ცალსახად მიუთითებს იმაზე, რომ დასაწყისში გლობალიზაცია წმინდა ეკონომიკური შინაარსის ტერმინი იყო, თუმცა საკმაოდ მოკლე ხანში, მსოფლიოში მიმდინარე სწაფადგანვითარებადი მოვლენების შედეგად, გლობალური მნიშვნელობა შეიძინა და საზოგადოების ყველა სფერო მოიცვა.

ცვლილებები, რაზეც გლობალიზაციის ცნება მიუთითებს, ძირითადად ეკონომიკური და პოლიტიკური ხასიათისაა. თუმცა, ე. წ. „მსოფლიო საზოგადოების“ შექმნას არ განიხილავთ, როგორც მხოლოდ ეკონომიკურ, ან პოლიტიკურ შედეგს, და არც როგორც პომოგენური ეროვნული სახელმწიფოს

მიერ დაგეგმვის პროცესს, არამედ როგორც გლობალური მასშტაბის სოციალური ურთიერთქმედების (ინტერაქციის) რეზულტატს.

ჩვენი დაკვირვებით, გლობალიზაციის ფენომენის ისტორიულ კონტექსტში ანალიზის შედეგად, ზოგიერთი ექსპერტი გამოყოფობს გლობალიზაციის ორი სტადიას. მაგალითად, პოლ ჰერსტი და გრემ ტომპსონი თავის წიგნში „გლობალიზაცია – კრიტიკული ანალიზი“ სწორედ 1870-1920 წლების პერიოდს მიიჩნევს ეკონომიკური გლობალიზაციის პიკად, როდესაც ვაჭრობის, ფინანსური გარიგებისა და სამუშაო ძალის ნაკადების მოძრაობის მიხედვით, მსოფლიო ეკონომიკამ ინტეგრაციის ყველაზე მაღალ დონეს მიაღწია. შემდგომი პერიოდი მათი შეხედულებით ხასიათდებოდა უკან დახევის ტენდენციით. 1920-იან წლების დონესთან მიახლოება კვლავ მოხდა 1990-იან წლებში (ჰერსტი 2005: 8).

ჩვენი შეხედულებით, საზოგადოების თანდათანობითი და ყოვლისმომცველი კონსოლიდაცია – უკვე დიდი ხნის კანონზომიერი პროცესია, მაგრამ ამის მიუხედავად გლობალიზაციაზე, როგორც ხარისხობრივად ახალ მოვლენაზე საყოველთაო საუბარი მხოლოდ 90-იანი წლებიდან დაიწყო.

გლობალიზაციის სრულყოფილი განმარტება ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ასპექტების რთული და ცვალებადი მახასიათებლების გათვალისწინებას მოითხოვს, სადაც ზოგიერთი ფაქტორი ურთიერთთანხვედრადია, ზოგიერთი კი ურთიერთსაწინააღმდეგო. ეკონომისტებისათვის, გლობალიზაცია კაპიტალის ტრანსაციონალიზაციასა და გლობალური ბაზრების წარმოქმნას ნიშნავს, ისტორიკოსებისათვის იგი გლობალური კაპიტალიზმის ეპოქაა, სოციოლოგებისათვის სოციალურ-კულტურული დირებულებების შერწყმასთან ასოცირდება; პოლიტოლოგთა მთავარ კვლევის ობიექტს კი მსოფლიოს პოლიტიკური რეალიები წარმოადგენს.

კენისე მე გლობალიზაციას განიხილავს „უსაზღვრო მსოფლიოს“ წარმოშობის კონტექსტში. ეს ტენდენცია გულისხმობს, რომ ტრადიციული პოლიტიკური საზღვრები, რომლებიც ეროვნულ და სახელმწიფოებრივ საზღვრებს ემთხვევა – შეღწევადი ხდება (ჰეივუდი 2005:27).

თეოდორ ლოუის აღნიშვნით, „XX საუკუნიდან დაწყებული სულიერების პრობლემა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სოციალურ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გამძაფრების ფონზე“. იგი გლობალიზაციის პროცესს, ანუ, თანამედროვეობას განიხილავს როგორც „სოციალური უკოლუციის ახალ ეტაპს“ (ლოუი 1999 : 104).

ცნობილი ინგლისელი სოციოლოგის ენტონი გიდენსის მიხედვით, ურთიერთდამოკიდებულების გაძლიერების შედეგად მსოფლიო იქცა ერთიან სოციალურ სისტემად, რაც პრაქტიკულად ყველა ადამიანზე ახდენს გავლენას. ამგვარად, გლობალიზაცია შეიძლება განვმარტოთ, როგორც მსოფლიოს სოციალური ურთიერთობების ინტენსიფიკაცია, რის შედეგადაც მსოფლიოს დაშორებული ადგილები უკავშირდება ერთმანეთს. ლოკალურ პროცესებზე გავლენას ახდენს ათასობით კილომეტრით დაშორებული მოვლენები და, შესაბამისად, ლოკალური ტრანსფორმაციები არის დროსა და სივრცეში სოციალური კავშირების გაფართოების მაჩვენებელი.

როგორც ვიცით, თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციური პროცესები იწვევს ხარისხობრივ ცვლილებებს საზოგადოებრივი ურთიერთობების სისტემებში. საინფორმაციო რევოლუციისა და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მძაფრი და სწრაფი განვითარების წყალობით სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაცია, გასული საუკუნის ბოლო ათწლეულებში, საგრძნობლად დაჩქარდა და გაძლიერდა. ნაციონალური მეურნეობის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამართლებრივი და საინფორმაციო ურთიერთდამოკიდებულების ხარისხმა ისეთ დონეს მიაღწია, როდესაც გარდაუგალი გახდა თვისობრივად ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება.

ვალერი მელიქიძე წიგნში „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“, მსოფლიოს გამოჩენილ მეცნიერთა შეხედულებების ანალიზის (შეხედულებათა შეჯერების) საფუძველზე, გლობალიზაციის პროცესთან დაკავშირებით, იძლევა შემდეგ განმარტებას: „გლობალიზაცია არის ურთიერთობათა სისტემა, რომლის ფარგლებშიც მსოფლიოს წამყვან მოთამაშეს/ან მოთამაშეთა ჯგუფს (უშუალოდ ან თავისი წარმომადგენლების მეშვეობით) შეუძლია(თ) ისეთი პროცესების ინიცირება და მათზე ამა თუ იმ სახით გავლენის მოხდენა, რომლებიც საბოლოო ჯამში განაპირობებენ საზოგადოებრივი განვითარების ტენდენციებს მსოფლიოს მასშტაბით“ (მელიქიძე 2006:5).

\* \* \*

ჩვენი აზრით, გლობალიზაციის შედეგების ნაწილი ვლინდება გლობალური სისტემების შექმნაში, რომლებიც მკაფიოდ გამოხატულ ქსელურ ხასიათს ატარებენ. დღესდღეობით დედამიწა ფაქტობრივად გადაფარულია საწარმოო, ფინანსური, საგაჭრო, სატრანსპორტო, საკომუნიკაციო, საინფორმაციო და ა.შ. ქსელებით. ერთმანეთში გადახლართული ქსელები ვითარდებიან, არსებობენ საბაზრო ეკონომიკური ურთიერთობების ფარგლებში და ქმნიან გლობალურ

ეკონომიკურ სისტემას. ამასთან, ამ გლობალურ ქსელებს შეუძლიათ შეღწევა დედამიწის ნებისმიერ კუთხეში, სადაც მათი არსებობისათვის მინიმალურად მისადები პირობები მაინც არსებობს.

გლობალიზაციის ძირითადი კონკრეტული შედეგი ისაა, რომ მან აქცია დედამიწა ზიარ ჭურჭლად, რომლის რომელიმე ცალკე აღებული ნაწილის იზოლაცია ამა თუ იმ მოცემული საზოგადოებრივი პროცესისაგან პრინციპულად შეუძლებელია. გლობალიზაციის პირობებში ხდება როლების გაცვლა ნაციონალურსა და მსოფლიო ეკონომიკურ ურთიერთობებს შორის. მსოფლიო ეკონომიკურმა ურთიერთობებმა სულ უფრო წამყვანი და განმსაზღვრელი ხასიათი შეიძინეს, იმ დროს როდესაც შიდასაქვეყნო ურთიერთობები თვით ძალზე მსხვილ და ძლიერ ქვეყნებშიც კი აუცილებლად უნდა შეეწყონ გლობალური ეკონომიკის რეალიებს. გლობალიზაციას ობიექტურად მივყავართ ერი – სახელმწიფოს რეგულირებადი ფუნქციების შესუსტებისაკენ და წაშლისაკენ. დაიწყო მსოფლიო სოციუმის ერი – სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის ტრადიციული ფორმების ტრანსფორმაციის მტკიცნეული პროცესი. მსოფლიო საზოგადოება გარდაიქმნა ერთიან, მთლიან ეკონომიკურ სისტემად, სადაც ნაციონალური სოციუმები ერთიანი მსოფლიო ეკონომიკური ორგანიზმის შემადგენელ ნაწილებს შეადგენენ.

ჩვენი დაკვირვებით, გლობალურ ეკონომიკურ სისტემას არ გააჩნია ერთიანი სამართავი ცენტრი, ის დიდწილად თვითრეგულირებადია და ფუნქციონირების პროცესში ნაკლებ ყურადღებას აქცევს მსოფლიოში არსებულ ფორმალურ საზღვრებს.

მავლევართა ნაწილი გლობალიზაციის პროცესს განიხილავს მხოლოდ საბაზრო ეკონომიკის ჭრილში და კონცენტრირებას ახდენს ტრანსნაციონალური ბიზნესის მარკეტინგულ სტრატეგიაზე, ხოლო სახელმწიფოებრივ პოლიტიკურ ინსტიტუტებს მნიშვნელოვან ძალებად არ მიიჩნევს.

აქ აუცილებელი ხდება გარკვეული საკითხების დაზუსტება. პირველ რიგში, ტრანსნაციონალური ბიზნესი ეს არის ეროვნული ბიზნესის ფუნქციონირება გლობალურ გარემოში, რომელიც საყრდენს აცლის იმ სუსტი განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას, რომელშიც ის ოპერირებს. მაგრამ იმავდროულად, იგი მდგრადს ხდის იმ ინდუსტრიული სახელმწიფოთა სიძლიერეს, რომელთა წიაღშიც მას ფესვები აქვს გადგმული. ძლიერი ინდუსტრიული ქვეყნები ახერხებენ იმას, რომ პოლიტიკა და ბიზნესი ეროვნულ-სახელმწიფოებრივ

ინტერესებს დაუქვემდებარონ, სუსტი სახელმწიფოები კი გადარჩენის მიზნით ცდილობენ სხვადასხვა ბლოკებსა და ალიანსებს შეაფარონ თავი.

არსებობს მოსაზრება, რომ ეკონომიკური გლობალიზაცია ქმნის გამარჯვებულებისა და დამარცხებულების განაწილების ახალ სქემას. მკვიდრდება ეკონომიკური ძალაუფლების გადანაწილების უფრო რთული სისტემა, რის გამოც, მთავრობები იძულებულები არიან „მართონ“ გლობალიზაციის სოციალური შედეგები იმასთან დაკავშირებით, რომ გლობალური ფინანსური და ეკონომიკური კონკურენცია ძირს უთხრის სოციალური დაცვის სოციალურ-დემოკრატიულ მოდელს და გვაუწყებს საყოველთაო კეთილდღეობის სახელმწიფოს მოდელის გადაშენებას.

ჩვენი აზრით, გლობალიზაცია, აგრეთვე უკავშირდება გლობალური ეკონომიკის გამარჯვებულებისა და დამარცხებულების მზარდ პოლარიზაციას. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ლიბერალური დემოკრატიის გავრცელება აძლიერებს ერთიანი გლობალური ცივილიზაციის აღმოცენების შეგრძნებას, რომელიც განისაზღვრება პოლიტიკური და ეკონომიკური ორგანიზაციის უნივერსალური სტანდარტებით.

### **გლობალიზაცია, გლობალური, გლობალიზმი.**

გერმანელი მეცნიერი ულრიხ ბეკი ერთმანეთისაგან მიჯნავს გლობალიზაციის, გლობალიზმისა და გლობალურობის ცნებებს. ბეკის განმარტებით, გლობალიზმი არის მსოფლიო ბაზრის მეშვეობით მართვის იდეოლოგია, როდესაც მსოფლიო ბაზარი ზღუდავს ან საერთოდ ცვლის პოლიტიკურ ქმედებას. გლობალიზაციის მრავალგანზომილებიანობა გლობალიზმს დაჰყავს ერთ – ეკონომიკურ განზომილებაზე. გლობალიზაციის სხვა განზომილებებს – ეკოლოგიას, კულტურას, პოლიტიკას, სამოქალაქო საზოგადოებას - მსოფლიო ბაზრის სისტემის გავლენის ქვეშ მყოფ ერთეულებად თვლის. ამ გაგებით, გლობალიზაციის ყველა ასპექტი მსოფლია ბაზარს არის დაქვემდებარებული და ისეთ რთულ ორგანიზმს, როგორიც სახელმწიფოა, მართავს როგორც უბრალო საწარმოს. ულრიხ ბეკის მიერ შემუშავებული კონცეფციის საფუძველზე, შეგვიძლია მივიჩნიოთ, რომ გლობალიზმის იდეოლოგიური არსის მიხედვით, არ არსებობს განსხვავება პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის. თუმცა, აქევე უნდა აღინიშნოს, რომ პოლიტიკის ცენტრალური ამოცანა გულისხმობს, საბაზისო ლეგალური, სოციალური და ეკოლოგიური პირობების განსაზღვრას, რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდება ეკონომიკური მოღვაწეობა.

გლობალიზმი გამოხატავს პოლიტიკურ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ცალკეული ქვეყნებისაგან შემდგარი მსოფლიო განიხილება როგორც რთული ურთიერთადაკავშირებული კომპლექსური სისტემა. ამ ფენომენის ძირითადი მახასიათებლებია: ინფორმაციული, ტექნიკური, საკომუნიკაციო გახსნილობა და ხელმისაწვდომობა. გლობალიზმის თვალსაზრისით, თანამედროვეობის ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები თავისი მიზეზ-შედეგობროვი კავშირებით მჭიდრო ურთიერდამოკიდებულებაშია და აქედან გამომდინარე აღიქმება, როგორც საერთაშორისო ინტერესის საგანი. უველაზე პარადოქსული კი ის არის, რომ გლობალიზმს თავის გავლენის ქვეშ ჰყავს მოქცეული მოწინააღმდეგენიც კი, რომლებიც ერთი მხრივ უპირისპირდებიან მსოფლიო ბაზრის ყოვლისშემძლეობას და ამავე დროს პროტექციონისტული მფარველობის ქვეშ იმყოფებიან. შესტირიან ეროვნულ ღირებულებების შესუსტებასა დაკარგვას და ამავე დროს საკუთარი თავის საწინააღმდეგოდ ნეოლიბერალიზმის პოზიციებზე დგანან.

გლობალიზმისგან განსხვავებით გლობალურობა ნიშნავს, რომ ჩვენ ვცხოვრობთ მსოფლიო საზოგადოებაში, სადაც ჩაკეტილი სივრცეების ცნება ილუზორული გახდა. მსოფლიო საზოგადოება გულისხმობს სოციალური ურთიერთობების ერთობას, რომელიც არ განისაზღვრება ნაციონალური სახელმწიფოებრივი პოლიტიკით.

გლობალურობა შეძლება შემდეგნაირად დავახასიათოთ:

1. საერთაშორისო ვაჭრობის გეოგრაფიული გაფართოება, ფულადი ბაზრის გლობალური ქსელის და ტრანსნაციონალური კორპორაციების ძალაუფლების ზრდა;
2. უწყვეტი რევოლუცია ინფორმაციული და კომუნიკაციური ტექნოლოგიების სფეროში;
3. ადამიანის უფლების დაცვის უნივერსალური მოთხოვნები – დემოკრატიის პრინციპი;
4. გლობალური პულტურული ინდუსტრიები
5. პოსტნაციონალური, პოლიცენტრული მსოფლიო პოლიტიკის გაჩენა, სადაც ტრანსნაციონალური აქტორები (კორპორაციები, არასამთავრობო ორგანიზაციები) იხვეჭენ ძალაუფლების ნაციონალურ სახელმწიფოთა გვერდით;
6. მსოფლიოში არსებული სიდარიბის საკითხი;
7. გარემოს განადგურების პრობლემა.

გლობალურობა ნიშნავს, რომ უველაფერი რაც დედამიწაზე ხდება, არ არის შემოფარგლული, ლოკალური მოვლენა. ნებისმიერი აღმოჩენა, გამარჯვება და კატასტროფა გავლენას ახდენს მთელს მსოფლიოზე და ჩვენ უნდა მოვახდინოთ

საკუთარი ცხოვრებისა და მოქმედების (საზოგადოებრივი ინსტიტუტების) რეორგანიზაცია „ლოკალურ-გლობალური“ დერძის გარშემო (ბეჭ 2003: 44).

რაც მთავარია, „გლობალიზმისა“ და „გლობალურობის“ ცნებები უნდა განვასხვავოთ „გლობალიზაციის“ ცნებისაგან, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს ტრანსნაციონალური სოციალური კავშირების და სივრცეების არსებობას, ლოკალური კულტურების გადაფასებას და მესამე მსოფლიოს კულტურებისათვის ბიძგის მიცემას. მაშასადამე გლობალიზაცია აღნიშნავს პროცესებს, რომლის პირობებშიც ეროვნულ სახელმწიფოს საფუძველი ეცლება ტრანსნაციონალური აქტორების მიერ.

გლობალიზაციის ამ რთული კონცეპტუალური ჩარჩოს შიგნით გლობალიზაციური პროცესების განვითარებას ხელს უწყობს შემდეგი სამი პარამეტრი: ა) სივრცეში გაფართოება; ბ) დროში სტაბილურობა; გ) ტრანსნაციონალური ქსელებისა და ურთიერთობების სიმყარე.

მკვლევართა ნაწილი თვლის, რომ ამგვარად გაგებული გლობალიზაცია არ არის სიახლე ულრის ბეჭის აზრით, ისინი ცდებიან, როგორც ისტორიული, ასევე ემპირიული თვალსაზრისით: სიახლეა არა მხოლოდ ყოველდღიური ცხოვრება და ურთიერთქმედება, რომელიც მიმდინარეობს მაღალი დონის ტრანსნაციონალური ურთიერდამოკიდებულების და ურთიერთვალდებულებების პირობებში, არამედ სიახლეა ამ ტრანსნაციონალობის თვითდქმა; გლობალური კულტურის ბრუნვის დონე, სიახლეა ევროპული სტრუქტურის სახელმწიფოთა ზრდა, ასევე, ტრანსნაციონალური აქტორების, ინსტიტუტების და ხელშეკრულებების რაოდენობისა და ძალაუფლების ზრდა; და ბოლოს, სიახლეა ეკონომიკური კონცენტრაციის ხარისხის ზრდა, რაც მუხედავად ყველაფრისა, ფერხდება მსოფლიო ბაზარზე არსებული კონკურენციის გამო (ბეჭ 2003: 45).

აქედან გამომდინარე შეიძლება დაგასკვნათ, რომ გლობალიზაცია არ იქნებოდა ასეთი ინტენსიური და დინამიური, რომ არა მისი მთავარი წარმმართველი და მამოძრავებელი ძალები, რომლებმაც იგი თანამედროვე კაპიტალიზმის ნეოლიბერალურ მოდელი აქციეს. ამ ძალებს წარმოადგენენ საზღვარმკვეთი სისტემები, რომელთა კონტროლიც ერთ, ცალკეულ სახელმწიფოს არ ძალუს. ეს ძალებია: ვაჭრობა, ფინანსები, მომსახურება, საკომუნიკაციო სისტემები, ტრანსპორტი, გარემო, მედია. პროტექციონიზმი, რომელიც საერთაშორისო ვაჭრობაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დამკვიდრდა და გახდა ლიბერალიზაციის მთავარი საყრდენი ინდუსტრიული სახელმწიფოებისათვის.

## 2. გლობალიზაციის თეორიული პარადიგმები

ზურაბ დავითაშვილი თავის წიგნში „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“ აღნიშნავს, რომ „გლობალიზაცია, როგორც ძალზე რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი შეუძლებელია ცალსახად და გამოკვეთილად პროგრესულ ანდა ნეგატიურ მოვლენად მივიჩნიოთ. სწორედ ამით აიხსნება გლობალიზაციის პროცესის მკვლევართა შორის ასე დიამეტრულად განსხვავებული შეფასებები“ (დავითაშვილი 2006: 200).

აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის მკვლევართა ურთიერთგამმიჯნავი პოზიციების კლასიფიკაციის თვალსაზრისით, ჩვენთვის საყურადღებოა დევიდ ჰელდის შეხედულებები, რომლის მიხედვითაც გლობალიზაციის თეორიულ აღქმაში შეიძლება გამოვყოთ მკვლევართა სამი კატეგორია: ჰიპერგლობალისტები, ტრანსფორმაციონალისტები და სკეპტიკოსები (მელიქიძე 2006:11).

ა) ჰიპერგლობალისტებს მიაჩნიათ, რომ კაცობრიობის ისტორიაში დადგა ახალი ხანა, როდესაც ტრადიციული ეროვნული სახელმწიფოები გადაიქცნენ გლობალური ეკონომიკის მოძველებულ, უფრო მეტიც უსარგებლო, ზედმეტ მოთამაშეებად. ისინი გადაჭრით ამტკიცებენ, რომ გლობალიზაცია უნდა განისაზღვროს როგორც ახალი ერა, სადაც ხალხი მზარდად განიცდის გლობალური ბაზრის გავლენას. ჰიპერგლობალისტები აღიარებენ ტრანსნაციონალური კაპიტალისა და მსოფლიო ბაზრების პეტენციას, რაც თავის მხრივ იწვევს დენაციონალიზაციასა და ტერიტორიული საზღვრების მოშლას.

ჩვენი დაკვირვებით, ასეთ მოსაზრებას საფუძვლად უდევს ეკონომიკური ლოგიკა, რომელიც წინ აყენებს ერთიან გლობალურ ბაზარსა და გლობალურ კონკურენციას, როგორც საზოგადოებრივი პროგრესის მამოძრავებელ ძალას.

ჰიპერგლობალისტების კონცეფციის მიხედვით, ეკონომიკურმა გლობალიზაციამ წარმოების, ვაჭრობისა და ფინანსების ტრანსნაციონალური ქსელის ჩამოყალიბების გზით ეკონომიკის დენაციონალიზაცია გამოიწვია. ეს არის ეკონომიკა - საზღვრების გარეშე, რომელსაც ემორჩილება სახელმწიფო. ასეთ „უსაზღვრო ეკონომიკაში“ ეროვნული სახელმწიფოები ერთგვარად, თამაშობენ გლობალური კაპიტალის გადამცემის და საბოლოო ჯამში შუამავლების როლს, რომლებიც ექცევიან ადგილობრივ, რეგიონულ და გლობალურ მართვის ორგანოებს შორის.

ჰიპერგლობალისტებს სჯერათ, რომ გლობალიზაცია ძირითადად ეკონომიკური მოვლენაა, რომ მზარდად ინტეგრირებული გლობალური ეკონომიკა უკვე არსებობს. აღნიშნული კონცეფციის შესაბამისად, ეროვნული სახელმწიფოს

როლი განუხერედად სუსტდება, იშლება ძველი იერარქია, ჩნდება ახალი ფასეულობები, რაც ერთიანი, გლობალური ციფილიზაციის ჩამოყალიბების წინაპირობად ითვლება (მელიქიძე 2006:12).

ჰიპერგლობალისტური მოძღვრება ძირითადად ნეოლიბერალურ და ნეომარქისტულ შეხედულებებს აერთიანებს, რომლებიც გლობალიზაციას კაპიტალიზმის განვითარების უმაღლეს სტადიად მიიჩნევენ, სადაც ერთ – სახელმწიფოები ფუნქციების გარეშე რჩებიან და გლობალურ ბლოკებსა და ალიანსებში შთაინთემებიან. ამასთანავე, საზოგადოების სულ უფრო დიდი ჯგუფები ხდებიან სოციალური დაუცველობის მსხვერპლი, ვინაიდან მთავრობის შესაძლებლობები აღარ არის საკმარისი მათი მზარდი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ჰიპერგლობალისტები უმთავრესად შეიარაღებულნი არიან იმ არგუმენტაციით, რომ ტრანსნაციონალური ბიზნესი, აფართოებს რა თავის გეოგრაფიულ არეალს, ხდება ერთ-სახელმწიფოს ტერიტორიულ საზღვრებში არსებული საკუთრების — ეროვნული საკუთრების მფლობელი. ტრანსნაციონალური კორპორაციები ყიდულობენ სამრეწველო ობიექტებს, უძრავ-მოძრავ ქონებას, ბუნებრივ რესურსებს, ქირაობენ ადგილობრივ მუშახელს, რის შედეგადაც ადგილობრივი სიმდიდრე გადადის უცხო კერძო მესაკუთრის ხელში.

აქეთ უნდა აღინიშნოს, რომ ჰიპერგლობალისტების ნეოლიბერალურ და ნეომარქისტულ კონცეფციებს შორის გლობალიზაციის პროცესის შეფასების კუთხით საკმაოდ სერიოზული განსხვავებები არსებობს. ნეოლიბერალები პროგრესულად თვლიან საბაზო პრინციპების დომინირებას სახელმწიფო ხელისუფლებაზე; ნეომარქისტებს თანამედროვე გლობალიზაცია გლობალური კაპიტალიზმის ნათელ გამოვლინებად მიაჩნიათ. მაგრამ მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებებისა თრივე თანხმდება, რომ გლობალიზაცია უპირველეს ყოვლისა ეკონომიკური მოვლენაა, რომელზედ დამოკიდებულია პოლიტიკა. „გლობალიზაციის ეპოქაში პოლიტიკა არა შესაძლებლობების ხელოვნება, არამედ აშკარად გამოხატული „ეკონომიკური მენეჯმენტია“ (დავითაშვილი 2006: 202).

ენდრიუ ჰეივუდი აანალიზებს რა გლობალიზაციის პროცესის ნეოლიბერალურ ხედვას, აღნიშნავს: „ნეოლიბერალური გლობალიზმი ეფუძნება ბაზარზე დაფუძნებული ეკონომიკური სტრუქტურებისა და ღირებულებების განვითარებას. ამ თვალსაზრისით, გლობალიზაციის არსე გლობალური კაპიტალისტური ეკონომიკის მშენებლობა წარმოადგენს, რომელიც ტრანსნაციონალური კორპორაციების ინტერესებთანაა დაკავშირებული და

რომელიც მნიშვნელოვნად ზღუდავს სახელმწიფოს ძალაუფლებას, განსაკუთრებით მის უნარს გარდაქმნას სოციალური სტრუქტურა. ამრიგად, ნეოლიბერალური კონცეფციით გლობალიზაცია არის მექანიზმი, რომლის საშუალებითაც მიღწეულ იქნება „ისტორიის დასასრული“. იმისდა მიუხედავად, საქმე გვაქვს გლობალიზმთან, პოპსტროდერნიზმთან, ისტორიისა თუ იდეოლოგიის დასასრულთან, იდეოლოგიაზე ყველა ამ იერიშს აერთიანებს ის, რომ ისინი თვითონ არიან იდეოლოგიურნი. თითოეული სენიტული მოვლენა, არსებითად, წარმოადგენს მცდელობას თითოეული სენიტული მოვლენა წარმოჩნდეს როგორც მის კონკურენტზე უპირატესი და ამ მიზნით ის წინასწარმეტყველებს თავის საბოლოო ტრიუმფს. ასეთი დასკვნები იდეოლოგიის დაცემის მიმანიშნებელი კი არ არის, არამედ თვალსაჩინოს ხდის, რომ იდეოლოგია მუდმივი და უსასრულო პროცესია” (პეივუდი 2005 :376)

ბ) სკეპიტიკოსები თვლიან, რომ გლობალიზაცია მითია, რომელიც მალავს საერთაშორისო ეკონომიკის რეალურ სახეს. კერძოდ, მის დანაწილებას სამ რეგიონალ ბლოკად, სადაც ეროვნული მთავრობების ძალა უაღრესად დიდია. მათი თვალსაზრისით, ყველა არსებული მტკიცებულება მიგვანიშნებს, იმას რომ ეკონომიკური საქმიანობა განიცდის მნიშვნელოვან რეგიონალიზაციას. შესაბამისად კლასიკური „ოქროს სტანდარტის“ ეპოქასთან შედარებით მსოფლიო ეკონომიკა ბევრად უფრო ნაკლებად ინტეგრირებულია, ხოლო მსოფლიო იმპერიების ხანასთან შედარებით ის უფრო ნაკლებად გლობალიზებულია გეოგრაფიული მოცვის თვალსაზრისით.

სტეპტიკური თეორიის ყველაზე გამორჩეული წარმომადგენლის, ბირბეკის კოლეჯის (ლონდონის უნივერსიტეტი) პროფესორის, პოლ ჰერსტის განმარტებით, გლობალიზაცია წარმოადგენს კომერციული ლიბერალიზმის საერთაშორისო სისტემის უწყვეტ განვითარებას, სადაც სისტემა ოჩება ეროვნებათშორისი (inter-national) და არა გლობალური, და სადაც თამაშის წესებს კარნახობენ განვითარებული ინდუსტრიული ქვეყნები (ჰერსტი 2002:12).

პოლ ჰერტის მიხედვით, გლობალიზაცია არის მითი და იდეოლოგია, რაც გულისხმობს დასავლეთ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ჰეგემონიას მსოფლიო პოლიტიკაში. გლობალური ეკონომიკა, რომელიც დაფუძნებულია საზღვრებს გარეთ არსებულ საბაზრო ძალებზე, არ არის განვითარებული, და მიგრაციული პროცესებიც უპრეცენდენტო ეროვნულ კონტროლს ექვემდებარებიან.

ჩვენი შეხედულებით, ეს კონცეფცია შეიძლება ითქვას, რომ საფუძველს არის მოკლებული, ვინაიდან მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და უახლესი საკომინიკაციო სისტემების განვითარების შედეგად თანამედროვე მსოფლიო არასდროს ყოფილა ისე გლობალიზებული და ურთიერთდამოკიდებული, როგორც თანამედროვე ეტაპზეა.

შეიძლება დავვთანხმოთ პროფესორ პერსტს იმ ასპექტზი, რომ განვითარებული ინდუსტრიული სახელმწიფოები კვლავაც დიდ როლს თამაშობენ გლობალურ ეკონომიკურ მმართველობაში. აგრეთვე გასაზიარებელი მისი პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ქვეყნების მიერ ჩამოყალიბებული ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუციონალური სისტემა მათსავე ინტერესების განხორციელებისათვის იყო გამიზნული.

ასევე, მიგვაჩნია რომ, სკეპტიკოსები გვერდს უვლიან ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომლის თანახმადაც საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის მიერ განვითარებადი ქვეყნებისათვის შემუშავებულმა ნეოლიბერალურმა გეგმამ საშუალება მისცა განვითარებულ მსოფლიოს მისთვის სასარგებლო, ასიმეტრიული სავაჭრო სივრცის პირობებში მიეღწია მნიშვნელოვანი ეკონომიკური ზრდადობისათვის. ამ თვალსაზრისით, ცალსახად ნათელია, რომ ამ ასიმეტრიულმა სავაჭრო ეკონომიკურმა კლიმატმა და არაჯანსაღმა კონკურენციამ უფრო მეტად გააღრმავეს გლობალური უთანაბრობა და ეკონომიკური დისბალანსი ამ ორ სამყაროს შორის.

აქვე, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ 1940-იანი წლების ბოლოს, ბრეტონ-ვუდსის ინსტიტუციონალური სისტემის შემქმნელ ერ-სახელმწიფოებს წარმოდგენაც არ შეეძლოთ იმის შესახებ, თუ რა მასშტაბებს მიაღწევდნენ ეკონომიკური, სამრეწველო, სავაჭრო და საინფორმაციო-ტექნოლოგიური პროცესები. როგორც მოგვიანებით აღმოჩნდა, განვითარებული ლიბერალურ-დემოკრატიული სახელმწიფოები თავადაც დადგნენ გლობალური - სოციალური, ეკოლოგიური და ტერორიზმის პრობლემების წინაშე.

სპეპტიკოსი ანალიტიკოსები მიიჩნევენ, რომ გლობალიზაცია ხელს უწყობს ინტეგრაციას, რაც თავის მხრივ წარმოშობს და აფართოებს რეგიონალურ და გლობალურ სტრუქტურებს მულტიეროვნები მმართველობითი ინსტიტუტების სახით, რომლებიც ცდილობენ უზრუნველყონ საერთაშორისო კანონმდებლობის პარმონიზაცია და პოლიტიკურ-სამართლებრივი კლიმატი. რადგან საერთაშორისო ბიზნესი და ტრანსნაციონალური კაპიტალი ობიექტური გარემოებებისდა გამო მოითხოვენ საკანონმდებლო სივრცის უზრუნველყოფას

ტერიტორიულ სივრცეში, რაც თავის მხრივ მთავრობის პრეროგატივას წარმოადგენს – სკეპტიკოსები ამ რეალობის საფუძვლზე აყალიბებენ კონცეფციას, რომ ვინაიდან ბაზრებს არ შესწევთ მართვის უნარი, საერთაშორისო ეკონომიკა საჭიროებს სახელმწიფო სექტორის პოზიციების განმტკიცებას.

პერსტის მოსაზრებით, ეროვნული კანონმდებლობა ზეგავლენას ახდენს საერთაშორისო ბაზრებზე, იგი უზრუნველყოფს სატარიფო და საგადასახადო სისტემას, რაც ხაზს უსვამს სახელმწიფოს სიძლიერეს.

კონკურენციის თეორიის ცნობილი მკვლევარის მაიკლ პორტერის აზრით, „ქვეყნის კონკურენტუნარიანობა იქმნება არა გარე, არამედ შიგა ბაზრებზე“ (პორტერი 2000:218).

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ შიგა ბაზრების განუვითარებლობა აფერხებს საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის პროცესს, ანუ ართულებს მოცემული ქვეყნის კაპიტალისტურ ეკონომიკურ ურთიერთობებს დანარჩენ სამყაროსთან.

სკეპტიკოსები, აგრეთვე არ თვლიან, რომ ეროვნული მთავრობები ექვემდებარებიან საერთაშორისო ტენდენციებს. პირიქით, ისინი ყურადღებას ამახვილებენ იმაზე, რომ მათი როლი საზღვრებს გაღმა ეკონომიკური აქტიურობის განვითარებასა და რეგულირებაში სულ უფრო ცენტრალური ხდება. მთავრობები ინტერნაციონალიზაციის პასიური მსხვერპლი კი არა, პირიქით, მისი ძირითადი არქიტექტორები არიან. უფრო მეტიც, ზოგი განიხილავს ინტერნაციონალიზაციას როგორც ძირითადად აშშ-ის მიერ ინიციორებული მრავალმხრივი მსოფლიო ეკონომიკური წესწყობის თამნხლებ პროდუქტს, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უბიძგა ეროვნული ეკონომიკების ინტერნაციონალიზაციას. სხვებს საერთოდ მიაჩნიათ, რომ მსოფლიო ვაჭრობისა და კაპიტალდაბანდებების მიმდინარე ინტენსიფიკაცია წარმოადგენს დასავლური იმპერიალიზმის ახალ სტადიას, რომლის ფარგლებშიც ეროვნული მთავრობები გამოდიან მონოპოლისტური კაპიტალის აგენტების როლში.

მარტინ ხორი, გლობალიზაციის დახასიათებისას გვთავაზობს, საკმაოდ ორიგინალურ მოსაზრებას: „გლობალიზაცია არის ის, რასაც ჩვენ მესამე სამყაროში საუკუნეების მანძილზე კოლონიზაციას ვუწოდებდით“ (ხორი 2009).

ჩვენი დაკვირვებით, სკეპტიკოსები ეჭვის თვალით უურებენ წარმოდგენას იმაზე, რომ ინტერნაციონალიზაციას თან სდევს მსოფლიო ეკონომიკური

ურთიერთობების მნიშვნელოვანი, უფრო მეტიც — ძირფესვიანად გარდაქმნა. ისინი ადიარებენ, რომ უთანაბრობა და იერარქიზაცია იმდენად ღრმად არის გამჯდარი მსოფლიო ეკონომიკაში, რომ, სტრუქტურული თვალსაზრისით, გასული საუკუნის მანძილზე ეს სიტუაცია ძალზე უმნიშვნელოდ შეიცვალა. მრავალი სკეპტიკოსის წარმოდგენით, ასეთი უთანაბრობა ხელს უწყობს ფუნდამენტალიზმისა და აგრესიული ნაციონალიზმის წარმოჩენას, ნაცვლად იმისა, რომ ხელი შეუწყოს მსოფლიო ცივილიზაციის შექმნას, როგორც ამას ჰიპერგლობალისტები ვარაუდობენ.

ჩვენი შეხედულებით, თანამედროვე ეტაპზე ხდება მსოფლიოს დაქუცმაცება ცივილიზაციურ ბლოკებად და კულტურულ თუ ეთნიკურ ანკლავებად. წარმოდგენა კულტურული ერთობისა და გლობალური კულტურის შესახებ — ილუზიაა. გლობალური უთანაბრობის გადრმავება, საერთაშორისო პოლიტიკის რეალობები, ისევე როგორც „ცივილიზაციათა შეხლა“, აგრეთვე, ააშკარავებს „გლობალური მთავრობის“ იდეის უსაფუძვლობას, რადგან მსოფლიოს წესრიგის ორგანიზაციის ბერკეტები მეცხრამეტე საუკუნიდან მოყოლებული უმეტესწილად დასავლეთის მთავრობების ხელშია. ამ თვალსაზრისით, სკეპტიკოსები განიხილავენ მსოფლიო მმართველობასა და ეკონომიკურ ინტერნაციონალიზაციას როგორც ძირითადად დასავლურ პროექტს, რომლის მთავარი მიზანია შეინარჩუნოს დასავლეთის პირველობა მსოფლიო ურთიერთობებში. უფრო მეტი, სკეპტიკოსებს მიაჩნიათ, რომ „გლობალიზაცია“ წარმოადგენს მოხერხებულ პოლიტიკურ თეზისს, რომელიც გამოიყენება არაპოპულარული ორთოდოქსური ნეოლიბერალური ეკონომიკური სტრატეგიების გასამართლებლად.

გ) ტრანსფორმაციონალისტები თვლიან, რომ გლობალიზაცია ახალი ათასწლეულის დასაწყისის ცენტარალური მოვლენაა, რომელიც სწრაფ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცვლილებებს იწვევს. ტრანსფორმაციონალისტურ თეზისს საფუძვლად უდევს იმის რწმენა, რომ გლობალიზაციური პროცესები განაპირობებს ახალ მსოფლიო წესრიგის შექმნას.

ამ წარმოდგენის მსარდამჯერთა აზრით, „გლობალიზაციის თანამედროვე პროცესები ისტორიულად იმდენად უპრეცენდენტოა, რომ საზოგადოებები და მთავრობები მთელს მსოფლიოში იძულებულები არიან შეეწყონ მსოფლიოს, რომელშიც უკვე ადარ არსებობს მკაფიო განსხვავება საერთაშორისო და შინაგან, საგარეო და საშინაო ურთიერთობებს შორის. ენტონი გიდენსისათვის

გლობალიზაცია წარმოადგენს გიგანტურ მატრანსფორმირებელ ძალას, რომელიც იწვევს ძირებლ ძვრებს ეკონომიკაში, მმართველ ინსტიტუტებში, მსოფლიო წესრიგსა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში“ (გიდენსი, 1990:53).

როგორც ვიცით, ტრანსფორმაცინალისტები არ თვლიან, რომ თანამედროვე პერიოდი გლობალური ერაა (პიპერგლობალისტებისაგან განსხვავებით), მაგრამ მას არც მითად აღიქვამენ.

ტრანსფორმაცინალისტების გაგებით, გლობალური ურთიერთდამოკიდებულებები აბსოლუტურად რეალურია. სახელმწიფოს როლიც თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში შემცირდა, მაგრამ ამავე დროს სრულიად ვეთანხმებით იმ მოსაზრებას, რომ სახელმწიფოთა სისტემის კვლეულია ლაპარაკი ყველანაირ საფუძველს მოკლებულია.

სკეპტიკური და პიპერგლობალისტური პოზიციებისაგან განსხვავებით, ტრანსფორმაციონისტებს არ გააჩნიათ მომავლის პროგნოზირების პრეტენზიები, ვინაიდან, ზემოთ აღნიშნული ძირებლი ძვრები ქაოტურად მიმდინარეობს და მრავალ გაურკვევლობასთან არის დაკავშირებული. ისინი არც აწმუოს განიხილავენ ერთ რომელიმე „იდეალური“ განზომილების კონტექსტში, და ამის სანაცვლოდ გლობალიზაციას წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიულ პროცესად მიიჩნევენ, რომელიც მრავალწახნაგოვან ჭრილში გაანალიზებას მოითხოვს.

ტრანსფორმაციონალისტებისათვის გლობალიზაცია გაიგივებულია გლობალურ სტრატიგიკაციასთან, რომლის ფარგლებშიც ზოგიერთი ქვეყანა, საზოგადოება თუ თემი სულ უფრო ებმება გლობალურ ერთობაში, მაშინ როდესაც სხვები სულ უფრო გარიყელები ხდებიან. გარდა ამისა, ადარ მოქმედებს ტრადიციული იერარქიული შრომის საერთაშორისო განაწილება, აგებული ჩრდილო სამხრეთის, პირველ-მესამე სამყაროდ დანაწილებაზე. პირიქით, ჩრდილოეთი და სამხრეთი, პირველი და მესამე სამყარო გვერდიგვერდ არსებობენ მსოფლიოს ნებისმიერ დიდ ქალაქში.

ტრანსფორმაციონალისტურ წარმოდგენას საფუძვლად უდევს რწმენა იმის შესახებ, რომ თანამედროვე გლობალიზაცია ახდენს ეროვნული მთავრობების ძალაუფლებისა თუ ფუნქციების რეორგანიზაციას. ხდება ახალი „სუვერენული რეჟიმის“ ჩამოყალიბება, რომელიც იკავებს სახელმწიფოებრიობის ტრადიციული კონცეპციის ადგილს. მათი წარმოდგენით დღეს სუვერენიტეტი ნაკლებადაა ტერიტორიულად განსაზღვრული ბარიერი და უფრო ვაჭრობის საშუალებაა იმ პოლიტიკაში, რომელიც განისაზღვრება რთული ტრანსნაციონალური ქსელებით.

გარდა ამისა, გლობალიზაცია უკავშირდება აგრეთვე, მძღავრი, ახალი არატერიტორიული ეკონომიკური და პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმების აღმოცენებას გლობალურ სივრცეში, როგორებიცაა მულტინაციონალური კორპორაციები, ტრანსნაციონალური სოციალური მოძრაობები, საერთაშორისო მარეგულირებელი სააგენტოები, და ა.შ.

ტრანსფორმაციონალისტთა წარმოდგენით გაუგებარია, სად შეიძლება მიგვიყვანოს თანამედროვე სამყაროში განვითარებულმა პროცესებმა, რადგანაც გლობალიზაცია წარმოადგენს შემთხვევით, ძნელად გასათვალისწინებელ, წინააღმდეგობებით აღსავსე ისტორიულ პროცესს.

ჩვენი შეხედულებით, გარკვეულ საკითხებში შეინიშნება ტრანსფორმაციონისტთა და პიპერგლობალისტთა შეხედულებების თანხვედრა, მაგრამ ეროვნული მთავრობის ხელისუფლების გარდაქმნის საკითხთან დაკავშირებით ტრანსფორმაციონისტები უგულებელყოფენ თპონენტთა რიტორიკას, რომ სახელმწიფო აღარ იარსებებს. პიპერგლობალისტური და სკეპტიკური კონცეფციებისაგან შედარებით, ტრანსფორმაციონისტური კონცეფცია უფრო არგუმენტირებულად შეგვიძლია მივიჩნიოთ იმ გარემოების გამო, რომ დღევანდელ სწრაფად ცვალებად მსოფლიოში აუცილებელი ხდება პრობლემებისადმი კომპლექსური მიდგომა და მოვლენების რაციონალური ანალიზი.

### 3. გლობალიზაციის ძირითადი მახასიათებლები

ცივი ომის დამთავრების შემდეგ, ინტენსიურად მიმდინარეობს გლობალიზაციის პროცესი თუმცა მისი თეორიული საფუძვლები, ახალ ეგროპულ ლიბერალურ დემოკრატიულ პროექტში იყო უკვე მოცემული, რომლის მიხედვით სამყარო ისე უნდა იქნას გარდაქმნილი, რომ გამოდგეს, კონკრეტული ინდივიდის საცხოვრებლად, მიუხედავად მისი ეთნიკური, ეროვნული, სახელმწიფოებრივი და სხვა იდენტობებისა. ასეთმა მიდგომამ განაპირობა ის, რომ ნაციონალური კორპორაციების ადგილი ეკონომიკაში შეცვალა ტრანსნაციონალურმა კორპორაციებმა, რამაც თავის მხრივ მოითხოვა სამართლებრივი ნორმების, პოლიტიკური სისტემების, ფინანსური ორგანიზაციების პომოგენურობა. აქედან გამომდინარე ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესისათვის ძირითად მახასიათებლებად იქცნენ: ინტერნაციონალიზაცია, ლიბერალიზაცია, ვესტერნიზაცია, დეტერიტორიალიზაცია.

**ინტერნაციონალიზაცია -** აღნიშნავს ორ ან მეტ ეროვნულ სახელმწიფოს შორის (მათი გეოგრაფიული მდებარეობის მიუხედავად) ურთიერთქმედების და ურთიერთკავშირების მოდელებს. ინტერნაციონალიზაციის პროცესი გულისხმობს საქონლის, ინვესტირების, ადამიანთა, ფულის, იდეების მზარდი ნაკადების მოძრაობას. ამ თვალსაზრისით, გლობალური ურთიერთკავშირები სხვა არაფერია, თუ არა გალრმავებული საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულება. რაც ნიშნავს, რომ ხალხი და კულტურა, მათი საქმიანობა ასე დაახლოებული ერთმანეთთან არასდროს ყოფილა, ცვლილებები ერთ ქვეყანაში მყისვე აისახება მასზე ათასობით კილომეტრით დაცილებულ ქვეყნებზე.

სოციალურ თეორიაში ინტერნაციონალიზაცია გულისხმობს ურთიერთობების ინტენსიფიკაციას ნაციონალურ დონეზე, რაც უპირველეს ყოვლისა ქვეყნების (სახელმწიფოებს შორის) და ხალხების ურთიერთდამოკიდებულებით გამოიხატება. საერთაშორისო ურთიერთობებში სახელმწიფოები, როგორ მჭიდროდაც არ უნდა იყვნენ ურთიერთდამოკიდებულნი, ნათლად გამოკვეთილი საზღვრებით არიან ერთმანეთისაგან გამიჯნული. გლობალური მსოფლიო კი გულისხმობს ზეტერიტორიულ და ზენაციონალურ სამყაროს, სადაც სახელმწიფოებრივი საზღვრები არავითარ როლს არ უნდა თამაშობდეს. ანუ, ერთი მხრივ, გლობალიზაცია იწვევს სახელმწიფოთა შორის კავშირების გააქტიურებას და იმავე დროს სახელმწიფო საზღვრების როლისა და მნიშვნელობის შემცირებას. გლობალიზაციის პირობებში კაცობრიობის ცხოვრება მიმდინარეობს სამყაროში, რომელიც განუყოფელ და ერთიან მთლიანობაში არის წარმოდგენილი.

ჩვენი დაკვირვებით, ხალხთა გაცხოველებული ურთიერთქმედება (ძირითადად გაჭრობა, ინვესტიციები, ტურიზმი, მედია, ელექტრონული კავშირის საშუალებები) წარმოქმნის საერთო მსოფლიო კულტურას. ტრანსპორტისა და კომინიკაციების ტექნოლოგიურმა წინსვლამ მართლაც იოლი და იაფი გახადა ფულის მოძრაობა, ტვირთის გადაზიდვა, ადამიანების გადადგილება, ცოდნის, იდეების და წარმოდგენების გავრცელება. რაც, თავისთავად ამბაფრებს მსოფლიოს როგორც ერთიანი სივრცის შეგრძნებას. სწრაფად გლობალიზებად სამყაროში (რომელიც ხასიათდება ისტორიულად უპრეცედენტო ცივილიზაციური, საზოგადოებრივი თუ სხვა სახის ურთიერთდამოკიდებულებით და მისი საყოველთაო გააზრებით) შეიმჩნევა ცივილიზაციური, საზოგადოებრივი და ეთნიკური თვითშეგნების გამწვავება, რაც სხვა არაფერია თუ არა საპასუხო რეაქცია სამყაროს როგორც მთლიანობის გააზრებაზე.

ჩვენი აზრით, „გლობალიზაცია“ უნდა განვასხვავოთ სივრცეში შემოსაზღვრული პროცესების აღმნიშვნელი ცნებებისაგან, როგორიცაა „ლოკალიზაცია“, „ნაციონალიზაცია“ და „ინტერნაციონალიზაცია“. აღნიშნული ცნებებისგან განსხვავებით, თანამედროვე გლობალიზაცია აღწერს, მაგალითად, ვაჭრობისა და ფინანსური ნაკადების მოძრაობას მსოფლიო ეკონომიკის მთავარ რეგიონებს შორის, მაშინ როდესაც შესაბამისი მოძრაობა თავად რეგიონებს შიგნით შეიძლება განვასხვავოთ ლოკალური, ნაციონალური და რეგიონალური კლასტერების თვალსაზრისით.

**ლოკალიზაცია** აღნიშნავს ნაკადებისა და ქსელების გაერთიანებას ერთი ლოკალური ადგილის ფარგლებში. **ნაციონალიზაცია** არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც სოციალური ურთიერთობები ვითარდება განსაზღვრული ტერტიოული საზღვრების ჩარჩოში. **რეგიონალიზაცია** შეიძლება განისაზღვროს, როგორც სახელმწიფოს/საზოგადოების ფუნქციონალურ ან გეოგრაფიულ დაჯგუფებებს შორის ურთიერთქმედების, ქსელების, ნაკადების, მოქმედების კავშირების კლასტერაცია (ჯგუფებად დაყოფა).

უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარად გაგებული გლობალიზაცია არ გამორიცხავს სივრცეში შემოსაზღვრულ პროცესებს, პირიქით, იგი რთულ და დინამიკურ კაგშირშია მათთან. ერთი შერივ, ისეთმა პროცესებმა როგორიც რეგიონალიზაციაა, შეიძლება წარმოშვას ეკონომიკური, სოციალური და ფიზიკური ინფრასტრუქტურის აუცილებელი სახეები, რომლებიც ხელს უწყობენ გლობალიზაციის გაღრმავებას. რონალდ რობერტსონი თვლის, რომ გლობალიზაცია ყოველთვის დაკავშირებულია ლოკალიზაციასთან (აზმაიფარაშვილი 2009:208).

ჩვენი შეხედულებით, მიუხედავად ამისა, არ არსებობს საფუძველი ისეთი დასკვნების გამოსატანად, რომ ლოკალიზაცია ან რეგიონალიზაცია გლობალიზაციის საპირისპირო პროცესია. ხოლო იმის განსაზღვრა, თუ ზუსტად როგორ მიმართებაშია ეს პროცესები ერთმანეთთან – ემპირიული საკითხია.

**ლიბერალიზაცია.** მსოფლიო ეკონომიკაში ლიბერალიზაციის ტენდენციები 1970-იანი წლებიდან გამოიკვეთა, როდესაც განვითარებულ სახელმწიფოებში მასობრივი წარმოებისა და მოხმარების სისტემაში ამოწურა თავისი განვითარების შესაძლებლობები. ინვესტიციები, რომლებიც ძირითადად სამრეწველო სექტორში მიედინებოდა, გადაერთო სპეციალიზირ სფეროში, გაიზარდა უმუშევრობისა და ინფლაციის დონეები, ხოლო ქვეყნებს შორის კონკურენცია გამძაფრდა. ამან უბიძგა ინვესტორებს ეძებნათ კაპიტალის დაბანდების უფრო მომგებიანი

სფეროები. კონკურენციამ დააჩქარა ტექნოლოგიური წინსვლა, რამაც, თავის მხრივ, ხელი შეუწყო გლობალური ინფრასტრუქტურის ჩამოყალიბებას განვითარებული მომსახურების სფეროსა და კომუნიკაციების სისტემის სახით.

როგორც ვიცით, ლიბერალური თეორია ეფუძნება მოდერნიზაციის ცნებას, რაც გულისხმობს პროგრესულ გადასვლას ტრადიციული, პრეინდუსტრიული და აგრარული საზოგადოებიდან თანამედროვე, ინდუსტრიულ და მასობრივი მოხმარების საზოგადოებაზე. განვითარება ლიბერალების აზრით. ნიშნავს პრეინდუსტრიული ბარიერების, წარსულის ინსტიტუტების და შეზღუდული ფასეულობათა სისტემების დაძლევას, რომლებიც ხელს უშლიან ზრდის და მოდერნიზაციის პროცესებს. მოდერნიზაციის თეორიების წარმომადგენლების მთავარი დანიშნულებაა იმ ტრადიციული კომპონენტების გამოყდავნება, რომლებიც ხელს უშლიან განვითარებას და იმ ფაქტორების წარმოჩენა, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ მოდერნიზაციას. ლიბერალური ეკონომისტები ხაზს უსვამენ ღია და თავისუფალი ეკონომიკის წარმოების აუცილებლობას, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ინვესტიციებს რაც საჭიროა თვითმყოფადი ეკონომიკური განვითარებისა და ეკონომიკური ზრდისათვის.

მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმი გამოდის სახელმწიფოს მხრიდან ეკონომიკური საქმიანობის კონტროლის საწინააღმდეგოდ. ეკონომიკური ლიბერალიზმის წარმომადგენლები უარყოფენ თეორიებს, რომლებიც ეკონომიკას პოლიტიკას უქვემდებარებენ. ამ თეორიის თვალსაჩინო წარმომადგენელს, ადამ სმიტს სწამდა, რომ „ბაზრები ფართოვდებიან სპონტანურად ადამიანური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მთავრობები არ ჩაერევიან ამ ეკონომიკურ პროცესში. სმიტის მიხედვით ეკონომიკური ბაზარი არის პროგრესის, თანამშრომლობის და კეთილდღეობის ძირითადი წყარო. ამის საპირისპიროდ, მათ სწამთ, რომ პოლიტიკური ჩარევა და სახელმწიფოებრივი რეგულაციები არის არაეკონომიკური, რეტროგრაციული და შეიძლება კონფლიქტამდეც მიგვიყვანოს“ (აკობია 2006: 89).

ანრი კულმანის განცხადებით „ლიბერალური ეკონომიკური თეორიის მომხრეები ეწინააღმდეგებიან საბაზო ეკონომიკაში ნებისმიერი სუბიექტის, მათ შორის სახელმწიფოს ჩარევას“ (კულმანი 1993: 68).

აქვე აღვნიშნოთ, რომ ეკონომიკური ლიბერალიზმის შიგნით არსებობს დებატები იმის შესახებ, თუ რა ხარისხის ჩარევა არის დასაშვები მთავრობის მხრიდან. ადრეული ეკონომიკური ლიბერალიზმის კონცეფცია, როგორც ვიცით. ითვალისწინებდა ეკონომიკური საქმიანობების სრულ სითავისუფლეს

ყველანაირი პოლიტიკური შეზღუდვების და რეგულაციებისგან. თუმცა, იგი ასევე ითვალისწინებდა მთავრობების მიერ მინიმალური პირობების შექმნას, თუნდაც იურიდიული ჩარჩოების ჩამოყალიბებას, რომელშიც ბაზარმა უნდა იფუნქციონიროს.

მიუხედავად ზემომოყვანილი არგუმენტებისა, ეკონომიკური ლიბერალიზმის მიმდევრები თავიდანვე აღიარებდნენ იმ ფაქტს, რომ ბაზარი ყოველთვის ვერ იმოქმედებს ეფექტურად და ყველასთვის სასარგებლოდ. ასეთ შემთხვევებს ბაზრის ჩავარდნა ეწოდება და ამის თავიდან ასაცილებლად პოლიტიკური რეგულაციები, ან შეზღუდვებია საჭირო. მაგალითად, ჯონ სტუარტ მილი აკრიტიკებდა მზარდ ქონებრივ უთანასწორობას და მოუწოდებლად სახელმწიფოს მიერ შეზღუდული როლის თამაშს ცალკეულ სფეროებში სიტუაციის გამოსაწორებლად, მაგალითად განათლებასა და სიღარიბის დაძლევის სფეროში. მეოცე საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გამოჩენილი ეკონომისტი, ჯონ მეინარდ კეინზი განავრცობს მილის მოსაზრებას და ემსრობა „ეკონომიკური პროცესების სახელმწიფოს მიერ „ჭავიანურად“ მართვას“ (კეინზი 1978:72).

კეინზის იდეებმა დასაბამი დაუდო რეფორმირებულ ლიბერალურ თეორიას, რომელიც ძველებურად საბაზრო ეკონომიკას ეფუძნება, მაგრამ ასევე ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ ჩარევის და ეკონომიკისთვის მიმართულების მიცემის გზებს (აკობია 2006:85).

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან განსაკუთრებით დაჩქარდა ვაჭრობის ლიბერალიზაცია, ეკონომიკური ინტეგრაცია და გლობალიზაციის პროცესები. მნიშვნელოვანი ტენდენციაა განვითარებადი ქვეყნების მონაწილეობის ზრდა მსოფლიო ვაჭრობაში. სავაჭრო ბარიერების მასშტაბურმა შემცირებამ გზა მისცა ამ ქვეყნების ექსპორტზე ორიენტირებულ ზრდას. ინდოეთის, ჩინეთისა და ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების მონაწილეობის ზრდამ გლობალურ სავაჭრო სისტემაში (რ. ფრიმანის გამოკლევის მიხედვით), გააორმაგა სამუშაო ძალის მიწოდება და განაპირობა ცვლილებები წარმოების ფაქტორთა ფასებში. განვითარებულ ქვეყნებში შეიქმნა კონკურენცია იაფი მუშახელის მიწოდების გამო, ხოლო გლობალური სამუშაო ძალის გაორმაგების შედეგად კაპიტალის ზღვრული წარმოებლობა გაიზარდა.

ფრიმანის დასკვნით, „შექმნილი სიტუაცია ყველაზე უფრო სახარბიელოა ტრანსაციონალური კორპორაციებისთვის, რადგან ისინი სარგებლობენ წარმოების ფაქტორთა გლობალურ ფასებში არსებული განსხვავებებიდან გამომდინარე უპირატესობით“ (ჯამაგიძე 2008: 45).

ჩვენ მივდივართ იმ დასვნამდე, რომ ლიბერალიზაცია, ნიშნავს საზღვრების ფართომასშტაბურ გახსნას, ბარიერების მოხსნას, რომელიც აბრკოლებს ვაჭრობის ტრანსფერებსა და კომუნიკაციას. ქვეყნებს შორის სავაჭრო ბარიერები მინიმუმადეა დაყვანილი, რაც გულისხმობს ლიბერალიზაციის გზით პლანეტარულ ინტეგრაციას. გლობალური ეკონომიკის მართვის ინსტიტუციურ სამართლებრივი საფუძვლის ფორმირებაში აქტიურად მონაწილეობენ ტრანსნაციონალური კომპანიები, ტრანსნაციონალური ბანკები, ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციები და განვითარებული ქვეყნები.

კაპიტალის მოძრაობის მასშტაბური გლობალიზაცია და დერეგულირება, ასევე, ბაზრების გახსნა სავაჭრო ნაკადებისათვის ქმნის საფუძველს ეკონომიკის გლობალიზაციისათვის. რაც უზრუნველყოფილია საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო ტექნოლოგიებით. გლობალიზაციის რეალურ სუბიექტებს ტრანსნაციონალური კომპანიები წარმოადგენენ, რადგან ამ პროცესის ბუნება და განვითარების მიმართულებები განისაზღვრება მსოფლიო ბაზარზე ტრანსნაციონალური კომპანიების ქცევითა და სტრატეგიებით. ეს კომპანიები გაერთიანებული არიან ტრანსნაციონალურ საწარმოო ქსელებში. ასეთი ქსელებს შორის ურთიერთქმედება (ამასთან, გამძაფრებული კონკურენციის პირობებში) ეკონომიკური ინტეგრაციისა და გლობალიზაციის გაღრმავების საფუძველია.

დასკვნის სახით აღნიშნოთ, რომ ლიბერალიზაციის წყალობით გაფართოვდა კაპიტალის მოქმედების არეალი (სავაჭრო ბარიერების გაუქმება, ინვესტიციების მობილურობა, ინტეგრაციული პროცესები). ახალი რეალობიდან გამომდინარე, ლიბერალური და კლასიკური თეორიები ახლებურად იქნა გააზრებული, რომელთა თანახმად, ეკონომიკის თავისი შინაგანი დინამიკის წყალობით შეუძლია უზრუნველყოს ეფექტიანი და რაციონალური გადაწყვეტელები ყოველგვარი გარე ჩარევის გარეშე. საბაზრო ურთიერთობების მთელი მსოფლიოს მასშტაბით უზრუნველსაყოფად, ამ პროცესში ყველა ქვეყნის მონაწილეობაა აუცილებელი. ქვეყნებში თავისუფალი ბაზრის დამკვიდრების მიმართულებებად დაისახა ისეთი ღონისძიებები, როგორებიცაა ეკონომიკაში სახელმწიფოს ჩარევის შეზღუდვა, პრივატიზაცია, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, სახელმწიფო ხარჯების შემცირება, ფინანსური სფეროს დარეგულირება. გლობალიზაციის თანამედროვე პროცესისათვის დამახასიათებელია ცალკეულ ქვეყნებში ეკონომიკის დარეგულირების

ტენდენციების პარალელურად ზესახელმწიფოებრივ დონეზე რეგულირების პროცესების გაძლიერება.

**ვესტერნიზაცია** - ანუ დასავლური ღირებულებების, ცხოვრების წესის ეკონომიკური ურთიერთობების ექსტრაპოლაცია (განვრცობა) მთელ დედამიწაზე. მკვლევართა ნაწილი გლობალიზაციის პროცესს განიხილავს, როგორც მთელს მსოფლიოში დასავლური კულტურის გავრცელებას, დასავლური ღირებულებების, ინფორმაციებისა და კომუნიკაციების, ტექნოლოგიების ექსტრაპოლაციას დედამიწის ყოველ კუთხეში – ანუ ვესტერნიზაციას. ამ მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით უპირატესობა ენიჭება უტილიტარიზმს, სეკულარიზმისა და რაციონალიზმის ღირებულებებს.

ჩვენი შეხედულებით, გლობალიზაციისა და ვესტერნიზაციის ცნებები სულაც არ არის იდენტური. ერთი შეხედვით, მთელს მსოფლიოში დასავლური კულტურის გავრცელება თითქოს ამაზე მიანიშნებს. მაგალითად ის რომ, დღეს, თითქმის ყველა ქვეყანაში განსხვავებული ერის წარმომადგენლები იცვამენ ერთსა და იმავე ბრენდის სამოსს, უსმენენ მსგავს მუსიკას, მიირთმევენ ჰამბურგერს მაკრონალდსში, უყურებენ სიმფსონებს და ა. შ. მაგრამ, მეორე მხრივ, თუ ამ პროცესს უფრო დეტალურად შევისწავლით, დავინახავთ, რომ თითოეული ზემოთ მოყვანილი მაგალითი განსხვავებულად აღიქმება სხავასხვა საზოგადოებებში, კლასებსა და ასაკობრივ ჯგუფებში.

ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე თითქმის ყველა პროდუქტი შედის და მარკეტინგულად იფუთება ადგილობრივი მოთხოვნილებების, ტრადიციებისა და შეხედულებების შესაბამისად. ადგილობრივი კულტურის უცოდინარობამ შეიძლება მწარმოებელი კრახამდე მიიყვანოს. ამის ნათელი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ საუდიის არაბეთის უახლოესი წარსულიდან, როდესაც ერთ-ერთი წამლის მწარმოებელმა ბაზარზე შესვლისას რეკლამად დასავლური ბაზრებისათვის განკუთვნილი ბილბორდი გამოიყენა. ამ პლაკატზე იყო სამი ფოტო, პირველზე თავის ტკივილით გატანჯული ქალი, მეორეზე თუ როგორ სვამს ეს ქალი წამალს და მესამეზე ქალბატონის გადიმებული სახე, როცა ყველა ტკივილი წარსულს ჩაბარდა. მწარმოებლებს გამორჩათ იმის გათვალისწინება, რომ არაბულ ქვეყნებში მარჯვნიდან მარცხნივ კითხულობენ და არა პირიქით, შედეგი ადგილი წარმოსადგენია . . . (ბოლქვაძე 2008).

**დეტერიტორიალიზაცია.** გლობალიზაციის მრავალ მახასიათებელს შორის ერთ-ერთი ძირითადი და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მისი დეტერიტორიალიზაცია, ანუ სახელმწიფო და ეროვნული საზღვრების მოშლაა. თუ ადრე

სახელმწიფო საერთაშორისო ურთიერთობის მთავარი აქტორი და საზოგადოებრივი ცხოვრების ფაქტიურად ერთადერთი რეგულატორი იყო, მსოფლიოს გლობალიზაცია ააქტივებს დეტერიტორიალიზაციის პროცესს, რაც გამოხატება ტრანსნაციონალური აქტივობით და სახელმწიფოებრივი საზღვრების როლის შემცირებით. ანუ, დეტერიტორიალიზაცია საზღვრების შედრევადობას გულისხმობს. გლობალური მოვლენები არის ის მოვლენები, რომლების მსოფლიოს მრავალ ადგილას ერთდროულად გრცელდება და დაუყოჩებლივ შეუძლიათ გადანაცვლება დედამიწის ნებისმიერ წერტილში. შესაბამისად, მანძილი და ტერიტორიული საზღვრები კარგავს მნიშვნელობას. საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში გლობალიზაცია, ამ კონცეფციის მიხედვით, ხასიათდება ზეტერიტორული მოქმედების ტენდენციებით. თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში დეტერიტორიალიზაციის პროცესი ვლინდება (ი. შოლტეს მიხედვით) შემდეგ სფეროებში:

1. კომუნიკაციები (საპარო, სატელეფონო, კომპიუტერული ქსელები, რადიო, ტელევიზია);
2. ორგანიზაციები (ბიზნესის სუბიექტების ექსპანსია, სამოქალაქო ასოციაციები და მარეგულირებელი ორგანიზაციები);
3. საქონლისა და მომსახურების გაცვლა ქვეყნებს შორის და გლობალური პროდუქტის შექმნა);
4. ფინანსები (სვასხვა ვალუტითა და ფინანსური ინსტრუმენტებით ელექტრონული ოპერაციების ზრდა);
5. ეკოლოგია (ცვლილებები გარემოში, რომლებიც ტერიტორიითა და საზღვრებით არ იზღუდება); 6. ცნობიერება (ადამიანის მიერ, მსოფლიოს როგორც ერთიანი მთლიანის აღქმა და საკუთარი არსებობის გააზრება გლობალურ სივრცეში, ნაცვლად ტერიტორიით შემოსაზღვრული სივცისა) (ჯამაგიძე 2008: 21).

**ამერიკანიზაცია** - გლობალიზაციაზე არსებული ერთ-ერთი გავრცელებული შეხედულება, რომელიც განსაკუთრებით ხშირად გლობალიზაციასა და პოპულარულ კულტურაზე მსჯელობებისას იჩენს ხოლმე თავს, არის მისი დანახვა, როგორც მსოფლიოს გადაქცევა ამერიკულ „გლობალურ სოფლად“. ამ სცენარის თანახმად, გლობალიზაცია ამერიკული კულტურის წარმატებული მსოფლიო დამკვიდრებაა. სადაც აშშ-ს კაპიტალიზმის ეკონომიკურ მიღწევებს კულტურის მუშაობა უმაგრებს ზურგს, რათა მისმა მოხმარების საგნებმა,

საგარაუდოდ, დაარდვიოს ადგილობრივი კულტურები და „ლოკალურ“ მოსახლეობას თავს მოახვიოს ამერიკული ცხოვრების წესი.

გლობალიზაციაზე ამ შეხედულებას, სულ მცირე ოთხი პრობლემა ახლავს:

პირველი პრობლემა, გლობალიზაციასთან, როგორც ამერიკანიზაციის მოდელთან დაკავშირებით ისაა, რომ ის „ეკონომიკურ“ წარმატებას კულტურულ დამკვიდრებასთან აიგივებს, ანუ ამერიკული კომპანიების უდავო წარმატება მსოფლიო ბაზარზე თავიანთი პროდუქციის დამკვიდრებაში მიიჩნევა „კულტურის“ თავისთავად და უპრობლემო წარმატებად.

ჯონ სოლის ნაშრომში „კულტურის კვლევები და პოპულარული კულტურის შესწავლა“ მოცემულია პერძერტ შილერის შეხედულებები ამ საკითხთან დაკავშირებით. კერძოდ, შილერი აცხადებს, რომ „დომინანტური გლობალიზაციის გამტარებელი კულტურა მოხერხებულად „ძვრება“ უფრო სუსტ „ლოკალურ კულტურაში“. ამდენად, ხალხი იმ კულტურული მნიშვნელობების პასიური მოხმარებელია, რომლებიც, საგარაუდოდ, პირდაპირ და უშუალოდ მომდინარეობს მათ მიერ მოხმარებული საგნებიდან“ (სოლი 2007: 190)

ჩვენი არ ვეთანხმებით, იმ მეცნიერთა შეხედულებებს, რომელთაც მიაჩნიათ, რომ მოხმარების საგნები იგივეა რაც კულტურა და მოხმარების საგნების დამკვიდრდება მოცემულ „ლოკალურ სივრცეში“, მისი თამდევი კულტურის დამკვიდრებასაც ნიშნავს. თუ ჩვენ დავუშვებთ, რომ მოცემული საქონლის სრული მსოფლიო გავრცელება თავისთავად კაპიტალისტური მონოკულტურისკენ სვლის ნიშანია, მაშინ ალბათ კულტურის გაუბრალოებულ გაგებას გავიზიარებთ. რა თქმა უნდა, მოხმარების ცალკეული საგნების გამოყენება აზრობრივ დატვირთვას იძენს და კაპიტალიზმის, როგორც ცხოვრების წესის გამომხატველად აღიქმება, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ეს არ გვაძლევს იმის მტკიცების საფუძველს, თითქოს ბაზარზე შეღწევა იგივეა, რაც იდეოლოგიაში შეღწევა.

ჩვენი აზრით, გლობალიზაცია უფრო რთული და წინააღმდეგობრივია, ვიდრე ვთქვათ, ამერიკული კულტურის უბრალოდ თავსმოხვევა. თანამედროვე ეტაპზე, მართლაც შეუძლებელია, მსოფლიოს გარშემო მოგზაურობისას ყველგან არ წააწყდე ამერიკულ საქონელს. მაგრამ, საგარაუდოდ, არასწორია მოხმარების საგნების კულტურასთან გათანაბრება.

გლობალიზაციის, როგორც კულტურული ამერიკანიზაციის მეორე პრობლემა ცნება „უცხოსთან“ მის მიდგომაშია. პირველ ყოვლისა, უცხობა ყოველთვის ეროვნულ განსხვავებებს უკავშირდება. მაგრამ „უცხო“ შეიძლება

კლასობრივი, ეთნიკური, გენდერული, სქესობრივი, ასაკობრივი ან სოციალური განსხვავებების ნიშნებსაც უკავშირდებოდეს.

ზოგიერთი ექსპერტი ამტკიცებს, რომ საერთაშორისოსთან მიმართებაში „ეროვნული“ თავისთავად საკამათო სფეროა, რადგან ეროვნულს შიგნით შეიძლება უამრავი „ლოკალურიც“ არსებობდეს. იგი „ლოკალურ“ იდენტობათა ნაირფეროვნებითა და მოწინააღმდეგე შეხედულებებითაა აღსავსე.

თანამედროვე სამყაროს კულტურული გლობალიზაციის პროცესში, სულ უფრო ბუნდოვანი ხდება განსხვავებები „უცხოურისა“ და „ადგილობრივის“, „იმპერიალისტურისა“ და „ავთენტურის“ გარჩევის თვალსაზრისით. ცხადი ისაა, რომ სამყაროს გლობალიზაციის საფუძველზე, იქმნება ეკონომიკურად სიცოხლისუნარიანი ჰიბრიდული კულტურული ფორმა, სადაც „გლობალური“ და „ლოკალური“ მჭიდროდაა გადახლართული.

გლობალიზაცია იწვევს როგორც ჰომოგენური, ისე ჰეტეროგენული ძალების მატებასაც და შესუსტებასაც, „ლოკალურისა“ და „გლობალურის“ შეხვედრასა და შერევას. (გლოკალიზაცია – გლობალიზაციის, როგორც „გლობალურისა“ და „ლოკალურის“ ერთდროული ურთიერთშედწევადობა) ამდენად გლობალიზაციას შეუძლია ხელი შეუწყოს როგორც ლოკალურ კულტურათა გაქრობას, ისე დამკვიდრებასაც. მას შეუძლია კულტურა ადგილზე დატოვოს, ან უადგილოდ დატოვოს.

გლობალიზაციაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის და ზოგადად ობიექტურ სინამდვილეზე დაკვირვების საფუძველზე, შეიძლება დავასვნათ, რომ გლობალიზაციას მართლაც ძალუმს წარმოქმნას ახალი ჰიბრიდული ფორმები, მაგრამ, ისიც გასათვალისწინებელია, რომ როდესაც ხალხის ერთი ნაწილი მიესალმება სიახლეებს, რომელსაც ნერგავს გლობალიზაცია, სხვები ეწინააღმდეგებიან გლობალიზაციას ლოკალური „ფესვების“ ძიებით.

ჯონ სთორის აზრით, „გლობალური ნაკადების მიმართ დაპრისიპირება, ლოკალურის აღდგენის ფორმით, შეიძლება დავინახოთ რელიგიური ფუნდამენტალიზმის ზრდაში (ისლამი, ინდუიზმი, ქრისტიანობა, და იუდაიზმი) და ნაციონალიზმის გაღვივებაში“ (სთორი 2007: 192)

ვარგას ლიოსა აღნიშნავს, რომ „კოლექტიური იდენტურობა“ წარმოადგენს ნაციონალიზმის ძირითად იდეოლოგიურ ფიქციასა და საფუძველს. გლობალიზაციის შედეგად, საზოგადოებრივ შრეებში არსებული „ლოკალური კულტურებისა“ და „გლობალური ჰიბრიდული კულტურული ფორმების“ გააქტიურება ობიექტურად იწვევს კოლექტიური იდენტობის შესუსტებას. რაც

ნაციონალიზმის იდეოლოგიიდან გამომდინარე, შეიძლება შეფასდეს ეროვნული იდენტობისათვის საზიანო ნეგატიურ მოვლენად“ (ლიოსა 2001).

გლობალიზაციის, როგორც კულტურული ამერიკანიზაციის გააზრების მესამე პრობლემა გლობალურ ბალად მხოლოდ ამერიკის აღიარებაში მდგომარებს. ამის საპირისპიროდ, შეგვიძლია დარწმუნებით აღვნიშნოთ, რომ სამყარო მრავალპოლუსურია. დაც, განპირობებულია სხვა ქლირ ზე-სახელმწიფოთა მოღვაწეობით საერთაშორისო ასპერეზზე (უპირველეს ყოვლისა ესენია: ევროპავმირის ქვეყნები, იაპონია, ჩინეთი. ასევე, რუსეთი, ინდოეთი). ასევე, დასავლეთთან დაპირისპირებული ცივილიზაციების არსებობით (უპირვესელ ყოვლისა, ისლამური სამყარო; ბუდისტური, დაპირისპირების უფრო ზომიერი დონით მართმადიდებლური).

მიუხედავად იმისა, რომ ვიზიარებთ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულ შეხედულებას თანამედროვე მსოფლიოს მრავალპოლუსიანობის შესახებ. მიგვაჩნია რომ, ამერიკის შეერთებული შტატების გავლენა თანამედროვე სამყაროზე მაინც განუზომლად დიდია.

გლობალიზაციის, როგორც კულტურული ამერიკანიზაციის გააზრების მესამე პრობლემა, ისაა, რომ ამერიკულ კულტურას მონოლითურად მიიჩნევს. თანამედროვე კულტურის მდგომარეობის შესახებ არსებული სამეცნირო ლიტერატურის კვლევისა და შედარებითი ანალიზის საფუძველზე (დევიდ მორლი, დორიან მასი, იან ნიდერვინ პიტერსი, სტუარტ ჰოლი, ედვარდ სედი, ჯერემი თანსთოლი, ჯონ სთორი, საიმონ დიურინგი და ა. შ.) შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამერიკული კულტურა თავის ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე ვერ იქნება მონოლითური.

ედვარდ სედის მიხედვით, „ყველა კულტურა ერთმანეთშია ჩართული, არც ერთი არაა ცალკეული და სუფთა. ყოველი მათგანი ჰიბრიდული, ჰეტეროგენული, უჩვეულოდ დიფერენცირებული და არამონოლითურია“ (სთორი 2007: 195).

სტიუარტ ჰოლი (1996) წერდა: „პოსტმოდერნიზმი გვიამბობს, თუ როგორ ოცნებობს მსოფლიო, იყოს ამერიკელი“. ჰოლი განმარტავს: „თუკი ეს ასეა, მაშინ ჩვენ ყველანი მრავალ განსხვავებულ ამერიკაზე ვოცნებობთ და ამის მიხედვით ვირჩევთ ამერიკის რომელიმე ნაწილს მოხმარებისთვის“. ჰოლი, ასევე, ამერიკულ კულტურასთან მიმართებით აცხადებს, რომ „თუკი ჩვენი ოცნებათა მასალა აღებულია ამერიკული მუსიკიდან, მაშინ უნდა გავითვალისწინოთ, რომ ფასეულობები, სახეები, მითები, სტილები სხვადასვაგვარად განისაზღვრება

ბლუზის, ქანთრის, დენსის, ფოლკის, პევი მეტალის, ჯაზის, რეპ-ენ-როლის, სამოციანი წლების როკისა და სოულისაგან“ (სოორი 2007: 195).

ეს კი თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ყოველი მუსიკალური ჟანრი განსხვავებულ პოლიტიკურ გამოხატულებას პაოვებს კლასის, სქესის, რასის, ეთნოსის, თუ ზოგადად სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში.

ჩვენი აზრით, ისეთ მულტიკულტურულ გარემოში, როგორიც შეერთებულ შტატებშია წარმოდგენილი, შეხედულება ამერიკული კულტურის მონოლითურობის შესახებ, მოკლებულია დამაჯერებლობას. ამ პოზიციის გასამტკიცებლად შეგვიძლია კიდევ ერთი არგუმენტი მოვიშველიოთ: კერძოდ, შეერთებულ შტატებში მსოფლიოში სიდიდით მესამე ესპანურენოვანი მოსახლეობა ცხოვრობს. ამასთანავე, გამოთვლილია, რომ 2076 წლისათვის ამ ქვენის მოსახლეობის უმეტესი ნაწილი მკვიდრი ამერიკელები, აფრიკელები, აზიელები და ლათინოამერიკელები იქნება.

ადრეულ ეტაპზე, როდესაც ამერიკაში ბევრი ემიგრანტი ჩადიოდა, ისინი თავს იმკვიდრებდნენ სხვა საზოგადოებაში, შესაბამისად ცვლიდნენ თავინთ ტრადიციებსა და წეს-ჩვეულებებს ადგილობრივი ნიშნების შესაბამისად. ამას დაარქვეს ჰიბრიდიზაცია, იგივე „გლობალიზაცია“. კულტურული მესიჯები გაგზავნილი ამერიკიდან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში, იქაურ ადგილობრივ მოსახლეობაში (განსაკუთრებით დარიბ რეგიონებში) ადგივებდა სურვილს თავადაც გამხდარიყვნენ ამერიკელები. ზოგიერთებს ხიბლავდათ ამერიკულ პლურალიზმე და ამერიკულ დემოკრატიაზე დაფუძნებული თავისუფლება. უფრო მეტი ნაწილი, მოხიბლული იყო ამერიკაში ცხოვრების პერსპექტივებით, რაც გამოხატული იყო ამ ქვეყანაში, მათი ქვეყნისაგან განსხვავებით, ეკონომიკური კეთილდღეობის მიღწევის უფრო ფართო შესაძლებლობების არსებობით.

დამოკიდებულება, ამ თვალსაზრისით, დღესაც იგივეა. ოლონდ იმ განსხვავებით, რომ თუკი ადრე, ემიგრანტები ცდილობდნენ „გამხდარიყვნენ ამერიკელები“ და დამკვიდრებულიყვნენ ადგილობრივი საზოგადოების ცხოვრების წესის შეთვისებით. თანამედროვე პირობებში, ჩამოსული ემიგრანტები, ამერიკული საზოგადოების შიგნით ქმნიან „ლოკალურ“ კულტურულ ერთეულებს (ჩინური, ლათინო-ამერიკული, აფრო-ამერიკული კვარტალები და ა. შ.).

ჩვენი შეხედულებით, ამერიკული საზოგადოების პლურალისტური ხასიათიდან გამომდინარე, ასევე, იმის გამო, რომ ამერიკული საზოგადოება

ერთგვარ ზენაციას წარმოადგენს, რომელიც უფრო მეტად იდეოლოგიურ ერთიანობას ეფუძნება, ვიდრე წარმომავლობითს და გენელოგიურს, ჯერჯერობით ახერხებს გაუმკვლავდეს მულტიკულტურალიზმის თანამედროვე გამოვლინებებს.

უნდა აღინიშნოს ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ მიგრაცია ხორციელდება განვითარებადი ქვეყნებიდან განვითარებულ ქვეყნებში და არა პირიქით. ამასთან, ემიგრანტები მარტო შეერთებულ შტატებს როდი ეტანებიან. იგივე ხდება განვითარებულ ევროპაშიც.

როგორც ვიციო, ევროპული ნაციონალიზმი, შესაბამისად ევროპული ეროვნული სახელმწიფოები, თავის დროზე, აღმოცენდა ერთი დომინანტური ერის ძალისმევით და მის ირგლივ. შესაბამისად ნაციონალური მისწრაფებები ამ ქვეყნებში ვერ დაექვემდებარება, ზენაციონალურ მისწრაფებებს. ის რომ ემიგრანტები ვერ ახერხებენ ადგილობრივი მოცემული ევროპული საზოგადოების კულტურის გაზიარებას, ან უფრო უარესი, არ სურთ ამის გაკეთება, როგორც თავად ევროპელები აცხადებენ, განვითარებული ევროპული ქვეყნებისათვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს (თურქები მიგრაცია გერმანიაში, არაბების საფრამნებელში და ა. შ).

\* \* \*

გლობალიზაციის პროცესში, აუცილებელი გახდა მთელ მსოფლიოში საბაზრო თამაშის და საზოგადოებრივი ქცევის ერთიან წესების დაცვა, რომელთაც ინსტიტუტებს უწოდებენ. ამიტომ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების პარალელურად, ხან დაგვიანებით, ხან გასწრებით მიმდინარეობს ფორმალური (კანონები, ნორმატივები) და არაფორმალური (ტრადიციები, წესჩერებები, ქცევის დაუწერელი წესები) ინსტიტუტების გლობალიზაცია.

ერთიანი საინფორმაციო სივრცის და საინფორმაციო სტანდარტების წარმოშობამ მსოფლიოს ფინანსური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და კულტურული ურთიერთქმედებები უფრო ინტენსიური და ინტეგრირებული გახდა, რაც გამოხატულია გლობალიზაციის იმ ყოვლისმომცველ ბუნებაში, რომელიც ობიექტურად არის მიმართული (გლობალურ და ლოკალურ დონეზე) „თამაშის წესების“ გაერთგავროვნებისა და სტანდარტიზაციისაკენ.

გლობალიზაციის თეორია ამტკიცებს, რომ ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როდესაც სოციალური ცხოვრების უდიდეს ნაწილს გლობალური პროცესები განსაზღვრავს, როდესაც ეროვნული კულტურების, ეროვნული ეკონომიკური სისტემებისა და სახელმწიფოების გამყოფი საზღვრები ქრება. პროცესების

ამგვარი ადქმის ძირითადი მიზეზი ბოლოდროინდელი სწრაფი ეკონომიკური გლობალიზაციაა. რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეცნიერულ-ტექნიკურმა, პოლიტიკურმა და სოციალ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა. ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ჩათრეული აღმოჩნდნენ მსოფლიო სამეცნიერო პროცესში, რომლისთვისაც დამახასიათებელია საქონლურ-ფულად ურთიერთობათა არეალის უსაზღვროდ გაფართოება. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო არენაზე ეროვნულ სახელმწიფოთა ადგილი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული აღმოჩნდა არა შრომით, საწარმოო, გეოგრაფიულ პოტენციალსა და რესურსებზე, არამედ ფულის ძალაზე აგებულ ფინანსურ ეკონომიკაზე.

#### **4. გლობალიზაციის ძირითადი აქტორები და მოწინააღმდეგენი**

თანამედროვე გლობალიზირებულ სამყაროში წამყვანი ზე-სახელმწიფოები ცდილობენ შექმნან ახალი მსოფლიო წესრიგი და „თამაშის წესები“. დღესდღეობით, ძალაუფლებისათვის მათოვის დამახასიათებელი ხაზგასმით, საერთაშორისო ორგანიზაციები არ მიიჩნევა რეალურ ძალად, რადგან მათი გავლენიანობა დამოკიდებულია და განისაზღვრება წევრი სახელმწიფოების ქმედებებით. მსოფლიო პოლიტიკის და ეკონომიკის ძირითადი აქტორები ზე-სახელმწიფოები არიან. გლობალურ დონეზე თამაშის წესების განსაზღვრის თვალსაზრისით, საერთაშორისო ორგანიზაციების როლი და გავლენა უმნიშვნელოა.

რობერტ გილპინის, სტეფან კრასნერისა და რეალისტური სკოლის სხვა წარმომადგენლების მიხედვით, ძალაუფლების განაწილება სახელმწიფოებს შორის საერთაშორისო ეკონომიკის სტაბილურობის განმსაზღვრელი ძირითადი ფაქტორია. ამ თეორიის მიხედვით, პეგემონის დასუსტებას მოყვება ეკონომიკური დაცემა, არასტაბილურობა და მოქმედებების ბლოკების შექმნა (ჟვანია 2006:13).

შეიძლება ნაწილობრივ დავეთანხმოთ ამ მოსაზრებას, მაგრამ მეორე მხრივ, რთულია საერთაშორისო ასპრეზზე „ძალთა წონასწორობის“ დაცვა ერთი სახელმწიფოს სრული პეგემონის პირობებში. „ძალთა თანასწორობა“ თანამედროვე რეალობიდან გამომდინარე მიიღწევა უფრო მეტად არა ერთი, არამედ, რამდენიმე ზე-სახელმწიფოს არსებობის პირობებში, და ასევე, პანთიგრონის მიხედვით თუ განვავრცობთ, რამდენიმე ცივილიზაციის

ურთიერთმედების და ზოგიერთ შემთხვევაში კონფრონტაციული ურთიერთქმედების ფონზე.

„ცივი ომის“ დასრულების შემდეგ დასავლური სამყარო ლიბერალური დემოკრატიის კომუნიზმზე გამარჯვებას ზეიმობდა. გასაკვირი არაა, რომ ომების საუკუნოვანი ისტორიითა და ბირთვული განადგურების საფრთხით გადადლილ მსოფლიოს ხიბლავდა ფრენსის ფუქუიამას იდეა, რომ კომუნიზმის სრული კრახის შემდეგ, ლიბერალურ დემოკრატიას ალტერნატივა აღარ ჰქონდა და თავისუფლებისა და კეთილდღეობისკენ სვლის ისტორიის სისხლიანი გზა დასასრულს უახლოვდებოდა. დასავლეთმა გამოაცხადა ახალი ერას დასაწყისი, რომელიც დასავლეთის მიერ დეკლარირებულ იქნა, როგორც დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელის გამარჯვება. კომუნისტური სისტემის დასასრული დასავლეთისათვის წარმოადგენდა მნიშვნელოვან არგუმენტს მთელ მსოფლიოში ლიბერალურ-დემოკრატიული დირებულებების ექსტრაპოლაციისათვის.

მკვლევართა ნაწილი, მსოფლიო წესრიგთან მიმართებაში აცხადებენ, რომ მათი აზრით ჩვენ ვცხოვრობთ არა მრავალპოლუსიან, არამედ უფრო ორპულისიან მსოფლიოში, სადაც ერთ მხარეს იმყოფება აშშ-ი და მეორე მხარეს დანარჩენი მსოფლიო, რომელიც მრავალ „გლობალურ ძალთა ცენტრების“ გარშემო ერთიანდება. „გლობალურ ძალთა ცენტრებში“ იგულისხმება ევროკავშირის ქვეყნები, იაპონია, რუსეთი, ჩინეთი და ინდოეთი.

1991 წელს მსოფლიო პოლიტიკური ასპარეზიდან საბჭოთა კავშირის წასვლამ გლობალურ პოლიტიკურ ურთიერთობებში უზარმაზარი სიცარიელე დატოვა. ესე იგი აღარ არსებობდა ის ძალა, რომელსაც შესწევდა უნარი შეეზღუდა მისი აქტიურობა, შეემცირებინა მისი ცდუნება ჩარეულიყო ნებისმიერ ადგილას, თუ ნებისმიერ პროცესში მსოფლიოში, სადაც კი მისი ინტერესები შესაძლებელია შელახულიყო. ამერიკის შეერთებული შტატები აღმოჩნდა ერთადერთი ჰეგემონი საერთაშორისო პოლიტიკურ სისტემაში, ანუ მსოფლიო პოლიტიკური სისტემა გახდა უნიპოლარული (აკობია 2001:55).

ჩვენი აზრით, ამ გარემოებამ, აშშ-ს მიეცა საშუალება უგულვებელყოს ნებისმიერი პოლიტიკური ოპოზიცია, იმოქმედოს ნებისმიერი სხვა ქვეყნის, ქვეყანათა ჯგუფის, ფორმალური საერთაშორისო ინსტიტუტის ნების საწინააღმდეგოდ. აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, აშშ-მა, ერთგვარად, საკუთარ თავზე აიღო „მსოფლიო მოსამართლის“ ფუნქცია და დაიწო მსოფლიოს უკლაზე სერიოზული

კონფლიქტების მოგვარება (ბოსნია, კოსოვო, ისრაელ-პალესტინის, ინდოეთ-აკისტანისა და ა.შ).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კონკურენტის გარეშე დარჩენილი ამერიკა, კვლავ მოქმედებდა ძველ სტრატეგიულ აზროვნებაზე დაყრდნობით, რომელიც ჩამოუყალიბდა გლობალური კონფრონტაციის პერიოდში, სანამ ტერორზების სახით ახალი სტრატეგიული მოწინააღმდეგე არ „დაინიშნა“. 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ამერიკული საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ-ერთ მნიშვნელოვან შემადგენელ ნაწილად ტერორიზმთან ბრძოლა იქცა. სწორედ ტერორისტული საშიშროება იყო გამოყენებული იმ ინტერვენციების ერთ-ერთი მთავარი საბაბი რომელიც წამოიწყო ჯერ ბუშმა აშშ-ში და შემდეგ ობამამ ავღანეთში. რაც თავისთავად ფრიად საკამათო ქმედება იყო, რომელმაც აშშ-ს მსოფლიოში, რბილად რომ ვთქვათ, პოპულარობა ნამდვილად არ შემატა (მელიქიძე 2006: 37-38).

მიგვაჩნია რომ, ერაყსა და ავღანეთში აშშ-ს მიერ განხორციელებული სრულმასშტაბიანი სამხედრო ინტერვენცია და გრძელვადიანი ოკუპაცია (თანმხლები ნეგატიური შედეგებით) ნათლად გვიჩვენებს, რომ აშშ-მა ამ შემთხვევაში წარმოაჩინა თავი როგორც წამყვანმა გლობალურმა მოთამაშემ, რომელსაც არ შესწევს უნარი ჩამოაყალიბოს იმ მოქმედებების მკაფიო თანმიმდევრობა, რომელიც მისცემს საშუალებას მიხედოს დაპყრობილ ტერიტორიას წარმატებული სამხედრო კამპანიის შემდეგ. აშშ-ს ხელმძღვანელობას აშკარად ნაკლები წარმოდგენა ჰქონდა იმის თაობაზე, თუ რა უნდა ეკეთებინა ერაყში, ან ავღანეთში უშუალოდ შეჭრის შემდეგ, არ გააჩნდა ამ ქვეყნის გრძელვადიანი ოკუპაციისა და ტრანსფორმაციის სტრატეგია, და რაც უფრო მნიშვნელოვანია – იქიდან გასვლის სტრატეგია.

ჩვენი შეხედულებით, მიუხედავად ზემოთ მოყვანილი არგუმენტებისა, არ უნდა შეიქმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს აშშ-ი ერთადერთი გლობალური მოთამაშეა მსოფლიო არენაზე. რა თქმა უნდა ამერიკის შეერთებული შტატების პეგემონია სამხედრო თვალსაზრისით, ასევე, მისი პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობა დანარჩენ მსოფლიოსთან მიმართებით უდავო ფაქტია, მაგრამ „ძალთა ბალასნი“ მსოფლიოში გარკვეულწილად მაინც არსებობს.

მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი მიიჩნევს, რომ ბიპოლარული სამყაროს რდვევის შემდეგ მსოფლიოს ორი ზესახელმწიფოებრივი წესრიგი შეიცვალა მრავალპოლარულ და მრავალმხრივ კომუნიკაციურ სივრცედ. თანამედროვე გლობალიზებულ მსოფლიოში ძალაუფლების გადანაწილება სამდონიანია.

პირველ დონეზე წარმოდგენილია სამხედრო ძალა, რომელიც დიდწილად, ერთპოლარულია და როგორც სჩანს შეერთებული შტატები უპირატესობას კიდევ მნიშვნელოვანი დროით შეინარჩუნებს (მკვლევართა აზრით, ევროატლანტიკური ქავშირის არსებობა ამ შეხედულებას არ ცვლის). მეორე დონეზე წარმოდგენილია მრავალპოლარული ეკონომიკური ძალა – აშშ-ი, ევროპა, იაპონია და ჩინეთი უკვე ათი წელია რაც საკვანძო ლიდერები არიან. მესამე დონეზე ტრანსნაციონალური ურთიერთობების სფეროა. ის სხვადასხვა არასახელმწიფო აქტორებს აერთიანებს.

უკანასკნელი წლების მანძილზე საფუძვლიანად შეცვალა აშშ-სა და სხვა ძირითად გლობალურ ძალთა ცენტრებს შორის ურთიერთობის შინაარსი. იმისათვის რომ საერთაშორისო ურთიერთობებში „ძალთა ბალანსი“ შენარჩუნებული იყოს, აშშ-ი აქტიურად თანამშრომლობს არა მარტო დიდი ხნის მოკავშირეებთან ევროპასა და აზიაში, არამედ დაისახა თვისებრივად ახალი, აქტიური თანამშრომლობის გეგმები ყოფილ მოწინააღმდეგებთან როგორიცაა, პირველ რიგში რუსეთი, ჩინეთი, ხოლო ინდოეთმა შეცვლილი რეალობებიდან გამომდინარე ახალი სტატუსი შეიძინა და ამ მხრივ, უფრო ანგარისგასაწევი ძალა გახდა. ობამას მიერ ინიცირებული გლობალური გადატვირთვის პოლიტიკა მიმართულია ურთიერთობის ნორმალიზაციისაკენ საერთაშორისო პოლიტიკაში. ურთიერთობების გადატვირთვა პირველ რიგში გულისხმობს ცივი ომის თავიდან აცილებას, ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების დათბობას (და არა მართო რუსეთთან), გულისხმობს ასევე მთელ რიგ ეკონომიკური საკითხების რეგულირებას გლობალურ დონეზე. ასეთი მიდგომა ძირებულად ცვლის „ძალთა წონასწორობის“ ძველებურ ინტერეტაციას და გვთავაზობს ახალ ფორმატს - „ძალთა წონასწორობა, რომელიც მიმართულია მშვიდობისაკენ“. კოალიციებისა და ალიანსების შექმნის საფუძვლად არა სახელმწიფოთა შორის დაპირისპირება განიხილება, არამედ ისეთი საერთო პრობლემები, როგორიცაა ტერორიზმთან ბრძოლა, ეკონომიკური, ჯანდაცვის, ბუნების დაცვის, მიგრაციისა და სხვა ასეთივე სერიოზული საკითხები.

აქევე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთების მოსაზრება, თითქოსდა, ნატო დაიშლებოდა საბჭოთა კავშირის დაშლასთან ერთად ან მოხდებოდა მისი რეკონსტრუქცია ევროპაში ძალთა ახალი გადანაწილების საფუძველზე – არ გამართლდა. ალიანსი არათუ არ დაიშალა ცივი ომის დასრულების შემდეგ, არამედ გახდა მსოფლიოში ერთერთი, თუ არა ერთადერთი ყველაზე დინამიური სამხედრო ორგანიზაცია (აკობია 2001:56).

ნატოს გაფართოება იწვევს ახალი გამყოფი კედლის აღმართვას ევროპაში, მაშინ როდესაც თვითონ ამ პროცესის, ანუ გაფართოების რიტორიკა და პრინციპი არის სწორედ რომ საპირისპირო. ნებით თუ უნებლიერ, ნატოს გაფართოება არის მიმართული რუსეთის წინააღმდეგ. პირველი იმიტომ, რომ ნატოს ახალ წევრ სახელმწიფოებს აქვთ ნებატიური დამოკიდებულება რუსეთისადმი და შესაბამისად შეიძლება ვიზარაუდოთ, რომ ისინი შეცვლიან ალიანსის რუსეთისადმი დამოკიდებულებას და მეორე, თუკი ნატო დარჩება თავდაცვის ორგანიზაციად, რუსეთი მისი წევრი ვერასოდეს ვერ გახდება, რაც ყოველთვის განაპირობებს უხერხეულობას ნატოსა და რუსეთს შორის. მესამე მიზეზი არის ის, რომ გაფართოება საფრანგეთი უქმნის ნატოს ერთიანობას და ერთპიროვნულობას საერთო მტრის არარსებობის პირობებში და მეოთხე ის, რომ ახალი წევრების დამატება ალიანსს აქცევს უფრო ზოგად და სიმტკიცეს მოკლებულ ორგანიზაციად (აკობია 2001:57).

რაც შეეხება თანამედროვე რუსეთს, ჩვენი აზრით, იგი წარმოადგენს ზე-სახელმწიფოს მკაფიოდ გამოკვეთილი იმპერიალისტური იდეოლოგიით, სურს რა გლობალური მოთამაშის იმიჯი შეიქმნას საერთაშორისო პოლიტიკაში.

ჩვენი დაკვირვებით, რუსეთის პოლიტიკური ელიტის იდეალია საბჭოთა კავშირის პერიოდის დროინდელი გავლენის აღდგენა (იგულისხმება გავლენის აღდგენა, პირველ რიგში, ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, შემდეგ უკვე აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში), წამყვანი როლის თამაში რეგიონში და ერთ-ერთი წამყვანი როლის თამაში მსოფლიო დონეზე.

პოსტსაბჭოთა სივრცეში განხორციელებული ხავერდოვანი რევოლუციების სერიამ გამოავლინა ამ იმპერიალიასტური ზრახვების უტოპიურობა (ამ ეტაპზე მაინც). ამავე დროს, ეს იყო სერიოზული სიგნალი იმისა, თუ რამდენად არაადექტატურია რუსული სამეზობლო პოლიტიკა, რომელიც დამყარებულია ძალაზე, საკმაოდ მოუქნელი, ხისტი და რაც მთავარია მოძველებულია თანამედროვე საერთაშორისო პოლიტიკის თამაშის წესების პირობებში.

როგორც ვიცით, რუსეთი არ წარმოადგენს ეკონომიკური წარმატების მაგალითს, მისი სამხედრო პოტენციალიც ზე-სახელმწიფოსათვის ვერ არის მთლად სახარბიელო (აქ არ ვგულისხმობ ბირთვულ შეიარაღებას) და როგორც თავად რუსი სამხედრო ექსპერტები აცხადებენ, სერიოზულ მოდერნიზაციას მოითხოვს. კორუფციის დონე რუსეთში შემაშფოთებელია, მძიმე სიტუაციაა ადამიანთა უფლებების დაცვის მხრითაც. მისი ძირითადი ეკონომიკური ბერკეტი და ნაციონალური შემოსავალის ძირითადი წყარო მის მიერ ხშირად გამოიყენება

პოლიტიკური მიზნებისათვის და ხშირად პოლიტიკური შანტაჟის საშუალებადაც, როგორც რეგიონში, ასევე მის სტრატეგიულ მოქაფშირებთან ურთიერთობაში. სწორედ ეს ნიშნავს პოლიტიკურ რაციონალიზმს რუსული გაგებით.

თითქოს პარადოქსულია, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთის ხიხი პოლიტიკური მეთოდები, რომელსაც იყენებს სამეზობლო ურთიერთობებში, ნაწილობრივ ამართლებს ამ რეგიონში დასავლეთის პასიურობის ფონზე. თუ აშშ და განსაკუთრებით ევროკავშირი სამომავლოდაც თვალს დახუჭავს და ინერტიულ, მოუქნელ პოლიტიკურ პასუხებს გასცემს რუსეთის დესტრუქციულ ქმედებებს პოსტსაბჭოური ქვეყნების მიმართ, მაშინ არ არის გამორიცხული, რომ სამომავლოდ, ფინანსური კრიზისის გადალახვითა და ევროპის უმოქმედობით გათამამებულმა რუსეთმა, ცივილიზებული მსოფლიოსა და ტოტალიტარიზმის გამყოფი კედელის აღდგენა, უკვე აღმოსავლეთ ევროპაშიც მოსინჯოს.

ჩვენი აზრით, საქართველომ, რომელმაც თავი დააღწია რუსეთის გავლენას (ვარდების ხავერდოვანი რევოლუციის შემდეგ), შექმნა უნიკალური პრეცედენტი პოსტსაბჭოთა სივრცისათვის, კერძოდ შექმნა წარმატების მოდელი რეგიონში (დასავლელი პარტნიორების დახმარებით), რომელიც ეფუძნებოდა დასავლურ იდეალებსა და ლირებულებებს. პოსტსაბჭოთა სივრცეში ნებისმიერი სახელმწიფოს გაძლიერება და მითუმეტეს რუსეთის გავლენის ორბიტიდან გასვლა მტკიცნეულად აღიქმება „რუსული იმპერიალიზმის“ მიერ. რუსული იმპერიალისტური იდეოლოგიის ფონზე საქართველოს წარმატება პირდაპირ მიუთითებდა ლიბერალურ-დემოკრატიული ლირებულებების აშკარა უპირატესობისაზე. რუსეთისათვის, ეს როგორც ჩანს სერიოზული საფრთხის მომასწავლებელი იყო, იმ თვალსაზრისით, რომ ჯაჭვური რეაქციით შეეძლო გამოეწვია ახალი დემოკრატიული ტალღების (რაც ნაწილობრივ განხორციელდა კიდეც) გაჩენა პოსტსაბჭოთა სივრცეში. მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი ნატოს გაფართოვება და მისი გეოსტარატეგიული ინტერესებია სამხრეთ კავკასიაში. ამ ორ გარემოებას ერთად კი შეუძლია ბოლო მოუღოს რუსეთის გავლენას რეგიონში.

თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვით, დემოკრატიის ყველა ძირითადი პრინციპი და ინსტიტუტი რუსეთის საზოგადოების დღევანდელი განვითარების, მისი ისტორიის, ტრადიციების ადეკვატური უნდა იყოს. დემოკრატიის დანერგვას თან არ უნდა სდევდეს სახელმწიფოს დაშლა და

ხალხის გადატაკება. ამ იდეოლოგიის ქვეტექსტი ალბათ გულისხმობს, რომ განვითარების დასაცლური მოდელი რუსეთის დღევანდელი პოლიტიკური ელიტისათვის უცხო და მიუღებელია. ასევე, პრეტენზიები რუსეთის მიმართ, რომ მან ხელი აიღო დემოკრატიულ რეფორმებზე საქმაოდ უსაფუძვლოა, რადგან ამ ქვეყანაში ასეთი რამე უბრალოდ არ მომხდარა. ზედმეტია ასეთი ტიპის ქვეყანაში დემოკრატიაზე ლაპარაკი. ის არა არადემოკრატიული, არამედ ადემოკრატიულია იმ გაგებით, რომ მისი საზოგადოებრივი სისტემა ამ ტიპის ურთიერთობებს უბრალოდ ვერ აღიქვამს. მას შეუძლია ფორმალურად აღიაროს დემოკრატიული საზოგადოების ამოსავალი პრინციპები, ხელი მოაწეროს ყველა შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტს (იგივე ადამიანის უფლებათა დეკლარაციას), დანერგოს ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტები, მაგრამ ამავე დროს წარმატებით უგულვებელყოს ყველაფერი ეს. ბოლოს და ბოლოს, ყველა ფორმალური დემოკრატიული ატრიბუტი სტალინის დროინდელ საბჭოთა კავშირსაც კი გააჩნდა (მელიქიძე 2006: 23).

რუსეთის პოლიტიკა ჯერ კიდევ ძველი პარადიგმებით იკვებება. უბრალო ლოგიკით, ამ პოლიტიკის ამომავალი წერტილი გეოსტრატეგიაა, რომლის მიზანიცაა უზრუნველყოს მის მიერ კონტროლირებადი სივრცის შეუღწევადობა. ამ თვალსაზრისით, კავკასიაზე კონტროლის დაკარგვა რუსეთისათვის სტრატეგიული ინტერესების დათმობის ტოლფასია. კავკასიური დერეფნის განვითარება კი საბოლოოდ ასუსტებს რუსეთის გავლენას ეგროპულ პოლიტიკაზე, რადგანაც ამით შეა აზიის ენერგეტიკული რესურსებით უმდიდრესი რეგიონის „გასაღებს“ კარგავს.

პირველხარისხოვან, ეკონომიკურად აყვავებულ სახელმწიფოდ გადაქცევა რუსეთისათვის ჯერჯერობით საქმაოდ შორი პერსპექტივაა. იგივე შეიძლება ითქვას საერთაშორისო სისტემაში რუსეთის პოლიტიკური როლის ამაღლების შესახებაც. ის ფაქტი, რომ ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში ამერიკის ჯარები და სამხედრო ინსტრუქტორები იმყოფებიან (ანუ იმ რეგიონებში, რომლებიც რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენის სფეროდ მიიჩნევა, რუსეთის ნაცვლად სხვა სახელმწიფო დომინირებს) იმის მაჩვენებელია, რომ რუსეთის პოლიტიკური პრესტიჟი საქმაოდ შერყეულია (დავითაშვილი 2003: 311).

ჩვენი აზრით, მიუხედავად ყველაფრისა, რუსეთი კვლავ რჩება ანგარიშ-გასაწევ ძალად მსოფლიო პოლიტიკაში და ეკონომიკაში და მითუმეტეს პოსტსაბჭოთა სივრცეში, სადაც მისი გავლენა უკანასკნელ პერიოდში არა თუ მცირდება, არამედ თანდათანობით იზრდება.

როდესაც ცივი ომის დამთავრებაზე საუბრობენ, მხედველობაში აქვთ, უპირველეს ყოვლისა, კომუნისტური რეჟიმის დამხობა ჯერ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, შემდეგ კი თვით საბჭოთა კავშირში. მაგრამ იმავე პერიოდში ჩინეთში, სადაც პლანეტის მოსახლეობის ერთი მეხუთედი ცხოვრობს კომუნისტური რეჟიმი არათუ შენარჩუნებულ იქნა, არამედ გარკვეული მოდერნიზაცია განიცადა და უფრო განმტკიცდა კიდეც. ჩინეთი რჩება კომუნისტურ სახელმწიფოდ, ერთპარტიული სისტემით, სადაც სიტყვის თავისუფლება, ადამიანთა უფლებები და სხვა ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებები უხეშად ირდვევა. ექსპერტთა აზრით, საბაზო ეკონომიკისა და პოლიტიკურ-იდეოლოგიური დიქტატურის ეს უცნაური სიმბიოზი არ შეიძლება დიდხანს გაგრძელდეს. მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და დღეს ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპები ერთ-ერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში (დავითაშვილი 2003: 313).

ჩინეთი დღეისათვის ბევრად უფრო გლობალიზებულია, ვიდრე მაგალითად, ოდესმე რუსეთი იყო. რასაკვირველია მისი მმართველობის სისტემა ბევრად უკეთაა ორგანიზებული, ვიდრე რუსეთის, მოსახლეობა უფრო დისციპლინირებული და დარაზმულია ქვეყნის ხელმძღვანელობის გარშემო, რეფორმები უკეთ დაგეგმილი და ორგანიზებული, მაგრამ როგორც ვალერი მელიქიძე აღნიშნავს „ჩინეთი თავის საფუძველში ისევ ზეცენტრალიზებული, არადემოკრატიული (ზოგიერთის აზრით – ავტორიტარული), კომუნისტურ იდეოლოგიაზე დამყარებული სახელმწიფოა (მელიქიძე 2006: 24).

თანამედროვე ეტაპზე, ჩინეთს ეკონომიკის ყველაზე გრძელვადიანი, უწყვეტი, მაღალი ზრდის ტემპი აქვს მსოფლიოში, ის განვითარებული ქვეყნების გარეთ უცხოური ინვესტიციების ყველაზე დიდი მიმდებია, პრაქტიკულად ნებისმიერი წიაღისეული ნედლეულის ყველაზე დიდი მომხმარებელია მსოფლიოში.

ჩვენი აზრით, ჩინეთის ეკონომიკური მიღწევები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ქვეყნის პოლიტიკურ და სამხედრო ძალაზე და საგრძნობლად ცვლის მის „წონას“ საერთაშორისო სისტემაში. ჩინეთი, როგორც ბირთვული იარაღის მფლობელი სახელმწიფო, აუზარმაზარი მოსახლეობით და როგორც გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, უპვე თავისთავად არის მნიშვნელოვანი ძალა საერთაშორისო სისტემაში. ხოლო ბოლო წლებში კი მისი როლი განუხერებად იზრდება. იგი მსოფლიოში ყველაზე დიდი არმიის მფლობელია, რომლის სამხედრო მოცულობა და ხარისხი მუდმივად მატულობს. ამერიკელი

ექსპერტების უმრავლესობა სწორედ ჩინეთში ხედავს აშშ-ს მთავარ პოლიტიკურ და სამხედრო მოწინააღმდეგებს.

დღევანდელ სწრაფად ცვალებად მსოფლიოში, საკმაოდ დიდია ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენა, თუმცა ისიც აშკარად შესამჩნევია, რომ ევროპული და აზიური კონგლომერატული სტრუქტურები სერიოზულ გამოწვევებს სთავაზობენ მას. ამ რეალობას კარგად ხედავენ ვაშინგტონში და გარკვეულ ღონისძიებებსაც მიმართავენ. ამჟამად განსაკუთრებული ინტერესების სფეროში მოქცეულია ცენტრალური ევრაზიის რეგიონი ჩინეთის ექსანსიის შესაჩერებლად. ამასთან, დღეს ჩინეთის ეკონომიკური ზრდის ტემპი ერთერთი ყველაზე მაღალია მსოფლიოში, რაც ხელს უწყობს მის სამხედრო სიძლიერეს და ზრდის მის როლს მსოფლიო პოლიტიკაში. ჩინეთი, როგორც ბირთვული იარაღის მფლობელი სახელმწიფო და გაეროს უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი, განსაკუთრებულ ფენომენს წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიოში.

თანამედროვე მსოფლიოში ერთ-ერთი მძლავრი გლობალური „მოთამაშე“ იაპონია. ეს არის ქვეყანა, რომელიც XX საუკუნის პირველი ნახევრის დასასრულს, სასტიკად დამარცხდა ომში და თავის თავზე იწვნია ატომური ბომბის საშინელება, რომლის ეკონომიკაც მიწასთან იქნა გასწორებული და არც არავითარი ბუნებრივი რესურსი გააჩნდა, მაგრამ ფაქტიურად მოახდინა „ეკონომიკური სასწაული“. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, რამდენიმე წელიწადში მსოფლიოში მესამე სახელმწიფო გახდა (აშშ-ისა და სსრკ-ს შემდეგ) წარმოების პროდუქციის საერთო მოცულობით და შორს გაუსწრო ევროპის ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნებს.

იაპონური პროდუქცია ხარისხიანობისა და საიმედოობის ეტალონად იქცა. რაც მთავარია, იაპონურმა ნაწარმმა და პირველ რიგში ავტომობილებმა, ჩარხებმა, გემებმა, ელექტროტექნიკურმა და ელექტრონულმა პროდუქციამ დაიკურო მსოფლიო ბაზარი, ხოლო თვით ამერიკაში ადგილობრივი ნაწარმი, ხშირ შემთხვევაში, კონკურენციას ვერ უწევდა იაპონურ იმპორტულ საქონელს. იაპონია წამყვანი ქვეყანა გახდა როგორც წარმოებაში, ისე ვაჭრობასა და საფინანსო ურთიერთობებში, ხოლო მსოფლიოს უდიდეს ტრანსნაციონალური კორპორაციების პირველ ათეულში ოთხი იაპონური იყო. 1990-იანი წლების შემდეგ იაპონიამ კიდევ უფრო გაამყარა თავისი პოლიტიკური მდგომარეობა. მისმა ეკონომიკური ზრდის ტემპებმა და სიძლიერემ სხვა თვალით შეახდა მსოფლიოს იაპონელებზე. აშშ იძულებული გახდა მოლაპარაკების მაგიდაზე

დამჯდარიყო იაპონიის პირისპირ და განეახლებინა იაპონიის კონსტიტუცია. ეს მოვლენა მოინათლა, როგორც „ახალი გლობალური პარტნიორობა“.

სამწუხაროდ, ის რაც მოხდა იაპონიაში ამ ბოლო ხანებში (მიწისძვრა, ცუნამი და ატომური კრიზისი), ცხადყოფს, რომ თვით ისეთი განვითარებული და მაღალმოდერნიზებული ქვეყანა, როგორიც იაპონიაა - უძლურია ბუნებრივი კატაკლიზმების წინაშე. ქვეყანა დამანგრევები მიწისძვრისა და ცუნამის შემდეგ პუმანიტარულ პრობლემებს ებრძვის და მიუხედავად საერთაშორისო დახმარებისა, ურთულეს პირობებში იმყოფება. სახეზეა ეკოლოგიური საფრთხე, ატომური კრიზისი იაპონიაში თანდათან დრმავდება . . . იაპონიამ, ერთხელ უკვე მოახერხა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ უმძიმესი კრიზისიდან გამოსვლა. მსოფლიო საზოგადოება იმედოვნებს, რომ იაპონია ამჯერადაც შეძლებს უმძიმესი კრიზისის დაძლევას.

ჩვენი აღწერა თანემდროვეობასთან მიმართებით, ვერ იქნება სრული, თუკი უურადღების მიღმა დავტოვებო „აზიურ ვეფხებად“ წოდებულ ახალ ინდუსტრიულ სახელმწიფოებს, რომლებმაც საოცრად სწრაფი ტექნიკ განვითარდნენ და გარკვეული წონა მოიპოვეს მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში.

XX საუკუნის 70-80-იან წლებში ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა და მისი სტრუქტურის კარდინალური შეცვლა (კერძოდ, მანქანათმშენებლობისა და ელექტრონიკის წამყვან დარგებად გადაქცევა) მოხდა აზიის წყნაროკეანური სარტყელის ქვეყნებშიც – სამხრეთ კორეაში, ტაივანში, ჰონკონგსა და სინგაპურში. ამ ქვეყნებს, რომლებიც ჯერ „ოთხთა ბანდას“, ხოლო შემდეგ „აზიის ვეფხებას“ უწოდებდნენ მოგვიანებით ტაილანდი, მალაზია და გარკევული მოსაზრებით, ინდონეზია და ფილიპინებიც მიემატა (დავითაშვილი 2003: 314).

ჩვენი დაკვირვებით, მათი განვითარების საწინდარი იყო ინდუსტრიული დარგების ამუშავება და სამრეწველო საქონლის ექსპორტის დაწყება. თუმცა ინდუსტრია არ არის ერთადერთი სფერო, რომელიც განავითარეს ახალმა ინდუსტრიულმა ქვეყნებმა. მათ სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს ბიოტექნოლოგიაში, ზეგამტარობის სფეროში, ენერგიის ალტერნატიული წყაროების გამოყენებაში, რობოტმშენებლობაში და სხვ. უცხოური კაპიტალის მოზიდვის მიზნით ეს ქვეყნები ქმნიდნენ და ქმნიან საექსპორტო საწარმო ზონებს, სადაც საგარეო ბაზარზე ორიენტირებული საქონელი იწარმოება. უმეტესად ისინი იქმნება ნაკსადგურებთან და აეროპორტებთან ახლოს და იქ ყველა შესაძლო პირობაა შექმნილი სწრაფი და მაქსიმალურად იაფი

წარმოებისათვის (შედავათიანი საგადასახადო რეჟიმი, გაფიცვების აკრძალვა, სხვ). ამ ქვეყნების წარმატებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი იაფი მუშახელის არსებობამ და შრომატევადი დარგების შემოსვლამ განვითარებული ქვეყნებიდან.

გლობალიზაციის დღევანდელ ეტაპზე განვითარების ტრანსფერის ყველაზე წარმატებულ მაგალითს სამხრეთი კორეა გვიჩვენებს (ასევე წარმატებულად განხორციელდა ტაივანისა და ჰონკონგის განვითარება, მაგრამ ეს უფრო სპეციალური პროექტების რეალიზაციის შედეგს წარმოადგენდა დასავლეთის მხრიდან და სხვებისათვის მისაბამ მაგალითად ვერ გამოდგება). სამხრეთ კორეის განვითარების მოდელი, რომელიც დაფუძნებული იყო მთავრობის უშუალო მონაწილეობაზე ეკონომიკის მართვაში და საჭიროების შემთხვევაში ფორმალურად კერძო კორპორაციების საქმიანობაში აქტიურ ჩარევაზე, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული გამოდგა თანამედროვე ისტორიაში.

გილპინის აზრით, ამ აზიურ ქვეყნებში მნიშვნელოვანი იყო ის, რომ არსებობდა ძლიერი სახელმწიფო და ეკონომიკური ბიუროკრატია, რომელსაც უნარი შესწევდა ჩამოეყალიბებინა პრიორიტეტები, განეხორციელებინა მიზანმიმართული ეკონომიკური პოლიტიკა და გაეტარებინა საჭირო და ხშირად არაპოპულარული რეფორმები. სახელმწიფო და კერძო სტრუქტურებმა მოახერხეს კონსტრუქციული თანამშრომლობა და შეიმუშავეს აპოლიტიკური ინდუსტრიული პოლიტიკა, რომელიც ორივეს ინტერესს და, საბოლოო ჯამში, ქვეყნების ინტერესებს პასუხობდა. და ბოლოს, რაც, ალბათ, ყველაზე მნიშვნელოვანია, ამ ქვეყნებმა უზარმაზარი ინვესტიციები ჩადეს განათლებასა და ადამიანურ რესურსებში (უკანია 2006:31).

1997 წლის აზიის ფინანსური კრიზისის შემდეგ, რომელმაც მძიმე შედეგები მოიტანა, საგრძნობლად შეარყია რეგიონის ფინანსური სტაბულურობა და მძიმე სოციალურ-პოლიტიკური დაძაბულობა გამოიწვია.

პოლ ჰერსტის და გრემ ტომპსონის შეხედულებით, „აზიის ეს ახალი ინდუსტრიული ქვეყნები ითვალისწინებდნენ დასავლურ რჩევებს და ამისათვის, ისეთი ინსტიტუტებისაგან, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, დახმარებას იდებდნენ. დასავლური რეკომენდაციები, რომლებიც რბილად რომ ვთქვათ, ხშირ შემთხვევაში, არ იყო მორგებული ადგილობრივ პირობებზე, ობიექტურად გახდა აზიის კრიზისის ერთ-ერთი გამომწვევი ფაქტორთაგანი“ (ჰერსტი 2005:164).

ჩვენი შეხედულებით, დასავლეთი ცდილობს ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების ესტრაპოლაცია და არადასავლური საზოგადოებების ეკონომიკის ინტეგრირება მოახდინოს გლობალურ მსოფლიო სისტემაში, რომელშიც მას უკავია წამყვანი ადგილი. მსოფლიო ბანკის, მსოფლიო სავალუტო ფონდის და სხვა ეკონომიკური ინსტიტუტების მეშვეობით (უშუალო ჩარევით), დასავლეთ თავისი ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა ნაციებს თავს ახვევს იმ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც პირველ რიგში მათვის არის მომგებიანი (ინოზემცოვი 1999: 537).

ამავე დროს არსებობს სხვა ობიექტური გარემოებები: „ახალი სამყაროს ჩამოყალიბების პორიზონტზე სახელმწიფოთა საერთაშორისო დამოკიდებულების პრიორიტეტი ეთმობა აღიარებული ინფორმაციის სივრცეზე დაფუძნებული მფლობელების არც თუ ყოველთვის ეროვნულ სურვილს. ტრანსნაციონალური, საბანკო და მსოფლიო ფინანსური ქსელის სივრცე ხდება უფრო ავტონომიური და ყოვლისშემძლე“ (გრიგოლია 2009: 57).

ჩვენი ძირითადი პრეტენზია, რომელიც მამართულია ზე-სახელმწიფოების „თამაშის წესების“ საწინააღმდეგოდ, გამომდინარეობს ე. წ. მესამე სამყაროში არსებული ვითარებიდან, სადაც რიგ ქვეყნებში სიდარიბის დონე შემაშფოთებელ ზღვარს აღწევს, ხოლო მთელ რიგ განვითარებად ქვეყნებს უძნელდებათ ადაპტაცია გლობალური ბაზარის თამაშის წესებთან, თანაც იმ მაღალი კონკურენციის პირობებში, სადაც ზე-სახელმწიფოები თავის უზარმაზარი რესურსებიდან გამომდინარე შესამჩნევი უპირატესობით სარგებლობს და გაცილებით აღემატებიან სხვა სახელმწიფოებს თავიანთი შესაძლებლობებით.

თანამედროვე ზე-სახელმწიფოები ტრადიციას არ ღალატობენ და როგორც უკვე აღვნიშნეთ, ცდილობენ შექმნან ისეთი თამაშის წესები, შებამისად ისეთი მსოფლიო წესრიგი, რომელიც პირველ რიგში მათ ინტერესებს დაექვემდებარება.

თანამედროვე ეტაპზე, დასავლეთის მიზანია (და მომავალშიც ეცდება) შეინარჩუნის თავისი წამყვანი მდგომარეობა და დაიცვას საკუთარი ინტერესები. აკვალიფიცირებენ რა მათ, როგორც „მსოფლიოს საზოგადოებრიობის“ ინტერესებს. ეს ე. წ. გლობალური ინტერესები, სინამდვილეში მიზნად ისახავს უზრუნველყოს გლობალური ლეგიტიმური მდგომარეობა იმ საქმიანობისა, რომელიც ემსახურება აშშ-ის და დასავლეთ ევროპის განვითარებული ქვეყნების სახელმწიფო ინტერესებს.

**ისლამი და დასავლეთი** მუსლიმური ქვეყნების და მუსლიმური კულტურების ანტიგლობალისტური განწყობები, გარკვეულწილად, ტრადიციების, ენის, დირებულებების, მენტალობის, ცხოვრების წესის დაკარვის შიშით არის გამოწვეული. ამ კულტურის მატარებელი ინდივიდის თუ ხალხის ცნობიერებაში სპეციფიკურია ის გარემოება, რომ გლობალზიაციური პროცესები მათ მიერ აღიქმება ტრადიციული მეტოქის ქრისტიანობის ტრიუმფად. მათდამი მიმართული ყოველი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და მითუმეტეს სამხედრო აქცია განიცდება როგორც ჯვაროსნული ომი. ამ კულტურის ისტორიული მეხსიერება საუკუნეების მანძილზე ძირითადად ყალიბდებოდა ქრისტიანობასთან წინააღმდეგობაში, რამაც განაპირობა ისეთი რადიკალური პუნქტის შეტანა მუსლიმთა წმინდა წიგნში - ყურანში, როგორიცაა საღვთო ომის - ჯიპადის წმინდათა წმინდა საქმედ მიჩნევა. ყოველ მუსლიმს ვინც სარწმუნოებისათვის გაწირავს თავს „გარანტირებული“ აქვს ადგილი სამოთხეში. ადამიანის ცხოვრების საზრისი ამ კულტურაში რჯულის დაცვისთვის თავის გაწირვაში მდგომარეობს.

ჩვენი დაკვირვებით, მუსლიმურმა კულტურამ მოდერნიზაცია არ განიცადა და დღესაც ამ კულტურის ღერძი და მთავარი შემადგენელი რელიგიაა და რასაკვირველია მოვლენათა მათეული შეფასებაც რელიგიური ცნობიერებით არის განპირობებული.

ენტონი გიდენსი აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთის ისლამური საზოგადოებები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი ეკონომიკური თვალსაზრისით სერიოზულ პრობლემებს განიცდიან, ექვენ გამოსავალს და ადაპტაციის ფორმებს თანამედროვეობასთან მიმართებით. კულტურული გლობალიზაციის შედეგად, მათი თვითმყოფადობა საფრთხის წინაშეა. მთელი რიგი სოციალურ-კულტურული ფაქტორების გამო ისინი ეწინააღმდეგებიან დასავლურ მოდერნიზაციას, განიხილავენ რა მას, როგორც კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკური ექსპანსიის მცდელობად დასავლეთის მხრიდან (გიდენსი 2005: 33).

„ისლამური ცივილიზაცია, თუმცა ერთი შეხედვით ყველაფერს ითვისებს, მაგრამ იგი ამავე დროს ძალზე შერჩევით იღებს იმას, რაც მის ფუნდამენტურ რელიგიურ ზნეობას შეეწევა და უარყოფს იმას, რაც მის ინდივიდუალიზმს ეწინააღმდეგება“ (ბანანი 1975: 147).

ამ თვალსაზრისით, ე. წ. „აღმოსავლური წინააღმდეგობა“ შეიძლება წარმოვიდგინოთ, როგორც „თავდაცვის მექანიზმი“, რომელიც თავისი შინაარსით ანტიდასავლურია. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთი მკვლევარის აზრით,

ისლამური ცივილიზაცია კრიზისს განიცდის, რომელიც მთელი რიგი შიდა ფაქტორებით არის განპირობებული, ხოლო ასეთი მძაფრი წინააღმდეგობა დასავლეთისადმი, არის ერთგვარი „თავდაცვის ფორმა თვითგადარჩენის მიზნით“, რადგან დასავლური გლობალური კულტურა თავისი „მაცდუნებელი“ ბუნებით, მეტად საშიში „გადამდები“ ძალაა, რომელსაც შეუძლია ეს კრიზისი უფრო გააღრმავოს.

სერგეი კაპიცას მტკიცებით, „მუსულმანურ ქვეყნებში ურბანიზაციის მზარდ პროცესებს გარკვეული დესტაბილიზაცია შეაქვს ისლამურ საზოგადოებებში. ამასთან ერთად, კულტუროლოგიური თვალსაზრისით, „ცივილიზაციათა შეჯახება დაკავშირებულია არა მარტო რელიგიურ ფაქტორებთან. ამის მნიშვნელოვანია მიზეზია, თანამედროვე სამყაროს კვალდაკვალ, ცალკეული ისლამური ქვეყნების ჩამორჩენა (კაპიცა 2004:83).

ისლამური მოძრაობების გააქტიურება, რომლის საფუძველშიც დევს რელიგიური აღორძინების იდეა, არ შეიძლება აიხსნას მხოლოდ რელიგიური მოსაზრებებით. ენტონი გიდენსისი აზრით, გარკვეულწილად, „ეს მოძრაობები წარმოადგენენ რეაქციას დასავლეთის გავლენაზე, და თავის შინაარსით მოწოდებულნი არიან დაიცვან ეროვნული და კულტურული ფასეულობები. გიდენსი მიიჩნევს, რომ ისლამური მოძრაობების ძალისხმევა, თუნდაც ყველაზე ფუნდამენტალისტურ ფორმებში გამოხატული, არ უნდა გავიხილოთ პირდაპირი მნიშვნელობით ტრადიციული იდეების „რესტავრაციის“ მცდელობად. სინამდვილე, როგორც ჩანს, გაცილებით უფრო რთულია. ძველი წე-ჩეჟულებებისა და ადათების, ტრადიციების აღორძინების მიღმა, აშკარად იკვეთება დასავლეთისადმი წინააღმდეგობის სხვა მიზეზ-ფაქტორები, რომლებიც შეიძლება განვიხილოთ, როგორც აღმოსავლეთის მწვავე რეაქცია თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე და გამოწვევებზე“ (გიდენსი 2005: 338).

ისტორიული ექსკურსი წარსულში, ცხადყოფს თუ რამდენად ძველია დაპირისპირება ისლამურ და დასავლურ ცივილიზაციებს შორის. თუ გაგავლებთ პარალელს თანამედროვეობასთან. ჩვენთვის ნათელი გახდება, მათ შორის გაჩადებული თანამედროვე კონფლიქტის შინაარსის ბევრი უმნიშვნელოვანესი კომპონენტი. ასწლეულების მანძილზე, ისლამსა და ქრისტიანებს შორის კონფლიქტის გამძაფრებაზე გავლენას ახდენდა დემოგრაფიული ზრდის და დაცემის ტენდენციები, ეკონომიკური განვითარება, ტექნოლოგიური გარდაქმნები და საკუთარი რელიგიის გავლენის სფეროების გაფართობისაკენ მუდმივი

სწრაფვა. თავიდანვე ისლამის ექსპანსია ხორციელდებოდა დაპყრობების გზით, არც ქრისტიანობა უშვებდა ხელიდან ასეთ შესაძლებლობებს. „პარალელური გაგებები „ჯიპადი“ და „ქრისტიანული ლაშქრობა“ არა მართო ერთმანეთის მსგავსია, არამედ ეს ორი რელიგია ამით გამოირჩევა სხვა წამყვან რელიგიებს შორის. ასევე, ისლამი და ქრისტიანობა, იუდაიზმთან ერთად ეყრდნობიან თეოლიგიურ შეხედულებებს ისტორიაზე, განსხვავებით ციკლური და სტატიკური მიდგომებიდან, რომელითაც სხვა რელიგიები ხასიათდებიან“ (გრუნებაუმი 1998:612)

ორივე რელიგიებს ასწლეულობის მანძილზე ჰქონდა დაცემისა და აღმავლობის პერიოდები. „ისლამი ერთადერთი ცივილიზაციაა, რომელიც კითხვის ქვეშ აყენებდა დასავლეთის ბედს“ (ინოზემცოვი 1999: 543).

უნდა აღინიშნოს, რომ ისლამურ სამყაროში XX საუკუნის 70-იანი წლებიდან გაჩნდა ახალი ტენდენცია, რომელიც ფუნდამენტალიზმის აყვავებით ხასიათდება. „პროდასავლური ტიპის მმართველების ეპოქა აღმოსავლეთში დასასრულს მიუახლოვდა, რადგან რეალურად ამ პროდასავლური ორიენტაციის მმართველების ხელში ისლამური საზოგადოებების მოდერნიზაცია არ მომხდარა. მაგალითად, რეზა შაჰი, ისევე როგორც მისი თანამედროვე მოდერნისტები, დასავლური ცივილიზაციის გარეგნული მსარით იყვნენ მოხიბლულები, მაგრამ სინამდვილეში დასავლური ცივილიზაციის არსი არ ესმოდათ, ან ყოველ შემთხვევაში არ გამოუხატავთ მკაფიო სურვილი იმისა, რომ ირანი დასავლური ტიპის მოდერნისტული საზოგადოებისაკენ წაეყვანათ“ (ქოთამი 1982: 267-268).

აღმოსავლეთის ისლამურ ქვეყნებში ხელისუფლება პროდასავლურიდან გადავიდა არადასავლური ორიენტაციების მქონე მთავრობების ხელში. ამის ყველაზე ნათელი მაგალითია 1979 წლის ირანის რევოლუცია, რომლის დროსაც რევოლუციის შედეგად ირანი კონსტიტუციური მონარქიიდან სახალხო დემოკრატიულ ისლამურ რესპუბლიკად იქცა. შაჰი მოჰამედ რეზა ფაჰლუმი შეცვალა აითოლა რუპოლა ხომეინიმ. ესლამი ნოდუშანის მტკიცებით, „შიიტური სარწმუნოების ხასიათი განაპირობებს ირანელთა ინდივიდუალობასა და განსხვავებულობის ძიებას მთელი ისლამური ისტორიის მანძილზე. რაც ისლამურ ნაციონალიზმის გაძლიერებას დაედო საფუძვლად“ (ნოდუშანი :2004:10).

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ პერიოდისათვის, იდეოლოგიური ბრძოლა მიმდინარეობდა ირანსა ერაყს შორის. ადრე შაჰი, მოგვიანებით კი ხომეინი იარანული ნაციონალისტური მისწრაფებებით რეგიონში ჰეგემონიისათვის

სამხედრო ძალის გაძლიერებაზე ზრუნავდნენ და გარკვეული ტერიტორიული პრეტენზიები გააჩნდათ. ამას ემატება ისიც, რომ ირანის რევოლუციამ აღადგინა საუკუნეების მანძილზე მიძინებული კონკურენცია შიიტებსა და სუნიტებს შორის როდესაც, სადამ ჰუსეინმა თავი პან-არაბიზმის და არაბთა უფლებების დამცველად გამოაცხადა და რეგიონის არაბული ქვეყნების ირანის კონტროლისაგან გათავისუფლების პასუხისმგებლობა აიღო, პოლიტიკური პეტენიისათვის ბრძოლა იდეოლოგიური საფარქვეშ მოაქცია, რამაც გაამწვავა ურთიერთობა შიიტებსა და სუნიტებს შორის და რაც რა თქმა ჩანასახშივე სპობდა ზოგადად ისლამური სამყაროს ერთიანობის იდეას (პიტიურიშვილი 2009: 214).

„ცივი ომის“ პერიოდში დასავლეთსა და სსრკ-ს შორის დაპირისპირების პლაცდარმი ძირითადად ახლო აღმოსავლეთში გაიშალა, კერძოდ კი ნავთობით მდიდარ არაბეთის ნახევარკუნძულზე. ამ რეგიონზე გავლენის მოსაპოვებლად, მძაფრი კონკურენციის პირობებში, ორივე მხარე ძლიერ ზეწოლას ახდენდა ადგილობრივ ხელისუფლებებზე. სსრკ თავის მხრივ, აშშ თავის მხრივ აქეზებდნენ სხვადასხვა სახელმწიფოებს (რუსეთი – სირიასა და ერაყს, აშშ – ავღანეთს), აწვდიდნენ მათ საომარ იარაღს, აღჭურვილობას. ამერიკელი კონსტუქტორები აქტიურად წვრთიდნენ ავღანელ მეომრებს საბჭოთა კავშირთან დასაპირისპირებლად. საბჭოთა კავშირიც არცოუ იშვიათად ამყარებდა კავშირს ამა თუ იმ არაბულ ორგანიზაციასთან, რომლებიც თავის არსენალში ძალიან ხშირად იყენებდნენ ბრძოლის ტერორისტულ ტაქტიკას. ასეთი სახის ზეწოლამ კი საბოლოოდ რეგიონის განთავისუფლების სურვილი გააღვიძა, და შედეგად დაიწყო დასავლეთის მიმართ ანტაგონისტურად განწყობილი ისლამური ჯგუფების (მოჯახედების) მომრავლება. ეს აღნიშნული ჯგუფები თავიანთი მიზნების მიღწევის და პოლიტიკური ბრძოლის ერთ-ერთ მეთოდად – ტერორიზმს იყენებდნენ. სწორედ ამის გამო, ხშირად ეს ჯგუფები ტერორისტულ ორგანიზაციებად მოიხსენიება.

ისტორიულად ისე აეწყო, რომ ახლო აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ აფრიკა ექსტრემიზმის კერად და გამავრცელებლად იქცნენ. 1970-იან წლებში ეგვიპტეში, სუდანში, სირიაში, ალჟირსა და მათ მეზობელ სახელმწიფოებში მკვეთრად გააქტიურდნენ რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობები, რის შედეგადაც აფრო-აზიური ქვეყნების უმრავლესობაში შეიქმნა რელიგიური ლოზუნგებით მოქმედი შეიარაღებული ექსტრემისტული დაჯგუფებები („ისლამის ჯგუფი“; „ჯიპადი“ და ა. შ). გაჩნდა ტერმინი „მუსულმანი ექსტრემისტები“. ეს ორგანიზაციები

უარყოფდნენ სახელმწიფოს კონტოლს თავის საქმიანობაზე, როგორ წესი, იყვნენ გასაიდუმლობრივი და ხშირად უპირისპირდებოდნენ სახელმწიფოს და „ოფიციალურ ისლამს“. რელიგიურ-პოლიტიკურ დაჯგუფებათა განსაკუთრებულობა და ერთგვარი დაპირისპირება „ოფიციალურ ისლამთან“, იმაში მდგომარეობს, რომ თავიანთი ქმედებებით ისინი უფრო საზოგადობრივ-პოლიტიკურ საქმიანობას მისდევენ, ვიდრე ღვთისმეტყველურს, იყენებენ რა თეოლოგიას საკუთარი სალაფიტური იდეოლოგიის დასასაბუთებლად. ამ იდეოლოგიის თვალსაჩინო წარმომადგენლები (მათ შორის: მასხაბების ფუძემდებელი – იბნ ჰანბალი, აშ-შაფიი, ასევე, ცნობილი ღვთისმეტყველები: აქმად იბნ ტაიმია, იბნ აბდალ-ვაჰაბი და ვაჰაბიტები) სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ქადაგებდნენ პირველადი ისლამის ნორმებთან დაბრუნებას, მისი შედარებით ახალი პოსტულატებისა და გვიანდელი შრეებისგან, ისლამამდელი კულტურებისა და სუფიური მიმდინარეობისგან გაწმენდის გზით. (სალაფის მოძღვრების მიხედვით, სიახლეებად ითვლება ლოცვის აღავლენა გარდაცვლილთა სულების მიმართ, მსხვევრპლშეწირვა საფლავებზე, მაგზოლეუმებისა და გუმბათების მშენებლობა და სხვა) (პიტიურიშვილი 2009: 215).

დროთა განმავლობაში „ვაჰაბიზმად“ სახელდებული სალაფიზმი საერთაშორისო არენაზე გამოვიდა. იგი მკვიდრდებოდა არა მხოლოდ არაბულ ქვენებში, არამედ ასევე, საბჭოთა კავშირის ე.წ. მუსლიმანურ რეგიონებში და სხვა ისლამურ სახელმწიფოებში კომუნიზმის გავრცელების შესაჩერებლად. ამ პროცესმა განსაკუთრებით აქტიური ხასიათი მიიღო 1980-იან წლებში, „პრესტროიკისა“ და „გლასნოსტის პერიოდში“. იგი მიმართულ იქნა დესტაბილიზაციისკენ შეა აზიასა და კავკასიაში. საბჭოთა კავშირში (მუსლიმანური რელიგიური მოღვაწენი სალაფიზმს მხოლოდ თეორიულად იცნობდნენ) სხვადასხვა მიზეზების გამო იგი ცნობილი გახდა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში დამკვიდრდა, როგორც „ვაჰაბიზმი“ - პოლიტიკური მიმდინარეობის მნიშვნელობით. ჰანბალიზმის ამ მიმართულების მიმდევრები საკუთარ თავს უწოდებენ არა ვაჰაბიტებს, არამედ „თაუჰიდისტებს“, ან „სალაფიტებს“. საერთო ჯამში, „ვაჰაბიზმის“ სახელით ცნობილი რელიგიური მიმდინარეობა, გამოირჩევა თავისი განსაკუთრებული რადიკალიზმით ისლამის სხვა რელიგიურ მიმდინარეობებთან შედარებით. ვაჰაბაზმი გულისხმობს არა მარტო „საღვთო ომის“ წარმოებას „ურწმუნოთა“ წინააღმდეგ, არამედ მტრულად არიან განწობილი იმ მუსულმანთა მიმართ, რომლებიც არ აღიარებენ მათ

მოძღვრებას და შესაბამისად, საკუთარი წვლილი არ შეაქვთ ე. წ. „საღვთო ოში“ ურწმუნოთა წინააღმდეგ (მოლდალიგვი 2002).

ახლო აღმოსავლეთში პოსტკოლონიური პერიოდის კოლაფსის პარალეურად დაიწყო არაბული ნაციონალიზმის და პან არაბიზმის იდეალების აღორძინება. მაგრამ, არაბული წარმომავლობის ხალხთა ერთობის პრინციპი გადაიყარა „ისლამური ერთობის“ ზენაციონალური კონცეფციით, რამაც ობიექტურად გამოიწვია პანარაბისტული ნაციონალიზმის ჩავარდნა. ამ იდეის კრახის შედეგად წარმოქმნილი ვაკუუმი, ისლამურ რელიგიაზე დაფუძნებულმა ფუნდამენტალიზმა შეავსო. გარდამტები მომენტი ისლამური ექსტრემიზმის ასაყვავებლად პალესტინის დასაბრუნებლად წარმოებულ ექვსდღიან ომში არაბული ძალების დამარცხება გახდა. საერთოდ, ისრაელის პრობლემა არის ალბათ ის მირითადი კვანძი, რის გარშემოც კონცენტრირებულია მთელი არაბული სამყარო. ფაქტიურად შეიძლება ითქვას, რომ არაბულ ექსტრემიზმს ისრელ-პალესტინის დაპირისპირება კვებავს და სანამ ეს კრიზიული სიტუაცია არ დარეგულირდება, შეუძლებელი იქნება ტერორიზმის პრობლემის აღმოფხვრა (ედილაშვილი 2006 :30).

ყველაზე მთავარი პრობლემა აღმოსავლეთის გაჭირვებული ქვეყნებია. ლატაკი ადამიანები ადვილად მიდიან თანამშრომლობაზე ექსტრემისტულ ორგანიზაციებთან, რომლებიც დიდ ფინანსურ რესურსებს ფლობენ და აქედან გამომდინარე, მათთვის პრობლემას არ წარმოადგენს მატერიალური დახმარების გაწევა. ექსტრემისტების ერთ-ერთი უმთავრესი იარაღი სწორედ სოციალური დემაგოგია. ასევე, მნიშვნელოვანია ფაქტორია ისიც, რომ მესამე სამყაროს მოსახლეობას და ღარიბ რაიონებს ხშირად უჩნდებათ „მსხვერპლის კომპლექსი“. რაზედაც წარმატებით აპელირებენ „დაინტერსებული პირები“, ამდაფრებენ რა მოსახლეობაში ანტაგონისტურ დამოკიდებულებას დასავლეთისადმი. მაგრამ, „სიდარიბეზე უფრო მეტად, მოსახლეობის განწყობის ჩამოყალიბებაზე თამაშობს - გარემო, სადაც ბავშვი იზრდება. თუ იგი იზრდება ისეთ გარემოში, რომელიც ეს-ესაა დაიბომბა, ნახევრადდანგრეული სახლების გარემოცვაში, რა თქმა უნდა ასეთი „ბედნიერი ბავშვობისთვის“ იგი იმათ მოსთხოვს პასუხს ვინც ეს სახლები დაანგრია. ეს თავის კვალს ტოვებს ბავშვის ფსიქიკაზე“ (ედილაშვილი 2006:31).

ამას ემატება აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის დამახასიათებელი განათლების დაბალი დონე, რაც რა თქმა უნდა ხელს არ უწყობს ადამიანში კრიტიკული აზროვნების ფორმირებას. გაუნათლებელი ადამიანები იდეოლოგიური დამუშავებისათვის საკმაოდ ადვილი სამიზნები არიან. ყოველივე აქედან

გამომდინარე ექსტრემისტული მოძრაობების გასაძლიერებლად კარგი ნიადაგი იქმნება. ეს ორგანიზაციები ახორციელებენ ტერაქტებს და დივერსიებს, ეწვიან იატაკებება საქმიანობას, მიმართავენ პარტიზანულ ომებს.

საინტერესოა ის ფაქტიც, რომ ექსტრემისტები ორგანიზებულ ტერაქტებს ხსნიან, როგორც „გადარჩენის და ძლიერ მტერთან ბრძოლის“ საშუალებად. ექსტრემიზმი არა მხოლოდ ატარებს ტერორიზმის მარცვლებს, არამედ ექსტრემისტი-ფუნდამენტალისტი ლიდერების მიერ ტერორი დაშვებულია, როგორც კანონიერი საშუალება მიზნის მისაღწევად.

თანამედროვეობის ყველაზე ცნობილი ტერორისტული ორგანიზაციის „ალ ჯაიდას“ მოღვაწეობა მოელი ამ წლების მანძილზე, უყურადღებოდ არ დარჩენილა დასავლეთის მხრიდან, მაგრამ საყოველთაო ყურადღების ცენტრში აღმოჩნდა და საჯაროდ დაიწყეს ლაპარაკი ამ ტერორისტული ორგანიზაციის სტრუქტურაზე, ტაქტიკაზე და თანამედროვე ამოცანებზე, მხოლოდ 2001 წლის 11 სექტემბრის ცნობილი ტერაქტების შემდეგ, როდესაც ბინ-ლადენი ნომერ პირველ ტერორისტად გამოაცხადეს. ეს იყო თანამედროვეობის გარდამტები მომენტი, როდესაც დასავლეთისა და ისლამური სამყაროს ურთიერთობაში ახალი ეტაპი დაიწყო. მართალია აშშ და მისი ევროპელი მოკავშირები (ნატო-ს ალიანსი) ღიად არ აკავშირებდნენ ტერორიზმს ისლამურ ცივილიზაციისთან, მაგრამ ყველასათვის ნათელი გახდა, რომ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ახალი ფაზა დასავლეთის მხრიდან, უცილობლად იქნებოდა გამოხატული აღმოსავლეთ სამყაროსთან დაპირისპირებაში. ამერიკის შეერთებული შტატებისათვის (და განსაკუთრებით მისი მოქალაქეებისათვის) 2001 წლის ტერაქტები შოკისმოგვრელი იყო, ამერიკული უსაფრთხოების მითი დაიმსხვრა, მაგრამ, ამერიკა მალევე „გამოფხილზლდა“ - ფაქტიურად ამ ტრაგიკულმა მოვლენამ ხელ-ფეხი გაუხსნა და ღიად დაიწყო თავისი სტრატეგიული მიზნების განხორციელება, კერძოდ ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით შეიჭრა ერაყში და შემდეგ ავდანეთში.

ჩვენი აზრით, ტერორისტულმა აქტებმა ვერ გამოიღო ის შედეგები, რასაც მისი დამპროექტებლები მოელოდნენ (თუ არ ჩავთლით თავდაპირველ ეიფორიას ისლამურ სამყაროში).

ტერორიზმის პოლიკური საფუძვლები ქვეყნის შიგნით ძალაუფლების არათანაბარ განაწილებას უკავშირდება. ტერორიზმის გეოპოლიტიკური საფუძვლები კი კავშირშია სახელმწიფოთა განსხვავებულ ინტერესებსა და სახელმწიფოთა შორის ურთიერთობებთან. წინააღმდეგობრივი ინტერესები და

გამძაფრებული ურთიერთობები ხშირად სახელმწიფოთაშორისო ტერორიზმს წარმოშობს. ზოგიერთი ქვეყნის მიღრეცილება იდეოლოგიური, ეკონომიური, საინფორმაციო და ა.შ. ექსპანსიისადმი განზოგადებულად ვლინდება გეოპოლიტიკურ ექსპანსიაში. შემთხვევითი არ არის, რომ თანამედროვე „ცივილიზებული სამყაროსათვის“ სახელმწიფოთაშორისო საზღვრების სტაბილურობა უსაფრთხოების შენარჩუნების უმნიშვნელოვანები წინაპირობაა (ჭილითაშვილი 2009: 262).

როგორც ვიცით, არ არსებობს სახელმწიფო, განვითარებადი იქნება იგი თუ განვითარების უმაღლეს სტადიაში მყოფი, რომელმაც საკუთარ თავზე არ გამოსცადა ტერორისტული აქტების დამანგრევები შედეგები. მაგალითებად შეიძლება მოვიყვანოთ, როგორც აშშ-ი (ყველაზე მასშტაბური), ასევე რუსეთის, თურქეთის, ესპანეთის დედაქალაქებში განხორციელებული ტერორისტული აქტები. ხოლო რაც შეეხება ერაყს, ავღანეთს, პალესტინასა თუ ისრაელს, აქ ტერორისტული აქციები ლამის ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

11 სექტემბრის ტერაქტის შემდეგ მსოფლიო უფრო მობილური გახდა გლობალიზებულ ტერორიზმთან ბრძოლაში. სახელმწიფოები, განსაკუთრებით კი, აშშ და ევროპის ქვეყნები, გაძლიერებულ თავდაცვას მიმართავენ და თანამშრომლობენ უსაფრთხოების გაძლიერების კუთხით. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს მხრიდან ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებმა (განსაკუთრების 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ) თვალნათლივ ცხადყო, რომ ტერორიზმი თანამედროვე კაცობრიობის ერთ-ერთ უდიდესი პრობლემაა და სახელმწიფოები იძულებულნი არიან მიმართონ უსაფრთხოების განსაკურებულ ზომებს საკუთარი მოქალაქეების მისგან დასაცავად (სხვათაშორის ექსტრემიზმი და ტერორიზმი არ არის დამახასიათებელი, მხოლოდ აღმოსავლური ცივილიზაციისათვის, ექსტრემიზმი დასავლეთშიც საკმაოდ აქტიურად ვლინდება, მაგალითად, თანამედროვე ეტაპზე, ირლანდიური და ბასკური ექსტრემისტული ორგანიზაციები და ა.შ.). საზოგადოებაში დამკვიდრებულია აზრი, თითქოს ექსტრემიზმი და ტერორიზმი „ცივილიზაციათა შეჯახებით“ არის განპირობებული და წარმოადგენს მუსულმანი ექსტრემიტების რადიკალურ ქმედებებს, რომ მიმდინარეობს რელიგიური ომი - „ჯიჰადი“ დასავლური ცივილიზაციის წინააღმდეგ.

\* \* \*

წვენი შეხედულებით, მსოფლიოს გლობალიზაციის პროცესში, სულ უფრო მჭიდრო კონტაქტები, მუსულმანთა და დასავლეთის წარმომადგენელთა შერევა კონკრეტულ რეგიონებსა და ქვეყნებში, აიძულებთ მათ თავიდან გაიაზრონ საკუთარი თვითმყოფადობა და ის, თუ რითი განსხვავდებიან და გამოირჩევიან სხვებისაგან. XX საკუნის 80-90-იან წლებიდან მოყოლებული როგორც ისლამურ, ასევე, ქრისტიანული ცივილიზაციების ფარგლებში ტოლერანტული დამოკიდებულებები მკვეთრად შემცირდა. დღითიდღე მწვავდება საკითხი, თუ რამდენად იზღუდება იმ უმცირესობათა უფლებები, რომლებიც ცხოვრობენ ისეთ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა სხვა ცივილიზაციის წარმომადგენელია.

ამგვარად, ისლამსა და დასავლეთს შორის გამწვავებული კონფლიქტის მიზეზ-საფუძველი დევს მათი კულტურულ სახესხვაობასა და ძალაუფლებისაკენ სწრაფვაში. ვინ ვის? – ეს მთავარი საკითხი წარმოადგენს ისლამისა და დასავლეთის დაპირისპირების განმსაზღვრელ მიზეზს. სახეზეა მსოფლმეხედ-გელობით შეჯახება ორ ცივილიზაციას შორის. და როგორც ჰანთიგტონი ამბობს, სანამ ისლამი დარჩება ისლამად (და ის დარჩება) და დასავლეთი დასავლეთად, ეს ძველი კონფლიქტი მომავალშიც განსაზღვრავს მათი ურთიერთდამოკიდებულების ხასიათს.

### **თავი III. გლობალიზაციის პროცესისადმი წინააღმდეგობის ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ასპექტები**

#### **1. გლობალიზაციისადმი წინააღმდეგობის ეკონომიკური ასპექტი**

თანამედროვე ეკონომიკა, ისევე, როგორც საზოგადობრივი ცხოვრების სხვა უამრავი სფერო უნდა გავაანალიზოთ გლობალიზაციის კონტექსტში და განვიხილოთ როგორც გლობალური ეკონომიკა. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პროცესისათვის დამახასიათებელია ქვეყნებს შორის ეკონომიკური ურთიერთდამოკიდებულების არნახული ზრდა, რაც თავის მხრივ წარმოებისა და კაპიტალის ინტერნაციონალიზაციის კანონზომიერ შედეგს წარმოადგენს.

ჩვენი შეხედულებით, გლობალიზაციის პროცესი ხელს უწყობს საერთაშორისო ვაჭრობისა და ინვესტიციების სტიმულირებას. ეკონომიკური გლობალიზაცია არსებით გავლენას ახდენს გეოპოლიტიკაზე, ცალკეულ სახელმწიფოთა თანამშრომლობასა და დაპირისპირებაზე. გლობალიზაციას რადიკალური ცვლილებები შეაქვს ეროვნულ სახელმწიფოთა მდგომარეობაში, სადაც სულ უფრო ძლიერდება პოლიტიკის ეკონომიზაციის პროცესი, და სტრატეგიული განვითარების ვექტორი პოლიტიკური და იდეოლოგიური მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე გადადის.

თანამედროვე გლობალური ეკონომიკა ფაქტობრივად ფინანსური ეკონომიკაა, რაც ეყრდნობა იმ დრმა ცვლილებებს, რომლებსაც ადგილი აქვს მსოფლიო მეურნეობის წიაღში: ტრანსფორმაცია ეროვნულ მეურნეობებში, ადამიანთა შორის ურთიერთობებსა და მსოფლიო ეკონომიკურ ინტეგრაციაში. ამასთან, ფინანსურ ეკონომიკას, როგორც მოვლენას, თან ახლავს ფინანსური რევოლუცია, რაც იმაში მდგომარეობს, რომ - ეკონომიკა სულ სხვა გახდა და მასში წარმართველი ძალა დღეს არის არა კაპიტალი როგორც ასეთი, არამედ ფინანსური კაპიტალი.

ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესის ხელშემწყობ პირობად შეიძლება მოვიაზროთ მაღალი ტექნოლოგიების განვითარების არნახული პროგრესი, რომელმაც აბსოლუტურად ახალი პერსპექტივები დასახა და შეიძლება ითქვას, რომ მნიშვნელოვნად შეცვალა თანამედროვე სამყაროს სახე. მსოფლიოში მიმდინარეობს ახალი ტექნოლოგიური წყობის სამრეწველო ათვისება, რომლის საფუძველშია ნანოელექტრონიკა, გენური ინჟინერია, მულტიმედიური ინტერაქტიული ინფორმაციული სისტემები, მაღალტექნიკურული

ზეგამტარობა და ა.შ. მსოფლიოს წამყვანი ქვეყნების ინდუსტრიებში მკაფიოდ გამოიკვეთა მეცნიერებატევადი, რესურსდამზოგი ტექნოლოგიების და სრული საწარმოო ციკლების კუთრი წილის ზრდა. დღევანდელ საფონდო ბაზრებზე ყველაზე ძვირადირებული კომპანიები არა რესურსების მომპოვებელი და გადამამუშავებელი საწარმოებია, არამედ ის ფირმებია, რომელთა სპეციალიზაციაა ინტელექტუალური, მეცნიერებატევადი და მაღალტექნოლოგიური პროდუქტი (სამადაშვილი 2009: 6).

მაღალეფექტიან ინდუსტრიულ ეკონომიკებში, დღეს განსაკუთრებულად განვითარებულია გამოგონებების და სამეცნიერო კვლევის შედეგების კომერციალიზაციის და წარმატებულ სამრეწველო ბიზნესად გადაქცევის პროცესები. ასეთი ბიზნესის განვითარება, სათანადო დარგის სპეციალისტებთან ერთად, ტექნოლოგიური და ინოვაციური მენეჯმენტის ექსპერტების აუცილებელ მონაწილეობასაც მოითხოვს. მიზანმიმართული მომზადების შედეგად მიღებული პროფესიული ცოდნის გამოყენების მეშვეობით, მათ უნდა უზრუნველყონ საწარმო-ტექნოლოგიური ხასიათის სამეწარმეო პროექტების კომერციული პოტენციალის შეფასება და მათი რეალიზების მართვა. აქედან გამომდინარე, თანამედროვე მსოფლიოში ის ქვეყნები და ერები არიან მოწინავენი, რომლებსაც ახალი იდეებისა და ცოდნის, რევოლუციური აღმოჩენებისა და ტექნოლოგიური მიღწევების გენერირება და რეალიზება ძალუბთ. მაღალი ტექნოლოგიები, თანამედროვე სამყაროს ობიექტური კანონზომირებებიდან გამომდინარე, ობიექტურად მოითხოვს არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალურ-კულტურული ინსტიტუტების რეფორმაციას. აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ინტელექტუალური პოტენციალი გადამწყვეტ როლს თამაშობს სახელმწიფოთა ეკონომიკური, სოციალური და კულტურული განვითარების საქმეში, იგი უდიდესი მნიშვნელობის ფაქტორია პოლიტიკური გავლენის მოპოვების თვალსაზრისითაც (გაბუნია 2001: 1).

რევოლუციურმა ცვლილებებმა და არნახულმა პროგრესმა საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ფორმირების პროცესში. ინფორმატიზაცია გახდა მსოფლიო მეურნეობრივი სისტემის და განსაკუთრებით, ფინანსური სფეროს გლობალიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი. ინფორმატიზაციის განვითარებამ ხელი შეუწყო და ფაქტიურად განაპირობა ფინანსური სისტემის გლობალიზაცია და სპეციფიკური, გლობალური, კომპიუტერული ფინანსური ბაზრების განვითარება. ფინანსების როლის კოლოსალურმა აღზევებამ თვისებრივი

ცვლილებები გამოიწვია ეკონომიკურ ურთიერთობებში. წარმოიშვა ეკონომიკის ვირტუალური სტრუქტურირება: მატერიალურ ფასეულობათა შემქმნელი რეალური ეკონომიკიდან აღმოცენდა ეკონომიკა, რომელიც სულ უფრო იქვემდებარებს პირველს თავისი შემოსავლებით, და ისეთ დონემდე გაძლიერდა, რომ მას საზოგადოებაში მატერიალურ-ნივთობრივი წარმოების სფეროს ეკონომიკაზე უფრო დიდი როლი დაეკისრა, ე.ო. წარმოიშვა ეკონომიკა პირობითი, ანუ სიმბოლური, ფულის მექანიზმის დონეზე – სიმბოლური ეკონომიკა, ანუ გიგანტური სიმბოლური კაპიტალის ეკონომიკა (გაგულია 2011: 54).

თანამედროვე ეკონომიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა ინოვაციის როლი, რადგან საბაზო ეკონომიკის პირობებში იგი წარმოადგენს კონკურენციის უმნიშვნელოვანეს იარაღს. ინოვაცია განაპირობებს თვითდირებულების, ფასების შემცირებას, მოგების გაზრდას, ახალი მოთხოვნილებების შექმნას, ფულის მოდინებას, ახალი პროდუქციის მწარმოებელთა იმიჯის გაზრდას, ახალი ბაზრების აღმოჩენას და დაპყრობას. ინოვაცია არის იდეის ტრანსფორმაცია საბაზო პროდუქტად ან მომსახურებად, წარმოების ან დისტრიბუციის ახალი, გაუმჯობესებული პროცესი, სოციალური უზრუნველყოფის ახალი მეთოდი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ინოვაცია არის წარმატებული ტექნოლოგიის დანერგვის, ეკონომიკურ და სოციალურ სფეროებში სიახლეების გამოყენების სინონიმი (კოპალეიშვილი 2009: 5).

ვაჭრობის გლობალიზაციაზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით ვაჭრობის ელექტრონულ ფორმას. ვაჭრობის ამ ფორმაში უგულებელყოფილია დროისა და ტერიტორიული სიშორის ფაქტორები. ის ფართოდ იწყებს გავრცელებას მეოცე საუკუნის ბოლო პერიოდიდან და, თავის მხრივ, ინფორმაციის გლობალიზაციის შედეგია. „ელექტრონულ ბაზარზე“ მონაწილეობას წარმოების ხელმძღვანელები განიხილავენ კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფის, ასევე, მაღალი რენტაბელობის მიღწევის გადამწყვეტ ფაქტორად. ეს უკვე აუცილებელი პირობა ხდება წარმოების წარმატებისათვის, ვინაიდან გლობალური „ელექტრონული ბაზარი“ ვთარდება ფეთქებადი სახით და ყოველწლიურად ორმაგდება მისი მოცულობა.

ერთიანი საინფორმაციო სივრცის და საინფორმაციო სტანდარტების წარმოშობამ მსოფლიოს ფინანსური, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და კულტურული ურთიერთქმედებები უფრო ინტენსიური და ინტეგრირებული გახდა, რაც გამოხატულია გლობალიზაციის იმ ყოვლისმომცველ ბუნებაში,

რომელიც ობიექტურად არის მიმართული (გლობალურ და ლოკალურ დონეზე) „თამაშის წესების“ გაერთგავროვნებისა და სტანდარტიზაციისაკენ.

გლობალიზაციის პროცესში, აუცილებელი გახდა მთელ მსოფლიოში საბაზრო თამაშის და საზოგადოებრივი ქცევის ერთიან წესების დაცვა, რომელთაც ინსტიტუტებს უწოდებენ. ამიტომ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების პარალელურად, ხან დაგვიანებით, ხან გასწრებით მიმდინარეობს ფორმალური (კანონები, ნორმატივები) და არაფორმალური (ტრადიციები, წესჩვეულებები, ქცევის დაუწერელი წესები) ინსტიტუტების გლობალიზაცია.

სამართლებრივ სფეროში ეს პროცესი ვლინდება ეროვნულთან შედარებით საერთაშორისო სამართლის ნორმათა პრიმატის აღიარებაში, მრავალი საკანონმდებლო ნორმების და პრინციპების სტანდარტიზაციაში, ეროვნულ-სამართლებრივ სისტემათა დაახლოებაში, ინგლისურენოვანი ქვეყნების ზოგადი სამართლის პრინციპების და კონტინენტური ევროპული სამართლის თანდათანობით ურთიერთშედწევაში.

ინსტიტუტთა გლობალიზაციაში დიდ როლს თამაშობს საერთაშორისო ორგანიზაციები, პირველ რიგში, გაერო და მისი შვილობილი-ორგანიზაციები, აგრეთვე ეკონომიკური და ფინანსური დაწესებულებები, ისეთები, როგორიცაა საერთაშორისო სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი და სხვ. თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ძირითადი აქტორებია: ეროვნული სახელმწიფოები; ტრანსეროვნული კაპიტალი, კერძოდ, ტრანსეროვნული კორპორაციები და ტრანსეროვნული ბანკები; აგრეთვე, მსხვილი ქალაქები და მეგაპოლისები; ქვეყანათა ბლოკები; საერთაშორისო ორგანიზაციები; ოფშორები და ა. შ..

იდეოლოგიის, ინსტიტუტების და მოხმარების გლობალიზაცია განაპირობებს ძირითადი სასაქონლო ბაზრების გლობალიზაციას. განვითარებული ქვეყნების უმრავლესობა უბეჭდი მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის მონაწილეს წარმოადგენს, ეს ნიშნავს, რომ ისინი დათანხმდნენ თავისი ბაზრების ლიბერალიზაციას, სავაჭრო შეზღუდვათა შემცირებას ან მოხსნას და ვაჭრობის საერთო წესების აღიარებას.

გლობალური მოხმარება მჭიდროდ ესადაგება გლობალურ გასაღებას. მარკეტინგული და გასაღების ტექნოლოგიები ერთიანია მთელ მსოფლიოში. პლანეტის ყოველ წერტილში მყიდველი უჯახება ერთგვაროვან სერვისს და მარკეტინგულ მიღებას. საქონელზე ხარისხობრივი ცვლილებები, მყიდველთა ახალი უპირატესობანი, ისევე როგორც გასაღების ახალი ტექნოლოგიები, მყისვე კრიულებება მთელ პლანეტაზე. მოხმარების გლობალიზაციის და

სტანდარტიზაციის ბაზაზე ახალ ხარისხს იძენს საქონლისა და მომსახურების საერთაშორისო ბაზრები.

მასობრივი ინფორმაციის პრაქტიკულად საყოველთაო, ელექტრონულ საშუალებათა მძღვრი ზემოქმედებით ყველგან და განსაკუთრებით მეგაპოლისებში, ასევე მსხვილ ქალაქებში ვითარდება საქმიანი და ყოფითი ქცევის ერთგვაროვანი სტანდარტები (ოქროცვარიძე 2010: 28).

ჩვენი შეხედულებით, ეკონომიკის გლობალიზაცია ნიშნავს იმას, რომ ბიზნეს ორგანიზაციები ერთ ადგილზე აღარ არიან მიჯაჭვულები, ისინი თავიანთ ეკონომიკურ საქმიანობას ახორციელებენ დედამიწის სხვადასხვა ადგილზე და სხვადასხვა სახელმწიფოებში, იქმნება ეწ ტრანსნაციონალური კორპორაციები, რომლებშიც დასაქმებული არიან განსხვავებული კულტურების, ეროვნების, ლირებულებების და მენტალობის მატარებელი ინდივიდები. მრავალეროვანი გაერთიანებების მართვის პროცესი რიგ თავისებურებებთან არის დაკავშირებული.

ეკონომიკის გლობალიზაციამ მართვის პროცესის აუცილებელ კომპონენტად მოითხოვა კულტურათშორისი მიდგომების გაცნობიერება და მისი ჩართვა ბიზნესის ეფექტურად მართვაში (ხიზანიშვილი 2007: 18).

გლობალიზაციის თანამდროვე პროცესისთვის დამახასიათებელი ცალკეულ ქვეყნებში დერეგულირების ტენდენციების პარალელურად ზესახელმწიფოებრივ დინებები რეგულირების პროცესების გაძლიერება. გლობალური ეკონომიკის მართვის ინსტიტუციურ-სამართლებრივი საფუძვლების ფორმირებაში აქტიურად მონაწილეობენ ტრანსნაციონალური კომპანიები, ტრანსნაციონალური ბანკები, ეკონომიკური პროფილის საერთაშორისო ორგანიზაციები და განვითარებული ქვეყნები.

გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან მსოფლიო სოციალისტური სისტემის დაშლის შემდეგ კაპიტალისტურმა საბაზრო ეკონომიკამ, ფაქტობრივად, საყოველთაო ხასიათი შეიძინა. ქვეყნების უმრავლესობამ განახორციელა (ან გამოთქვა სურვილი, განეხორციელებინა) ეროვნული ეკონომიკის და საგარეო ეკონომიკური საქმიანობის ლიბერალიზაცია. გაფართოვდა ეკონომიკური სუბიექტების თავისუფლების სფეროები, შეიზღუდა ეკონომიკის ფუნქციონირებაში სახელმწიფოს ჩარევა, განხორციელდა პრივატიზების საყოველთაო და სწაფი პროცესები, გაიზარდა ბევრი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის დამოკიდებულება ექსპორტზე, გაძლიერდა კონკურენცია, ერთი მხრივ, თვით ტრანსნაციონალურ კომპანიებს შორის, ხოლო, მეორე მხრივ,

ტრანსნაციონალურ კომპანიებსა და ეროვნულ სახელმწიფოებს შორის (მექაბიშვილი 2008).

ტრადიციულად დასავლეთ ევროპაში სახელმწიფო ზრუნავდა მოსახლეობის სოციალურ დაცვაზე, მაგრამ გლობალიზაციის შედეგად განხორციელებულმა ნეოლიბერალურმა რევოლუციამ გარკვეულწილად შეცვალა მისი ეს როლი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ერი-სახელმწიფოები დადგნენ იმ აუცილებლობის წინაშე, რომ დაერეგულირებინათ ეკონომიკა, რასაც ლიბერალურ-დემოკრატიულმა ქვეყნებმა ენთუზიაზმით დაუჭირეს მხარი. გარკვეული სახელმწიფოები წლების მანძილზე ატარებდნენ ე. წ. „ქეინზის პოლიტიკას“, რათა მიეღწიათ საბაზო და მაკროეკონომიკური სტაბილიზაციისთვის და შეექმნათ სოციალური უსაფრთხოების გარანტიები თავისი მოქალაქებისათვის. ეს მოდელი კარგად მუშაობდა და იგი ხელს უწყობდა დასაქმებას, ეკონომიკურ ზრდასა და ფასების სტაბილიზაციას.

ცივი ომის პერიოდში, სახელმწიფოს ძლიერების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ ჰანს მორგენთაუს მიერ ჩამოყალიბებულ კონცეფციას 1990-იან წლებში გამოუწნდა ახალი ალტერნატივები მაიკლ პორტერის ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის თეორიის სახით, რომლის თანახმადაც გლობალურ კონკურენტუნარიან გარემოში ეროვნული უპირატესობა მიიღწევა კერძო ეროვნული ბიზნესის წარმატებული საქმიანობის შედეგად, რომელიც დაფუძნებულია კლასტერებზე.

ეროვნული კონკურენტუნარიანობის სტრატეგიის თეორია სქემატურად გამოსახულია „ალმასის მოდელში“ (მაიკლ პორტერი), სადაც ეროვნული მთავრობა, კერძო ბიზნესი, შესაძლებლობები, მოთხოვნა და კონკურენცია ქმნიან ერთიან ინტეგრირებულ სტრუქტურას, რომელიც მოქმედებს სახელმწიფოებრივი ინტერესების შესაბამისად.

სახელმწიფოს პოლიტიკური და სამხედრო ძლიერება განისაზღვრება მისი ეკონომიკური სიმდიდრით, რომელსაც ქმნიან მოქალაქეები, სამთავრობო და კერძო სექტორები, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ქვეყნის შიგნით კონკურენტული პროდუქტის წარმოება განსაზღვრავს ექსპორტის ხვედრით წილს, რომელიც უნდა აღემატებოდეს იმპორტის მოცულობას. ამიტომ რაც მეტ კონკურენტუნარიან პროდუქტს აწარმოებს ქვეყანა და გააქვს საერთაშორისო ბაზარზე, მით უფრო მდგრადია მისი ეკონომიკური პოტენციალი. ქვეყნის ფარგლებს გარეთ პროდუქტის წარმოება დამოკიდებულია იმ ბიზნეს ოპერაციებზე, რომლებიც ხორციელდება ამ ქვეყნის კომპანიების მიერ სხვა

სახელმწიფოებში, რაც გლობალურ გარემოში უფრო და უფრო ინტენსიური ხდება.

ერი-სახელმწიფოები თავიანთი საგარეო ეკონომიკური პოლიტიკით ცდილობენ მსოფლიო ბაზრებზე გავლენის მოხდენას. ამ დროს, მსოფლიო ბაზარი არასტაბილურობის მუდმივი წყაროა, რადგან თანამედროვე ეკონომიკის პირობებში განვითარებული ქვეყნების კარგად რეგულირებად შიდა ბაზრების საპირისპიროდ არსებობს არავის მიერ რეგულირებადი თავისუფალი საერთაშორისო ბაზრები. ამიტომ სახელმწიფოები ყველანაირად ცდილობენ მისი მკვეთრი რხევებისგან დაიცვან შიდა ბაზრები.

დღესდღეობით ტრანსეროვნული კაპიტალი პრაქტიკულად მეურვეობისგან განთავისუფლდა და ეროვნულ სახელმწიფოთა იურისდიქციიდან გამოვიდა. იგი მსოფლიოში ყველაზე უფრო შემოსავლიანი ბაზრების ძიებაში თავისუფლად გადაადგილდება. თუკი მკაცრი ფინანსური კონტროლის პირობებში სახელმწიფოს ეროვნული სავალუტო ბაზრის რეგულირება შეეძლო, ფინანსური ბაზრების ლიბერალიზაციის და სავალუტო კონტროლის შერბილების პირობებში ტრანსეროვნულ კაპიტალს შესაძლებლობა მიეცა სურვილის შემთხვევაში პრაქტიკულად ნებისმიერი სახელმწიფოს ფინანსური ბაზრები დაანგრიოს. ამჟამად ტრანსეროვნული კაპიტალების ერთობლივი სავალუტო რეზერვები რამდენჯერმე მეტია, ვიდრე ცენტრალური ბანკის რეზერვები ერთად აღებული. მეგაპოლისებთან ტრანსეროვნული კავშირების შექმნა, რომლებშიც კორპორაციის „ბირთვი“ განთავსდება, თავისთავად მსოფლიო ეკონომიკის განვითარების ახალ ტენდენციას წარმოადგენს (ოქროცვარიძე 2010: 38).

„მსოფლიო ეკონომიკის განვითარების საფუძველი ინტერნაციონალური გახდა, მის ფუნქციონირებას უამრავი უმართავი საბაზრო ძალები განსაზღვრავს, ხოლო მისი ძირითადი ეკონომიკური აქტორები ტრანსეროვნული კორპორაციებია, რომლებიც არც ერთ ქვეყანას არ ემორჩილება და მოქმედებს ისე, როგორც მას საბაზრო სტიმულები კარნახობს“ (პოლ ჰერსტი 2005: 7).

ტრანსეროვნული კაპიტალი ეკონომიკური ძალით სახელმწიფოების თანასწორი გახდა. დღეს ეროვნული სახელმწიფოების ხელთ არსებული ფინანსური რესურსები ტრანსეროვნული კაპიტალის რეგულირებისა და თავისუფალი გადაადგილების შესაჩერებლად არასაკმარისია, და ცალკეული ქვეყნების ეკონომიკებისათვის, როგორც აღვნიშნეთ, შეიძლება დამანგრევებლი აღმოჩნდეს.

საერთაშორისო ბაზრებზე გრანსნაციონალური აქტივობა უდავოდ წარმოადგენს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ერთ-ერთ წამყვან ტენდენციას. ეკონომიკურად იგი განპირობებულია კაპიტალის გადადინების შესაძლებლობითა და აუცილებლობით იმ ქვეყნებიდან, სადაც მისი შედარებით ჭარბი ოდენობაა, იმ ქვეყნებში, სადაც მისი დეფიციტია, სამაგიეროდ ჭარბადაა წარმოქის სხვა ფაქტორები (შრომა, მიწა, სასარგებლო წიაღისეული), რომლებიც არ შეიძლება იყოს გამოყენებული რაციონალურად კვლავწარმოებით პროცესებში კაპიტალის უკმარისობის გამო. ამგვარად, ობიექტურად გრანსნაციონალიზაციას მივყავართ მსოფლიო კვლავწარმოებითი პროცესების რაციონალიზაციასთან და ეკონომიკური პირობების გათანაბრებასთან სხვადასხვა ქვეყანაში. ტრანსნაციონალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, კაპიტალის მოძრაობაა ორ ან რამდენიმე ქვეყანას შორის, ამიტომ საკვანძო ტერმინი ამ პრობლემაში ინვესტიციებია. ზოგადად რომ ვთქვათ, ინვესტიციები კაპიტალის დაბანდებაა ეკონომიკის სხვადასხვა დარგის ორგანიზაციებსა და წარმოებებში (იგი იყოფა მოკლევადიან ინვესტიციებად - კაპიტალის დაბანდება ერთ წლამდე გადით, საშუალო და გრძელვადიან ინვესტიციებად - ერთ წელზე მეტი ვადით დაბანდება).

ფრიდრიხ ფონ ჰაიეკის მიხედვით, „კონკურენცია წარმოადგენს პროცესს, რომლის პირობებში გარკვეული რეზულტატების მიღწევა შესაძლებელია, მასში რაც შეიძლება მეტი რაოდენობის მოქმედი ერთეულების ჩართვით (ჰაიეკი 1991 : 42).

სხვადასხვა ქვეყნის მთავრობებს შორის მიმდინარეობს კონკურენცია პირდაპირი უცხოური ინცესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, რაც გამოიხატება განსხვავებული პოლიტიკის შეთავაზებაში. ამგვარი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი შეიძლება იყოს მთავრობის მოთხოვნა, რომ ტნკ-ს ფილიალმა მოახდინოს პროდუქციის გარკვეული ნაწილის ექსპორტირება, ან მასპინძელ ქვეყანაში ნედლეულის გარკვეული დონით შესყიდვა, ან სამუშაო ძალის გარკვეული დონით დასაქმება. ამგვარ მოთხოვნებს უწოდებენ ვაჭრობასთან დაკავშირებულ საინვესტიციო ზომებს (TRIMs – Trade Related Investment Measures).

ჩვენი აზრით, იმისათვის, რომ პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა ხელი შეუწყონ მასპინძელ ქვეყანაში ტექნოლოგიურ პროგრესს, საჭიროა გავითვალისწინოთ შემდეგი სამი მომენტი:

პირველი, ამა თუ იმ ქვეყანას არ ძალუმს ფლობდეს მაღალტექნოლოგიურ წარმოებას ეკონომიკის ყველა სექტორში. ამიტომ, იმისათვის, რომ არ მოხდეს ეკონომიკის ცალმხრივი განვითარება, საჭიროა პირდაპირი უცხოური ინვესტიციებისათვის ხელის შეწყობა.

მეორე, იმისათვის, რომ მოცემულმა ქვეყანამ ეფექტიანად გამოიყენოს უცხოური ტნკ-ების (ტრანსეროვნული კომპანიები) მიერ დაგროვილი ტექნოლოგიური გამოცდილება, მასპინძელმა ქვეყნებმა უნდა მიმართონ უფრო პოზიტიურ და კარგად განსაზღვრულ ტექნოლოგიურ სტრატეგიას, რომელიც არა მხოლოდ ინვესტიციებს შეუწყობს ხელს, არამედ უზრუნველყოფს სამეცნიერო და საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურის შექმნას ქვეყანაში.

მესამე, ზოგიერთ შემთხვევაში ქვეყნებს შეიძლება შეზღუდული უნარი გააჩნდეთ, რათა რაიმე ზემოქმედება მოახდინონ ტნკ-თა მიერ შემოთავაზებულ პირობებზე. ასეთ შემთხვევაში შეიძლება შეიქმნას სტრატეგიული ალიანსი რამდენიმე ქვეყნის მონაწილეობით, რომელთაც თანხვდენილი მიზნები ექნებათ (თურქია 2008: 30).

მოწინავე ტრანსნაციონალური კომპანიების მომავალი საინვესტიციო გეგმები გულისხმობენ პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვან ზრდას. მიუხედავად ინვესტირების ზრდისა განვითარებად ქვეყნებში, ცხადია რომ ჯვარედინი ინვესტირება მსოფლიოს განვითარებულ ქვეყანათა ჯგუფის შიგნით, მომავალშიც დარჩება უმსხვილესი ტნკ-ების საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად.

აქე უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში, მეგაეკონომიკის ცენტრი განვითარებული ქვეყნები და მეგაპოლისებია, სადაც ტრანსეროვნული კაპიტალის ბაზირება ხდება, ხოლო პერიფერია - დანარჩენი მსოფლიო. ცენტრში თავმოყრილია კაცობრიობის ძირითადი ინტელექტუალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები, ხოლო პერიფერიული ქვეყნები ძირითადად სპეციალიზდება სტანდარტული საქონლის მასობრივ წარმოებაზე, მოპოვებასა და სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე.

დღესდღეობით, ყველაზე დიდი მსოფლიო ინვესტორია აშშ. უცხოური ტნკ-ები ცხოველურ ინტერესს გამოხატავენ თავიანთი სახსრების აშშ-ში დაბანდებაზე. ამასთან ერთად რეკორდულია აშშ-დან კაპიტალის გადინების მაჩვენებლები. ამერიკის მაგალითზე დააჩარეს თავიანთი მოძრაობა ტრანსნაციონალიზაციის გზაზე ინგლისმა და გერმანიამ. დიდი ბრიტანეთი ახორციელებს ინვესტიციებს ძირითადად იმ ქვეყნებში, რომლებიც

წარმოადგენენ ინგლისური საქონლის გასაღების ძირითად ბაზარს – აშშ და დასავლეთ ევროპა, აგრეთვე ყოფილი კოლონიები (თურქია 2008: 36).

განვითარებული ქვეყნები თავისი ტრანსნაციონალური კომპანიების მეშვეობით პირდაპირ ინვესტიციებს ახორციელებენ განვითარებად ქვეყნებში. რა თქმა უნდა, არსებობს ძალიან მნიშვნელოვანი პირდაპირი ინვესტიციები განვითარებად ქვეყნებს შორისაც, მაგრამ ისინი ძირითადად ერთმანეთის კომპანიების ახდენს. განვითარებული ქვეყნები სხვაგან იმავე რაოდენობის ინვესტირებას ახდენენ, რამდენსაც დებულობენ. იმავდროულად ისინი ძვირადდირებული მეცნიერებატევადი საქონლის, მომსახურების და ტექნოლოგიების ექსპორტირებასაც ახდენენ.

განვითარებად ქვეყნებში, ისევე როგორც ტრანსეროვნული კომპანიების შვილობილ – საწარმოებში და დამოუკიდებელ კომპანიებში, მასობრივი მოთხოვნის საქონელი იწარმოება, რომლებიც შედარებით დაბალკვალიფიციურ შრომასა და იაფ სამუშაო ძალას საჭიროებს. ამასთან, მათი ექსპორტის საგანი სოფლის მეურნეობის პროდუქცია და ნედლეულია. პრაქტიკულად ყველა მზარდი ეკონომიკა ორიენტირებას ექსპორტზე ახდენს და უპირველეს ყოვლისა – მსოფლიოში ყველაზე ტევად ამერიკულ ბაზარზე. შეიძლება იმის დასაბუთება, რომ ამერიკული ბაზრის თუნდაც რომელიმე სეგმენტის დაპყრობა იქნებოდა ყველა ახალი განვითარებადი ქვეყნის ჩამოყალიბების დაწყების აუცილებელი პირობა, დაწყებული 60-იანი წლების იაპონიიდან, დამთავრებული ახლანდელი ჩინეთით.

ეკონომიკური ეკოლუციის შედეგად ჩამოყალიბებულმა მსოფლიომოწყობამ თანამედროვე მსოფლიო მკვეთრად გაყო მდიდარ ცენტრად და ლარიბ პერიფერიად. ცენტრი აწარმოებს ძვირფას, მეცნიერებატევად საქონელს, ახალ ტექნოლოგიებს, მომსახურებას და ცვლის მათ იაფ, მასობრივ და სანედლეულო საქონელზე, რომელთაც პერიფერიული ქვეყნები აწარმოებენ. გარდა ამისა, მდიდარი განვითარებული ქვეყნები მთელი მსოფლიოდან იზიდავენ საუკეთესო ინტელექტუალურ რესურსებს და განვითარებადი ქვეყნებიდან იღებენ უზარმაზარ თანხებს პროცენტების სახით მიცემული კრედიტებისათვის.

დასავლეთმა, ფაქტიურად (პირველ რიგში, აშშ-მა), თითქმის მთელი მსოფლიო თავისი სტრატეგიული ინტერესების ზონად გამოაცხადა. თუმცა, როგორც პანთიგტონმა, თავის დროზე აღნიშნა, ამის საპირისპიროდ. გაძლიერდა მრავალპოლუსიანი მსოფლიოს ფორმირების ტენდენციები. ასეთ, პირობებში, ვერც ერთი ქვეყანა (იგულისხმება აშშ), რამდენადაც ძლიერი არ უნდა იყოს

ეკონომიკური და პოლიტიკური თვალსაზრისით, ვერ განახორციელებს თავის სტრატეგიულ ამოცანებს როგორც და მერყევი გეოპოლიტიკური წინასწორობის, მრავალმხრივი პოლიტიკური კავშირებისა და დამოკიდებულების გაუთვალისწინებლად (ძოწენიდე 2009: 22).

ჩვენი აზრით, სწორედ ამ მიზეზით ჯერჯერობით ვერ ხერხდება დასავლეთის მხრიდან დანარჩენი მსოფლიოს „წარმატებით მოდერნიზაცია“. დასავლეთი და განსაკუთებით აშშ ცდილობს მთელი მსოფლიოში დანერგოს თავისუფალი ვაჭრობისა პრინციპი და ხელი შეუწყოს თავისუფალ ბაზებზე ორიენტირებულ მსოფლიო ეკონომიკის განვითარებას. მეორე მხრივ, რადგან გლობალიზაცია ხშირად უმართავ პროცესად გველინება, რომელსაც განვითარების თავისი კანონზომიერებები გააჩნია, დასავლეთი ცდილობს არა მარტო ხელი შეუწყოს გლობალური ბაზების განვითარებას, არამედ მაქსიმალურად თავი დაიზღვიოს უსიამოვნო მოულოდნელობებისაგან. დასავლეთი იყენებს ყველა მის ხელთ არსებულ ბერკეტს მსოფლიოს გლობალურ ბაზებზე ეკონომიკური წესრიგის უზრუნველსაყოფად.

პოლ ჰერსტი და გრემ ტომპსონი მიიჩნევენ („გლობალიზაცია – კრიტიკული ანალიზი“), რომ გლობალიზებული ეკონომიკა საერთაშორისო ანუ ერთაშორისო ეკონომიკისაგან განსხვავდება, უფრო მეტიც, მისი საპირისპიროა. ასეთ გლობალურ სისტემაში ცალკეული ქვეყნების ეკონომიკური სისტემები კლასიფიკაციის იმ ცალსახა სისტემას ექვემდებარება, რომელსაც საერთაშორისო პროცესები და ურთიერთობები განსაზღვრავს. მისგან განსხვავდებით, ერთაშორისს ეკონომიკაში დომინირებს პროცესები, რომლებიც ეროვნულ დონეზე განისაზღვრება, ხოლო საერთაშორისო მოვლენები სხვადასხვა ქვეყნების შიდა ეკონომიკური სისტემების განსხვავებული ფუნქციონირების შედეგია. ეს, გულისხმობს, რომ ერთაშორისი ეკონომიკა, ცალკეულ ქვეყნებში ლოკალიზებული ფუნქციების ჯამია (ჰერსტი 2005: 16).

ჩვენი შეხედულებით, უმუშევრობა და სიდარიბე - განვითარებადი ქვეყნების უმეტესობის უპირველესი პრობლემა, რომელიც ამ ქვეყნებში იმდენად მასობრივი მოვლენაა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების ყოველდღიურ ნორმად არის გადაქცეული. მათ დასაძლევად აუცილებელია, ეკონომიკური თავისუფლების პირობებში, სწორი, გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რომლის განხორციელებისათვის ყოველმა ქვეყანამ უნდა გაითვალისწინოს განვითარებული ქვეყნებისა და ზოგიერთი უკვე წარმატებული განვითარებადი ქვეყნის გამოცდილება და, ადგილობრივი პრობლემებიდან

გამომდინარე, სწორად უნდა განისაზღვროს ქვეყნის სტრატეგია მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდებში, ყოველი ქვეყნის ძლიერი და ის სუსტი მხარეები, რომელთა აღმოფხვრაც პირველ რიგში უნდა განხორციელდეს, იმოქმედოს არჩეული სტრატეგიის შესაბამისად და იბრძოლოს მისი რეალიზაციისათვის (აკობია 2006:85).

ეს პრობლემა უფრო სერიოზულად წარმოგვიდგება, თუ გავითვალისწინებთ, რომ განვითარებად ქვეყნებს ეკუთვნით დედამიწის ტერიტორიების უდიდესი ნაწილი და ამ ტერიტორიებზე ცხოვრობს მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით 4/5. მათი რიგები XX საუკუნის ბოლოსა და XXI საუკუნის დასაწყისში კიდევ უფრო გაფართოვდა, რამდენადაც მათ შემადგენლობაში აღმოჩნდა ყოფილი სოციალისტური პანაკის ქვეყნების უმეტესობა.

განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა ეკონომიკურად ჩამორჩნილია, გააჩნიათ ეკონომიკის არქაული სტრუქტურა, სოფლის მეურნეობის მაღალი ხვედრითი წილით, ახასიათებთ კაპიტალიზმამდელი ურთიერთობების დიდი მასშტაბები, ცხოვრების დაბალი დონე, სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობის არასტაბილურობა, განუვითარებელი ინდუსტრიული ბაზა, სწრაფი დემოგრაფიული ზრდა, განათლების დაბალი დონე და არასტაბილური პოლიტიკური სისტემები.

ჩვენი დაკვირვებით, განვითარებად ქვეყნებში არსებული პრობლემები ძალზე მნიშვნელოვანი და ერთმანეთისაგან განსხვავებულია, თუმცა მათ აქვთ ეკონომიკური თუ სოციალური ხასიათის, ლოკალური ან გლობალური მნიშვნელობის ბევრი საერთო პრობლემაც, რომელთა დაძლევის ინდივიდუალური შესაძლებლობები სულ უფრო პრობლემატური ხდება. ეკონომიკურად ჩამორჩნილ, განვითარებად ქვეყნებში მეტად რთულია ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და სასიცოცხლოდ აუცილებელი სხვა სოციალური დონისძიებებისათვის სახსრების სათანადო მოცულობით გამოყოფა.

განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, განვითარებადი ქვეყნებისათვის მეტად მნიშვნელოვანია კაპიტალისა და კვალიფიციური სამუშაო ძალის პრობლემა, რამდენადაც ზოგიერთ ქვეყანაში კაპიტალის დაგროვებისათვის საჭირო პირობები საერთოდ არ არსებობს (ძირითად აფრიკაში), ზოგიერთში კი განვითარების სტადიაშია (მაგალითად აზიაში). ამ ქვეყნებში ინსტიტუციური ცვლილებების გარეშე, ვერასდროს ვერ გადაწყდება კაპიტალის დაგროვების პრობლემა. მაშასადამე, აუცილებელია შესაბამისი ინსტიტუციური ცვლილებების

განხორციელება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს და განაპირობოს ზოგიერთი მათგანის კულტურული ფასეულობების თანდათანობითი შეცვლა. თუმცა, ამ პროცესს აქტიურად ეწინააღმდეგება ის არამოდერნიზებული კოლექტივისტური საზოგადოებები (აზიასა და აფრიკაში), რომელთათვისაც კულტურული ფასეულობების შეცვლა პირდაპირ ასოცირდება ცხოვრების წესის შეცვლასთან, ტრადიციებზე და კულტურულ მემკვიდრეობაზე უარის თქმასთან და ა. შ.

გრემ ტომპსონისა და პოლ ჰერტის აზრით (გლობალიზაცია: კრიტიკული ანალიზი), განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური ზრდის მიღწევის შედეგად, შესაძლებელია ნამდვილად გლობალური ეკონომიკის წარმოქმნა, რაც გამოიწვევს მსოფლიო ეკონომიკის რესტრუქტურიზაციას ისე, რომ ადარ იქნება საჭირო ინტერვენციონისტული პოლიტიკის განხორციელება, მაგალითად ისეთისა, როგორიცაა კაპიტალის ბაზრების რეგულირება ამ ვაჭრობის პირობების შეცვლის ცდა, ან დახმარების ფორმით სიმდიდრის დიდი ტრანსფერის წარმოება განვითარებულ და განვითარებულ ქვეყნებს შორის. (ჰერსტი 2005: 155).

მსოფლიოს უმეტეს ნაწილ განვითარებად ქვეყნებში ეკონომიკის ზრდის უზრუნველყოფის შემთხვევაში, არათუ გლობალური ეკონომიკა, არამედ საერთოდ მსოფლიო შეიცვლება. მაგრამ თანამედროვე რეალიები აბსოლუტურად სხვაზე მეტყველებს და ამ მეტად მომხიბვლელ პერსპექტივაზე ჯერჯერობით მხოლოდ ოცნება შეგვიძლია. „გლობალიზაცია უთანასწორობის წყარო“ (პალმერი 2002:7)

სავაჭრო შეთანხმებები ხელს უწყობენ საერთაშორისო ვაჭრობას, მაგრამ იმავდროულად სხვადასხვა ზეგავლენას ახდენენ, როგორც ქვეყნებსა და რეგიონებზე, ისე ადამიანებზე. საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის პროტექციონისტური პოლიტიკა ხელს უწყობს ტარიფებისაგან თავისუფალი სავაჭრო სივრცის შექმნას ინდუსტრიული სახელმწიფოების ექსპორტისათვის, რაც ზიანს აყენებს განვითარებადი ქვეყნების ეკონომიკას და ქმნის არაჯანსაღ კონკურენტუნარიან გარემოს. ინდუსტრიულ წიაღში აღმოცენებული ტრანსნაციონალური კორპორაციები წარმოადგენენ უმსხვილეს ეკონომიკურ წარმონაქმნებს მსოფლიოში, რომლებიც ზეწოლას ახდენენ მესამე სამყაროს ქვეყნებზე. ეს უკანასკნელი მიმართავენ მარეგულირებელ ცვლილებებს და ითვისებენ უცხოურ ინვესტიციებს ბიუჯეტის შესავსებად, რაც მათი არსებობისათვის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენს. მსოფლიოში არსებობს მკვეთრი კონტრასტები მთლიანი შიდა პროდუქტის, საქონლისა და

მომსახურების ექსპორტის, უცხოური ინვესტიციებისა და ინტერნეტის მოხმარების სფეროებში. გლობალური ასიმეტრიულობა და უთანაბრობა იწვევენ სიღატაკესა და შიმშილს, რაც ამძაფრებს ანტიგლობალისტურ განწყობებს განვითარებად ქვეყნებში, მეორე მხრივ მიგრაციის არნახული მასშტაბი დარიბი ქვეყნებიდან მდიდარ ქვეყნებში უკმაყოფილებას იწვევს განვითარებული ქვეყნების მოსახლეობაში.

მსოფლიო სისტემა ხასიათდება უთანაბრობით, რომლის მიზეზს წარმოადგენს გლობალური ასიმეტრიულობა თავისი ინკლუზიური და ექსკლუზიური პროცესებით. იმავდროულად, გლობალური მასშტაბით მოქმედი ეკონომიკა ძირს უთხრის ეროვნულ ეკონომიკასა და ეროვნულ - სახელმწიფოებრივ საფუძვლებს (ბეკი 2001: 102).

ექსპერტთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, ქვეყნის სიღარიბის ერთერთი ძირითადი მიზეზიდ ითვლება, გადამამუშავებელი მრეწველობის არარსებობა, რის გამოც ვერ ხერხდება ბუნებრივი რესურსებისა და ნედლეული მასალების რაციონალურად გამოყენება და მზა პროდუქციის ექსპორტი. ცენტრალური მთავრობები, იმის ნაცვლად რომ შექმნან მოქნილი და ეფექტური საგადასახადო სისტემა ეროვნული ბიზნესის განვითარებისათვის ხელშეწყობის მიზნით, ასხვისებენ ეროვნულ სიმდიდრეს საეჭვო წარმოშობის უცხოურ კომპანიებზე, რაც წარმოადგენს უდიდეს სტრატეგიულ შეცდომას. მრავალი მკვლევარი გლობალურ უთანაბრობას და სოციალურ კრიზისს საერთაშორისო საგალუტო ფონდისა და მსოფლიო ბანკის უსამართლო პოლიტიკას უკავშირებს (ივანიაშვილი 2008: 44).

განვითარებადი ქვეყნების უმეტესობაში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად მიჩნეულია: ავტოკრატიული რეჟიმები, კლანური ხელისუფლება, ჩრდილოვანი ეკონომიკის მასშტაბები და კორუფცია, საგარეო ვალი, ბიუჯეტის დეფიციტი, თავისუფლების და სხვა ადამიანთა ფუნდამენტური უფლებების მნიშვნელოვანი შეზღუდვა, რომელიც გამორიცხავს დემოკრატიულ არჩევნებს და აკანონებს ძალაუფლების მემკვიდრეობით გადაცემას.

ეკონომიკის გამოცოცხლებისა და გაჯანსაღების მიზნით, განვითარებადი ქვეყნებისათვის მეტად მნიშვნელოვნია, საკუთრებითი უფლებების დაცვა კანონისა და სახელმწიფოს მიერ, რადგან საკუთრებითი უფლებების სუსტი დაცვის ან საერთოდ დაუცველობის პირობებში არ არსებობს სტიმულები წარმოებასა და ადამიანურ კაპიტალში ინვესტირებისათვის და შესაბამისად მეწარმეობის განვითარების მოტივაცია. ამ პირობების შექმნის შემდეგ, მცირე

და საშუალო ბიზნესის განვითარება სიღარიბისა და უმუშევრობის დაძლევის უპირველესი საშუალებაა.

ჩვენი აზრით, თანდათანობით დრმავდება უფსკრული განვითარებად და განვითარებულ ქვეყნებს შორის. მზარდი უმაყოფილება მსოფლიოს იმ საზოგადობებში, რომელთა მიერაც გლობალიზაცია და მისი გლობალური მოთამაშეები აღიქმება, არა როგორც დამხმარე ძალა, არამედ პირიქით, ასევე, სიღარიბის შემაშფოთებელი დონე მთელ რიგ განვითარებად (და უფრო მეტად შემაშფოთებელია სიღარიბის დონე არშემდგარი სახელმწიფოების პირობებში) ქვეყნებში, გარკვეული თვალსაზრისით ქმნის მნიშვნელოვან წინაპირობებს ანტიგლობალისტური განწყობების ფორმირებისთვის. ერველივე ეს, გარკვეულწილად, ხელს უწყობს იმ დესტრუქციულ ძალების არსებობას და განვითარებას, რომელიც გამოხატულია ავტორიტარიზმის, ექსტრემიზმის, ტერორიზმის და მთელ რიგ სხვა უბედურებათა სახით.

ეს პრობლემა იმდენად შემაშფოთებელი გახდა მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის, რომ 2001 წლის ნოემბერში შეიქმნა გლობალიზაციის სოციალურ პრობლემებზე მომუშავე მსოფლიო კომისია, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს ეროვნულ მთავრობებთან, ტრანსნაციონალური კომპანიების მმართველ საბჭოებთან და საერთაშორისო ინსტიტუტების ხელმძღვანელებთან და მოუწოდებს ცივილიზებულ მსოფლიოს უნივერსალური მობილიზაციისაკენ, რათა სამართლიან გარემოში თანაბარი შესაძლებლობები გააჩნდეს ყველას.

გლობალური ბაზრების საქონლის ფასები, საშუალებას აძლევს მდიდარი ქვეყნის მოსახლეობას ფაქტიურად მისთვის მინიმალური ღირებულებით მოიხმაროს აუცილებელი საქონელი, ხოლო დარიბი ქვეყნის მოსახლეობას თავისი შემოსავლის უდიდესი ნაწილის გადახდა უხდება. ანუ უნდა მოხდეს ეკონომიკური ზრდის მოდელების კორექტირება გლობალური ბაზრის და ქვეყნის მოსახლეობის მსყიდველობითი უნარის მიხედვით გლობალურ საქონელთან მიმართებაში. მეორე მხრივ, დარიბი ქვეყნის მოსახლეობის დანახარჯების ეს წილი მიემართება იმ ქვეყნების შემოსავლებში, რომლებიც გლობალურ საქონელს ანუ გლობალურად დაწესებული ფასების მქონე საქონელს ფლობენ, ანუ თანამედროვე გლობალურ ბაზრებს აქვთ დაწესებული „ხარკი“ იმ ქვეყნებისთვის, რომლებიც გლობალურ საქონელს არ ფლობენ და მათი გადახდილი „რეგრესული ბუნების გადასახადი მიემართება“ იმ ქვეყნების ხაზინებში რომელთაც ასეთი სახის საქონელი აქვთ, ანუ გლობალური საქონლის მფლობელ ქვეყნებში დარიბი მოსახლეობიდან

მიემართება ხარკი, ხოლო მდიდარი ქვეყნებისათვის ეს საუკეთესო ფასში ანუ იაფად ნაყიდი საქონელია, რომლის ეფექტი პარგად აქვს ჩამოყალიბებული დევიდ რიკარდოს შედარებითი უპირატესობის თეორიაში. რაც, თავის მხრივ, ახდენს ასეთ საქონელზე მდიდარი ქვეყნების მოსახლეობის ხელმისაწვდომობის შენარჩუნებას, ხოლო ამ საქონლის ფლობა უზრუნველყოფს ნამატ შემოსავალს ამ საქონლის მფლობელი ქვეყნისთვის (გეგეშიძე 2010: 176).

თანამედროვე მეგაეკონომიკის მოწყობა იმდენად რაციონალური და იმავედროულად მომგებიანია განვითარებული ქვეყნებისათვის, რომ ბევრს, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკოსებს, მისი ხასიათი ხელქმნილი ეწვენება. აქედან წარმოიშობა პიპოტეზები რაღაც ყოვლისშემძლე ჯგუფის არსებობაზე, რომელმაც ყველაფერი ასე გონივრულად და თავისთვის ხელსაყრელად მოიწყო. სინამდვილეში მეგაეკონომიკის თანამედროვე მოწყობა იმავე ეკოლუციური ძალებისა და ობიექტური ეკონომიკური კანონების შედეგია, მიმდინარეობს დაუნდობელი ბრძოლა ძალაუფლებისათვის ადამიანებს, საწარმოებს და ხალხებს შორის (ოქროცვარიძე 2010: 43).

სწორედ ამიტომ, ულრიხ ბეკი ეკონომიკურ გლობალიზაციას „უწოდებს „იმათ ხელში მოქცეულ პოლიტიკურ პროექტს, ვინც ნეოლიბერალურ ეკონომიკურ პოლიტიკას ატარებს“ (ბეკი 2001: 210).

აქედან გამომდინარე, ბეკი პირდაპირ გვეუბნება, რომ თანამედროვე გლობალური ეკონომიკა, არა მხოლოდ, დასავლური ლიბერალური ეკონომიკის პრინციპებზეა დაფუძნებული, არამედ უპირველეს ყოვლისა მისი ინტერესების გამტარებელია.

ბეკი ეჭვებეშ აყენებს იმ მოსაზრებას, რომ გლობალიზებული ეკონომიკა საუკეთესოა მსოფლიოში კეთილდღეობის დონის ასამაღლებლად და მიაჩნია, რომ „თავისუფალი ვაჭრობა“, დღევანდელი გაგებით, ძალიან შორს არის დევიდ რიკარდოსეული მოდელისაგან. მესამე სამყაროს და ევროპის პოსტკომუნისტურ ქვეყნებში ეკონომიკის დაბალი დონე და გავრცელებული უმუშევრობა აიძულებს ამ ქვეყნების მთავრობებს გაატარონ ექსპორტზე ორიენტირებული პოლიტიკა, რითაც ზარალდება სოციალური და ეკოლოგიური სტანდარტები. ეს ქვეყნები ერთმანეთს ეჯიბრებიან განვითარებული სახელმწიფოებიდან ინვესტიციების მოზიდვაში. საუბარი იმაზე, რომ თავისუფალი ვაჭრობით გამოწვეული კონკურენცია ამცირებს დანახარჯებს და ამიტომ ის ორმხრივად ხელსაყრელია, ბეკის აზრით, ეს აშკარა ცინიზმია, ვინაიდან დანახარჯების შემცირება შესაძლებელია ან გაზრდილი ეკონომიკურობით (უფრო სრულყოფილი

ტექნოლოგიები, უკეთესი მენეჯმენტი, სხვ.) ან ადამიანისათვის შესაბამისი სამუშაო პირობების არშექმნით. ამგვარად, ბეჭის აზრით, ასეთი გზით მიღწეული დანახარჯების შემცირება „ტრანსნაციონალური მეკობრეობის გვიანდელ ვარიანტს“ ჰგავს. ბეჭის ასევე იშველიებს მაქს ვებგრის მოსაზრებას, რომელიც ვებერმა ჯერ კიდევ 1894 წელს გამოთქვა თავის ნაშრომში: „ისეთი მსოფლიო ეკონომიკა, როგორის შექმნაც საბოლოოდ სურთ დღეგანდელ ლიბერალებს, ანუ, მსოფლიო სახელმწიფოების გარეშე და კაცობრიობის კულტურული დონის სრული გათანაბრება — სრული უტოპიაა“ (ევანია 2006: 41).

ჯონ მაიერსის აზრით, „მოდერნიაზაცია ტრადიციას არ უპირისპირდება“. ასევე, მაიერსი მიაჩნევს, რომ „დღეს კოლექტივიზმსა და ინდივიდუალიზმს აღარ განიხილავენ ურთიერთგამომრიცხავ პოლუსებად. ორივე კულტურული სინდრომი შეიძლება თანაარსებობდეს“ (მაიერსი 2002: 254).

ჯონ პერკინსის სიტყვებით, „მესამე ათასწლეულში გლობალიზაციის პროცესი მკვეთრად დიფერენცირებულია, ხასიათდება შინაგანი წინააღმდეგ-გობებით, რომელიც უპირატესად თავს იჩენენ განვითარებულ ქვეყნებში“ (პერკინსი 2007: 29).

ჯონ კენეთ გელბრეითის მიაჩნია, რომ „რეფორმა იწყება არა ახლი მთავრობებითა და კანონებით არამედ ჩვენი შეხედულებებით ეკონომიკურ სისტემაზე“ (გელბრეითი 1979:170). რობერტ რაიხის აღნიშვნით „ნაციონალურმა პროდუქციამ“ იმდენად ღრმად გაიდგა ფესვები, რომ ეროვნული მთავრობები და მოსახლეობა გერაფრით ვერ ეგუებიან ახალ რეალიებს“ (რეიხი 1991: 21).

ჩვენი აზრით, ერთ-ერთი ძირითადი პრობლემა არის ის, რომ ამ (არამოდერნიზებულ) საზოგადოებებს ურთულდებათ მოდერნიზაციის პროცესთან ადაპტაცია.

დასკვნის სახით, აღვნიშნავთ, რომ მესამე სამყაროში, ანუ განვითარებად ქვეყნებში, გლობალიზაციის პროცესი საკმაოდ მტკიცნეულად აღიქმება. განვითარებადი ქვეყნების ნაწილი ცდილობს ჩაერთოს გლობალიზაციის პროცესში და მოქმედებს იმ თამაშის წესების მიხედვით, რომელიც ამ პროცესის ძირითადი აქტორების მიერ არის ინიცირებული. რიგ ქვეყნებში და მათ ეროვნულ კულტურებში აშკარად შეიმჩნევა ანტიგლობალისტური ტენდენციები, ისინი ერთგვარად კონფრონტაციის რეჟიმში იმყოფებიან დასავლურ განვითარებულ სამყაროსთან და „არ მოდერნიზდებიან“ ე. წ. დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული პროექტის მიხედვით.

\* \* \*

ჩვენი შეხედულებით, მაშინ როდესაც თანამედროვე გლობალიზებულ ეკონომიკაში საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები (მაგალითად, ფინანსური და სასაქონლო ბაზრები) ფართოვდება, ისინი თანდათან ქვეყნების შიდა ეკონომიკური აგენტების ქმედებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ, რაც შეიძლება გამოხატული იყოს, ერთი მხრივ, ამ ქვეყნების ეკონომიკური პოლიტიკის წარმოებაში ახალი შესაძლებლობების გაჩენით, მეორე მხრივ, შიდა ეკონომიკური შესაძლებლობების შეზღუდვით

ყველაზე მნიშვნელოვანი არის დავინახოთ, თუ როგორ ურთიერთქმედებაში არიან ერთმანეთთან საერთაშორისო და საშინაო ეკონომიკები. განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოებები, როდესაც საერთაშორისო გარემო ზღუდავს და მიმართულებას აძლევს ეროვნულ გადაწყვეტილებებს. მთავრობები მიიღონ იმისაკენ, რომ შეინარჩუნონ კონტროლი ეროვნულ ეკონომიკაზე და ამავე დროს ცდილობენ მიიღონ საერთაშორისო ვაჭრობის შედეგად შესაძლო სარგებელი. მზარდი გლობალური ურთიერთდამოკიდებულება ამ ძალისხმევას კიდევ უფრო ართულებს და სათუოს ხდის (აკობია 2006:74).

გლობალური კონკურენტულობის და თავისუფალი ვაჭრობის პრინციპი მისაღებია განვითარებული ქვეყნებისთვის, სამაგიეროდ მათი გლობალური ეკონომიკური პოლიტიკა ზღუდავს განვითარებული ქვეყნების წარმატებულ ფუნქციონირებას ინტერნაციონალიზირებულ ეკონომიკაში. ეს მნიშვნელოვანი პრობლემა დასაძლევია, სანამ გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებდეს სოციალურ სტაბილურობასა და ეკონომიკის ფუნქციონირებას, როგორც ერი-სახელმწიფოების დონეზე, ასევე, მსოფლიო მასშტაბით (თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო ფინანსური კრიზისი ამის სერიოზულ სიგნალად შეიძლება ჩაითვალოს).

ჩვენი შეხედულებით, როდესაც ვსაუბრობთ თვითმყოფადობაზე კულტურულ-საზოგადოებრივ ჭრილში, ეს გულისხმობს კულტურის, როგორც ცოცხალი პროცესის გააზრებას, რომლისათვის დამახასიათებელია თვითგანახლება და განვითარება ისტორიულ-სოციალური ცვლილებების ობიექტური კანონზიმიერებებიდან გამომდინარე. თვითმყოფადობის შენარჩუნება არ გულისხმობს უცვლელობას, თვითგანახლება კი არ გულისხმობს ეროვნული თვითვმყოფადობის წაშლას.

განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა საჭიროებს ადგილობრივი პირობების შესაბამისი გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. თუ ქვეყნის

სახელმწიფო პოლიტიკა სწორად არის დაგეგმილი და მთავრობაც, პირველ რიგში, ეროვნული ინტერესების შესაბამისად მოქმედებს, მაშინ მოდერნიზაცია განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში და ეროვნულ-კულტურულ თვითმყოფადობაც შენარჩუნებული იქნება.

გლობალისტები მიიჩნევენ, რომ ე. წ. ტერიტორიულ სახელმწიფოს არ ჟესტევს უნარი გააკონტროლოს გლობალური მასშტაბით მოქმედი ტრანსნაციონალური კაპიტალი და კომპანიები, თანამგზავრული დისტანციური მართვის საკომუნიკაციო სისტემები, გლობალური ვაჭრობა და ეკოლოგიური პრობლემები. ზემოდებამოთვლილი საზღვარომკვეთი ძალები არ ექცევიან ერთეულ ტერიტორიულ სივრცეში, რის გამოც სახელმწიფოს თავისი ექსკლუზიური იურისდიქციის განხორციელება არ ძალუდს. ამ პროცესების ფონზე, სახელმწიფოებმა გარკვეული თავდაცვის მექანიზმები შეიმუშავეს, მაგრამ პროცესის შეჩერება უჭირთ.

## 2. გლობალიზაციისადმი წინააღმდეგობის პოლიტიკური ასპექტი

### თანამედროვე ერი-სახელმწიფო და გლობალიზაციის პროცესი

თანამედროვე სახელმწიფოები წარმოიშვნენ დასავლეთ ევროპაში და მათ კოლონიებში XVIII-XIX საუკუნეებში, თუმცა პირველი ასეთი სახელმწიფოები XVI საუკუნის ბოლოს შეიძლება მივაკუთვნოთ. ისინი განსხვავდებიან მანამდე არსებული პოლიტიკური ერთობებისაგან ნათლად გამოკვეთილი და განსაზღვრული ტერიტორიით, სუვერენიტეტით მასზე და ლეგიტიმაციით. სწორედ ეს ფაქტორები გახდა განმსაზღვრელი ახალი ტიპის ანუ ერი-სახელმწიფოების ჩამოყალიბებისათვის. ახლად ჩამოყალიბებული სახელმწიფოების ძირითადი თავისებურება იყო ტერიტორიულობა, რომელიც გულისხმობდა ზუსტ და გამოკვეთილ საზღვრებს, ამ ტერიტორიულ კონტროლს და სრულ სუვერენობას. მისი ქმედების ლეგიტიმურად მიჩნევას და დამოუკიდებლობას საგარეო ურთიერთობებში. ეს მახასიათებლები არის ძირითადი და არსებითი სახელმწიფოსათვის.

დიდი ხნის განმავლობაში, თანამედროვე გლობალიზაციის პროცესის დაწყებამდე, მსოფლიო პოლიტიკა უმთავრესად ე.წ. ვესტფალიის სისტემის პრინციპებზე (ვესტფალის ზავი 1648 წ.) იყო დაფუძნებული. ვესტფალიის სისტემა სახელმწიფოებრივი მმართველობის სტრუქტურას წარმოადგენდა და იგი საზოგადოებრივი წესების ჩამოყალიბების, ზედამხედველობისა და აღსრულების ზოგად მიმართულებებს განსაზღვრავდა. მმართველობის ამ

ფორმის სათავეებთან სახელმწიფო ებრიობისა და სუვერენულობის პრინციპები იდგა. სახელმწიფო ებრიობისა გულისხმობდა ევროპის ტერიტორიულ ნაწილებად დაყოფას, რომელთაგან თითოეულს ცალკე მთავრობა მართავდა. ეს ახალი სახელმწიფო ცენტრალიზებული, საზოგადოებრივი ძალაუფლების ფორმალურად ორგანიზებული აპარატი იყო, რომელიც თავისი იურისდიქციის სფეროში შეიარაღებული ძალადობის საშუალებებზე კანონიერ მონოპოლიას ფლობდა. ამასთანავე, ვესტფალიური სახელმწიფო სუვერენული იყო და თავის კუთვნილ ტერიტორიულ სივრცეში უზენაეს შეუზღუდავ და ექსკლუზიურ კონტროლს ახორციელებდა. ყოვლისმომცველი ხელისუფლება ნიშნავდა იმას, რომ სუვერენული სახელმწიფო ყველა საქმიანობაზე ავრცელებდა იურისდიქციას. შეუზღუდავი ხელისუფლება ნიშნავდა იმას, რომ სახელმწიფოს მიერ სრული იურისდიქციის გავრცელების უფლება სხვა სახელმწიფოთა მიერ ხელშეუხებლად იყო აღიარებული. და ბოლოს, ექსკლუზიური ხელისუფლება ნიშნავდა იმას, რომ სუვერენული სახელმწიფოები თავიანთ უფლებამოსილებას არავის უნაწილებდნენ (დავითაშვილი 2006: 208-209).

სწორედ ასეთი ერი – სახელმწიფოების შექმნაში განაპირობა სახელმწიფოთა საერთაშორისო სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც როგორც სკეპტიკოსები (გლობალისტების მტკიცების საწინააღმდეგოდ) აღნიშავენ, ახლაც საერთაშორისო სისტემის ძირითადი შინაარსია. XVIII-XIX საუკუნეების მიჯნაზე საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერი-სახელმწიფოები და განისაზღვრა მათი ნიშნები და ფუნქციები. ეს იყო ტერიტორიული სუვერენიტეტი, სახელმწიფოთა ფორმალური (იურიდიული) თანასწორობა, ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობა და სახელმწიფოთა თანხმობა, როგორც აუცილებელი პირობა საერთაშორისო სამართლებრივი ხელშეკრულების დადებისა და ძალაში შესვლისა.

გლობალიზაციის პროცესმა სერიოზული კორექტივები შეიტანა სახელმწიფოებრივი მმართველობის ამ სისტემაში და გამოიწვია ერი სახელმწიფოს ტრანსფორმაცია.

უადრედიდას განცხადებით, „გლობალიზაციასთან დაკავშირებული ეიფორიის უკან, ხშირად აბსოლუტურად ბუნდოვანი და გაურკვეველია თუ რა ფენომენთან გვაქვს რეალურად საქმე. მისი აზრით, არ არსებობს ნათელი წარმოდგენა ამ პროცესზე და მის სამომავლო პერსპექტივებზე, ეს მაშინ როდესაც გლობალიზაცია ითხოვს ახალ მიდგომას სახელმწიფოს სუვერენიტეტთან და ობიექტურად იწვევს საერთაშორისო სამართალის

დომინირებას ნაციონალურ-სახელმწიფო ებრივზე, რაც ხშირ შემთხვევაში წინააღმდეგობაში შედის და უჯახება ეროვნულ-სახელმწიფოებრივ და რეგიონალურ ინტერესებს“ (დერიდა 2004: 144).

დანიელ ბელის განცხადებით, „გლობალიზაციის პროცესის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ქმნის ისეთ სოციალურ ეკონომიკურ სივრცეს, რომელიც ადამიანს საშუალებას აძლევს მუდმივ ურთიერთდამოკიდებულებაში, ურთიერთქმედებაში იმყოფებოდეს სხვა ადამიანებთან, კორპორაციებთან და სოციალურ სტრუქტურებთან, და ამას ახერხებს საკუთარი სახელმწიფოს შეამავლობის გარეშე“ (ბელი 2007: 213).

ვალერსტაინის განმარტებით, მსოფლიო სისტემას წარმოადგენს ურთიერთდაკავშირებული ნაწილებისაგან შემდგარი ისტორიულად განვითარებული სოციალური სისტემა, რომელიც აყალიბებს საზღვრის მქონე სტრუქტურას და ფუნქციონირებს საკუთარი წესების შესაბამისად მრავალფეროვან კულტურულ გარემოში. ეს არის კაპიტალისტური მსოფლიო ეკონომიკა, რომლის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს კერძო კაპიტალი, წარმოება და ვაჭრობა, და რომელსაც არ გააჩნია ერთი კონკრეტული პოლიტიკური ცენტრი. მსოფლიო სისტემა წარმოადგენს ერთიან მსოფლიო ბაზარს, სადაც სამუშაო ძალა და სახელმწიფოები ქმნიან ინტეგრირებულ სტრატიგიკირებულ სისტემას. სამუშაო ძალა კლასიფიცირდება პროფესიული ცოდნის, ფუნქციონალური იერარქიისა და გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით, ქვეყნები კი იყოფიან ბირთვ-სახელმწიფოებად, ნახევრადპერიფერიულ სახელმწიფოებად და პერიფერიულ მხარეებად (ვალერსტაინი „პერიფერიული ქვეყნების“ ნაცვლად იყენებს ტერმინს „პერიფერიული მხარეები“, რაც მისი განმარტებით, აისნება გარკვეული ტერიტორიული ერთეულების არასახელმწიფოებრივი სტატუსით) (ვალერსტაინი 2001: 83-84).

ბირთვი-სახელმწიფოები დაფუძნებულნი არიან თანამედროვე ცოდნასა და უახლეს ტექნოლოგიებზე, გააჩნიათ ძლიერი პოლიტიკური ინსტიტუტები და სამხედრო პოტენციალი, ორიენტირებულნი არიან გადამუშავებული პროდუქციის ექსპორტზე და კერძო ბიზნესის ტრანსნაციონალიზაციაზე, ფლობენ მაღალ ხედრითი წილს მსოფლიო ეკონომიკაში. მათ რიცხვს მიეკუთვნება ჩრდილოდასავლეთ ეკონომიკის ქვეყნები, ამერიკის შეერთებული შტატები, კანადა და იაპონია.

პერიფერიული მხარეები ხასიათდებიან ცოდნის დაბალი დონით, დამოკიდებულნი არიან ბირთვ-სახელმწიფოებზე, მათი შემოსავლის ძირითად

წარმოადგენს გადასახადები იმპორტზე და ბუნებრივი რესურსებისა და ნედლეული მასალების ექსპორტი, გააჩნიათ დაბალი სამხედრო პოტენციალი და სუსტი სახელისუფლებო სტრუქტურა. ასეთი ქვეყნების შემადგენლობაში შედიან აზიის დიდი ნაწილი, აფრიკა, ლათინური ამერიკა და პოსტ-საბჭოთა სივრცის ქვეყნების უმრავლესობა.

ნახევრადპერიფერიული ქვეყნები ნაკლებად დამოკიდებული არიან ცენტრ-სახელმწიფოებზე და ხასიათდებიან მდგრადი სახელმწიფოებრივი სტრუქტურითა და სტაბილური და მზარდი ეკონომიკური პოტენციალით. ასეთ სახელმწიფოებს წარმოადგენენ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, ხმელთაშუაზღვისპირა ქვეყნები, აგრეთვე მექსიკა, სამხრეთ კორეა, მალაიზია, ტაივანი, სინგაპური, პონგონგი (ვალერსტაინი 2001: 84).

ბირთვი-სახელმწიფოები, ეყრდნობიან რა ძლიერ სამხედრო და ეკონომიკურ პოტენციალს, გამოხატავენ სოციალური იერარქიის მაღალ საფეხურზე მყოფი კლასების ინტერესებს და ცდილობენ შეინარჩუნონ პერიფერიებზე დომინირების სტატუსი. ვალერსტაინის აზრით, კაპიტალიზმის კრიზისი გამოწვეულია სწორედ მისი იმპერიალისტური ბუნებით, რაც მოგების არათანაბარ განაწილებას უწყობს ხელს.

ჩვენი შეხედულებით, გლობალიზაციის პროცესში ერი-სახელმწიფო განიცდის ტრანსფორმაციას და გადადის ახალ ტრანსნაციონალურ ფაზაში, ანუ ხდება მისი ინტეგრირება კომპლექსურ გლობალურ სტრუქტურებში. ეს პროცესი მთელი რიგი სოციალურ-კულტურული, თუ პოლიტიკურ-ეკონომიკური გარემოებების გამო, იწვევს სისტემათა შორის არსებულ დირექტულებათა შეჯახებასა და წინააღმდეგობებს. არავითარ ეჭვს არ ბადებს ის გარემოება, რომ გლობალიზაცია იწვევს საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკის ტრანსფორმაციასა და რესტრუქტურიზაციას, ზრდის კონკურენციას, მასშტაბებსა და სიჩქარეს, რაზეც ერი-სახელმწიფოს სათანადო რეაგირების მოხდენა უჭირს.

საიმონ დიურინგი, (რომელიც თავის მხრივ, პოლ დ' გეის პოზიციას ეყრდნობა), აცხადებს რომ „გლობალიზაციის ცნება ბიძგს აძლევს პროცესს, რომელიც საშუალებას აძლევს სხვადასხვა ხელისუფლებებს, განახორციელოს ჩარევა ინსტიტუციების ფორმირების, ნორმალიზაციისა და ინსტრუმენტალიზაციის პროცესში, რათა უფრო მართვადი გახადონ გლობალიზაცია“ (დიურინგი 2009:194).

იაჟბაროვსკაია, რომელიც გლობალიზაციის თემატიკაზე არსებული სამეცნიერო ლიტერატურის საფუძვლიან ანალიზს გვთავაზობს, გვარწმუნებს, რომ „გლობალიზაცია ობიექტურად იწვევს სახელმწიფოს როლის მნიშვნელოვან გადაფასებას. რაც, გამოხატულია სახელმწიფოს ფუნქციების შეზღუდვით სოციალური პრობლემების გადაწყვეტის საქმეში, რომელთა რეგულირების მქანიზმები თანდათანობით ინაცილებს ზენაციონალურ დონეზე“ (იაჟბაროვსკაია 2008: 193).

ერთ პობსბაუმის განმარტებით, „ერი“ და „ნაციონალიზმი“ შეიძლება აღარ წარმოადგენს იმ ტერმინებს, რომლებზე დაყრდნობით შეიძლება აღექვატურად აღიწეროს და დმად გაანალიზდეს ის (XX საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული) პოლიტიკური ტრანსფორმაციები, რომლებიც ჩვეულებრივ აღიწერებოდა მათი საშუალებით (პობსბაუმი 1998:305).

უფრო მეტად გვაფიქრებს ზიგმუნდ ბაუმანის პოზიცია, რომლის აზრითაც, „ერთადერთი ეკონომიკური ამოცანა, რომელიც „ნებადართულია“ სახელმწიფოსათვის, მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს „მდგრადი, ბალანსირებული ბიუჯეტი“ და აწარმოოს გლობალური და ლოკალური ხასიათის ეკონომიკურ პროცესებზე მონიტორინგი და კონტროლი, სახელმწიფოს შიგნით „საბაზრო ანარქიის“ თავიდან აცილების მიზნით“ (ბაუმანი 2007).

საერთაშორისო კონტექტის მიღმა ცალკეული ქვეყნების განვითარების პროცესის გაანალიზება წარმოუდგენელი ხდება. საერთაშორისო კონტექტი ობიექტურად აისახება ქვეყნის შიდა მდგომარეობაზე, ხოლო ეკონომიკისა და პოლიტიკაში წამყვანი ზე-სახელმწიფოები - დიდი გავლენას ახდენენ საერთაშორისო მდგომარეობაზე (ბოგომოლოვი 2003 : 592).

ჩვენი შეხედულებით, გლობალიზაცია გარკვეულწილად არის უმართავი პროცესი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზე-სახელმწიფოთა ძალისხმევა საერთაშორისო ასპარეზზე თამაშის წესების განსაზღვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ფორმირებაზე.

გლობალიზაციისადმი სკეპტიკურად განწყობილ მკვლევართა აზრით, დღეს სახელმწიფოთა ისეთი უფლება, როგორიცაა ძალის გამოყენება და სამართლებრივი ზეწოლა, ისევე როგორც ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფა, გადასახადების აკრეფა, საერთო-სახელმწიფოებრივი კომუნიკაციების სრულყოფა, ეროვნული ენის და ეროვნული ოდენტურობის გაძლიერებაზე ზრუნვა, ეროვნულ კულტურაზე, განათლების სისტემაზე და კიდევ სხვა

სფეროზე მონოპოლია არა თუ რჩება მთლიანად სახელმწიფოს გამგებლობაში, არამედ სახელმწიფოს როლი და მნიშვნელობა ამ სფეროებში განუხელად იზრდება კიდევ.

გლობალისტები წარმოადგენენ საკუთარ არგუმენტებს, პერძოდ, მათი აზრით, გლობალიზაციის პროცესმა მოიცვა სახელმწიფოს ისეთი სპეციფიკური ფუნქციები, როგორიცაა თავდაცვა და უსაფრთხოება. ეს სფერო ცალსახად სახელმწიფოს კომპეტენციაში შედიოდა და ბუნებრივია ხშირად მკაცრად იყო გასაიდუმლობრივი. გლობალიზაციის პროცესმა აქაც ცვლილებები შეიტანა და ბევრი რამ საფუძვლიანად შეცვალა.

ობიექტურობისათვის უნდა ითქვას, რომ დღეს ძალიან ცოტა ქვეყანა თუ მოიძებნება, რომელიც თავდაცვის სტრატეგიად ნეიტრალიტეტს ან მხოლოდ საკუთარი ძალების იმედად ყოფნას ირჩევს. ახლა მთავარი როლი გლობალური და რეგიონული უშიშროების ინსტიტუტებს ენიჭება. ამიტომ ბევრმა სახელმწიფომ არჩია კოლექტიური უშიშროების წევრი გამხდარიყო და ამით უზრუნველყო თავის უსაფრთხოება. თანამშრომლობა და კოოპერაცია მარტო სამხედრო სფეროს არ შეეხო, იგივე შეიძლება ითქვას სახელმწიფო უშიშროების სამსახურებზე და განსაკუთრებით სამხედრო-სამრეწველო კომპლექსზე. სამხედრო შეიარაღებისა და აღჭურვილობის წარმოება გახდა ერთ-ერთი ინტერნაციონალური სფერო, სადაც სხვადასხვა ქვეყნების სამხედრო და სამოქალაქო წარმოების მჭიდრო თანამშრომლობა აღინიშნება.

აქედან გამომდინარე, გლობალისტები ასკვნიან, რომ ეროვნული უსაფრთხოება იცვლება კოლექტიური უსაფრთხოებით. ამის შედეგად თანდათანობით ხდება ეროვნული უსაფრთხოების გარდაქმნა ახალ, ნაკლებად მილიტარიზებულ საზოგადოებად, რომელსაც როგორც ზურაბ დავითაშვილი აღნიშნავს: „პოსტმილიტარისტული“ საზოგადოება შეიძლება გუწოდოთ (დავითაშვილი 2006: 226).

გლობალიზაციის ეპოქაში ცენტრალური მთავრობა აღარ წარმოადგენს ერთადერთ დომინანტ ძალას მმართველობაში, ვინაიდან თანამედროვე დემოკრატია მოითხოვს დეცენტრალიზაციას, რომლის შედეგად, ხელისუფლების დელეგირება ხდება ცენტრალურიდან ადგილობრივ მმართველ სტრუქტურებზე, რაც სერიოზულად აძლიერებს ამ უკანასკნელის როლს და ასუსტებს ცენტრალური მთავრობის პოზიციებს. იმავდროულად, სულ უფრო აშკარა ხდება ძალაუფლების გადანაწილება ცენტრალური ხელისუფლებიდან კერძო და არასამთავრობო სექტორებზე, და სახელმწიფოებრივი პოლიტიკა წარმოადგენს

ამ სამი სექტორის ერთიანი ურთიერთქმედების პროდუქტს. ერი-სახელმწიფოების გლობალურ დონეზე ინტეგრაცია თავის მხრივ იწვევს ადგილობრივ დონეზე მათ დეცენტრალიზაციას.

პანთიგტონის აზრით „როდესაც ვსაუბრობთ ერი-სახელმწიფოს ტრანსფორმაციაზე, უნდა გამოვკვეთოთ ის შიდა ფაქტორები (დეცენტრალიზაცია, ინტერესთა ჯგუფები და კორპორატიული მმართველობა; კერძო და არასამთავრობო სექტორების გაძლიერება) და გარე ფაქტორები (რეგიონული და გლობალური მმართველი ინსტიტუტები; ტრანსნაციონალური კორპორაციები, კაპიტალი და ბაზრები, საზღვარმკვეთი სისტემები), რომლებიც ზეგავლენას ახდენენ მასზე და ზღუდავენ და ითავსებენ ცენტრალური ხელისუფლების ძალაუფლებას“ (პანთიგტონი 2003: 212).

გლობალიზაციამ, ასევე, ხელი შეუწყო სახელმწიფოთა შორის უფრო ხშირ და ინტენსიურ მრავალმხრივ კონსულტაციებს. ყოველწლიურად ათასობით ორმხრივი თუ მრავალმხრივი შეხვედრა იმართება სამთავრობო დონეზე, რაც სახელმწიფოთა დაახლოებას და ერთობლივი პოლიტიკის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. განსაკუთებით მნიშვნელოვანია „დიდი შვიდეული“ პლუს რუსეთის ყოველწლიური შეხვედრები, სადაც მსოფლიო პოლიტიკის ყველაზე აქტუალური საკითხების ერთობლივი გადაწყვეტა და განხორციელება ხდება.

ჩვენი კრიტიკის საგანს წარმოადგენს ის გარემოება, რომ სახელმწიფო სუვერენიტეტის რაღაც ნაწილი არასახელმწიფოებრივი სუბიექტების ხელში აღმოჩნდა. გლობალიზაცია გულისხმობს პროცესს, რომელშიც ეროვნული სახელმწიფოები და მათი სუვერენიტეტი ხვდება ტრანსნაციონალური მმართველობის ქსელში და ექვემდებარება მის ძალისმიერ შესაძლებლობებს, ორიენტაციას, იდენტურობას. ცალკეულ სახელმწიფოთა ძალაუფლება სუსტდება ახალ ტრანსნაციონალურ სტრუქტურების სიძლიერესთან შედარებით – როგორებიცაა მრავალეროვნული კორპორაციები, გლობალური საინფორმაციო ჯგუფები და დღევანდელი დინამიკური და მობილური ფინანსური კაპიტალი, რომელიც თავისუფალია ნებისმიერი საერთაშორისო კონტროლისაგან და მხოლოდ ფორმალურად თუ უკავშირდება რომელიმე კონკრეტულ ერს. სახელმწიფოთა ძალაუფლება იმითაც სუსტდება, რომ ტრადიციული პოლიტიკური საზღვრები, რომლებიც ეროვნულსა სახელმწიფოს საზღვრებს ემთხვევა შედრევადი ხდება. ეს ტრანსფორმაცია ჩანს საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობის ზრდის დინამიკაში. სწორედ მათი რაოდენობის მუდმივმა ზრდამ დაამკვიდრა გლობალური პოლიტიკის ახალი ფორმები.

ახალ საერთაშორისო და ტრანსნაციონალური ინსტიტუტებთან დაკავშირებით, ულრიხ ბეკი საუბრობს ტრანსნაციონალური სახელმწიფოს თავისებურებებზე, პერძოდ ბეკის აზრით, „ტრანსნაციონალურ სახელმწიფო“ წარმოადგენს კ. წ. გლობალურ სახელმწიფოს, რომელიც საკუთარ თავს მოიაზრებს „პროვინციად“ მსოფლიო საზოგადოებაში და ამის შესაბამისად განსაზღვრავს საკუთარ ადგილს მსოფლიო ბაზარზე და მრავალპოლუსიან მსოფლიო პოლიტიკაში. ტრანსნაციონალური სახელმწიფოს მოდელი, ბეკის აზრით, განსხვავდება სხვა სახელმწიფოთაშორისი მოდელებისაგან იმითაც, რომ ამ კონცეფციის გაჩენით, შეუქცევადად, გლობალურობა გახდა თანამედროვე პოლიტიკური აზროვნებისა და მოქმედების საფუძველი. ფაქტოურად, ტრანსნაციონალური სახელმწიფო წარმოადგენს გლობალური ეპოქის გამოხატულებას, მის პოლიტიკურ თეორიასა და პრაქტიკას, რომელიც უკან ტოვებს წარსულის პოლიტიკური ეპოქის იმპერატივებს (ულრიხ ბეკი 2001: 195).

ჩვენი აზრით, გლობალიზაციას მივყავართ სახელმწიფოს ძირფესვიანი გარდაქმნისაკენ და დღევანდელი სახელმწიფო ფუნქციონირებს „პოსტ-სუვერენულ“ პირობებში – საზღვრების განსხისა და საერთაშორისო ურთიერთდამოკიდებულების პირობებში. მაგრამ ამ ყველაფერს არ მივყევართ სახელმწიფოს გაქრობისკენ, ვინაიდან შეიძლება წარმოიქმნას ახალი ტიპის სახელმწიფო. სოციალ-დემოკრატიული ორიენტაციისა და კოლექტივიზებურის მსგავსი სახელმწიფოს ადგილას მოდიან „კონკურენციის“ უნარის მქონე სახელმწიფოები, რომლებიც უკეთესად მოერგნენ გლობალური ეკონომიკის მოთხოვნებს. დღეს ყველაზე მეტად ფიქრობენ იმაზე, თუ როგორ გაზარდონ განათლების ხარისხი და პროფესიონალური მომზადება, რათა იპოვონ გზა ეკონომიკური წარმატებისკენ. ახალ მაღალტექნოლოგიურ ეკონომიკაში, გააძლიერონ ბაზრის რეაგირების შესაძლებლობები ახალ გამოძახებაზე, გადაწყვიტონ ამა თუ იმ სოციალური ჯგუფების პრობლემა და ამ ყველაფერთან ერთად შეინარჩუნონ და გააძლიერონ საზოგადოების მორალური მდგომარეობა.

ექსპერტების აზრით, იდეა მდგომარეობს იმაში, რომ სახელმწიფოები, რომლებიც იმოქმედებენ ერთმანეთისგან დამოუკიდებლად, აღმოჩნდებიან სუსტები და არაეფექტურები, ხოლო გაძლიერდებიან, თუ კი ითანამშრომლებენ საერთაშორისო და რელიგიური ინსტიტუტებთან შეთანხმებით.

ჩვენი დასკვნით, ეს იმას გულისხმობს, რომ მმართველობის ძველი მეთოდები, რომლებიც წარმოგვიდგენენ ხელისუფლების მკაცრ იერარქიას,

რომლებიც უკვე არ მოქმედებენ საზოგადოებასთან მიმართებაში და სახელმწიფოსა და საზოგადოების მკაცრი გაყოფა, როგორც ჩანს, მოძველდა.

სუბსახელმწიფოებრივი მმართველობისას სახელმწიფო ეჯახება კიდევ ერთ გამოწვევას, რომელიც გამომდინარეობს მმართველობის დეცენტრალიზების ყველაზე პოპულარული მოთხოვნიდან, გადაიტანონ მისი ფუნქციები საყოველთაო ნაციონალურიდან ადგილობრივი მმართველობის დონეზე და შემდგომში კიდევ უფრო გააღრმავონ პატარა საზოგადოებრივ დაჯგუფებებში. რა თქმა უნდა, ეს პროცესი არ ატარებს საყოველთაო ხასიათს, მაგრამ მსოფლიოს ბევრ ადგილებში ლოკალური პოლიტიკის როლი მკვეთრად გაიზარდა.

ჩვენი დაკვირვებით, ნაციონალური დიპლომატიის პარალელურად (და ზოგჯერ მის ხარჯზე) საფუძველი ეყრება ეგრეთ წოდებულ რეგიონულ დიპლომატიას. ხდება რეგიონების დაახლოება, ამ პროცესს საბოლოო ჯამში მივყავართ ერთიან გლობალურ მსოფლიომდე, სადაც გლობალური ინტერესები დაჩრდილავს ეროვნულ ინტერესებს. რეგიონული და გლობალური პოლიტიკის ურთიერთკავშირები ვერ თავსდება ტრადიციული გეოპოლიტიკის ჩარჩოებში. ასე, რომ თვით ობიექტური პირობები ქმნის სუვერენიტეტი განაწილების აუცილებლობას სხვადასხვა ძალებს შორის. ამგვარად გლობალისტების დასკვნა პარადოქსულია: სახელმწიფო სუვერენიტეტი წარსულის კუთვნილებაა. გესტფალის სუვერენული სახელმწიფოების საერთაშორისო სისტემაში არსებობა ფაქტიურად დაამთავრა (რასაც ჩვენ პრინციპულად არ ვეთანხმებით).

ზურაბ დავითაშვილის შეხედულებით „ასეთ შემთხვევაში ბუნებრივად იბადება კითხვა: თუ მსოფლიო პოლიტიკა ადარ არის დაფუძნებული სუვერენულ სახელმწიფოებრიობაზე, როგორ ხორციელდება მმართველობა თანამედროვე გლობალიზირებულ მსოფლიოში? ამ კითხვაზე გლობალისტების პასუხი ასეთია: თანამედროვე პოლიტიკაში შენარჩუნებულია სახელმწიფო მმართველობა, მაგრამ იგი მჭიდროდ არის გადახლართული სუბსახელმწიფოებრივ, სუპრასახელმწიფოებრივ, საბაზრო და სამოქალაქო საზოგადეობრივ მმართველობასთან“ (დავითაშვილი 2006: 215).

ჩვენი შეხედულებით, თავისთავად ცხადია, რომ სუბსახელმწიფოებრივი მმართველობა გარკვეულწილად სახელმწიფო სუვერენიტეტის ფუნქციების გაზიარებაა, რაც ადრე წარმოუდგენელი იყო, ხოლო გლობალიზაციის ეპოქაში რაიმე უჩვეულო მოვლენას არ წარმოადგენს.

რაც შეეხება, სუპრასახელმწიფოებრივი მმართველობის ფორმას, მასში იგულისხმება საერთაშორისო და რეგიონული ორგანიზაციების მმართველობა, რომელიც თავიანთი მოქმედებით სახელმწიფო სუვერენიტეტის გარკვეულ ნაწილს ინაწილებენ. გარდა გაეროსი, ევროკავშირისა და სხვა გლობალური თუ რეგიონული ორგანიზაციებისა, განსაკუთრებით აღსანიშნავია ეკონომიკური პროფილის ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია (OECD), საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო ბანკი, რომელთა მოღვაწეობაც იმდენად ღრმა კვალს ტოვებს მრავალი ქვეყნის (განსაკუთრებით განვითარებად და დსთ-ს სახელმწიფოებზე) ეკონომიკაზე, რომ ხშირად მათ ამ ქვეყნების ბატონ-პატრონებად მიიჩნევენ და ანტიგლობალიოსტების განსაკუთრებულ სამიზნედაა ქცეული. სხვა ასეთი ორგანიზაციებიდან უნდა აღინიშნოს ეუთო, რომელიც კონფლიქტების დარეგულირებისა და გადაჭრის ძირითადი ორგანიზაციაა ევროპაში და მასზეა დამოკიდებული მთელი რიგი ქვეყნების ტერიტორიული მთლიანობისა და ლტოლვილთა ბეჭი (რაც, როგორც წესი, უშუალოდ სახელმწიფოს საქმე იყო ყოველთვის). ასევე აღსანიშნავია ადამიანის უფლებების დაცვის მთელი რიგი ორგანიზაციები, საერთაშორისო ტელეკომუნიკაციების კავშირი და ა. შ. (დავითაშვილი 2006: 216)

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მსოფლიო მასშტაბით სახელმწიფოთა ურთიერთდამოკიდებულებაში თვისებრივად ახალი ერა დაიწყო. გლობალიზაციისა და ახალი მსოფლიო წესრიგის დამყარების სწრაფმა ტემპებმა წარმოშვა სრულიად ახალი რეალიები სახელმწიფოთა საგარეო და საშინაო პოლიტიკის მიმართულებებსა და პარადიგმებში. ერთი მხრივ დაიწყო სუვერენულ სახელმწიფოთა ინტეგრაციის პროცესი, მეორე მხრივ სახელმწიფოების და ერების ფრაგმენტაცია უფრო წვრილ კონსტრუქციებად. ბევრ ქვეყანაში მკაფიოდ შეიმჩნევა ერების, ეთნიკური ჯგუფების, რელიგიური თუ კულტურული ნიშნებით გახლების მკაფიო ტენდენციები (რეგიონალიზაცია, სეპარატიზმი, ფუნდამენტალიზმი), ამასთან სულ უფრო იკვეთება საზღვრები ცივილიზაციათა შორის.

\* \* \*

გლობალიზაციის უარყოფითი გავლენების შესასუტებლად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება განათლებას. ამ თვალსაზრისით, მაგალითად მანუელ კასტელსი საუბრობს „ორპირიან მახვილზე“, ერთი მხრივ ის მიიჩნევს, რომ, „გლობალიზაცია ხელს უწყობს ქვეყნებს გადალახონ ეკონომიკური

ჩამორჩენილობა და მოახდინონ პროდუქციის მოდერნიზაცია“ (ამის მაგალითია პოგ-კონგი, ტაივანი, სინგაპური, მალაიზია და სამხრეთ კორეა), მეორე მხრივ კი, „ის ეკონომიკური სისტემები, რომლებმაც ვერ გაიარეს ადაპტაცია, ხდებიან კიდევ უფრო ჩამორჩენილები“ (ინოზემცოვი 1999: 495).

ჩვენი შეხედულებით, ეროვნული სახელმწიფოების ფუნქციების შეზღუდვა (ზე-ნაციონალურის სასარგებლოდ), რა თქმა უნდა, საფრთხის წინაშე აყენებს ეროვნული კულტურების თვითმყოფადობას. ამიტომ, მიგვაჩნია, რომ გლობალიზაციის წინააღმდეგობის გადალახვა თანამედროვეობის ის უმნიშვნელოვანები პრობლემაა, რომელიც ნებისმიერი საზოგადოების წინაშე დგას.

მსოფლიოს კულტურული გლობალიზაციის ფონზე, ეროვნული კულტურებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ეროვნული განათლების სისტემის განვითარების პერსპექტივები. საზოგადოების უნარი, გადავიდეს „ინფორმაციულ ხანაში“, დამოკიდებულია მისი წევრების განათლების დონეზე. ეს ეხება საგანმანათლებლო სისტემებს – დაწყებითი სკოლიდან უნივერსიტეტების ჩათვლით. უმაღლესი განათლების ინსტიტუტების ინტერნაციონალიზაცია არის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მაღეტერ-მინიზებელი ფაქტორი, იგი განსაზღვრავს თუ ვინ იქნება მოგებული გლობალიზაციის პროცესში.

მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ გლობალიზაციის ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და სოციალური კონტექსტები აუცილებლად უნდა აისახებოდეს თანამედროვე უნივერსიტეტის მოდელზე. დღეს უკელაზე უფრო თანამედროვე ქვეყნების განათლების სისტემაც კი სრულად არ ასახავს სისტემის დინამიზმს. აქედან გამომდინარე, გლობალიზაციის ეპოქაში უკვე აქსიომად იქცა, რომ აუცილებელი ინვესტიციების ჩადება განათლების სფეროში. რადგან თანამედროვე ეტაპზე, ცოდნის მენეჯმენტი წარმოადგენს ადამიანის მოღვაწეობის უმნიშვნელოვანების ასპექტს.

ჩვენი შეხედულებით, გლობალიზაციის ეპოქაში, საზოგადოებების ადაპტაცია თანამედროვე გამოწვევებთან ობიექტურად მოითხოვს განვითარებად ქვეყნებში განათლების სისტემების მოდერნიზაციას, მაგრამ ეს არ უნდა გულისხმობდეს ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობის უგულებელყოფას. განათლების ინსტიტუტების ინტერნაციონალიზაცია უყრდნობა განათლების სფეროში (და არა მარტო განათლების სფეროში) აპრობირებული საერთაშორისო გამოცდილების და მიღწევების ურთიერთგაზიარების პრინციპს. რაც,

სრულიად არც ეწინააღმდეგება ეროვნულ ინტერესებს, თუ თავად საზოგადოებას საკუთარი თვითმყოფადობის შენარჩუნების მტკიცე ნება გააჩნია.

\* \* \*

გლობალიზაციის პირობებში, თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა გლობალური და ლოკალური პროცესების ურთიერთშეთანხმება და ინტეგრაცია. ერი-სახელმწიფოებმა უნდა იპოვონ გამოსავალი გლობალიზაციის მახიდან. ამისათვის კი აუცილებელია კომფრონტაციული განვითარებიდან კომპრომისულ განვითარებაზე გადასვლა (ასათიანი 2010: 26).

ალექსანდრე რონდელი, მართებულად აღნიშნავს: „სამომავლოდ გასათვალისწინებელია, რომ რადგან სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები პირველ ყოვლისა „მაღალი პოლიტიკის“, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს გულისხმობს – ნებისმიერი მთავრობა დემოკრატიულია იგი თუ არა, ეროვნული ინტერესების დაცვის პოლიტიკას უნდა ატარებდეს. დღევანდელ ანარქიულ საერთაშორისო ასპარეზზე ეს ერთადერთი ლოგიკური არჩევანია“ (რონდელი 2006: 113).

გლობალიზაციის მკვლევართა ძირითადი თეორიებისა და შეხედულებების შედარებითი ანალიზის საფუძველზე, ჩვენი მივიგართ იმ დასკვნამდე, რომ გლობალიზაცია, მართალია მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ერი-სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ერი-სახელმწიფოები პვლავ რჩებიან პოლიტიკურ ერთობებად, რომლებიც ქმნიან ყველა პირობას წარმოქმნან და გააძლიერონ ბედის ერთობით დაკავშირებული ნაციონალური ერთობები. ნაციონალური პოლიტიკა კი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც მაშინ იყო, როცა ერი-სახელმწიფოები პირველად ჩამოყალიბდა.

გლობალიზაციის ეპოქაში ეკონომიკური გარდაქმნები და ინტერნაციონალური ეკონომიკური პროცესები მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენენ ეროვნული სახელმწიფოს კულტურაზე და ეროვნულ თვითშეგნებაზე.

ერი ახორციელებს თავის თვითდამკვიდრებას, როგორც ეროვნულ უფლებათა დამკვიდრების კერძო შემთხვევას. რაც გულისხმობს, ერის ადგილის და სტატუსის განსაზღვრავს სხვა ერთა შორის, ანუ კაცობრიობის კონტექსტში (ნათაძე 1988: 84).

გლობალიზაციის პროცესი კი ამ კონტექტიდან მის ამოგდებას ცდილობს.

გლობალისტების პოზიციის საწინააღმდეგოდ, რომლებიც მსოფლიოს ეკონომიკურ გლობალიზაციას საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევის

უნივერსალურ საშუალებად მიიჩნევენ, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ წარმოუდგენლად მიგვაჩნია ეროვნული კულტურის არმქონე სახელმწიფოს ეკონომიკურად განვითარება.

ჩვენი შეხედულებით, ერი-სახელმწიფოს ნაციონალური ეკონომიკის გაუქმებას მოჰყვება ჩვენი ეროვნული ინტერესების გაუქმებაც.

ეკონომიკური წინსვლა და პროგრესი ქვეყნის განვითარების უმნიშვნელოვანესი ფაქტორია, მაგრამ, ჩვენი აზრით, არც ერთ სახელმწიფოს/ერს არ შეუძლია ნორმალური, ჯანსაღი არსებობა და განვითარება ეროვნული ცნობიერების და თვითმყოფადი კულტურის გარეშე. თუკი სახელმწიფოში დაიკარგება ეროვნული თვითშეგნება, გაქრება ეროვნული კულტურა, შესაბამისად გაქრება ის მაკონსოლიდერებელი და გამაერთიანებელი ძირითადი მქანიზმები, რომლის საშუალებითაც ერი თავის ეროვნულ კულტურაზე დაყრდნობით ახდენს საკუთარი საზოგადოების სოციალური და კულტურული ცხოვრების თვითრეგულაციას.

ეროვნულ-კულტურული იდენტობის შენარჩუნება, ნებისმიერი ერის, ერი-სახელმწიფოს, პირველად მიზანს უნდა წარმოადგენდეს. შესაბამისად, თუ ჩვენ გამბობთ, რომ ეროვნული პოლიტიკის ყოველდღიურ ცხოვრებაში გატარება, გულისხმობს მოცემული საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვას. იმასაც ცალსახად ვაცხადებთ, რომ ეს თავისთავად მოიაზრებს, ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობის გადარჩენაზე ზრუნვას, რომლის გარეშეც ვერც ერთი სახელმწიფოს მთავრობა ვერ შეძლებს საზოგადოების ნებაყოფლობით კონსოლიდაციას და მისი სარდაჭერის მოპოვებას, შესაბამისად, ვერც ერთი მოცემული საზოგადოება ეროვნული ერთიანობისა და სოლიდარობის განცდის გარეშე ვერ იქნება წარმატებული.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არც განვითარებული ქვეყნები არიან დაინტერესებულნი თავის ეკონომიკურ ზეობის სანაცვლოდ, დათმონ ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობა.

ჩვენი შეხედულებით, განვითარებადმა სახელმწიფოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მათ საზოგადოებაში დაძლევულ იქნას სიღარიბე. რადგან, წარმატებული სახელმწიფოს პირობებში, საზოგადოება, რომლისთვისაც სიდაგენის პირობებში თვითგადარჩენა უკვე აღარ წარმოადგენს ძირითად საზრუნავს, უფრო მეტად იქნება დაინტერესებული თავისი ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებით.

წარმატებული საზოგადოება ხელს შეუწყობს ეროვნული კულტურის განვითარებასა და აყვავებას. მაგრამ, მანამდე ჯერ ჩვენი ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობა შევინარჩუნოთ.

### **3. გლობალიზაციისადმი წინააღმდეგობის კულტურული ასპექტი თანამედროვე პოპულარული კულტურის კვლევის ასპექტები**

ეროვნული კულტურებისა და გლობალიზაციის პროცესის ურთიერთ-მიმართების საკითხს ვერ განვიხილავთ მხოლოდ კულტურული გლობალიზაციის აბსტრაქტულ კონტექსტში. დღესდღეობით მოელ რიგ ობიექტურ მიზეზთა გამო შეიქმნა ისეთი სპეციფიკური გარემო, რომლის პირობებშიც კულტურის კვლევები შეისწავლის მნიშვნელობის განსაზღვრის პროცესებს, რომლებიც გვხვდება ინსტიტუციურ სფეროებში ან კულტურული პროდიუსერების ქსელებში. ეს მიდგომა კულტურას განიხილავს როგორც სოციალურ პროდუქტს და ხაზს უსვამს სპეციფიკურ კონტექსტებს, სადაც ვხვდებით კულტურულ წარმოებასა და ინოვაციას.

კულტურის თავისებურება და ფენომენი განისაზღვრება ადამიანის არსით, მისი შესაძლებლობებით, მახასიათებელი ნიშნებით. კონკრეტულ სოციუმში ადამიანური მოღვაწეობის ნებისმიერი გამოვლინებები განსაზღვრავენ ამ სოციუმის კულტურას. კულტურა განიხილება როგორც პროცესი, როგორც შედეგი და შესაბამისად, დროის მოცემულ მონაკვეთში ადამიანური პოტენციის რეალიზაციის ველი (კირილინა 1999: 190).

კულტურის გაგება გულისხმობს ადამიანის უნივერსალურ დამოკიდებულებას სამყაროსთან, რომლის შედეგადაც ადამიანი შეიცნობს სამყაროს და საკუთარ თავს. თითოეული კულტურა – განუმეორებელი სამყაროა, რომელიც შექმნილია ადამიანის მიერ და გამოხატულია ადამიანის სამყაროსთან დამოკიდებულებაში. ასევე, საკუთარ თავთან დამოკიდებულების შესაბამისად (ემილიანოვ-ჰალგენი 2011).

ჩვენი შეხედულებით, აწმყოსთან მიმართებით კულტურის ისტორიული ასპექტი სხვადასხვა განზომილებაში შეიძლება მოვიაზროთ. მაგალითად, პირველი გულისხმობს წარსულს, რომელიც შენახულია კულტურულ მეხსიერებაში ისტორიული გადმოცემების სახით და წარმოადგენს სოციალურ დონეზე ეთნოსებისა და ერების იდენტურობის საფუძველს. მეორე – კულტურული ცხოვრების წესი, რომელიც მოცემულ საზოგადოებაში აქტუალური იყო, დავიწყებას მიეცა და თავისთავად გახდა წარსული. კულტურის მესამე

კონტექსტი, გულისხმობს თანამედროვეობას, სადაც თანამედროვე პოპულარული კულტურა განსაზღვრავს აწმყოში საზოგადოების ცხოვრების წესს და გრძნობების სტრუქტურას. ეს კონტექსტები გვხდება ყველგან, ოდონდ მათი გავლენა საზოგადოებრივ ცნობიერებაზე დამოკიდებულია მოცემული საზოგადოებების სოციალური და კულტურული განვითარების თავისებურებებზე. რაც უფრო მოდერნიზებულია საზოგადოება, მით უფრო მძლავრობს მასში თანამედროვე კულტურის ფორმები (განვითარებადი ქვექნების „ნებაყოფლობითი“ მოდერნიზაციის პროცესში მათი საზოგადოებების სოციო-კულტურული არსი ფორმირდება თანამედროვე პოპულარული კულტურების მძლავრი ზეგავლენის ქვეშ, ამის საპირისპიროდ „შეგნებულად არამოდერნიზებადი“ საზოგადოებები ხასიათდება გარედან შემოსული პოპულარული კულტურებისადმი წანააღმდეგობის სხვადასხვა დონეებით). არამოდერნიზებულ ტრადიციულ საზოგადოებებში წარსული უფრო მეტად განსაზღვრავს აწმყოს. დადგან, სოციალური ცხოვრების რეგულაცია (განსაკუთრებით არადასავლურ საზოგადოებებში) ხორციელდება ტრადიციულად არსებული ნორმების, წესების და ფასეულობების საფუძველზე.

ისტორიის საშუალებით მოპოვებული იდენტურობა შეიძლება აღმოცენდეს, ისეთი ფენომენიდან, მაგალითად, როგორიცაა ნოსტალგია. კრიტიკოსი ფრედერიკ ჯეიმსონი, თანამედროვე ნოსტალგიის თეორიზაციას ახდენს და მას აწმყოში ნამდვილი ისტორიის უქონლობის ნიშნად მიიჩნევს. უფრო მიზანშეწონილი იქნებოდა, თუ ამგვარ ნოსტალგიას განვიხილავდით, როგორც წარსულისა და მემკვიდრეობითობის როლების შესუსტებას სოციალურ იდენტურობათა შექმნის პროცესში. „ნოსტალგია და გენეალოგია წარმოადგენს პოსტ-ისტორიული ეპოქის სუსტ ისტორიებს, რომელიც ისტორიას სულ უფრო მეტად მიიჩნევს გართობის საგნად და იმავე დროს, სულ უფრო ნაკლებად ადარდებს წარსული“ (დიურინგი 2009: 96).

საიმონ დიურინგის შეხედულებით, „ისტორიასთან დილეტანტური დამოკიდებულებების გაერთიანება შეიძლება ტერმინით „მემკვიდრეობითი ინდუსტრია“ - როგორც მას ოფიციალურ ინსტიტუციებში უწოდებენ, ან ტერმინით „კულტურული მეხსიერება“, როგორც ის უშუალოდ საზოგადოებაში მოიხსენიება. ეს ტერმინები ურთიერთდაკავშირებულია, რადგანაც ორივე მათგანი წარსულის იმ ელემენტებს მიმართავს, რომლებიც ფორმალური და სპეციალიზებული მეცნიერების მიღმა არსებობენ. ამასთანავე, კულტურულმა მეხსიერებამ უაღრესი

ბიუროკრატიზაცია და კომერციალიზაცია განიცადა, ანუ იგი მემკვიდრეობის ინდუსტრიამ ჩაითრია“ (დიურინგი 2009: 96-97).

კულტურული მეხსიერების ყველა ფორმის ინსტიტუციონალური მემკვიდრეობისთვის მიკუთვნება არ შეიძლება. პოპულარული კულტურული მეხსიერების ერთ-ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი და საინტერესო ფორმა, რომელიც წინ აღუდგა „მემკვიდრეობად“ გარდაქმნას, თაობათა მეხსიერებაა, რომელიც ათწლეულებად იყოფა. ყოველ ათწლეულს საკუთარი სახე, განწყობილება, ნოსტალგიისა და კონტრ-ნოსტალგიის (შვების შეგრძნება იმის გამო, რომ რაღაც გადაურჩი) ნაზავი ახასიათებს: ოციანი, ოცდაათიანი, ორმოციანი, ორმოცდაათიანი, სამოციანი, სამოცდაათიანი, ოთხმოციანი, ოთხმოცდაათიანი წლები. გარკვეული თვალსაზრისით ეს იმას ნიშნავს, რომ ე. წ. „თაობათა მეხსიერება“ შემდგომ თაობებს უფლებას აძლევს საკუთარ თავი გაითავისუფლოს წინა თაობებში პოპულარული კულტურული მეკვიდრეობისაგან.

კულტურის ფრანგი თეორეტიკოსი როლან ბარტის მიერ პოპულარული ვიზუალური კულტურის ანალიზის თანახმად, „სემიოლოგია გვასწავლის, რომ მითს ევალება, ისტორიულ იდეას ბუნებრივი გამართლება მოუძებნოს და შემთხვევითობა მარადიულად წარმოგვიდგინოს . . . მითი საგანთა ისტორიული ლირებულების დაკარგვისას წარმოიქმნება: საგნები კარგავს ხსოვნას იმისა, რომ ოდესდაც შეიქმნა. ანუ, საგნები თავისთავად იძენს მნიშვნელობებს (ბარტი 1994:32)

რატომ შევისწავლით პოპულარულ კულტურას ? ალბათ იმიტომ, რომ იგი ჩვენი დროის უმთავრესი კულტურული მახასიათებელია (განსაკუთრებით იმ თვისების გამო, რომ მას უნარი შესწევს გაცილებით უფრო სწრაფად შეადწიოს პიროვნების ცნობიერებაში, ვიდრე ნებისმიერ ინსტიტუციურ ცვლიბებებს ეკონომიკურ თუ პოლიტიკურ დონეზე). მას ყველგან ვხდებით და იმდენად ხელმისაწვდომია, რომ მის შესახებ აკადემიური კომენტარი ზედმეტია.

პოპულარული კულტურა უშუალოდ გართობას ემსახურება, რომელიც შემეცნებითი სიმძიმის ცენტრს მუდმივი გადაადგილებისკენ მოუწოდებს, რადგანაც მისი მუშაობა და სტილი აქტუალური დროის ძალიან მცირე მონაკვეთისთვისაა განკუთვნილი. პოპულარულ კულტურაში – შეცნობა, აწყობილია დროში გამოცდილ სფეროებზე და ეს თავისთავად აუცილებელია მისი თვითშენახვისათვის.

ჯონ სთორის აზრით, „გრამშის „ჰეგემონიის“ თეორიულმა კონცეფციამ კულტურის კვლევებში პოპულარული კულტურის ახლებური გააზრება

გამოიწვია. პირველ რიგში გაჩნდა ახალი ადქმა პოლიტიკისა პოპულარულ კულტურასთან მიმართებაში. პოპულარული კულტურა უკვე აღიქმებოდა, როგორც პეგემონიის წარმოებისა და კვლავწარმოების ცენტრალური ადგილი. კულტურული კვლევების ძირებული ინტერესის საგანიც სწორედ ეს კონფლიქტია – ურთიერთობა კულტურასა და ძალუფლებას შორის. იმის შესახებ, თუ როგორ განიხილავს კულტურის კვლევები კულტურისა და ძალუფლების ურთიერთობის საკითხებს (სოფრი 2007:11).

ჯონ სოფრი ასევე, მიიჩნევს, რომ ყოველდღიური ცხოვრების კულტურა ბევრად აღემატებაა კომერციული და იდეოლოგიური მანიპულირების დაკანონებულ გარემოს, ზემოდანმოხვეულს იმ მიზნით, რომ მომგებიანი და უსაფრთხო სოციალური კონტროლი განახორციელოს ამავე დროს თანამედროვეობაში პოპულარული კულტურა აუცილებელად არ არის „მოდიანად გარედან შემოსული“, ის საზოგადოების შიგნით მიმდინარე კულტურული ტრანსფორმაციების შედეგად შეიძლება აღმოცენდეს (სოფრი 2007: 162).

აქედან გამომდინარე, ცალსახად უნდა განვასხვავოთ ერთმანეთისგან „პოპულარული“ და „მასობრივი“ კულტურების განსაზღვრებები. პოპულარული კულტურა ხალხისთვის მათ მიერვე შექმნილს (თუ არა მარტივად ფოლკ-კულტურას), ხოლო მასობივი კულტურა კი მასებზე გაანგარიშებით ინდუსტრიული თვალსაზრისით შექმნილ კულტურას ნიშნავს.

საიმონ დიურინგი მიიჩნევს, რომ „ამგვარმა დაყოფამ აზრი დაკარგა, რადგან კულტურის კვლევებში ტერმინი „მასობრივი კულტურა“ ამოვარდნილია, ზოგადად შეურაცხმულელ ტერმინადაც კი იქცა, რადგანაც იგი, თანამედროვე მეცნიერთა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, ექსპლუატატორულ, მექანიკურ, ცარიელი კულტურის და განუხორციელებელი სურვილების იაფფასიან ინსპირატორად შეიძლება აღვიქვათ“ (დიურინგი 2009: 169).

ჩვენი აზრით, წარსულში პოპულარული კულტურა, ცენტურის გამო, მცირე უფლებებითა და პროდუქციაზე ზეწოლის ფონზე, გართობასა და მხიარულებას უზრუნველყოფდა და მიმართული იყო საზოგადოებაში ინერტულობისა და მორალური ვაკუუმის შესავსებად. თანამედროვე ეტაპზე კი პოპულარული კულტურა უკვე საზოგადოებრივი ცხოვრების განუყოფელი ნაწილი გახდა, ხოლო „გასართობი ინდუსტრია“ აქტიურად იყენებს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარულ ელემენტებს და ახდენს მის ინტერპრეტაციას მარკეტინგული ინტერესებიდან გამომდინარე. პოპულარული კულტურის დიდი ნაწილის გავრცელების და ზემოქმედების არეალი არ არის შეზღუდული

კონკრეტული გეოგრაფიული თუ ეროვნული საზღვრებით, ზოგიერთ შემთხვევაში კი პირიქით ის აღმოცენდება მოცემული კულტურის შიგნით და მხოლოდ ამ ლოკალურ არეალში არის პოპულარული. პოპულარული კულტურებისადმი ინტერესს მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს ამა თუ იმ, საზოგადოების კულტურული თავისებურებები, მაგრამ მეორე მხრივ კულტურული გლობალიზაცია ქმნის ხელსაყრელ პირობებს ნებისმიერი პოპულარული კულტურის მსოფლიო დონეზე ექსტრაპოლაციისათვის.

ჩვენი დაკვირვებით, განვითარებულ საზოგადოებებში თანამედროვე პოპულარული კულტურის შექმნის (მაგალითად აშშ-ი, დიდ ბრიტანეთში და ა. შ) ალბათობა უფრო მაღალია. აქ არსებობს დიდი ფინანსური კაპიტალი, გამართული და მძლავრი გასართობი ინდუსტრია. უფრო ნაკლებად განვითარებული და, ამ მხრივ უფრო ნაკლები შესაძლებლობების მქონე საზოგადოებები, როგორც წესი, განვითარებულ ქვეყნებში წარმოებელი პროდუქციის პასიურ მომხმარებლებად გამოდიან და განიცდიან მსოფლიოში არსებული მოდური ტენდენციების გავლენას. ერთი მხრივ, ადგილი აქვს გარედან შემოსული პოპულარული კულტურის მოხმარებას ადგილობრივი კულტურების მიერ. მეორე მხრივ, თავად ადგილობრივი კულტურები მათ მაგალითზე ქმნიან საკუთარს, გარდაქმნიან რა მას „ადგილობრივი ნიშნების“ შესაბამისად.

თანამედროვე ეტაპზე, ეროვნულ კულტურებში ადგილობრივი პოპულარული კულტურის პროდუქციის შემქმნელები აქტიურად იყენებენ მათ შემოქმედებაში ტრადიციულად არსებულ „ხალხურ ხელოვნებას“ და გვთავაზობენ ტრადიციული ხელოვნების გათანამედროვებულ ვარიანტს. ამავე დროს, თანამედროვე მულტიკულტურულ სამყაროში სხვაგვარი სინთეზიც გვხვდება, მაგალითად, რომელიმე ბრიტანულმა, თუ სხვა ქვეყნის, მუსიკალურმა ინსტრუმენტალურმა ჯგუფმა შეიძლება თავის შემოქმედებაში გამოიყენოს ქართული ხალხური, აფრიკული, სლავური, აღმოსავლური და ა. შ მოტივები. უფრო მეტი, ზოგიერთი პოპულარული კულტურა თავიდანვე გათვლილია საერთაშორისო მოხმარებისთვის. ზოგიერთი პოპულარული ხდება ადგილობრივ დონეზე და უკვე შემდეგ იპყრობს „მსოფლიო აუდიტორიის“ ყურადღებას. ზოგიერთი ვერ აღწევს თავს ლოკალურ სიკრცეს, ზოგს კი ამის პრეტენზია თავიდანვე არ გააჩნია. მაგალითად, ლათინური, ბრიტანული და ამერიკული ტელესერიალები საკმაოდ პოპულარულია დასავლურ სამყაროში, (მათ შორის აღმოსავლეთ ევროპასა და ყოფილ საბჭოთა ქვეყნებში). ასევე, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იქმნება

ეროვნული ტელესერიალები, რომლებიც გათვლილია კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობაზე (არა მარტო დასავლეთში, არამედ აღმოსავლეთის ზოგიერ ქვეყნებშიც). მსგავსი ტელესერიალები კონკრეტულად მისი ძირითადი მომხმარებლის კულტურული ნიშნებიდან გამომდინარეობს.

თუ პოპულარული კულტურის ნაწარმი (უპირველეს ყოვლისა, კომერციული ინტერესებიდან გამომდინარე) ჩანასახშივე გულისხმობს მის პოპულარიზაციას საერთაშორისო დონეზე, იმის და მიუხედავად, რომელ ქვეყანაში არის ნაწარმოები, ის უნდა აკმაყოფილებდეს „საერთაშორისო სტანდარტებს“. იგი საჭიროებს სერიოზულ მარკეტინგულ გათვლას, საერთაშორისო ბაზრების მოთხოვნების გათვალისწინებას და მისი თანამედროვე მდგომარეობის ანალიზს/ცოდნას. რაც მთავარია, ის საინტერესო უნდა აღმოჩნდეს ყველასათვის.

აქაც გასათვალისწინებელია ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი. ხშირ შემთხვევაში გლობალურად პოპულარული კულტურა, თავად ქმნის იმ მოდურ ტენდენციებს, სტანდარტებს და შეფასების კრიტერიუმებს, რომლის მიხედვითაც უკვე საზოგადოების მხრიდან ხდება მისი შეფასება. ეს არ გულისხმობს საზოგადოების ინერტულობას და იდეფერენტულობას ხელოვნების ნიმუშის შეფასებისას. გასართობი ინდუსტრიის წარმომადგენლები მუდმივად ახორციელებენ მონიტორინგს და შეისწავლიან საზოგადოების მომხმარებლობით მოთხოვნილებებს, კვლევის შედეგების საფუძველებზე შეაქვთ კორექტივები თავის საქმიანობაში და მოსალოდნელი შედეგების წინასწარი გათვალისწინებით გეგმავენ სამომავლო მოქმედების სტრატეგიას.

ბაზარი ობიექტურად არის მოტივირებული იმ პროდუქციის გავრცელების ხელშეწყობით, რომელიც უფრო მეტად პოპულარული და მოთხოვნადია მოცემულ საზოგადოებაში, თანაც ამ პროდუქციას მომხმარებელს აწვდის წინასწარი დაკვეთის საფუძველზე, ანუ მომხმარებელის გემოვნების და მოთხოვნილებების შესაბამისად. დაკვეთა, რა თქმა უნდა არ ხდება პირდაპირი გაგებით, რადგან მომხმარებელი პრეტენზიულია - იგი ყოველთის სიახლის, სიურპრიზების მოლოდინშია. ამასთან ერთად, პოპულარული კულტურა (შესაბამისად გასართობი ინდუსტრია) არ არის მოტივირებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში ახალი ფასეულობების დანერგვით. მართალია, პოპულარული კულტურები ზემოქმედებს ადამიანების ცნობიერებაზე და შესაძლებელია მისი მიზეზით მოხდეს ახალი ფასეულობების ფორმირება საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მაგრამ მიუხედავად ამისა, გასართობი ინდუსტრიის ობიექტური

ბუნებიდან გამომდინარე, ეს თანმდევ შედეგად უფრო უნდა განვიხილოთ, ვიდრე წინასწარგანზრახულ აქციად.

გასართობი ინდუსტრია ყოველთვის აპელირებს აწმყოში არსებულ მოთხოვნებზე. მაგალითად, საქართველოში ფეხბურთი სპორტის ყველაზე გავრცელებული და პოპულარული სახეობაა, ამერიკული ფეხბურთი კი ჩვენს საზოგადოებაში საერთოდ არ არის პოპულარული. ამიტომ ტელევიზია დაინტერესებულია სატელევიზიო ეთერში საერთაოაშორისო დონეზე, თუ ეროვნულ ჩემპიონატში გამართული საფეხბურთო მატჩების პირდაპირი ტრანსლაციით და მზად არის ამაში ფული გადაიხადოს, მაგრამ, კაპიკსაც არ დახარჯავს ამერიკული ფეხბურთის მატჩის ტრანსლაციისათვის. სამაგიეროდ, ჩვენთან სატელევიზიო ეკრანზე უფრო ხშირად ვიხილავთ მასობრივ აუდიტორიაზე გათვლილ პოლივუდურ ფილმებს, ვიდრე ქართული ეროვნული კინომატოგრაფიის შედევრებს.

ჯონ ფისკეს მიხედვით, კულტურული პროდუქცია – ტელევიზიის ჩათვლით, რომლისგანაც შექმნილია მასობრივი კულტურა, ორ პარალელურ ეკონომიკაში არსებობს: ფინანსურსა და კულტურულ ში. ფინანსური ეკონომიკა პირველ რიგში დაინტერესებულია გაცვლითი ღირებულებებით, კულტურული კი ფოკუსირებულია „აზრების, სიამოვნებისა და სოციალური იდენტობის“ გამოყენებაზე.

ჩვენი აზრით, მათი ურთიერთქმედების შედეგად შეიქმნა თანამედროვე გასართობი ინდუსტრია, როგორც აუდიტორიისათვის მნიშვნელობებისა და სიამოვნების მიმნიჭებული საშუალება. აუდიტორიის, როგორც მწარმოებლის ძალაუფლება კულტურულ ეკონომიკაში მნიშვნელოვანია. უფრო მეტიც, მომხმარებლის ძალაუფლება მუდავნდება მაშინ როცა მწარმოებლები პროგნოზებს გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, რა გაიყიდება და რა - არა.

ამ ობიექტური გარემოებიდან გამომდინარე, კულტურის ინდუსტრია, წარუმატებლობის კომპენსაციის მიზნით, ცდილობს აწარმოოს საქონლის დიდი „ასორტიმენტი“, რათა აუდიტორიის ყურადღება მიიპყროს. მაგრამ აუდიტორია გამუდმებით არის ჩართული იმაში, რასაც ფისკე (მიშელ დე სერტოს მიბაძვით), „სემიოტურ პარტიზანულ ბრძოლას უწოდებს“. იმის მიუხედავად, რომ კულტურის ინდუსტრია ცდილობს აუდიტორია გააერთიანოს და საქონლის მომხმარებლად აქციოს, ეს აუდიტორია ხშირად ანაწევრებს ტექსტს საკუთარი წინასწარი განზრახვა/პოზიციის საფუძველზე. ამ მხრივ, საინტერესო მაგალითი მოჰყავს ფისკეს, მისი მტკიცებით, „ისრაელში ჩასული რუსი ებრაელები, უყურებდნენ რა ამერიკულ ტელესერიალ „დალასს“, მას „კაპიტალიზმის“

თვითკრიტიკად აღიქვამდნენ. აგსტარალიელი აბორიგენები, ერთ-ერთი ამერიკული მძფარსიუჟეტიანი ფილმის მთავარ გმირს „რემბოს“ პოროგებასთან დაპირისპირებულ ადამიანად თვლიან, თავიანთი პოლიტიკური და კულტურული ბრძოლის გამოცდილებიდან გამომდინარე“ (სოთორი 2007: 46).

მნიშვნელოვანია იმის გააზრებაც, რომ პოპულარული კულტურების დიდი ნაწილი ჩნდება და მიმართულია მათკენ, ვისაც აუცილებელი სამომავლო განათლება არ მიუღიათ. ამასთან, მისი ზედაპირულობა პროგრესული იდეებისა და პოლიტიკური მესიჯების დეფიციტის არსებობის შთაბეჭდილებას ქმნის საზოგადოების იმ ნაწილში, რომელიც დღევანდელობის უფრო სიღრმისეული კრიტიკული ანალიზისაკენ მიისწრაფვის.

პოპულარული კულტურა ათიათასობით ფორმის, ჟანრის, აუდიტორიის, გამოხატვის მანერის, სტილისა და მიზნების სეგმენტად იქცა. მისი მასშტაბები იმდენად დიდია, რომ ინტერპრეტაციის თვალსაზრისით შეუძლებელია მისი მონოლითის სახით განხილვა. ზოგიერთი კ. წ. „პოპულარული კულტურა“ შექმნილია ერთობლივად. დიდი ნაწილი შექმნილია ადამიანთა შედარებით მცირე დაჯგუფებებისთვის, რომლებიც ახლო კავშირშია და მეტ-ნაკლებ მხერვალე ინტერესს გამოხატავენ მოცემული ჟანრების მიმართ. იმავდროულად, სულ უფრო და უფრო მჭიდრო კავშირი მყარდება სექტორებსა და ბაზრის გზებს შორის. ფორმატების მიხედვით ბრენდინგი უმნიშვნელოვანებისა თინეიჯერებს შორის. კომიქსები, კომპიუტერული თამაშები, წიგნები, ფილმები, მუსიკალური კომპაქტდისკები და ვიდეო, სატელევიზიო შოუები შეიძლება „ბრენდის“ სახით იქნეს წარმოჩენილი.

ამავე დროს, მომხმარებელთა კონსოლიდაციის სტიმულირებისათვის უმნიშვნელოვანებისა, როდესაც მსხვილი მედია კონგლომერატები ძველისა ახალის სინთეზიზაციას ახდენენ. ორივე ეს დანიშნულება – სეგმენტაციის და კონსოლიდაციის – ერთდროულად თანაარსებობენ და ერთი მეორესთან წინააღმდეგობაში არ მოიაზრებიან.

იმიჯების მწარმოებლები მიიღებიან სიახლისკენ ან იმიტაციისკენ, რამდენადაც გადამწყვეტი ფაქტორი არის ის, თუ რითი შეიძლება გაიზარდოს მსყიდვებითი ფასი. იმიჯების გამრავლება, რომელთა შორისაც კლიენტებს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა ეძლევათ, იწვევს იმას, რომ სტილისტური კონვენციები მოკლე დროში გაცვეთილ ტენდენციებად იქცევა. იმიჯი კი ფორმით დაუახლოვდა მოდასა და კულტურის ინდუსტრიებს. პოპულარული კულტურა

წარმოადგენს იმ მატერიალური ძალების განსახიერებას, რომლებიც შლიან განსხვავებას „მაღალ“ და „დაბალ“ კულტურულ პროდუქციას შორის.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ „კულტურულ სფეროში, მეცნიერების ექსპანსია და განათლებული აუდიტორიის ზრდა იძლევა დისკურსის ფარგლებში ინოვაციების საშუალებას, რაც პროდუქტებს ახალისებს, რომ გარისკონ პრაქტიკაში, მაშინ როდესაც რეალიზაციის ხარჯი ხშირად ბარიერის როლს თამაშობს“ (ასათიანი 2006: 78).

ჩვენი შეხედულებით, მეტი არჩევანია ცხოვრების სტილის გაუმჯობესების თვალსაზრისით, მეტი პროდუქცია იყიდება დიზაინის მიხედვით, ჩნდება სამოდელო ბრენდები, კომპიუტერული თამაშები, კიდევ უფრო ხელმისაწვდომი ხდება ინტერნეტი. მოსახლეობის საერთო რაოდენობასთან მიმართებით, ბევრად უფრო იზრდება სპორტული მოვლენებისა და ცნობილი პიროვნებების რაოდენობა.

ამავე დროს, ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ყოველივე ამან, დიდი გავლენა მოახდინა ძველ, მაღალ კულტურაზე, რომელიც ამ ვრცელი სფეროს მხოლოდ ერთ-ერთ პუნქტად იქცა და არა მის მწერვალად. მაღალი კულტურა სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული სახელმწიფო სუბსიდიებზე – სადაც მას კონკურენციის გაწევა უხდება როგორც საზოგადოებრივ ხელოვნებასთან, ისე მის მონათესავე ავანგარდულ მიმდინარეობებთან. თავისთავად ნათელია, რომ მაღალი კულტურა მეტ კულტურულ კაპიტალს ფლობს, ვიდრე პოპულარული კულტურა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თანამედროვე ადამიანი ხშირად უფრო პრესტიჟულად თვლის ეგზოტიკურ ქვეყნებში სათავგადასავლო მოგზაურობას, ვიდრე, მაგალითად, იმას, რომ კარგად იცნობდეს მსოფლიო ლიტერატურის კლასიკურ ნაწარმოებებს.

თანამედროვე ინფორმაციულ ეპოქაში ინდივიდის სულიერი და კულტურული მსოფლიშეგნება განიცდის საერთაშორისო საკომუნიკაციო საშუალებათა ზეწოლას. მაყურებელთა და მსმენელთა რეიტინგისათვის მებრძოლი მედია (რეკლამა – მედიის საშემოსავლო, ფინანსური წყარო) საშუალებათა საქმიანობა განსაზღვრულია ეკონომიკური ინტერესებით, იგი ორიენტირებულია მასობრივ კულტურაზე და მასობრივი ცნობიერებიდან დევნის ალტერნატიულ ფორმებს (აქსენიევა 2005: 9).

რეკლამა – გლობალიზებულ, საინფორმაციო ეპოქაში სამომხმარებლო აუდიტორიასთან ურთიერთობის და მართვის მძლავრ საშუალება იქცა. იგი კომუნიკაციის ისეთი ფორმას წარმოადგენს, რომელიც ცდილობს საქონლისა და

მოხმარების ხარისხი ან იდენტი მომხმარებლისათვის საჭირო და სასურველ ენაზე წარმოაჩინოს. სარეკლამო ტექსტი არის დასრულებული შეტყობინება, რომელსაც გააჩნია მკაცრად ორიენტირებული პრაგმატული მითითებები (ბოგე 1995: 95).

თანამედროვე მსოფლიოში რეკლამის საშუალებით ხდება ერთგვაროვანი სამომხმარებლო სტანდარტების დაწესება (ფრენსის ფუკოიამას თქმით, დღეს საუბარი შეიძლება მხოლოდ გლობალურ სამომხმარებლო კულტურაზე, რომელიც ვრცელდება მაკლიური და კონსუმის მსგავსი კომპანიების მეშვეობით). „რეკლამა გამოიყენება როგორც დამხმარე საადაპტაციო მექანიზმი. ხოლო, თუ გავითვალისწინებოთ „თანამედროვე ადამის“ ასეთ „მიჯაჭვულობას“ - ინფორმაციაზე, მაშინ ნათელი გახდება ჩვენთვის, რამდენად დიდია რეკლამის ზემოქმედების ხასიათი“ (გაგოშიძე 1996: 25).

თანამედროვე რეკლამასა და PR-ტექნოლოგიებს იყენებენ ადამიანური მოღვაწეობის ფაქტიურად ყველა სფეროში. რა თქმა უნდა, გასაკვირი არ არის, რომ, უპირველეს ყოვლისა, მას მიმართავს „გართობისა და დასვენების ინდუსტრია“. სამომხმარებლო ბაზარზე რეკლამირების გარეშე კულტურული პროდუქციის ვერანაირი სახე ვერ გაუძლებს კონკურენციას და მითუმეტეს ვერ გახდება პოპულარული.

პოპულარული კულტურა სამყაროს რეპრეზენტირებას ახდენს გართობის საშუალებების მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, რადგან სხვაგვარად მოქმედება მის ბუნებას ეწინააღმდეგება.

ჩვენი პრეტენზია, რომელიც არსებობს პოპულარულ კულტურასთან მიმართებით, ეფუძნება იმ პრობლებას, რომ პოპულარული კულტურები არა მარტო ითვისებენ სულ უფრო დიდ ადგილს შემეცნების სფეროში, არამედ თავად შემეცნება აქციეს გართობის ერთ-ერთ ფორმად.

მაგალითად, პოპულარული კულტურა – სიმღერები, ჟურნალები, კონცერტები, ფესტივალები, კომიქსები, პოპ-ვარსკლავთა ინტერვიუები, ფილმები და ა. შ - ხელს უწყობს ახალგაზრდებს შორის იდენტურობის განცდის ჩამოყალიბებას. მაგალითად, პოპსიმღერები ასახავს მოზარდთა სიმნელეებს დაძაბულ ემოციურ და სქესობრივ პრობლემებთან დაკავშირებით. ისინი უშუალოდ ეხმაურება ცხოვრებისული გამოცდილების მოთხოვნას. აგრეთვე, გამოხატავს თავდაცვის ძიებას მერყევსა და ემოციურად არამდგრად სამყაროში. მათი წარმოება კი კომერციული ბაზრისათვის ნიშნავს, რომ სიმღერები და მათი გაფორმება

მოკლებულია (სხვანაირად ისინი ვერ მოიზიდავენ მასობრივ აუდიტორიას) სათანადო თვითმყოფადობას.

პოპულარული მუსიკა მოქმედებს, როგორც „სოციალური დუღაბი“. თეოდორ ადორნოს მტკიცებით „პოპულარული მუსიკის „სოციო-ფსიქოლოგიური ფუნქცია“ მიაღწიოს მის მომხმარებლებში „თანამედროვე ცხოვრების მექანიზმების ფსიქიკურ მოწესრიგებას“ (სთორი 2007:137).

მიგვაჩნია რომ, მაღალი ემოციური ფონი რომელიც პოპმუსიკის თანმდევია, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ახალგაზრდების ფსიქიკაზე. ქმნის რა გრძნობიერებას, რომელიც მოკლებულია სიღრმეს. ახალგაზრდა ემოციურად იხარჯება, მაგრამ აღარ ივსება. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, პოპულარული კულტურა არ ქმნის ახალ გრძნობებსა და ემოციებს. პოპკულტურასთან ურთიერთქმედებისას ემოცია და შეგრძნებები ემყარება აწმუნს და იგი სწრაფად წარმავალია.

არა მარტო პოპმუსიკის, არამედ ნებისმიერი პოპულარული კულტურის მომხმარებელთა პიროვნებათაშორისი ურთიერთობები სულ უფრო ზედაპირული ხდება. თითქოს ერთი შეხედვით პოპულარული კულტურა ხელს უწყობს, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის, აქტიურ კომუნიკაციას: შთაბეჭდილებისა და ემოციების გაზიარების, საერთო იდენტობის შეგრძნების თვალსაზრისით. ცხოვრების სწრაფი დინამიკა ცვლის ადამიანთა შორის ურთიერთობების ხასიათს, თანამედროვე ტექნოლოგიური მიღწევები კომუნიკაციის სფეროში ცვლის პიროვნებათაშორისი ურთიერთობების დინამიკას, ინტენსივობას, ხანგრძლივობას, ტრადიციულად არსებული კომუნიკაციის ფორმებს, ასევე, გარკვეულ ასპექტებში შეიცვალა ურთიერთობის „ტექნიკური პარამეტრები“.

ინფორმაციულმა ტექნოლოგიებმა (კომპიუტერი, ტელევიზია, რადიო, კავშირგაბმულობა, საინფორმაციო ელექტრონული ბანკები) მკვეთრად შეცვალეს ადამიანის ცხოვრების წესი. დღევანდელი თანამედროვე ადამიანი ვიდეოტელეფონით ხელში მიერთებულია ინტერნეტთან და იგი მისთვის საჭირო ინფორმაციას თუ მომსახურებას დროის უმცირეს მონაკვეთში იღებს. იზრდება ქვეყნებს შორის კონკურენცია ყველა დარგში თუ სფეროში. ინტერნეტს მივყავართ ცოდნის დენაციონალიზაციისაკენ. ტექნოლოგიის განვითარების კვალობაზე რთულდება საზოგადოებრივი ურთიერთობები. თანამედროვე ტექნკულტურულ გარემოში ადამიანი ზედმეტად დაძაბულია, ნერვული სისტემა იოლად აღეგზნება, უჭირს სრულფასოვანი დასვენება და ა. შ

ამ თვალსაზრისით, ტელევიზია ინფორმაციული ტექნოლოგიებიდან ყველაზე უფრო ნათლად ასახავს თანამედროვე პოსტმოდერნულ ატმოსფეროს. შეიძლება ითქვას ტელევიზია წარმოადგენს „რეალურ სამყაროს“. ტელევიზია არის არა მხოლოდ ტექნოლოგიური ობიექტი, არამედ „სოციალური აპარატი“ (ემელინი 1999:1).

როგორც უმბერტო ეკო აღნიშნავს, „გამოსახულებებს აქვთ „პლატონური ძალა“, ისინი კერძო იდეებს გარდაქმნიან საზოგადოებრივ იდეებად, დამაჯერებლობის სტრატეგიის გატარება კი უფრო ადვილია ვიზუალური კომუნიკაციების საშუალებით“ (ეკო 1998: 92).

ისევე, როგორც ყველა საინფორმაციო ტექნოლოგია, ტელევიზიაც თავისი არსით არის სიმულაკრი, ტელევიზიისა და რეალობის გაიგივება უნდა გავიგოთ ისე, რომ ის, რაც არ არის ასახული ტელევიზიის რეალურ სამყაროში, შორს არის თანამედროვე ეპოქის მთავარი ტენდენციისაგან.

კანადელი ფილოსოფოსები არტურ კროუკერი და დევიდ კუკი თავის წიგნში „პოსტმოდერნისტული სცენა: ექსპერიმენტალური კულტურა და ჰიპერესთეტიკა“ უარყოფენ ტელევიზიის ტრადიციულ განსაზღვრებას, რომლის მიხედვითაც იგი ემორჩილება საზოგადოებას. მათი აზრით, პოსტმოდერნულ კულტურაში ტელევიზია კი არ არის საზოგადოების სარკე, არამედ საზოგადოებაა ტელევიზიის ამსახველი (ილინი 1996: 215).

როგორც ვიცით, ტელევიზია არის ტექნოლოგია, რომელიც ზემოქმედებს ადამიანის გრძნობებზე არა ინფორმაციით, არამედ გადაცემის ხერხის მეშვეობით. ტელევიზიის ამგვარი განსაზღვრება შესაბამისობაში მოდის ინტერტექსტუალობის იდეასთან, ვინაიდან ტელეშეტყობინება არა მხოლოდ ტექსტია, არამედ არის სიმულაციური სისტემაც, სადაც ერთდროულად მონაწილეობს როგორც ვერბალური შეტყობინება, ისე ვიზუალური გამოსახულება, მოზაიკური სიმბოლიკა, ელექტრონული კოდები და საბოლოოდ კი – მაყურებელი. ტელევიზია წარმოგვიდგება განსაკუთრებული, დეკოდირებული ენის ნაკადად, რაშიც მოზაიკურ ფრაგმენტებს შორის ქრება ნებისმიერი პრივილეგირებული სუბსტანცია“ (დელეზი 2007:72).

შეიძლება ითქვას, რომ ტელევიზია არის პოსტმოდერნული ეპოქის სტილი და გამოხატულება, ამის დასასაბუთებლად კი აუცილებელია გამოვააშკარავოთ განსაზღვრული ურთიერთკავშირი პოსტმოდერნულ იდეებსა და ტელევიზიურ ტექნოლოგიებს შორის. როგორც ცნობილია, პოსტმოდერნული დისკურსის ძირითად მსოფლმხედველობრივ მახასიათებლები, ისევე როგორც პოსტმოდერნის

კულტურის ორგანიზების მეთოდოლოგია დეტერმინირებულია შემდეგი არსებითი ცნებებით – ფრაგმენტულობა, ინტერტექსტუალობა, სიმულაცია, პლურალიზმი.

დღეს ტიპიურია ადამიანის სახე, რომელიც ზის სიმარტოვეში ტელევიზორის წინ და მასზე მიჯაჭვული ვერ ამჩნევს გარესამყაროს. მისთვის ახლობელია მხოლოდ ეკრანზე მოციმციმე სერიული სახეები. უნდა ითქვას, რომ სწორედ ასეთია ტელევიზიის კულტურის არქეტიპი.

„მედია, სულ უფრო მეტად იჭრება ყოველდღიურ ცხოვრებაში, გადაკვეთს მას, შეენივთება და ტერიტორიებს ჩამოართმევს; იგი განცდათა უბნებს ქმნის რეალურ სამყაროში ან სოციალურ საქმიანობებს ამკვიდრებს მასში, რომლებიც თავის საკუთარ გაურკვეველ რიტში გამოჩნდებიან და ქრებიან“ (დიურინგი 2009 :185).

გლობალური კულტურის ჩამოყალიბების ცენტრშია ინტერნეტი. ინტერნეტი არის სამყაროს მიკრომოდელი, რომელშიც შეგვიძლია არა მარტო სასურველი ინფორმაციის მოძიება, არამედ ურთიერთობაც. ამის კარგი მაგალითია ინტერნეტ სოციალური ქსელები, რომლებიც დღითიდღე სულ უფრო პოპულარული ხდება სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში. ინტერნეტის, ვებ-გვერდების და ელექტრონული ფოსტის სოციოლოგებისთვის ყველაზე შემაშფოთებელი არის ის ფაქტი, თუ როგორ აყალიბებს ის ახალი კომუნიკაციის ქსელებს და ახალ კულტურებს. ყველაზე მარტივად, რომ ვთქვათ პერსონალური ვებ-გვერდები ხდება საკუთარი თავის პრეზანტაციის ახალი საშუალება. ასე ჩნდება ვირტუალური რეალობა ანუ ციფრული სამყარო, სადაც კომუნიკაცია, რელიგია და პოლიტიკა მჭიდროდაა გადაჯაჭული ერთმანეთზე (ბერძენიშვილი 88).

ამ პოზიციის გასამტკიცებლად ვფიქრობ საინტერესო იქნება ერთი მაგალითის მოყვანა, კერძოდ ვისაუბრებ ახალი ტიპის ინტერნეტ სოციალურ ქსელზე, რომელიც სამგანზომილებიან ვირტუალური სამყაროს სახით არის მოცემული - „Love City 3D“-ს სოციალურ ქსელი, რომელიც ადამიანების ურთიერთგაცნობის და კომუნიკაციის მიზნებს ემსახურება. ამ 3D-თამაშში მთელი ვირტუალური სამყაროა: მომხმარებელთა პერსონალური ავატარები, დამის კლუბები, ლუდხანები, საცეკვაო მოედნები, სტრიპტიზ კლუბები, მაღაზიები, სასტუმროები, მომხმარებელთა „საკუთრებაშია“ ბინები პერსონალური მოხმარებისათვის და ა. შ. ფაქტიურად „სიყვარულის 3D ქალაქში“ წარმოდგენილია გასართობი ინდუსტრია მთელი თავისი ატრიბუტიკით. აქ რეალური ადამიანები ურთიერთობენ, მეგობრობენ, ბრაზობენ, ეჭვიანობენ, უყვართ და ძულთ ერთმანეთი. აქვთ გარკვეული სოციალური

კავშირები და გამოპეტილი სოციალური სტატუსი, ფაქტიურად როგორც ჩვენს რეალურ ცხოვრებაში.

გარკვეული თვალსაზრისით, იქმნება ისეთი შთაბეჭდილება თითქოს ეს ვირტუალური სამყარო უფრო მეტად რეალურია, ვიდრე ჩვენი რეალური ცხოვრება. ყოველ შემთხვევაში მომხმარებელთ თამაში აძლევს იმ შესაძლებლობებს, რომლებსაც მოკლებულნი არიან ყოველდღიურ სინამდვილეში. აქედან გამომდინარე, გართობის და სიამოვნების მიღების მიზნით, მომხმარებელები შედიან ავატარის „კანში“ და ცდილობენ წარმოიდგინონ ვირტუალური, როგორც რეალური. ამავე დროს თამაშში აკეთებენ იმას რასაც ვერასოდეს გააკეთებენ რეალურ ცხოვრებაში. მომხმარებელებლები აცნობიერებენ - ეს თამაშია!, მაგრამ მათი ემოციები თამაშის პროცესში სავსებით რეალურია.

ამ გადმოსახედიდან, შეიძლება შეიქმნას შთაბეჭდილება, თითქოს რეალური თანამედროვე სამყარო მხოლოდ იმიტომ გვეჩენება სინამდვილედ, რომ აქ ვირტუალურის ნიშნები არ არის იმდენად შესამჩნევი, როგორც, მაგალითად ამ თამაშში. გარკვეულწილად შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე გართობის ისტორია, შესაბამისად პოპულარული კულტურები თანამედროვე ცხოვრების წესის მოდელირებას ახდენენ, ხოლო მათი პროდუქციის მომხმარებელები გარკვეული პარამეტრების ფარგლებში ისევე მოქმედებენ ნამდვილ სამყაროში, როგორც ამ თამაშში. ანუ, ამ მხრივ, გაგებული სინამდვილე ძალიან წააგავს თამაშს. ამავე დროს „Love City 3D“ შექმნელები მუდმივად იკვლევენ მომხმარებელთა მოთხოვნილებებს და საბოლოო ჯამში მომხმარებელთა გემოვნების გათვალისწინებით, „Love City 3D“ შიგადაშიგ ექვემდებარება განახლებას.

განა ზოგადად იგივეს არ აკეთებს „გართობის თანამედროვე კომერციული ინდუსტრია“ ?! . . .

როგორც უკვე აღვნიშნეთ, „დასვენების კულტურა“ გაცილებით უფრო რესპექტაბელურად ითვლება მრავალ ადამიანთა მიერ, ვიდრე „მაღალი ხელოვნება“. ამ დროს, მაღალი დონის კულტურის მომხრეები უკვე ალყაშემორტყმული უმცირესობის მსგავსად გამოიყურებიან, რომლებიც სულ უფრო მეტად საჭიროებდნენ გამუდმებულ მხარდაჭერას.

კულტურის შექმნა რთული და წინააღმდეგობრივია, იგი შეუძლებელია განსაზღვრებათა და მანიპულაციათა უბრალო აღნიშვნით ავსენათ.

გემოვნება არ არის თანდაყოლილი, იგი ადამიანში სოციალური აღზრდის პროცესში ფორმირდება. სოციო-კულტურული გარემო გავლენას ახდენს გემოვნების ჩამოყალიბებაზე, და ამ თვალსაზრისით, განსაზღვრავს იმ მოთხოვნილებებსაც, რაც ადამიანს საკუთარ თავთან თუ გარე სამყაროსთან მიმართებით გააჩნია. რადგან თანამედროვე პოპულარულ კულტურებს უფრო მეტად კომერციული ინტერესები ამოძრავებს, პოტენციურ მომხმარებელთა მოზიდვის მიზნით ობიექტურად მიმართულია ისეთი პროდუქციის შექმნაზე, რომელიც ორიენტირებულია „სიამოვნებაზე, გართობის და დასვენების კულტურაზე“. გემოვნებები გარკვეულწილად უკვე ნაკლებადაა დაკავშირებული კლასთან, მათ მიერ გამხნევებული საჯარობა, როგორც იდენტურობის მანიშნებელი და ცხოვრებისეული გამოცდილება, დიდ მნიშვნელობას იძენს – ყველაზე მეტად უმცირესობებთან მიმართებაში, რომელთა საკუთარი თავის აღქმა მათთვის მიწოდებული სტილისა და გემოვნების ირგვლივ არის ჩამოყალიბებული.

ბუნებრივია ადამიანებს გვჭირდება დასვენება, გართობა, ამის გარეშე წარმოუდგენელია ცხოვრება და ჩვენც ობიექტურად დაინტერესებული ვართ, რომ ამისათვის ყველა პირობა არსებობდეს. საქმე იმაში გახლავთ, თუ რამდენად „ხარისხიანია“ ის კულტურული პროდუქცია, რომელსაც მისი შექმნები გვთავაზობენ. ის, რომ პოპულარულია, ყოველთვის არ ნიშნავს, რომ კარგია.

კულტურულ ზონებსა და ჟანრებში განსაკუთრებით თვალშისაცემია, რომ არანაირად არ ხდება სრული შეთანხმება ხარისხის თაობაზე (ასათიანი 2006: 75).

საქმეც სწორედ ამაშია, ამ „გამორჩეულ ხარისხს“ ნაკლებად ვპოულობთ თანამედროვე პოპულარულ კულტურებში. ამავე დროს, „ხარისხში“ არ ვგულისმობთ მხოლოდ პროდუქციის ტექნიკურ გამართულობისა და სრულყოფის ასპექტს (ან პროდუქციის შექმნას მრავალგზისგამოყენებადი ტექნიკურ-შემოქმედებით სტანდარტებით), „ხარისხი“ ჩვენთვის ისეთ შინაარსში, ემოციებსა და შეგძნებებშია, რომლებიც „კი არ გვაცარიელებს, არამედ გვავსებს“.

ჩვენი შეხედულებით, თანამედროვე პოპულარული კულტურა, შესაბამისად გასართობი ინდუსტრია თავის „სიამოვნებაზე“ ორიენტირებული საშუალებებით სულ უფრო მეტად იჭრება, მეტ ადგილს იკავებს ადამიანის ცხოვრებაში და პრეტენზიას აცხადებს არსებობის უფლებაზე ნებისმიერ საზოგადოებაში, რადგან ობიექტურად, ვერანაირი აკრძალვები ვერ შეაჩერებს მას. პოპულარული

კულტურის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ძალით თავს ვერავის მოახვევ, კულტურა პოპულარული ხდება თუ საზოგადოება აიტაცებს. საქმეც იმაშია, რომ მისი მაცდუნებელი ბუნება მას ნებისმიერ საზოგადოებაში შეღწევადს ქმნის.

ჩვენი დასკვნით, კულტურული გლობალიზაციის პირობებში გლობალურად პოპულარული კულტურული პროდუქციები ნეგატიურ ზეგავლენას ახდენენ და ზიანს აყენებენ ადგილობრივი ტრადიციული კულტურების თითმყოფადობას. თანამედროვე პოპულარული კულტურების ობიექტური ბუნებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ იგი გარკვეულწილად წარმოადგენს საფთხეს, რომელიც წინააღმდეგობაში შედის და მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საზოგადოების ეროვნულ-კულტურულ მესიერებას და შეიცავს პიროვნების კულტურული მესიერების ანომიის და გლობალურ სამყაროში ადამიანის დეზორიენტაციის გამომწვევ ერთგვარ წინაპირობებს.

მაგალითად, როდესაც პოპულარული კულტურები იყენებენ „მაღალი“ კულტურის მიღწევებს, იდებენ ეროვნულ, თუ ეთნიკურ მოტივებს ტრადიციული ხალხური კულტურებიდან და მათ ინტერპრეტაციას ტრანსფორმაციას ახდენენ საბაზრო მოთხოვნების შესაბამისად, ამას ზოგიერთი ექსპერტი უარყოფითად აფასებს, რადგან მათი აზრით, ეს აკნინებს ზოგადად კულტურას. მეორე პოზიციით, ყოველივე ეს მულტიკულტურალიზმის გამოხატულებაა, რაც ხაზგასმით აღნიშნავს სამყაროს მრავალფეროვნებას, ხელს უწყობს ინტერკულტურულ ურთიერთობებს და განსხვავებულ კულტურათა ურთიერთგაცნობას.

ჩვენი შეხედულებით, კულტურული გლობალიზაციის კვლევის ასპექტში, სამეცნიერო ლიტერატურაში წარმოდგენილი არაერთგვაროვანი შეფასებები არ არ არის გასაპირი, რადგან კულტურული კვლევები ყოველთვის წარმოშობდა აზრთა სხვადასხვაობას, იცვლებოდა ისტორიული და პოლიტიკური გარემოებების ცვლილებებთან ერთად. ხელმისაწვდომი ინფორმაციის რაოდენობა და მრავალფეროვნება გვიბიძგებს იმისკენ, რომ ჩვენი ცხოვრება მიღებული ინფორმაციის ჭრილში განვიხილოთ. თანამედროვე ექსპერტული ცოდნა არ ეფუძნება რაიმე ტრადიციას და არ არსებობს რეალური რეკომენდაცია იმისა, თუ როგორი არჩევანი უნდა გავაკეთოთ ან კიდევ როგორი შეფასება შეიძლება მივცეთ ექსპერტთა მოსაზრებას. შედეგად მომავლის დიაობა დგას, როგორც შესაძლებლობების, ასევე საფრთხის წინაშეც.

თანამედროვე კულტურული კონფლიქტების თეორიების პვლევის ასპექტები დასავლური კულტურა და პოლიტიკური ეკონომიკა გლობალიზაციის დომინირებად ფორმად იქცა. თუკი დასავლური მოდელის გლობალური მოძალება, ერთი მხრივ, კაცობრიობას უფრო იდენტურს და მსგავს ხდის, მეორე მხრივ, იგი იწვევს მძაფრ უკურეაქციას, განსაკუთრებით კულტურის სფეროში.

ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, თანამედროვე კულტურული კონფლიქტების თეორიების ანალიზის საფუძველზე გიორგი სანიკიძე აღნიშნავს, რომ „გლობალიზაციური პროცესების შედეგად წარმოქმნილი დილემა მთელ მსოფლიოს მოიცავს. მაშინ როდესაც, გარკვეული კულტურის მატარებელი ხალხი სხვის კულტურას აღიქვამს არა მხოლოდ უცხოდ, არამედ საფრთხედაც, და ეს შეიძლება სერიოზული კონფლიქტების საფუძველი გახდეს“ (სანიკიძე 2001: 197).

კულტურები ყალიბდება სხვადასხვა დონეზე: სოფლის, ქალაქის, რეგიონის დონეზე ოჯახის, კლანების, ეთნიკური ჯგუფების საშუალებით. კულტურული იდენტურობა ახასიათებს როგორც ერს, ისე სახელმწიფოს. კულტურული იდენტობის ეველაზე დიდი კონსტრუქციას წარმოადგენს ცივილიზაცია, რომელშიც სხვადასხვა ხალხების იდენტიფიცირება ხდება მათი დამაკავშირებელი ესთეტიკური, ფილოსოფიური, ისტორიული თუ სოციალური ტრადიციებით. ცივილიზაციები ტრანსნაციონალური ერთობებია და ისინი ყალიბდება სხვადასხვა ხალხებისა და მსოფლიოს რეგიონის ფუძემდებლური კულტურული მახასიათებლების გაერთიანებით.

ვალერსტაინის აზრით, „მსოფლიო სისტემებს გააჩნიათ საკუთარი გეოკულტურები და საჭიროა გარკვეული დრო, რომ ასეთი გეოკულტურა მოცემულ ისტორიულ სისტემაში „ჩაჯდეს“. ვალერსტაინი „კულტურას“ ამ შემთხვევაში იყენებს ტრადიციულ ფასეულობათა და ძირითადი წესების/ნორმების სისტემის მნიშვნელობით, რომლებიც ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, გავლენას ახდენენ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე და ქმნიან გარკვეულ ილუზიურ სისტემას, რომელიც თავის მხრივ საზოგადოებას არწმუნებს მის ლეგიტიმურობაში. ნებისმიერ სახის მსოფლიო სისტემაში ყოველთვის არსებობენ ადამიანები (ჯგუფები), რომლებიც მთლიანად ან ნაწილობრივ უარყოფენ გეოკულტურულ ფასეულობებს, ზოგიერთი კი იბრძვის კიდევ მის წინააღმდეგ. მაგრამ, უმრავლესობა თავის ცხოვრებაში ამ ტრადიციული ფასეულობებით ხელმძღვანელობს“ (ვალერსტაინი 2001: 86).

აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ: იაპონელი პოლიტოლოგის ფუკუიამას „კონცეფცია „ისტორიის დასასრულის შესახებ“, რომელშიც ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ კაცობრიობის ისტორია თავის განვითარების დამასრულებელ ფაზაში შედის და არც ისე შორს არის ხანა, როდესაც მსოფლიოში ყოველგვარი ანტაგონიზმი მოისპობა – დღეს ნაკლებად სარწმუნო ხდება, რადგან თანამედროვე სამყაროში განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ფუკუიამას „ისტორიის დასასრულამდე“ ჯერ კიდევ შორია.

თანამედროვე მსოფლიოში გაბატონებილი პრინციპები და ნორმები განიხილება, როგორც იუდეგურ-ქრისტიანულ საფუძველზე ჩამოყალიბებული ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულეობები. ფაქტობრივად დღეს, თითქმის ყველა განვითარებული და წარმატებული სახელმწიფო ამ ფასეულობების მატარებელია. მაგრამ მიუხედავად ამისა, ინდივიდუალიზმის, ლიბერალიზმის, კონსტიტუციონალიზმის, თავისუფლების, კანონის უზენაესობის, დემოკრატიის, თავისუფალი ბაზრის, სახელმწიფოსა და ეკლესიის გამიჯვნის დასავლური იდეები ხშირად ძალიან სუსტ გამოძახილს პოულობს ისლამურ, კონფუციანურ, იაპონურ, ინდურ, ბუდისტურ თუ მართლმადიდებლურ კულტურებში (კვესელავა 2009:153).

ჩვენი შეხედულებით, სხვადასხვა ცივილიზაციები თავიდანვე გამომდინარეობდნენ განსხვავებული ფილოსოფიური შეხედულებების, ძირითადი ფასეულობების, სოციალური კავშირების, ადათ-წესების, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში აღმოცენებული რელიგიების და ტრადიციულად არსებული მსოფლმხედველობებიდან.

ჰანთინგტონი, რომელიც ფუკუიამას იდეის საპირისპიროდ საუბრობს არათუ ანტაგონიზმის დასასრულზე, არამედ პირიქით, „ცივილიზაციათა შეჯახებაზე“ და ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობების გამწვავებაზე, მიიჩნევს რომ „უნივერსალური ცივილიზაციის“ წმინდა დასავლური იდეის მთელი მსოფლიოს მასშტაბით ექსტრაპოლაციის მცდელობა, ანუ იდეების პროპაგანდა დასავლეთის მხრიდან, სხვა ცივილიზაციებში იწვევს რეაქციას ე. წ. „დემოკრატიული იმპერიალიზმის“ წინააღმდეგ.

მსოფლიოს ისტორია კონფლიქტების ერაში შედის. ოდონდ კონფლიქტებს აღარ წარმოშობს იდეოლოგია ან ეკონომიკა, არამედ – კულტურათა შეჯახება. ახალ მსოფლიოში, ფართო, სერიოზული და საშიში კონფლიქტები (ჰანთინგტონის მიხედვით) იფეთქებენ არა სოციალური კლასების, მდიდრებს და

დარიბებს, ან გარკვეულ ექონომიკურ დაჯგუფებათა შორის, არამედ იმ ხალხებს შორის, რომლებიც სხვადასხვა პულტურებს მიეკუთვნებიან. ასეთი ხასიათის ომები და კონფლიქტები განვითარდება ცივილიზაციის ჩარჩოებში. ოდონდ ეს დაპირისპირებული სახელმწიფოები, თუ სხვადასახვა სახის საზოგადოებრივი დაჯგუფებები, რომლებიც ერთმანეთის მიმართ ძალადობას განახორციელებენ, სხვადასხვა ცივილიზაციების წარმომადგენლები იქნებიან. ამ პოზიციას ემსრობა უკა დილერიც და მიუთითებს, რომ ყველაზე საშიში კონფლიქტების გაჩაღება მოსალოდნელია ცივილიზაციის განაპირა საზღვრებზე.

ცივილიზაციები დინამიკურია დროსა და სივცეში. სხვადასხვა პულტურების გაერთიანებასთან ერთად, ისინი ყალიბდება წარსული ცივილიზაციების იდეებსა და მაგალითებზე. თანამედროვე მსოფლიოში არსებობს მკაფიოდ გამოკვეთილი ცივილიზაციების რაოდენობა. ამასთანავე მრავალი ხალხის მიკუთვნება რომელიმე ცივილიზიციისადმი, საკმაოდ რთულია. ერთი მხრივ, იმის გამო, რომ ისინი არ ერთიანდებიან ჩამოყალიბებული და საკმარისი ძალის სიმბოლოების, ტოტემების ირგვლივ, მეორე მხრივ კი, „იხლიჩებიან“ სხვადასხვა ცივილიზაციებს შორის (ამ თვალსაზრისით, საკმაოდ რთულია, მაგალითად სამხრეთ ამერიკის, აფრიკის, იგივე რუსეთის ცივილიზაციური კუთვნილების განსაზღვრა). ჰანთიგტონის მიხედვით, „საზოგადოებები, რომლებიც ისტორიული გარემოებებიდან გამომდინარე, გაერთიანებული არიან იდეოლოგიის საფუძველზე, მაგრამ განსხვავებულ კულტურებს წარმოადგენენ – იშლებიან, როგორც ეს მოხდა საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავის შემთხვევაში, ან იმყოფებიან მუდმივი დაძაბულობის მდგომარეობაში, როგორც უკრაინის, ნიგერიის, სუდანის, ინდოეთის, შრი-ლანკის და სხვა მრავალი ქვეყნის მაგალითზე ჩანს. ამავე, დროს მსგავსი კულტურები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, როგორ ეკონომიკური, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისთაც, მაგალითად უკროკავშირი, ამ მხრივ, ბევრად უფრო წარმატებულია, ვიდრე ისინი, ვინც კულტურაზე „მაღლა“ დაგომას ცდილობენ“ (ჰანთიგტონი 2003: 8-9).

მსოფლიოში სადაც უკვე დასრულდა „ცივი ომი“, კულტურა გამოდის ერთდროულად გამთიშველი და გამაერთიანებელი ძალის ხარისხში. განსხვავებული იდეოლოგიის, მაგრამ ერთი კულტურის (ცივილიზაციური თვალსაზრისით) მქონე ადამიანები ერთიანდებიან, როგორც ეს მოხდა „ორი გერმანიის“ შემთხვევაში, და შესაძლებლია იგივე განმეორდეს „ორი კორეის“ და

„რამდენიმე ჩინეთის“ შემთხვევაში. დაბაბულობა იზრდება აფრიკისა და აზიის მრავალ ქვეყანაში (ინოზემცვი 1999: 533).

XX საუკუნეში, როდესაც აზიისა და აფრიკის ხალხები აღდგნენ კოლონიალური მმართველობის წინააღმდეგ, ევროპაში შექმნილი ნაციონალური დოქტრინა გლობალურად გავრცელდა. მაგრამ მისი დასავლური გაგება, ნაკლებად მისაღები გახდა არაევროპული და არაქრისტიანული სამყაროსათვის. ამ გარემოებას უფრო ამწვავებს, ის რომ სხვადასხვა უძველესი რელიგიებისა თუ ეთნოსების წარმომადგელობით დასახლებული სახელმწიფოები, მიუხედავად მათი ბუნებრივი წიაღისეულით სიმდიდრისა თუ მოსახლეობის დიდი რაოდენობისა, ვერ ახერხებენ სასურველი ტემპებით განვითარებას. დეკოლონიზაციის შედეგად მსოფლიოს მრავალმა სახელმწიფომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მაგრამ ვერ შეძლო ამ დამოუკიდებლობის სრულფასოვანი რეალიზაცია და განვითარებული სახელმწიფოს შექმნა (დეკოლონიზაციის შედეგად, დასავლეთმა ყოფილი კოლონიების ტერიტორიებზე ახალ სახელმწიფო საზღვრები მოხაზა, რის გამოც, ზოგიერთ შემთხვევაში ერთი სახელმწიფოს ფარგლებში მოქცნენ ერთმანეთისადმი მტრულად გამწყობილი ეთნოსები (ან ტომები), ან პირიქით, საერთო წარმომავლობის ეთნიკური ჯგუფები საზღვრის სხვადასხვა მხარეს აღმოჩნდნენ). მას ემატება, ის მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომ ამ ქვეყნებში, დღითიდღე არა მარტო იზრდება დარიბთა რიცხვი, არამედ თვალშისაცემია მდიდართა და ლარიბთა შორის მზარდი უფსერული (იაკობაშვილი 2010: 2).

პანთიგტონის აზრით, პრობლემები, რომლებიც გვევლინება წყალგამყოფად დასავლეთსა და სხვა საზოგადებებს შორის, სულ უფრო და უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობენ საერთაშორისო პოლიტიკაში. ეს პრობლემა დაკავშირებულია დასავლეთის ძალისხმევასთან შეინარჩუნოს თავისი სამხედრო, პოლიტიკური და ეკონომიკური უპირატესობა. ეს კონცეფცია ეყრდნობა ბირთვული, ბიოლოგიური და ქიმიური იარაღის გავრცელების შეზღუდვის პოლიტიკას, დასავლური ფასეულობების და ინსტიტუტების ექსტრაპოლაციის მცდელობას, ანუ დანარჩენ მსოფლიოს თავს ახვევენ და აიძულებენ პატივი სცენ ადამიანის უფლებებს ისეთი გაგებით, როგორც ეს ესმით დასავლეთში, დემოკრატიზაცია უნდა განხორციელდეს დასავლური მოდელით და ა. შ. ამავე დროს, თვალს ხუჭავენ, ან მსუბუქ შეშფოთებას გამოთქვამენ მხოლოდ, ადამიანის ფუნდამენტური უფლებების უხეშ დარღვევებზე იმ ქვეყნებში, რომელიც სტრატეგიული მოკავშირეები არიან (მაგალითისათვის, პაკისტანიც

საკმარისია). საკუთარ თავზე ზრუნვის თვალსაზრისით, დასავლეთი ცდილობს დაიცვას თავის საზოგადოებების პულტურული, სოციალური და ეთნიკური მთლიანობა. ზღუდავს ემიგრანტებისა და ლტოლვილების შემოდინებას მათ ქვეყნებში.

ორმოცი წლის მანძილზე „რკინის ფარდა“ იყო ცენტრალურ გამყოფ ხაზი ევროპაში. დღეს ეს ხაზი გადაიწია ასი მილიო ადმოსავლეთით. დღეს ის გამოყოფს დასავალეთის ქრისტიანულ სამყაროს მართმადიდებლური და მუსულმანური სამყაროებისაგან (პანთიგრონი 2003: 8-9)

პანთინგრონის მიხედვით, მომავალში მსოფლიო პოლიტიკის ცენტრალური დერძი, როგორც ჩანს, იქნება კონფლიქტი „დასავლეთსა და დანარჩენებს შორის“, რაც გამოხატული იქნება არადასავლური ცივილიზაციების საპასუხო რეაქციით დასავლეთის ძლიერებასა და ღირებულებებზე. დასავლური იუდეურ-ქრისტიანული ცივილიზაციისა და ადმოსავლური მუსულმანური ცივილიზაციის დაპირისპირება და ურთიერთობის კრიზისი თანამედროვე მსოფლიოს მნიშვნელოვანი პრობლემაა. უფრო მეტი, როგორც ზოგიერთი მკველავარი მიიჩნევს ამ ორ ცივილიზაციას შორის. „გამოუცხადებელი ომი“ მიმდინარეობს. „ცივი ომის“ დასრულების შემდეგ, ამ ისტორიული ანტაგონიზმის განწვავებამ ფართო აღიარება ჰპოვა ორივე ცივილიზაციის წარმომადგენელთა მხრიდან. 1994 წელს, ერთ-ერთი წამყვანი ეგვიპტელი უურნალისტი მუჭამედ სიდ-აჰმედი წერდა „დღითიდღე ძლიერდება შეჯახება დასავლეთის იუდეურ-ქრისტიანული ეთიკისა და ისლამური აღორძინების მოძრაობებს შორის, ეს დაპირისპირება ვრცელდება ატლანტიკის ოკეანის სანაპიროებიდან დაწყებული დასავლეთში და ჩინეთამდე აღმოსავლეთში“ (ინოზემცოვი 1999:1950).

ახლა შევეცადოთ გავაანალიზოთ ოუ რა ფაქტორები განაპირობებს ანტიგლობალისტურ მოძრაობებს, ან სხვაგვარად, ოუ რომელი კულტურა როგორ მიმართებას ამჟღავნებს საერთო საზოგადოების შექმნის პროცესისადმი. დავიწყოთ იმ კულტურით, რომელიც ამ ეტაპზე ყველაზე თვალშისაცემი მოწინადებება გლობალიზაციური პროცესების.

„ზოგიერთი ერები, რომელთაც უფრო ძლიერი ეროვნული ტრადიცია გააჩნიათ, აქტიურად უწევენ წინააღმდეგობას გლობალიზაციას. დასავლურ ცივილიზაციასთან ცივილიზაციური დაპირისპირების ყველაზე მწვავე მაგალითია – ისლამური ცივილიზაცია“ (პანთიგრონი 2003: 475-489).

მუსლიმური ქვეყნების და მუსლიმური კულტურების ანტიგლობალისტური განწყობები, გარკვეულწილად, ტრადიციების, ენის, ღირებულებების,

მენტალობის, ცხოვრების წესის დაკარვის შიშით არის გამოწვეული. ამ კულტურის მატარებელი ინდივიდის თუ ხალხის ცნობიერებაში სპეციფიკურია ის გარემოება, რომ გლობალიზაციური პროცესები მათ მიერ აღიქმება ტრადიციული მეტოქის ქრისტიანობის ტრიუმფად. მათდამი მიმართული ყოველი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და მითუმეტეს სამხედრო აქცია განიცდება როგორც ჯვაროსნული ომი. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ამ კულტურის ისტორიული მეხსიერება საუკუნეების მანძილზე ძირითადად ყალიბდებოდა ქრისტიანობასთან წინააღმდეგობაში, რამაც განაპირობა ისეთი რადიკალური პუნქტის შეტანა მუსლიმთა წმინდა წიგნში - ყურანში, როგორიცაა საღვთო ომის - ჯიპადის წმინდათა წმინდა საქმედ მიჩნევა. ყოველ მუსლიმს ვინც სარწმუნოებისათვის გაწირავს თავს „გარანტირებული“ აქვს ადგილი სამოთხეში. ადამიანის ცხოვრების საზრისი ამ კულტურაში რჯულის დაცვისთვის თავის გაწირვაში მდგომარეობს. მუსლიმურმა კულტურამ მოდერნიზაცია არ განიცადა და დღესაც ამ კულტურის დერძი და მთავარი შემადგენელი რელიგიაა და რასაკვირველია მოვლენათა მათეული შეფასებაც რელიგიური ცნობიერებით არის განპირობებული.

წინააღმდეგობის თავისებურ ხასიათს ამჟღავნებენ მართმადიდებლურ-სლავური კულტურის წარმომადგენლები და მათი ლიდერი ქვეყანა რუსეთი. მისი როგორც უკვე ყოფილი ზესახელმწიფოს დამოკიდებულება გლობალიზაციური პროცესებისადმი მეტად თავისებურია და გამომდინარეობს ამ კულტურის სულიდან. რუსეთი საუკუნეების განმავლობაში ამკვიდრებდა პანსლავისტურ იდეას, ოცნებობდა გამხდარიყო მესამე რომი, მაგრამ მისდა სამწუხაროდ ასეთად იქცა ვაშინგტონი და არა მოსკოვი. რუსული პოლიტიკა აშკარად ანტიგლობალისტურია, მას შურს ამერიკის, მაგრამ დღესდღეობით არ შესწევს ძალა დაუპირისპირდეს „მისთვის ისტორიულად სასურველ“, მხოლოდ სხვის მიერ წამოწყებულ პროცესს (ყულიჯანიშვილი 2002:9).

რაც შეეხება დასავლეთ ევროპის ქვეყნებს, სადაც დაიბადა გლობალისტური იდეა, მათი მდგომარეობა ერთობ დრამატულია. ისინი ერთი შეხედვით გლობალიზაციურ პროცესებში აშშ-ს პარტნიორებად გამოიყურებიან, მაგრამ აშკარად შელახულია მათი ეროვნული დირსება. ამის რეაბილიტაციას ენის, მხატვრული კულტურის დაცვის მცდელობებით გამოხატავენ. ეს აშკარად იგრძნობა ფრანგული, გერმანული და იტალიური კულტურის დაკვირვების შემთხვევაში. ერთიანი ეროვნული ვალუტის შემოღებასაც შეიძლება ასეთი

ინტერპრეტაცია მიეცეს, რაც შეეხება ინგლისს, მისი ამბიციები იმითაც კმაყოფილდება, რომ გლობალიზაციური მსოფლიოს ენა ინგლისური იქნება.

გაცილებით თავშეეხავებულ წინააღმდეგობას უწევენ გლობალიზაციას ჩინური კულტურის წარმომადგენლები, ისინი, თუ შეიძლება ითქვას, ჩემ, მაგრამ მკაცრ პროტესტს მიმართავენ და ცდილობენ ჩინური კედლის ფუნქციების აღორძინებას თანამედროვე პირობების შესატყვისად. ჩინურ კულტურაში მცირეოდენი ცვლილებებიც ტრაგიკულად განიცდება, მიიჩნევენ რომ ყოველი ცვლილება კიდევ უფრო აშორებთ მათ კულტურულ იდეალთან „ოქროს ხანასთან“. ამიტომ ჩინელები ცდილობენ არ აყვნენ იმ ენას, რომელზეც საუბარი მათი ეროვნული ლირებულებების უკანა პლანზე გადაწევას მოასწავებს. ჩინელები გაურბიან ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებზე საუბარს, რითაც, მათი აზრით, ინარჩუნებენ თვითმყოფადობას. აშკარა წინააღმდეგობის დაფიქსირება ამ ეტაპზე მათვის ზედმეტი თავისტკივილი იქნებოდა, არც აშშ იწვევს მათ დია კონფრონტაციაში, რამდენადაც ამ ქვეყანაში ჯერ არ მომდლავრებულა საერთაშორისო კაპიტალი, გარდა ამისა ამ ქვეყანას ბირთვული იარაღი აქვს და ვიდრე ვარსკვლავების პროგრამა არ განხორციელებულა, მათთან სამხედრო კონფრონტაცია დააზიანებს ამერიკის ინტერესებს.

ინდური კულტურა ბუდისტური მსოფლმხედველობის პრინციპებს დღესაც არ დალატობს, ერთგვარად, „ნირვანაშია“ ჩაძირული და სურვილები და ინტერესები მინიმუმამდე აქვს დაყვანილი, ამიტომ თითქოსდა მსოფლიო პროცესების მიღმა დგას. ის არც მომხრეა და არც მოწინააღმდეგედ გამოიყერება მიმდინარე პროცესებისადმი და არც ჰეგემონი ქვეყანა არ ცდილობს რაიმეთი გააღიზიანოს „მთვლემარე ბავშვი“ (ყულიჯანიშვილი 2002:9).

იაპონელები თავის უნიკალურ გამოცდილებაზე დაყრდნობით, რაც გამოიხატება ტრადიციისა და ეკროპული ლირებულებების თავისებურ სინთეზში, მიიჩნევენ რომ გლობალიზაცია მათ მძლავრ კულტურულ ტრადიციებს ვერ შეარყევს და ცდილობენ გლობალიზაციური პროცესები საკუთარი კულტურული ტრადიციების გასამტკიცებლად გამოიყენონ.

არადასავლური საზოგადოებები დამოუკიდებლობის მოპოვებისთანავე ცდილობენ გათავისუფლდნენ დასავლეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურული ბატონობისაგან. აზიური ქვეყნები ეძებენ გზებს სამხედრო სფეროში ბალანსის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით მოწადინებულია ამ მხრივ ირანი, ჰეგემონობის ფარული პრეტენზია გააჩნია ჩინეთს, რომელსაც თუ

ასეთი ტემპებით გააგრძელა ეკონომიკურ ზრდა, ეს პრეტენზიები სრულიად დამსახურებულად ექნება.

ისლამური სახელმწიფოები და ჩინეთი იმ დიდი კულტურული ტრადიციების მატარებელებდები არიან, რომელიც საფუძვლიანად განსხვავდება დასავლურისაგან და საკუთარ თვალში გაცილებით უფრო აღმატებიან მას. ამ სახელმწიფოთა ძლევამოსილება თანდათანობით იზრდება, შესაბამისად დასავლეთთან მიმართებაში, ინტერესებისა და ფასეულობების კონფლიქტი დღითიდებების მაფრდება. ამავე დროს, ისლამურ სამყაროში არ არის სახელმწიფო, რომელიც საკუთარ თავზე აიღებს ლიდერის ფუნქციებს, ამიტომ ისლამურ ქვეყნებში წინააღმდეგობის განსხვავებული დონეები შეინიშნება.

„ელემენტარული ლოგიკა გვარნახობს და შესაძლებლობას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ საერთაშორისო სისტემის განვითარებაში არადასავლური ცივილიზაციების წამყვანი სახელმწიფოები უნდა გაერთიანდნენ და წინააღმდეგობა გაუწიონ დასავლეთის ბატონობას. მაგრამ უახლოეს მომავალში ანტიდასავლური კოალიაციის შექმნა, მრავალ ექსპერტთა დასკვნით, ნაკლებად სავარაუდოა. ისლამური და ჩინური ცივილიზაცია საფუძვლიანად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან რელიგიის, კულტურის, სოციალური სტრუქტურის, ტრადიციების, პოლიტიკის და სხვა ყოფითი ელემენტების თვალსაზრისით. შეიძლება ითქვას, რომ მათ საწყისშივე უფრო ნაკლები აქვთ საერთო, ვიდრე დასავლურ ცივილიზაციასთან. საერთო მტრის პოლიტიკა, ხელს უწყობს საერთო ინტერესების გაჩენას, როგორც, მაგალითად სტალინი და მისი მოკავშირეები შევიდნენ კოალიციაში ჰიტლერის „წინააღმდეგ“ (ინოზემცოვი 1999: 539).

ჩვენი აზრით, უახლოეს პერსპექტივაში კოალიციის შექმნის ტენდენციები არ შეინიშნება, ჩინეთის წინააღმდეგობა დასავლეთისადმი არა არის ისეთი მწვავე, როგორიც ისლამური სამყაროს. ამასთან, ისლამურ სამყაროში, ყველა სახელმწიფო როდია ანტაგონისტურ დამოკიდებულებაში დასავლეთთან.

გლობალიზაციის მიერ მოტანილმა ახალმა რეალობამ უზარმაზარი გავლენა იქონია აფრიკული კულტურის შტრიხებზე, მათ ტრადიციებზე. მოხდა ღირებულებების გადაფასება და რღვევა. საფრთხე შეექმნა აფრიკულ თვითმყოფადობას, რაც, რა თქმა უნდა, მიუღებელია საზოგადოებისათვის. ამის გამო ფრიდა მაიალ-მანენჯი მიიჩნევს („გლობალიზაციის ეფექტი აფრიკულ კულტურაზე, დანახული აფრიკელი ქალის თვალით“), რომ „ჩრდილოეთმა უნდა შეცვალოს განვითარების კონცეფცია. ეკონომიკური წინსვლა, კულტურული და სოციალური

სამართლიანობის გარეშე, ვერ იქნება ჩვენი განვითარების იდეალი“ (წერეთელი 2006:74).

გლობალური კულტურა, აფრიკულ კულტურასთან შედარებით, მეტი შესაძლებლობები გააჩნია, იგი უფრო ძლიერია. ეს ძალა გამოიხატება იმაში, რომ გლობალურ კულტურას, როგორც ერთი სახის ნიშან-თვისებების ერთობლიობას, რომელიც ცდილობს გარკვეული ღირებულებების მთელ მსოფლიოში დამკვიდრებას, ზურგს უმაგრებს პოლიტიკურად და ეკონომიკურად ძლიერი საზოგადოება.

ფრიდა მაიალე-მანენჯის სტატიის წაკითხვის შემდეგ ჩნდება განწყობა, რომ აფრიკელი დილემის წინაშე დგას: ან მატერიალური მინიმუმის უზრუნველყოფა, ან კულტურის სახის შენარჩუნება (წერეთელი 2006: 74).

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ამ მაგალითის მიხედვით, ორიგინალურ კულტურაზე გავლენას ახდენს არა გლობალური კულტურა, არამედ ეკონომიკა, ანუ ტრანსნაციონალური კორპორაციები. აქ არ არის საუბარი იმაზე, რომ კარგად რეკლამირებული გლობალური კულტურა მოქმედებს. ამის მიხედვით შეიძლება დაგასკვნათ, რომ დასავლეთიდან გლობალიზაციის პროცესში მოემართება ერთიანი სისტემა, წარმოდგენილი სამი მიმართულებით: ეკონომიკა, პოლიტიკა და კულტურა. სამივე მათგანი ერთმანეთზეა გადაჯაჭვული. კულტურა განსაზღვრავს პოლიტიკისა და ეკონომიკის მართვის წესებს, თავად პოლიტიკა და ეკონომიკა ზემოქმედებას ახდენს კულტურაზე.

აღმოსავლელი ინტელექტუალების მნიშვნელოვანი ნაწილის შეხედულებები და პოზიციები დასავლეთთან მიმართებით, შეიძლება ასეთი ინტერპრეტაციით წარმოვადგინოთ: „ვინც დასავლეთის მიღმა ცხოვრობს, მათთვის სრულიად ნათელია ის დიდი უფსკრული, რაც დასავლეთის დეკლარირებულ პრინციპებსა და მათ რეალურ ქმედებებს შორის არსებობს. ფარისევლობა, ორმაგი მორალი; „კი“ და „არა“-ს თამაში – აი ფასი მათი პრეტენზიებისა უნივერსალიზმზე. რა თქმა უნდა არადასავლურმა ქვეყნებმა უნდა განავითარონ დემოკრატია, მაგრამ არა, თუ დემოკრატიული არჩევნების წესით სათავეში მოვლენ მუსულმანი ფუნდამენტალისტები; ის რომ ატომური იარაღი არ უნდა გავრცელდეს – სრული ჭეშმარიტებაა, ოდონდ თუ საქმე ეხება ირანს, მაგრამ არა, თუ საუბარია ისრაელზე. ადამიანის უფლებების დაცვა ეხება ჩინეთს, მაგრამ არა საუდიის არაბეთს“.

როგორც ინოზემცოვი აცხადებს, „ორმაგი მორალი გახდა დამახასიათებელი თვისება დასავლური ლირებულებების უნივერსალიზაციის პროცესში“ (ინოზემცოვი 1999: 537).

### **კულტურული გლობალიზაცის კვლევის ასპექტები**

გლობალიზაციის პროცესის შესახებ არსებულ სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებული შეხედულებით, თანამედროვე გლობალური კულტურა, პირველ რიგში, ტექნოლოგიური ციფილიზაციის შემომტანია მსოფლიოში. მისი კომუნიკაციის კოსმოპოლიტანიზმი ძირითადად ეფუძნება უდიდეს ტექნოლოგიურ ბაზას კომუნიკაციის ყოვლისმომცველი სისტემით, რომელიც თავისთავად ქმნის მჭიდროდ ურთიერთდამოკიდებულ სოციალურ და კულტურულ კავშირებს.

ჩვენი აზრით, თანამედროვე გლობალიზაციის უნივერსალურ კულტურულ პროცესებს არა აქვთ კოკნკრეტული ისტორიული საფუძველი და არც განვითარების თანმიმდევრობა. კოსმოპოლიტურ კულტურას, გარდა ამისა, არ გააჩნია საზღვრები, ისტორია, ასევე არა აქვს მეხსიერებაც. შესაბამისად, მას არა აქვს ბაზა, საფუძველი იმისა, რომ შეიქმნას ისტორიული საყრდენი. იგი დაუსრულებლად იცვლება სხვადასხვა მიმართულებით, იგი მრავალგვარი, არაერთფეროვანი, და რაც მთავარია, უმართავი და არაპროგნოზირებადია.

ენტონი გიდენსის მიერ შემოთავაზებული გლობალიზაციის განმარტება გულისხმობს პროცესს, რომელშიც პლანეტარული დისტანციის გადალახვა ხდება. როგორც გლობალიზაციის თანამედროვე თეორიაშია ნათქვამი, „ჩნდება ახალი სამყარო საზღვრების გარეშე, სადაც არ არსებობს დისტანცია. სულ მცირე, ეს ტრანსფორმაცია ნიშნავს იმას, რომ ვიწრო ადგილობრივ ქმედებებს ფართომასშტაბიანი შედეგები აქვს“ (გიდენსი 1990: 64).

ჩვენი შეხედულებით, გლობალიზაცია გულისხმობს ე. წ. „დროით და სივრცით“ შეკუმშვას. ეს ის მოვლენაა, რომლის გამოც სამყარო ერთგვარად „დაპატარავდა“. ამის მიზეზი არის ის, რომ მგზავრობის სიჩქარისა და საშუალებების ზრდას მოგზაური ხალხის რაოდენობის მატებაც ერთვის, და ამის გამო სამყარო უფრო შემცირებულად გვეჩენება. მეორე მიზეზი ადამიანთა ურთიერთობებზე ახალი ელექტრონული მედიის ზემოქმედებაა. ელექტრონული მედია (ფაქსი, ტელეფონი, ელექტროფოსტა, ინტერნეტი) ყოველ ჩვენგანს საშუალებას აძლევს დაუკავშირდეს „ლოკალურისაგან“ თუნდაც ძალზედ მოშორებულ სამყაროს. ამასთანავე, სატელევიზიო ახალი ამბები ინფორმაციას გვაწვდიან მრავალი ათასი მილის მოშორებით მიმდინარე მოვლენების შესახებ, და თუ „ლოკალურ“ ახალ ამბებსა და გაზეთებს არ

ვეცნობით, შესაძლოა „გლობალურ“ მოვლენებზე მეტი წარმოდგენა გვქონდეს, ვიდრე ადგილობრივზე.

გლობალური კულტურის გავრცელება ხდება, აგრეთვე მასობრივი კულტურის საშუალებებით (ადიდასი, მაკლონალდსი, ლევისი და სხვა). „გლობალიზაცია“ – ეს არის მოვლენა, რომელიც ერთგვაროვანი სამომხმარებლო კულტურის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს. „ერთგვაროვნება კი მისადებია, როგორც ხოსე თრტეგა ი გასეტი აღნიშნავს „მასისათვის“. გასეტი გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში წერდა, რომ „ეპროპა დღეს ყველაზე დიდ კრიზისს განიცდის, რამაც შეიძლება მოიცვას ხალხები, ერები და კულტურები“. მისი თქმით, ეს არის „მასების ამბოხი“. მასას იგი ახასიათებს როგორც ფსიქოლოგიური რიგის მოვლენას. „ადამიანი-მასა“ ისაა, ვისაც არ შეუძლია, როგორც კარგი, ასევე ცუდი მხრითაც შეაფასოს თავი; ვინც თავის თავს აღიქვამას „ისეთად, როგორიცაა ყველა“ და სულაც არ განიცდის ამას. მას მოსწონს იყოს ისეთი, როგორიცაა ყველა“ (წერეთელი 2006: 65)

ჰოლანდიელი მეცნიერის ნერდვეენ პიტერსის მიხედვით, დღესდღეობით კულტურათა გლობალიზაციის პროცესისადმი სამი დამოკიდებულება არსებობს. სამივე შეხედულება ყურადსადებია, რადგან თითოეულს მსოფლიოში უამრავი ადამიანი იზიარებს. პირველი პირდაპირ გულისხმობს სხვადასხვა კულტურათა შეუთავსებლობას, ან უბრალოდ ცივილიზაციათა შეჯახებას (როგორც ეს კლასიკური გაგებით, სემუელ ჰანთიგტონმა დაახასიათა თავის ცნობილ წიგნში). მეორე შეხედულება ამ პროცესს ე. წ. „მაკლონალდიზაციის“ ჭრილში განიხილავს, რომლის მიხედვითაც გლობალიზაცია გულისხმობს კულტურათა ჰომოგენიზაციას და საბოლოოდ ერთი კულტურის დომინირებას, რომელიც დროთა განმავლობაში აღმოფხვრის განსხვავებას ადგილობრივ კულტურათა შორის. რაც შეეხება მესამე დამოკიდებულებას, მას შეიძლება დავარქვათ სინთეზი, ან ჰიბრიდიზაცია – კაცობრიობის ეკოლუციის ერთ-ერთი ეტაპი, რომელიც წარმოუდგენელია განსხვავებულ კულტურათა ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გარეშე. ეს პროცესი „ურთიერთგამოკვების“ და აზრთა /შეხედულებათა გაცვლა-გამოცვლის პრინციპზეა აგებული (ბოლქვაძე 2008).

კულტურული იმპერიალიზმის პერსპექტივის ყველაზე ფუნდამენტური არის ის, რომ გლობალიზაცია გარდაუვალად „დასავლური პროექტია“. ეს დებულება უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე უბრალოდ დასავლური კულტურული საქონლის გავრცელებაში, ან თუნდაც კაპიტალისტური ინსტიტუტების დასავლურ წარმოშობაში მოიაზრება.

მკვლევართა ნაწილი, გლობალიზაციის პროცესს განიხილავს, როგორც მთელს მსოფლიოში დასავლური კულტურის გავრცელებას, დასავლური ლირებულებების, ინფორმაციებისა და კომუნიკაციების, ტექნოლოგიების ექსტრაპოლაციას დედამიწის ყოველ კუთხეში – ანუ ვესტერნიზაციას. თუმცა ეს ორი ცნება სულაც არ არის იდენტური და შეიძლება ითქვას, რომ სიმართლეს მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება. ერთი შეხედვით მთელს მსოფლიოში დასავლური კულტურის გავრცელება თითქოს ამაზე მიანიშნებს, რომ დღეს თითქმის ყველა ქვეყანაში განსხვავებული ერის წარმომადგენლები იცვამენ ერთსა და იმავე ბრენდის სამოსს, უსმენენ მსგავს მუსიკას, მიირთმევენ პამბურგერს მაკდონალდსში, უყურებენ სიმფსონებს და ა. შ. მაგრამ, თუ ამ პროცესს უფრო დეტალურად შევისწავლით, დავინახავთ, რომ თითოეული ზემოთ მოყვანილი მაგალითი განსხვავებულად აღიქმება სხვასხვა საზოგადობებში, კლასებსა და ასაკობრივ ჯგუფებში.

ტალკოტ პარსოსმა ჩამოყალიბა თეორია, რომელიც ხაზს უსვამს საზოგადოების გახსნილობას მისივე მომავალი განვითარებისთვის. პარსონსის თეორიის მიხედვით, „ტრადიციის შენარჩუნება ტრადიციის გადასარჩენად“ ეწინააღმდეგება პროგრესსა და განვითარებას. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მოგვიანებით ეს შეხედულება საკმაოდ დიდი კრიტიკის საგანი გახდა, რადგან ის აიგივებდა მოდერნიზაციას ვესტერნიზაციასთან, და რა თქმა უნდა, ვერც ჩვენ გავიზიარებთ პარსონსის პოზიციას. ამ მოდელის მიხედვით, მოდერნიზაცია გულისხმობს ადგილობრივი კულტურების განადგურებას და მის ჩანაცვლებას დასავლური ლირებულებებით. ჩვენი აზრით, ეს თეორია მცდარია, იმ თვალსაზრისითაც, რომ ჭეშმარიტად მოდერნიზებულად მხოლოდ დასავლურ კულტურასა და საზოგადეობას მიიჩნევს. მაშინ, როდესაც, მოდერნიზაცია და კულტურა ერთმანეთისაგან დამოუკიდებელი და გამიჯნული ცნებებია.

აქედან გამომდინარე, მოდერნიზაცია შეიძლება მიგუსადაგოთ ნებისმიერი ტიპის საზოგადეობას.

ასევე, მნიშვნელოვანია განვსაზღვროთ ვესტერნიზაციისა და მოდერნიზაციის ურთიერთდამოკიდებულება. მოდერნიზაცია შეიძლება დავახასიათოთ, როგორც ევოლუციის ერთგვარი მოდელი, რომელიც ამტკიცებს რომ ყველა საზოგადოებამ უნდა გადადგას ნაბიჯი „ბარბაროსობიდან“ განვითარებისა და ცივილიზაციისაკენ. ამ პრინციპის მიხედვით, რაც უფრო მოდერნიზებულია სახელმწიფო, მით უფრო მდიდარი და ძლიერია ის, ხოლო მისი მოქალაქეები უფრო თავისუფალნი და ბედნიერები არიან. ამ თვალსაზრისით, იაპონია

მაგალითად მოყვავთ ორივე მიმდინარეობის მხარდამჭერებს. ერთი, მას მიიჩნევენ, როგორც მტკიცებულებას იმისა, თუ როგორ შეიძლება მოდერნიზებული ცხოვრების წესი დაინერგოს არადასავლურ საზოგადებაში. სხვები ამტკიცებენ, რომ მოდერნიზაციის შემდეგ იაპონია მნიშვნელოვნად დაუახლოვდა დასავლურ ღირებულებებს და შესაბამისად მას ხშირად დასავლური კულტურის ჭრილშიც განიხილავენ.

როგორც ვიცით, იაპონელმა ხალხმა დასავლური გამოცდილების გაზიარებით შეძლო საკუთარი სახელმწიფოს წარმატებული მოდერნიზაცია. ამავე დროს, ჩვენი აზრით, იაპონია უნიკალური მაგალითია იმისა, თუ როგორ მოახერხა ქვეყანამ მოდერნიზაციის გზით მიეღწია არნახულ ეკონომიკურ წარმატებას და ამავე დროს შეენარჩუნებინა ეროვნული კულტურა და თვითმყოფადობა.

თითოეული საზოგადოების ობიეტური კულტურულ-სოციალური მახასიათებლების გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია თანამედროვე ბიზნესის წარმოება. ამიტომ, ამა თუ იმ ქვეყნის ბაზარზე თითქმის ყველა პროდუქტი შედის და მარკეტინგულად იფუთება ადგილობრივი მოთხოვნი-ლებების, ტრადიციებისა და შეხედულებების შესაბამისად. ადგილობრივი კულტურის უცოდინარობამ შეიძლება მწარმოებელი კრახამდე მიიყვანოს.

ჩვენი შეხედულებით, „დასავლური პროექტის“ არგუმენტი გულისხმობს არადასავლური კულტურების „შთანთქმას“ გლობალური კულტურის მიერ, რომელშიც დომინანტური პოზიცია დასავლეთს უკავია გლობალიზაციას და კულტურულ იმპერიალიზმს პირველ რიგში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები უწყობენ ხელს. სწორედ ისინი ახდენენ ამერიკული თუ სხვა რომელიმე დომინანტი კულტურის პოპულარიზაციას და ხელს უწყობენ მის გავრცელებას. შესაბამისად, მასობრივი კომუნიკაციის გავრცელების, ტექნიკური განვითარების კვალდაკვალ იმატებს გლობალიზაციის ზრდის პროცესიც.

უფრო დრმა გაგებით, „ადგილობრივი გლობალიზაცია ბევრად ნეგატიურია. ამ შემთხვევაში, იგი ნიშნავს ლოკალური და ადგილობრივი ეკონომიკების მზარდ კონტროლს მსხვილი კაპიტალიზმისა და ნეოლიბერალური პოლიტიკის მიერ, ადგილობრივი ავტონომიის და უფლებების შეზღუდვას, დასაქმებისთვის საფრთხის გაზრდასა და დაშლილობის გაღრმავების შეგრძნებას. აქ გლობალიზაცია განხილულია, როგორც წყარო უწყვეტი და მზარდი ეკონომიკური უსამართლობისა სხვადასხვა ერებსა და რეგიონებში. გლობალიზაციის ამგვარი გააზრება კიდევ სხვა მიღების განვითარებას იწვევს:

გლობალიზაცია აღიქმება, როგორც მსოფლიოს ამერიკანიზაცია, „ზოგჯერ სასიკუთოდ, უმთავრესად კი, საზიანოდ“ (საიმონ დიურინგი 2009: 134).

ალექსანდრე პოფმანი ცალკეული საზოგადოებების განვითარების კანონზომიერებებზე დაკვირვების საფუძველზე აცხადებს, რომ „საზოგადოების წევრთა რაოდენობრივი ზრდის შედეგად, რაც უფრო მრავალრიცხოვანია მოსახლეობა, მით უფრო რთულდება მისი სოციალური ორგანიზაცია და მით უფრო მაღალია შიდა დიფერენციაცია“ (პოფმანი 1999: 132).

ჩვენი შეხედულებით, პოპულარული კოსმოპოლიტიზმი შეიძლება აგრეთვე ნიშნავდეს ტრანსნაციონალურ ანუ კროსკულტურულ მგრძნობელობასა და უფლებამოსილებას, რასაც სშირად ორი კულტურის ფარგლებში მცხოვრები დიასპორები საჭიროებს. ფილიპინელი მოსამსახურები ქუვეითში, სუდანელი ტაქსის მძღოლები ავსტრალიაში, მავრი მშენებლები ჩიკაგოში, მექსიკელი მანქანის მრეცხავები აშშ-ს აღმოსავლეთ სანაპიროზე, მაღაზიების პაკისტანელი მფლობელები ბრიტანეთში, ერაყელი ვაჭრები ინდონეზიაში, ავტრალიელი მასწავლებლები პაკუა ახალ გვინეაში, თურქი მუშები გერმანიაში და ა. შ. ყველა ამ ადამიანს სჭირდება შესაძლებლობა, რომ იმუშაონ და ორი კულტურის კონტექსტში იაზროვნონ, თუკი გადარჩენა სურთ. თუმცა ეს შესაძლებლობები შეზღუდული არ არის მათოვის, ვინც მოგზაურობს: სამხრეთ აფრიკაში ხალხის უმეტესობა (თეორკანიანთა გამოკლებით) ათწლეულებია, ერთზე მეტ ენაზე ლაპარაკობს და მჭიდრო კავშირშია ერთზე მეტ კულტურასთან, რადგანაც ურთიერთობს თავის დამქირავებელთან და სხვა ტომებთან. მუმბაიში აშშ-ს რომელიმე ბანკის სატელეფონო ხაზზე მომუშავე სამხრეთ აზიელს უნდა შეეძლოს ყოველდღიურად გაითავისოს (და განასახიეროს) ნამდვილი ამერიკელობა. ნათელია, რომ გლობალიზაცია ასეთ კოსმოპოლიტიზმს ფართოდ გაავრცელებს.

მოვლენები რომლებიც თან ახლავს გლობალიზაციის პროცესს, არაპირდაპირი გზით იწვევენ ნაციონალური კულტურების დასუსტებას. პირველ რიგში ეს შეეხება ეროვნულ ენას, მისი მნიშვნელობის დაკინებას. რადგან წარმატებული ეკონომიკური საქმიანობა მოითხოვს ინფორმაციული გაცვლის დროულ განხორციელებას ერთ ენაზე, ასეთი ენა გლობალიზაციური პროცესებისათვის ინგლისურია.

მეორე მხრივ, მსოფლიოში 4000-ზდე განსხვავებული ენა არსებობს. თუ დიალექტებსაც მივათვლით, ეს რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზრდება (მათი უმეტესი ნაწილი ე.წ. ენობრივ თჯახებში არის გაერთიანებული). მიუხედავად

იმისა, რომ ერი-სახელმწიფოთა რიცხვი მსოფლიოში არსებულ ენებზე გაცილებით ნაკლებია, ენათა სახესხვაობა მაინც იმდენად დიდია, რომ ეფექტური კომუნიკაციის დამყარება, როდესაც ადამიანები ერთსა და იმავე ენაზე არ მეტყველებენ, საკმაოდ რთულია.

მსოფლიოს გლობალიზაციის პროცესში (გაერთგვაროვნების პროცესი) ენათა „სიჭრელის“ დაძლევა ერთი კონკრეტული ენის უნივერსალიზაციის შედეგად და მისი საპლანეტო საკომუნიკაციო სისტემაში ჩართვისა და გამოყენების გზით ხორციელდება. საუბარია ინგლისური ენის (მისი ამერიკული ვარიანტის) გავრცელებაზე მსოფლიოში, როგორც კულტურათაშორისი კომუნიკაციის ძირითადი საშუალებისა. ინგლისურის გავლენა მსოფლიოს განვითარებაზე ხასიათდება, როგორც „ლინგვისტური იმპერიალიზმი“ (მელიქიძე 2006: 106).

დღეისათვის ინგლისური ენის როლი იმდენად დიდია, რომ ქვეყანა, რომლის მოსახლეობა ლაპარაკობს ინგლისურად, ბევრად უფრო „დიას“ გარესამყაროსთან ურთიერთობისათვის, მეტი შანსი აქვს მოიზიდოს უცხოური ინგლიციები და უფრო მეტად განვითარდეს იმ თავის მეზობლებთან შედარებით, რომლებიც ინგლისურად არ ლაპარაკობენ.

ჩვენი აზრით, ინგლისურის ასეთი გავრცელება, არ უნდა იყოს აღქმული როგორც მიზანდასახული ექსპანსია, ეს გლობალიზირებული მსოფლიოს განვითარების ობიექტურ მოთხოვნას წარმოადგენს.

ამ თვალსაზრისით, ინგლისური – მსოფლიოს კულტურათაშორისი საშუალებაა, ისევე როგორც ქრისტიანული კალენდარი წარმოადგენს მსოფლიოსათვის დროის განსაზღვრის საშუალებას, ან არაბული რიცხვები ათვლის საშუალებას და ა. შ. ამ გაგებით, ინგლისური ენის გამოყენება ინტერკულტურული ურთიერთობის სფეროს მოიცავს. იგი ითვალისწინებს სხვადასხვა, ერთმანეთისაგან განსხვავებული კულტურების არსებობას. „lingua franca“ ენობრივი და კულტურული განსხვავების დაძლევის და არა მათი მოსპობის საშუალებაა. იგი ურთიერთობის ხერხია და არა საკუთარი მეობისა და გარკვეული საზოგადოებისადმი კუთვნილების განსაზღვრის საშუალება.

გლობალიზაციის პრობლემის ავტორიტეტულ მკვლევართა ნაშრომებზე დაყრდნობით, შეგვიძლია დავასკვნათ, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს მოსახლეობის მზარდი ნაწილი ლაპარაკობს ინგლისურად, არავითარი მტკიცებულება არ არსებობს იმ მოსაზრების სასარგებლოდ, თითქოსდა ინგლისური „მსოფლიო საზოგადოების“ ენას წარმოადგენს. ყველაზე სანდო

მონაცემები სრულიად საწინააღმდეგოს გვიჩვენებს. საერთო სურათი ბოლო წლების მსოფლიოში კარდინალურად არ შეცვლილა, საგრძნობლად შემცირდა ინგლისურად, ფრანგულად, გერმანულად, რუსულად და იაპონურად მოლაპარაკე ხალხის წილი, მცირე კლება შეიმჩნევა მანდარინის დიალექტზე მოლაპარაკე ხალხის საერთო წილისა, მატება ინდურად, მალაი-ინდონეზიურად, არაბულად, ბერძნულად, ესპანურად, პორტუგალიურად და სხვა ენებზე მოლაპარაკე ხალხისა.

### **გლობალიზაციისა და მულტიკულტურალიზმის ურთიერთმიმართების ავლევის ასკექტები**

თანამედროვე ეტაპზე ჩამოყალიბებულ საერთაშორისო სისტემაზე ზედაპირული დაკვირვებაც საკმარისია იმის ნათელსაყოფად, რომ თანამედროვე პოქის სახელმწიფოთა უმრავლესობა კულტურულად ჰეტეროგენულია, ანუ „მულტიკულტურულია“. შესაბამისად, მულტიკულტურულობა, როგორც წესი, გარკვეული პოლიტიკური სუბიექტის ფარგლებში სხვადასხვა ხარისხის კონსოლიდირებული პოლიტიკური თემის არაერთგვაროვნების, სოციო-პოლიტიკური გარემოს შიდა სიჭრელის აღსანიშნავად გამოიყენება.

განსხვავებულია „მულტიკულტურალიზმის“ ცნება. მულტიკულტურალიზმის ცენტრალურ იდეას წარმოადგენს მოსაზრება, რომ კულტურულად განსხვავებული ჯგუფები შესაბამის პოლიტიკურ გარემოში აღიარებასა და პატივისცემას იმსახურებენ. ჯეფრი ალექსენდერის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, „მულტიკულტურალიზმი პოლიტიკური „ინკორპორაციის“ ფორმათა შორის ერთერთია, რომელიც თანამედროვე ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელისათვის ყველაზე უფრო მისაღებ სტრატეგიად მიიჩნევა“ (ხინჩაგაშვილი 2010 :3).

მულტიკულტურული პოლიტიკის ძირითადი ელემენტებია: განსხვავებულობის (კულტურული უნიკალურობის) დაფასება, ჯგუფური (კოლექტიური) უფლებების დაცვა და ამ ორ პრინციპზე აგებული სამოქალაქო ინტეგრაციის კონცეფცია. აქედან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მულტიკულტურალიზმი იდეოლოგიია, ასევე, იგი ხშირად პოლიტიკური სტრატეგიის ზოგადი პარადიგმაცაა.

„ადგილობრივი“ გლობალიზაცია შეიძლება აგრეთვე გულისხმობდეს იმას, რასაც ჩვენ ტრანსნაციონალურ მულტიკულტურალიზმად ანუ პოპულარულ კოსმოპოლიტობად შეიძლება მოვიხსენიებდეთ, ეს ალბათ მდიდარ დასაგლეთოან არის კავშირში. „ტრანსნაციონალურში“ ვგულისხმობ „ჩვენ ყველა ერთნი ვართ“ ტიპის განცდას“.

ამავე დროს, განვითარებულ ქვეყნებში საშუალო კლასის ცხოვრების სწრაფი რიტმიდან გამომდინარე, მეტროპოლიტანურ რეგიონებში მცხოვრების პოზიციიდან, ადვილია დაიჭირეთ, რომ მაგალითად აფრიკის რიგ რეგიონებში ადგილობრივი პროდუქცია კაპიტალისტური არ არის. ან ის, რომ მსოფლიოს მოსახლეობის დაახლოებით ორ მილიარდს ელექტროენერგია არ მიეწოდება და 4,5 მილიარდს ტელეკომუნიკაციებზე ხელი არ მიუწვდება.

გლობალიზაციას ხშირად უკავშირებენ აგრეთვე შრომითი ძალის ფართომასშტაბიან გადადგილებას, ემიგრაციასა და მულტიკულტურალიზმის პოლიტიკას, რომელიც 1970-იან წლებში ჩამოყალიბდა. თანამედროვე ეტაპზე, სამუშაოს საძიებლად ხალხი ათასობით მილის იქით მიდის, რაც გლობალიზაციური პროცესების შედეგად ადამიანების გლობალური მოძრაობის ზრდას გულისხმობს. გლობალიზაციის შედეგად აქტივირებული არნახული მიგრაციული პროცესები მოელ მსოფლიოში, თანამედროვე სამყაროს მულტიკულტურულობას უფრო თვალნათელს ხდის. მულტიკულტურალიზმი „ლოკალურ“ თუ „გლობალურ“ დონეზე კულტურული მრავალფეროვნების გამოხატულებაა, მაგრამ ამ მრავალფეროვნებისადმი დამოკიდებულება არ არის ერთგვაროვანი.

გლობალიზაციის პირობებში მოდერნიზაციის გამოწვევებზე არსებობს ორი პასუხი თუ განვითარების შედეგი – ლოკალიზაცია და მულტიკულტურალიზმი: ლოკალიზაციის ფარგლებში განიხილება ისეთი მოვლენა, რომელსაც მეცნიერებაში გლოკალიზაცია ეწოდა („გლობალურად“ – ნიშნავს, მრავალ ადგილზე ერთდროულად არსებულს, ანუ „ტრანსლოკალურს“). კონცერნები „კოკა-კოლა“ და „სონი“ საკუთარ სტრატეგიებს „გლობალურ ლოკალიზაციას“ უწოდებენ, რადგან ისინი მიიჩნევენ, რომ გლობალიზაცია არ ნიშნავს და არ მოითხოვს მსოფლიოს ყველა კუთხეში ქარხანა-ფაბრიკების აშენებას, არამედ აუცილებელია ისინი ამ თუ იმ კულტურის ნაწილად იქცნენ, ანუ „კოკა-კოლა“, „მაკდონალდსი“ თუ „სონი“ კონკრეტული კულტურის მოთხოვნებს ითვალისწინებენ მენეჯმენტში. ლოკალიზაციის პროცესი იწვევს რეგიონალიზაციას; მაგალითად ავიდოთ იაპონია, რომელიც გარკვეულ გეოგრაფიულ გარემოში და საზღვრებში იქცა ლიდერ ქვეყნად; იგი ახდენს საკუთარი კულტურის რეკლამირებას და გავრცელებას.

აღსანიშნავია, რომ რეგიონალიზაციის პირობებში გლობალური კულტურის გავლენა შეიძლება შესუსტდეს და მოხდეს დასავლური კულტურის, ცხოვრების წესის ლოკალიზაცია ანუ ადაპტირება ადგილობრივთან კულტურასთან, ანუ

შეიძლება კულტურა აბსოლუტურად დია აღმოჩნდეს გლობალური კულტურის მიღებისათვის ისე, რომ არ მოქმედეს მისი გაფლენის ქვეშ და არ მოხდეს ადგილობრივი კულტურის გადასხვაფერება.

მულტიკულტურალიზმი მცირებულ საკითხად რჩება და უკანასკნელ წლებში ხშირად (განსაკუთრებით ევროპაში) მას ნაკლებად საკამათო ტერმინით – „კულტურული განსხვავებულობა“ – ცვლიან. ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ „კულტურული განსხვავებულობა“ უფრო შესატყვისი ტერმინია, რადგან „მულტიკულტურალიზმი“ შეზღუდულ საზღვრებს მოიცავს, რომელშიც განსხვავებული კულტურები თანაარსებობენ და სადაც ეროვნულ-სახელმწიფოებრივი საზღვრები არ გულისხმობს საზღვრებს, რომლებშიც კულტურული კავშირები უნდა განიხილებოდეს.

ჩვენ არ უნდა გამოგვრჩეს მხედველობოდან, რომ მულტიკულტურალიზმი მოცემულ სახელმწიფოში შეიძლება გამოხატული იყოს ქვეყანაში დომინანტი ეთნოსის კულტურის გვერდით, სხვა ეთნიკური კულტურების არსებობით. ასევე, კულტურული გლობალიზაციის შედეგად ერთგვაროვანი კულტურული ფორმების დანერგვით, პოპულარული კულტურების ადგილობრივ კულტურებში შემოჭრით და დამკვიდრებით. კულტურული „ლოკალიზაციის“ შედეგად სქესის, ასაკის, რასის, კლასის, ფემინისტური მისწრაფებების, სექსუალურ უმცირესობათა და ა. შ. სახესხვაობრივი იდეო-კულტურული ჯგუფების მიერ სეგმენტირებული კულტურულური სივრცეების გაჩენით.

ზოგიერთი ექსპერტის აზრით, მულტიკულტურალიზმი აშკარა წინააღმდეგობაშია სუბიექტურ მსჯელობასთან, ჩაკეტილობასთან, გამორიცხვასთან და არა მხოლოდ მათთან. ეს ბადებს მოწინავე კომერციულ მედია კულტურებში და პიპერ-ძლევამოსილ სახელმწიფოებში ცალკეული კულტურების გადარჩენის საკითხს. ანუ, დღის წესრიგშია კულტურების უფლებების თავისუფალი გამოხატვისა და აღიარების საკითხი. თუმცა, გლობალიზირებულ სამყაროში, მულტიკულტურალიზმის გადარჩენის პრობლემა სხვაგვარად არის ინტერპრეტირებული, რომლის საფუძველზეც ნაკლებ სავარაუდოა, კულტურებმა საკუთარი თავი გადაირჩინონ, რადგან სახელმწიფო პოლისის დახმარებით ისინი, თანდათანობით მუზეუმიზირებულ და უესტიკულიაციურ ფორმას იღებენ. ჯერჯერობით, ცალკეული თემების კულტურული გადარჩენის გარანტიას სამთავრობო უწყება და ჩარევა ვერ იძლევა. მაშინ, როდესაც სახელმწიფოს აქტიური ჩარევა ობიექტურად აუცილებელია, სანამ სხვადასხვა ეთნიკური დაჯგუფები, დიასპორული კულტურები მთლიანად გაქრებოდეს.

თანამედროვე გლობალიზაციური სამყაროს გადმოსახედიდან, ლოგიკურად ისმება კითხვა: არის თუ არა კულტურული განსხვავებულობა თავისი არსით კარგი და ღირებული წინაპირობა, თუ ჩვეულებრივ საზოგადოებრივ მდგომარეობაში გარკვეული ტრადიციები და იდენტურობები თავისთავად შეიძლება გაქრებ? . . .

ამ მხრივ, ყურადსალებია, კულტურასთან დაკავშირებული მთავარი საერთაშორისო ორგანიზაციის – UNESCO-ს შეხედულება, რომელიც ამტკიცებს, რომ „კულტურული განსხვავებულობა ისევე აუცილებელია კაცობრიობისათვის, როგორც ბიოლოგიური ვარიაციულობა ბუნებისათვის (UNESCO 2001 b, art. 1) და მისი დაცვა „ეთნიკური იმპერატიულობაა“ (დიურინგი 2009: 236).

მუჭამედ თაჰირ-ულ-ქადრი აზრით, „კულტურული ინტეგრაცია კულტურული ურთიერთქმედების შედეგია. კულტურული ურთიერთქმედება არ შეიძლება აღმოცენდეს კულტურათა დიალოგის გარეშე. თუმცა ამას ესაჭიროება ინტეგრაციისათვის გარემოს შექმნა უმრავლესობის და უმცირესობის მიერ“. აქ, პირველ რიგში, პასუხისმგებლობა უმრავლესობას ეკისრება. კულტურული ურთიერთქმედების საფუძველია კულტურული ლიაობა. „ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ყველა კულტურაში არსებული პრობლემების, პრიორიტეტებისა და მოთხოვნების მოსმენისათვის, მიუხედავად იმისა, ეს კულტურა უმრავლესობის სახითაა წარმოდგენილი თუ რომელიმე ეთნიკური უმცირესობის ჯგუფის. ეს მიგვიყვანს მულტიკულტურული გარემოს შექმნამდე. ძალზე მნიშვნელოვანია კულტურათა შორის არსებულ მსგავსებებზე ყურადღების გამახვილება და, ამავე დროს, განსხვავებების შეფასება რეალისტურად და დემოკრატიულად. არ შეიძლება გადაწყვეტილების ხელოვნურად მიღება. კონფლიქტების გადაწყვეტა სწორედ რეალურ და დემოკრატიულ გადაწყვეტილებებს შეუძლია“ (თაჰირ-ულ-ქადრი 2004: 84).

მულტიკულტურული მიდგომა მიმართულია სხვადასხვა კულტურათა გაერთიანებისა და, ამავე დროს, მათი მრავალფეროვნების აღიარებისაკენ. ტრანსკულტურულ და მულტიკულტურულ ტენდენციებს ბევრი აქვთ საერთო; ისინი უარყოფენ იდეოლოგიურ კანონებს, ტოტალიტარულ კომუნიზმს (საბჭოთა კავშირში) და ევროპოცენტრიზმსა და თეთრკანიანთა ბატონობას (დასავლეთში). ორივე მათგანისათვის ცხოველი ინტერესის საგანს წარმოადგენს „ეგზოტიკური“ კულტურები; ეს სამყარო რკინის ფარდით იყო დახშული საბჭოთა ხალხისთვის, ხოლო დასავლეთის მიერ „ჩაგრულ უმცირესობება“ მიიჩნეოდა. ამ ინტერესმა ორივე საზოგადოებაში ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავებული

მიმართულება მიიღო. მაგალითად, ევროპოცენტრიზმი, რომელიც ასეთი მომაბეჭრებელი იყო ამერიკული მულტიკულტურიზმის გადმოსახედიდან, ფრიად მიმზიდველი რჩებოდა საბჭოთა ტრანსკულტურისტებისათვის, რომლებიც დიდი ხნის მანძილზე თავად იყვნენ მოკლებული ევროპელობის უფლებას.

ტრანსკულტურიზმსა და მულტიკულტურიზმს შორის გაცილებით დრმა განსხვავებები შეიძლება აღმოგაჩინოთ საბოლოო სულიერი მიზნებისა და სტრუქტურული თვალსაზრისით. კულტურებში ხშირად იკვეთება თანდაყოლილი ადამიანური მხარეები, რის შედეგადაც სახეზე გვაქვს „რასობრივი“, „ეროვნული“ და „ფემინურ-მასკულინური“ განსხვავებანი მათში. კულტურული კუთვნილების განსაზღვრა მხოლოდ საკუთარი ცესვების, წარმომავლობისადმი ერთგულებას ნიშნავს. მულტიკულტურიზმი თითოეული ეთნიკური, სექსუალური თუ კლასობრივი კულტურის მნიშვნელობიდან და სრულყოფილებიდან გამოდის, ტრანსკულტურა კი მიიჩნევს, რომ ყოველი კულტურა არასრულყოფილია და სხვა კულტურებთან ურთიერთქმედებას საჭიროებს. მიხაილ ეპშტეინის აზრით: „ტრანსკულტურული მეთოდი არ შემოიფარგლება მხოლოდ და მხოლოდ სხვა კულტურათა თვითმყოფადობის აღიარებით, არამედ მიიჩნევს, რომ თითოეული მათგანის განვითარება ერთიმეორეზეა დამოკიდებული. თითოეული ეთნიკური, სექსუალური თუ კლასობრივი კულტურის მნიშვნელობიდან და სრულყოფილებიდან გამოდის, ტრანსკულტურა კი მიიჩნევს, რომ ყოველი კულტურა არასრულყოფილია და სხვა კულტურებთან ურთიერთქმედებას საჭიროებს“ (ეპშტეინი 2004:122).

„თითოეული კულტურა ადამიანისათვის შემოქმედებითი თვითრეალიზაციის ხერხია. ამიტომ სხვა კულტურების მიღწევების გაზიარება გვავსებს ჩვენ ახალი ცოდნით და გვამდიდრებს ახალი შემოქმედებითი გამოცდილებით“ (ემელიანოვ-ჰალგენი 2011: 3).

„ტრანსკულტურა არღვევს რა კულტურის საზღვრებს, აღარ რეგრესირდება „ბუნების კანონების“ გაცილებით უფრო მკაცრ კონდიციამდე. იგი უფრო თავისუფლების ახალ შრეებზე გადის. კულტურისგან გათავისუფლება კულტურაზევე დაყრდნობით, და მისი უსასრულ მრავალფეროვნება ტრანსკულტურული აზროვნებისა და არსებობის ფუნდამენტური პრინციპია“ (ეპშტეინი 2004:123).

მუპამედ თაპირ-ულ-ქადრი კი ამტკიცებს, რომ „წარმატებისა და მიღწევების სტანდარტები, მოქმედება და მუშაობა, მატერიალური კომფორტი, პრაქტიკულობა და ეფექტურობა, მეცნიერება და ტექნოლოგია, თავისუფლება და

ინდივიდუალური არჩევანი, ინდივიდუალური ინიციატივა და სხვა ელემენტები ის ძირითადი ელემენტებია, რომლებზეც შეიძლება ადგილად დავაფუძნოთ მულტიკულტურული საზოგადოების იდეა“ (თაპირ-ულ-ქადრი 2004: 85).

ჩვენი აზრით, გლობალიზაცია კომპლექსური პროცესია, რომელიც წინააღმდეგობრივ შედეგებს იწვევს კულტურისა და ძალაუფლების ცვალებადობასთან დაკავშირებით. გლობალიზაციის პროცესთა გასაგებად საუკეთესოა ის გზა, რომელიც არა მარტო გლობალური ძალაუფლების ფაქტორს გაითვალისწინებს, არამედ ლოკალურისასაც. გლობალიზაციის მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილის აზრით, თანამედროვე გლობალური კულტურის პიბრიდულობა არღვევს კულტურის ე.წ. ტერიტორიულ კონცეფციას, რომელსაც თავის მხრივ საფუძვლად უდევს ნაციონალიზმი და ნაციონალური იდენტობის იდეა. ადამიანთა გლობალური უთანოსწორო მდგომარეობასთან დაკავშირებით, პიბრიდიზაციის პერსპექტივა განსჯასა და საქმიანობას ათავისუფლებს ეროვნულობის, ერთობის, ეთნიკურობისა და კლასის შეზღუდვებისგან.

ჩვენ ეს პერსპექტივა გვაშფოთებს, სამაგიეროდ იმედს გვისახავს თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში გავრცელებული სხვა თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც, გლობალიზაცია და მულტიკულტურალიზმი ერთმანეთს არ გამორიცხავს, რადგანაც: 1. ახლად წარმოქმნილი კულტურა ვრცელდება მსოფლიო მედიის მიერ და იგი ხდება სულ უფრო და უფრო განსხვავებული დომინანტური ერების კულტურისგან; 2. დიდი ერების კულტურა პოლიტიკური პოლიცენტრიზმისა და მულტიკულტურალიზმის პრინციპების დანერგვის კვალდაკვალ კარგავს გავლენასა და უნარს, გაანადგუროს მცირე ერების კულტურა.

#### **4. ეროვნული კულტურის ხასიათი და მისი სამომავლო განვითარების პერსპექტივები გლობალიზაციულ სამყაროში**

დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესს თანამედროვე ევროპული ცივილიზაცია უდევს საფუძვლად. გლობალიზაცია მიისწრაფის ძირითადი ტექნოლოგიური საშუალებებით მსოფლიოს ინტეგრაციისაკენ. ეს პროცესი მოიცავს როგორც დიდ, ასევე მცირე სახელმწიფოებსა და კულტურებს. იგი საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას, ერების კულტურულ და ცნობად კავშირს თავის ისტორიულ ფესვებთან (ჯაფარიძე 2004:1).

თვითმყოფადი კულტურის წარმომადგენლები ცნობიერად თუ არაცნობიერად გრძნობენ და მიიჩნევენ, რომ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, ტექნოლოგიურ პომოგენიზაციას მოჰყვება გვერდითი მოქმედებები, რაც უწინარესად მათი ტრადიციების, კულტურის, ცხოვრების წესის შეცვლას იწვევს.

ჩვენი აზრით, ეროვნულ კულტურებს აფრთხობს თანამედროვე გლობალური კულტურის გამოწვევები. ამგვარად, აშინებს გლობალიზაციის ყოვლისმომცველი მოვლენები, უმსხვილესი, საზღვრებს მოკლებული ტრანსნაციონალური კომპანიები, მასობრივ კომუნიკაციათა ფართო ქსელი, ამერიკული მასობრივი კულტურა (თუ სხვა, გლობალურად პოპულარული კულტურები), ვიზუალური მასებით და კომპიუტერულ-ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც თავის მხრივ, ნათლად ასახავენ და ადასტურებენ კოსმოპოლიტური კულტურის მრავალგვაროვან და ყოვლისმომცველ ბუნებას.

მსოფლიოს ისტორიის მანძილზე არცერთი დიდი ცივილიზაცია (ჩინეთის, რომის, ბუდისტური, ისლამური) და მათი კულტურა არ ყოფილა ასეთი უნივერსალური და ყოვლისმომცველი ბუნების მატარებელი. ამ იმპერიების, ხალხების თვითმყოფადი კულტურა, არსებობდა კონკრეტულ სახელმწიფოში და ხალხში და სათავეს იდებდა მათი ისტორიის განსაზღვრული პერიოდიდან. დღევანდელ დღეს არსებული გლობალური კულტურა კი ძნელია მიაკუთვნო რომელიმე ადგილს და განსაზღვრულ დროს (ნიკოლაიშვილი 2004:4)

ამ თვალსაზრისით, ყურადსალებია კონტრასტი და განსხვავებები წარსულ, ძველ კულტურებსა და დღევანდელ კოსმოპოლიტურ კულტურას შორის. წარსულის კულტურა, ყალიბდებოდა ქავენის, მოსახლეობის საერთო ინტერესებზე, ტრადიციებზე, ისტორიულ გამოცდილებაზე, ზოგ შემთხვევაში, მითებზე დაყრდნობით. თითოეული ერისათვის დამახასიათებელი ფასეულობანი,

სიმბოლოები, ტრადიციები, მეხსიერება მემკვიდრეობით გადაეცემოდა შემდეგ თაობებს და იქმნებოდა ღრმა ფესვების მქონე, მყარი, სპეციფიური, თითოეული ერისათვის დამახასიათებლი, თვითმყოფადი კულტურა, რომელიც გამოარჩევდა რომელიმე ერს სხვა ერისაგან.

დღევანდელი გლობალური კულტურა კი, სულ სხვაგვარ სურათს ხატავს. კოსმოპოლიტური კულტურა ვრცელდება მსოფლიოს სხავადასხვა ქვეყნებში და მისი ექსტრაპოლაცია მსოფლიოს მასშტაბით არ იზღუდება კონკრეტული სახელმწიფო საზღვრებით. რაც მთავარია, მისი ნებატიური მახასიათებლების თვალსაზრისით, იგი მოკლებულია ყოველგვარ ტრადიციას და ფასეულობებს და ნეიტრალურია ქვეყნის, ერის, ფასეულობებისა და ტრადიციების მიმართ (ნიკოლაიშვილი 2004:8).

თვითმყოფადი კულტურები, ასევე, მიიჩნევენ ან გრძნობენ, რომ გლობალიზაციური პროცესები მეხსიერების წყვეტას განაპირობებს. კულტურა ისტორიული მეხსიერებაა, იგი კოლექტიური მეხსიერებაა, რომელშიც ამ საზოგადოების ცხოვრების წესის, სოციალური და სულიერი გამოცდილების დაფიქსირება, შენახვა და დამახსოვრება ხდება. კულტურა როგორც მეხსიერება, ინახავს არა ყველაფერს, რაც კი ამ კულტურის მატარებელ ხალხს შეუქმნია, არამედ იმას, რაც კულტურისთვის დირებულად მიიჩნევა.

„თუ გამოვიყენებთ ანალოგიის ლოგიკას და კონკრეტული ადამიანის რეალური ცხოვრებისათვის მეხსიერების როლსა და მნიშვნელობას გავაცნობიერებთ, მაშინ კიდევ უფრო ცხადი გახდება კულტურის როლის მნიშვნელობა ერის ცხოვრებაში. ადამიანი, როცა კარგავს მეხსიერებას, კარგავს საკუთარ ბიოგრაფიას, საკუთარ მეობასა და ინდივიდუალურ მთლიანობას, ის ფიზიკურად კი არსებობს, მაგრამ არა აქვს წარსული, აწმუო და მომავალი, მან აღარ იცის ვინ არის, რისთვის არსებობს, რა სურს და ა. შ. იმ ფუნქციას, რაც მეხსიერებას აკისრია, კონკრეტული ინდივიდის ცხოვრებაში, იგივე როლის აქვს რაც კულტურას ერის ისტორიულ ყოფიერებაში“ (ყულიჯანიშვილი 2002:7).

ადამიანი სხვა კულტურასთან შეხებისას ცდილობს შეინარჩუნოს საკუთარი კულტურული მთლიანობა. ეროვნული ცნობიერების, ტრადიციის, რელიგიის, მორალის, ხელოვნების, ყოველდღიური ცხოვრების წესთან მიმართებით ნებისმიერი ცვლილება მტკიცნეულად აღიქმება მის მიერ.

ჩვენი შეხედულებით, როცა ადამიანი ისეთ სიტუაციაშია, როდესაც მის ყოველდღიურობაში მონაწილეობს განსხვავებული კულტურული სისტემები და სოციალური გარემო, რომელიც მისგან მოითხოვს მისი კულტურის

საპირისპირო, მისი კულტურის გამომრიცხავ ქმედებებს, ხშირ შემთხვევაში ეს განაპირობებს პიროვნების ან სოციალური ჯგუფის ცნობიერების მთლიანობის დარღვევასა და შინაგან დისკომფორტს. რაც, თავის მხრივ, აისახება მის ქცევაზე, რომელიც შეიძლება იყოს აგრესიული და გამოიხატოს პიროვნების ნაციონალისტურ, კონფესიურ, კრიმინალურ ქმედებებში, ასევე დეპრესიულ და მელანქოლიურ განწყობებში.

ცხოვრების წესი, რომელიც განპირობებულია კულტურით, განიხილება არა მხოლოდ უბრალოდ საყოფაცხოვრებო ფაქტორად, არამედ იმ მნიშვნელოვან მონაპოვრად, რომლის შექმნასა და ჩამოყალიბებაში მრავალი თაობის გარჯა და ძალისხმევაა რეალზებული. ეროვნული ცნობიერებისათვის მისი ცხოვრების წესი არა მხოლოდ სიცოცხლის გაფორმების თავისებურ, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ფენომენად აღიქმება, არამედ მას ყველა სხვა კულტურასთან მიმართებაში უპირატესობაც ენიჭება. როგორც გრან ბოასი აცხადებს „სიცოცხლე მთლიანდაა განპირობებული სამყაროს გარეგანი კავშირით და სოციალური კონტაქტების ფიქსირებული ფორმებით“ (ბოასი 1997:501).

ჩვენი შეხედულებით, ეროვნული ცნობიერებისათვის კულტურის, ცხოვრების წესის და ტრადიციების სიმყარე მოიაზრება როგორც სასრულის დაძლევა. ერის თითოეული წარმომადგენელი თავის ემპირიული სასრულობის გადალახვას ფიქრობს ეროვნული კულტურის უკვდავებაში, სადაც მომავალი თაობები შეინარჩუნებენ ამ კულტურიდან გამომდინარე ცხოვრების წესს, როგორც ამას აკეთებენ თანამედროვენი და აკეთებდნენ შორეული თუ ახლო წინაპრები.

აქედან გამომდინარე, ერი აცნობიერებს თავის ერთობას, მას აქვს ისტორიული მეხსიერება, რომლის საშუალებით წარსული განიცდება მისი აწმეოსა და მომავლის ფუძედ.

ერთი ერის წარმომადგენლები მეორე ერის წარმომადგენლებისაგან განსხვავდებიან ფიზიკური ტიპით, განსხვავებულია მათი ზნე-ჩვეულებანიც, ქცევის ხასიათი და საყოფაცხოვრებო ჩვევები. ერი თავისი ისტორიული არსებობის პროცესში შეიმუშავებს გარკვეულ წარმოდგენებს, სიმპათიას საკუთარი ერისადმი. ერისადმი კუთვნილების ცნობიერება ნიშნავს, რომ ადამიანი დაკავშირებულია მასთან ხასიათის ერთობით, რომ თავისი ერის ბედი და კულტურა გავლენას ახდენს მასზე, ამიტომ საკუთარი ერის შეურაცხოფას განიცდის საკუთარ შეურაცხოფად, ხოლო მისი ერის წარმომადგენლის წარმატება, სხავათაგან აღიარება, იწვევს ეროვნული სიამაყის გრძნობას.

ჩვენი შეხედულებით, არამოდერნიზებული საზოგადოებები ეურჩებიან გლობალიზაციურ პროცესებს, რადგან მათთვის კულტურა ისტორიული მექსიერებაა, რაც სიცოცხლის გაფორმების მშობლიურ მოდელად განიცდება. კულტურაზე უარის თქმა მოახწავებს მექსიერების წყვეტას და ამდენად საკუთარი მეობის გაუქმებას. ეროვნული ცნობიერებისათვის კულტურის უწყვეტობა ცნობიერად თუ არაცნობიერად წარმოადგენს პიროვნული სიკვდილის უარყოფას და უკვდავების დასაბუთებას. გარდა ამისა, კულტურა მის მატარებელ ინდივიდს სთავაზობს ღირებულებებისა და ნორმების ქვების წესების ცხად და მისადებ მოთხოვნებს, რომელიც მისი ემოციური და ფსიქიკური წონასწორობის საფუძველია.

ჩვენი შეხედულებით, კონკრეტული ინდივიდი, საზოგადოება, ეთნოსი ენასთან როგორც ნაციონალური კულტურის დერმან ახდენენ თვითოდენ-ტიფიკაციას, მისი „უგულებელყოფა, მისი არეალის შევიწროებაც კი მტკიცნეულად განიცდება.

აკაკი ყულიჯანიშვილი მართებულად აღნიშნავს, რომ „ენა ერის მოუცილებელი ნიშანია, ეროვნულობა ენის გარეშე წარმოუდგენელია. ენა ეროვნული ცნობიერებისათვის განიცდება ცოცხალ ორგანიზმად, რომელიც გაფრთხილებასა და ზრუნვას მოითხოვს, მისი დაკარგვა ისტორიულ მემკიდრეობის, დროთა კავშირის, მექსიერების დარღვევას გამოიწვევს“ (ყულიჯანიშვილი 2002 :7).

მიგგაჩნია, რომ ნაციონალური ენა წარმოადგენს კულტურის უმნიშვნელოვანეს ფენომენს. არ არსებობს კულტურა ენის გარეშე, ენითაა გამსჭვალული კულტურის ფენომენები. ეს იმას ნიშნავს, რომ ენა კულტურის რომელიმე კონკრეტული, ცალკე არსებული სფეროს განმსაზღვრელი კი არაა მხოლოდ, არამედ თუ რაიმე არსებობს კულტურის სახით, ის აუცილებლად ენაშია გაფორმებული, კულტურა არსებობს ენაში, ენა კულტურის არსებობის წესია.

ვილჰელმ ჰუმბოლდტის განმარტებით ენა ეროვნული და კულტურული იდენტობის ერთ-ერთი ძირითადი მარკერია. ნებისმიერი მოცემული ენისათვის დამახასიათებელი სამყაროს კონცეპტუალიზაციის ხერხი ნაწილობრივ უნივერსალური და ნაწილობრივ თავისებურია. რადგან, სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკენი, ოდნავ განსხვავებულად უყურებენ სამყაროს, თავის ენობრივ პრიზმი ატარებენ მას (ამირეჯიბი 2010).

ენტონი დ' სმითი სამართლიანად აცხადებს, რომ „ეროვნული იდენტობის შეგნება კოლექტიური მეობისა და მისი თვითმყოფადი კულტურის ჭრილში

ინდივიდუალური „მე“-ს სამყაროში თვითგანსაზღვრისა და ადგილის პოვნის მძლავრ საშუალებას წარმოადგენს. სწორედ გაზიარებული უნიკალური კულტურის მეშვეობით ვაცნობიერებთ „ვინ ვართ“ თანამედროვე სამყაროში. ამ კულტურის ხელახალი აღმოჩნდა კვლავაც საკუთარ ნამდვილ „მე-ს“ აღმოგვაჩენიებს, ყოველ შემთხვევაში ასე ესახება ეს ბევრ გაორებულსა და ორიენტაციადაკარგულ პიროვნებას, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს ფართომასშტაბიანი ცვლილებებისა და გაურკვევლობის პირისპის აღმოჩნდა“ (სმითი, 2008: 21).

ღირებულებათა კრიზისი გლობალზაციის ეპოქაში ობიექტურად იწვევს ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული კულტურის პოზიციების მნიშვნელოვნად დასუსტებას. ჩვენი აზრით, ეს გამოიწვევს პიროვნების კულტურული მეხსიერების ანომიასა და პიროვნების სოციალურ დეზორიენტაციას, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება განაპირობოს საზოგადოების ტრადიციული სოციო-კულტურული სტუქტურების რღვევა.

როგორც ვიცით, ფაქტობრივი ვითარება მსოფლიოში იმგვარია, რომ დიდი ერების გარდა არსებობენ მცირე ერებიც, ან რიცხობრივად არამცირე, მაგრამ თავისი მსოფლიო-ისტორიული ხილული ფუნქციით ნაკლებ მნიშვნელოვანი ერები. ამ ერებსაც, რა თქმა უნდა, აქვთ თავისი როლის განცობიერება, თუმცა ეს როლი არ მდგომარეობს მსოფლიოზე ზემოქმედების რაღაცა გეგმაში, როგორც ეს ხდება იმ დიდი ერების შემთხვევაში (რომლებიც ძირითადად ზესახელმწიფოების სახით არიან წარმოდგენილნი). „მცირე ერებსაც აქვს კაცობრიობის სისტემაში და კაცობრიობის ფონზე თავისი კერძო, ინდივიდუალური და განუმეორებელი „ადგილის“ ცნობიერება და სწორედ ამ უნიკალურობის თვითგანცდაში მდგომარეობს მისი არსი“ (ნათაძე 1988: 145).

მცირე ერებისთვის განსაკუთრებით, სასიცოხლოდ მნიშვნელოვანია საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობის შენარჩუნებაზე ზრუნვა. მცირე ერებისათვის საკუთარი კულტურა თვითშენახვის, თვითგადარჩენის და სამომავლო განვითარების მძლავრი (უალტერნატივ) საშუალებაა.

## დ ა ს კ ვ ნ ა

დისერტაციაში დასმული ამოცანების გადაჭრამ საშუალება მოგვცა მიგვეღწია კვლევის მიზნისათვის და პასუხი გაგვეცა მთავარი კითხვისათვის, თუ რას წარმოადგენს გლობალიზაცია და როგორია მისი ზემოქმედების ხარისხი ეროვნულ კულტურებზე. კვლევის შედეგად სახეზეა მეცნიერული სიახლეები, რომლებსაც, ჩვენი აზრით, აქვთ როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული დირექტულება. კვლევის ობიექტის ფართო ინტერდისციპლინარულ კონტექსტში გაანალიზებამ შესაძლებელი გახადა ახალი ხედვის ჩამოყალიბება გლობალიზაციის პროცესისა და ეროვნული კულტურების ურთიერთმიმართების პრობლემატიკის კვლევის სფეროში:

გლობალიზაციის თეორიული პარადიგმების შედარებითი ანალიზისა და გლობალიზაციის ძირითადი მახასიათებლების განსაზღვრით, დისერტაციაში გამოიკვეთა ის ძირითადი ნიშნები, რომლებიც წარმოადგენენ მთავარ წინააღმდეგობებს გლობალიზაციის ეროვნულ კულტურებთან ურთიერთქმედების პროცესში.

1. ჩვენ ისეთ დროში ვცხოვრობთ, როდესაც სოციალური ცხოვრების უდიდეს ნაწილს გლობალური პროცესები განსაზღვრავს, როდესაც ეროვნული კულტურების, ეროვნული ეკონომიკური სისტემებისა და სახელმწიფოების გამყოფი საზღვრები ქრება. პროცესების ამგვარი აღქმის ძირითადი მიზეზი ბოლოდროინდელი სწრაფი ეკონომიკური გლობალიზაციაა, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მეცნიერულ-ტექნიკურმა, პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა.

ჩვენი შეხედულებით, ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად ეროვნულ-სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები ჩათრებული აღმოჩნდნენ მსოფლიო სამეცნიერო პროცესში, რომლისთვისაც დამახასიათებელია საქონლურ-ფულად ურთიერთობათა არეალის უსაზღვროდ გაფართოება. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ საერთაშორისო არეალის ეროვნულ სახელმწიფოთა ადგილი მნიშვნელოვანწილად დამოკიდებული აღმოჩნდა არა შრომით, საწარმოო, გეოგრაფიულ პოტენციალსა და რესურსებზე, არამედ ფულის ძალაზე აგებულ ფინანსურ ეკონომიკაზე.

რევოლუციურმა ცვლილებებმა და არნახულმა პროგრესმა საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში, მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს თანამედროვე მსოფლიო ეკონომიკის ფორმირების პროცესში. ინფორმაციზაცია გახდა

მსოფლიო მეურნეობრივი სისტემის და განსაკუთრებით, ფინანსური სფეროს გლობალიზაციის უმნიშვნელოვანესი ფაქტორი.

ჩვენი დასკვნით, გლობალიზაციის პროცესში აუცილებელი გახდა მთელ მსოფლიოში საბაზო თამაშის და საზოგადოებრივი ქცევის ერთიანი წესების დაცვა, რომელთაც „ინსტიტუტებს“ უწოდებენ. ამიტომ ეკონომიკური გლობალიზაციის პროცესების პარალელურად, ხან დაგვიანებით, ხან წინსწრებით მიმდინარეობს ფორმალური (კანონები, ნორმატივები) და არაფორმალური (ტრადიციები, წეს-ჩვეულებები, ქცევის დაუწერელი წესები) ინსტიტუტების გლობალიზაცია.

გლობალიზირებულ მსოფლიოში მიმდინარე ინტერნაციონალიზაციის, ლიბერალიზაციის, ვესტერნიზაციის, დეტერიტორიალიზაციის პროცესები თანამედროვე სამყაროში ქმნიან ისეთ ობიექტებს, რომელიც ნებატიურად აისახება მსოფლიოს მთელ რიგ საზოგადოებებზე და მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს ერი-სახელმწიფოს სუვერენიტეტზე, ეროვნულ პოლიტიკასა და მათ ეროვნულ-კულტურულ თვითმყოფადობაზე.

2. თანამედროვე მსოფლიოში წარმოდგენილი საზოგადოებების განვითარების დონე არაერთგვაროვანია, შესაბამისად, გლობალიზაციის პირობებში მათი განვითარების შესაძლებლობებიც განსხვავებულია. აქედან გამომდინარე, სადისერტაციო ნაშრომში განხილული და გაანალიზებულია საზოგადოების განვითარების ეტაპები აგრარული ეპოქიდან დაწყებული თანამედროვეობის პოსტინდუსტრიული მდგომარეობით დამთავრებული, იმ მნიშვნელოვანი გარემოების გათვალისწინებით, რომ თანამედროვე გლობალიზირებული სამყარო თავისთვის ქმნის ისეთი სახის კონკურენციას, სადაც წარმატების მისაღწევად ქვეყნის ეკონომიკურ-პოლიტიკური ინსტიტუტების მოდერნიზაცია აუცილებელ პირობას წარმოადგენს.

მიგგაჩნია, რომ გლობალიზაციას თავისი არაპროგნოზირებადი და თვითგანვითარებადი ობიექტური ბუნება გააჩნია, მეორე მხრივ, მსოფლიოს წამყვანი ზე-სახელმწიფოები განსაზღვრავენ „გლობალური თამაშის წესებს“ და „მესამე სამყაროს“ „არამოდერნიზებული“ ქვეყნები „პასიური რეციპიენტების“ როლში გამოდიან.

ჩვენი დასკვნით, ობიექტური სინამდვილე ისეთია, რომ რაც უფრო არამოდერნიზებულია საზოგადოებები, მით უფრო მეტად უჭირთ თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზირებულ სისტემაში საკუთარი ადგილის პოვნა, შესაბამისად, საკუთარი კეთილდღეობის წარმატებით უზრუნველყოფა.

3. გლობალიზაციის პროცესის ეროვნულ კულტურებთან ურთიერთმიმართების კვლევის ასპექტში ნაშრომში წარმოდგენილია ნაციონალური იდენტობის და ნაციონალიზმის შესახებ პრიმორდიალიტების, განსაკუთრებით კი, ეთნოსიმბოლისტების და მოდერნისტების ძირითადი თეორიების შედარებით ანალიზი და მიღებულია სადისერტაციო თემის ძირითადი პრობლემის წარმოჩენისათვის მნიშვნელოვანი მეცნიერული დასკვნები. რაც, განსაკუთრებით საყურადღებოა მულტინაციონალური სამყაროს ობიექტური ბუნების დადგენის და მისი სამომავლო განვითარების კვლევის თვალსაზრისით.

ჩვენი შეხედულებით, ბიპოლარული სამყაროს რღვევის ნიადაგზე, მსოფლიოში მიმდინარე პროცესები თუ განსხვავებული მიმართულებით განვითარდა. ერთი მხრივ, მსოფლიო გახდა პოლიცენტრული, შესაბამისად გაიზარდა ზე-სახელმწიფოების როლი და მნიშვნელობა. მეორე მხრივ, გასულ საუკუნეში დაწყებულმა გლობალიზაციის პროცესმა სერიოზულად შეარყია მულტინაციონალური სამყაროს პოზიციები. თანამედროვე სამყაროში ნაციონალიზმი მსოფლიოს გლობალიზაციის პროცესისადმი საკმაოდ მგრძნობიარე აღმოჩნდა.

გლობალიზაციის პროცესის მომხრეთა მტკიცებით, მსოფლიო მასშტაბით გაჩადებული ეთნოკონფლიქტების პირველმიმეზი თანამედროვე სამყაროს მულტინაციონალური ბუნებიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, თანამედროვე მულტინაციონალური სამყაროს არსებობა და მისი განვითარება, ეწინააღმდეგება გლობალისტების პოზიციას, რომლებიც გამოსავალს „მსოფლიო მშვიდობის“ უზრუნველსაყოფად მსოფლიოს მულტინაციონალური ბუნების დაძლევაში ხედავენ.

ჩვენი კვლევებით, გლობალიზაციის პროცესი ასუსტებს მულტინაციონალური სამყაროს პოზიციებს, შესაბამისად ნაციონალიზმის დოქტრინის მდგრადობას და მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივებს. რაც, ჩვენი გადმოსახედიდან, ცალსახად ნებატიურ მოვლენად შეიძლება შეფასდეს. ამავე დროს, არც ის უნდა გამოგვრჩეს მხედველობიდან, რომ მსოფლიოში თვითგამორკვევის ნიადაგზე აღმოცენებული ეთნოკონფლიქტები თანამედროვეობის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს.

ჩვენი დაკვირვებით, თანამედროვე ნაციონალიზმი (მინინაციონილზმი) წარმოდგენილია იმ ხალხების ნაციონალიზმის სახით, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიან და ეთნიკურ უმცირესობებს შეადგენენ. ასეთი ნაციონალიზმის ძირითადი თავისებურება ის არის, რომ მიმართულია

სახელმწიფოს ცენტრალიზებული მმართველობის წინააღმდეგ და თვითგამორკევისთვის იბრძვის. როდესაც ამ მოთხოვნით გამოდის ხალხი, რომელიც ეთნიკურ უმცირესობას წარმოადგენს მოცემულ ეროვნულ სახელმწიფოში, იგი გარდაუვლად შედის კონფლიქტში სახელმწიფოს „ოფიციალურ ნაციონალიზმთან“. სწორედ ეს არის დღეს მიმდინარე კონფლიქტების დიდი უმრავლესობის მიზეზი. რაც მთავარია, თანამედროვე ეთნოკონფლიქტების წარმოშობის ხასიათი და პირველმიზეზები არაერთგვაროვანია, შესაბამისად, თითოეული შემთხვევა ინდივიდუალურ მიღებას მოითხოვს.

ჩვენი შეხედულებით, სეპარატიზმი თანამედროვეობის ერთ-ერთი უმთავრესი პრობლემა გახდა, ხოლო წინააღმდეგობა თვითგამორკვევისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპებს შორის დღითიდან დრმავდება. საერთაშორისო სამართლის ორი პრინციპის – ხალხთა თვითგამორკვევისა და სახელმწიფოს მთლიანობის შეუთავსებლობა – იქნება ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური წინააღმდეგობა მომავლის მსოფლიოში.

მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო სისტემაში სახელმწიფოთა გვერდით უნდა გაჩნდეს ერების სისტემა. სადაც ერის სტატუსის მქონე ერთეულები ხდებიან საერთაშორისო ურთიერთობების აქტორები და წარმოდგენილი იქნებიან საერთაშორისო ორგანიზაციებში. ამასთან, საკუთარი სახელმწიფოს არმქონე ერებისათვის საერთაშორისო სტატუსის მინიჭება არ გულისხმობს ახალი ტერიტორიული სახელმწიფოების შექმნას.

ჩვენ ვეთანხმებით, მკვლევართა იმ ნაწილის აზრს, რომლებიც მიიჩნევენ, რომ ერებს უნდა მიეცეთ საშუალება სახელმწიფოთა პარალელურად შექმნან თავიანთი „ეროვნული სახლები“, ისე რომ, არ ხელყონ სახელმწიფოთა მთლიანობა. ერების მსგავსი სამართლებრივი სტატუსით აღჭურვა, ეთნიკური კონფლიქტების მოგვარების რეალური გზაა. მათვის ეს იქნება საერთაშორისო გარანტიები, რომ სახელმწიფო და საერთოშორისო დონეზე დაიცვან ენა და ეროვნული ტრადიციები.

ასევე, თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემაა ეთნიკური უმცირესობების კულტურული თვითმყოფადობის დაცვის და შენარჩუნების საკითხი, რომლებიც მოცემული სახელმწიფოს ტერიტორიაზე მცხოვრებ ავტოქტონურ მოსახლეობას წარმოადგენენ. ამ თვალსაზრისით, დაძლეულ უნდა იქნას კულტურული პომოგენიზაციის პოლიტიკა, რომელსაც გარკვეულ შემთხვევებში, სახელმწიფოს ფარგლებში დომინანტი ერები ეთნიკურად განსხვავებული (ეთნიკური უმცირესობების) მკვიდრი მოსახლეობის მიმართ

ახორცილებენ. რაც ზიანს აყენებს ეთნიკურ უმცირესობათა კულტურულ თვითმყოფადობას.

ამავე დროს, მთავარი არგუმენტი, რომელიც უნდა გაითვალისწინონ ეთნიკურმა უმცირესობებმა, არის ის, რომ მათი მხრიდან კულტურული ავტონომიურობის მოთხოვნა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს სახელმწიფოს მთლიანობის პრინციპს, საერთო ეროვნულ მიზნებსა და ინტერესებს, ანუ წინააღმდეგობაში არ უნდა შევიდეს ერი-სახელმწიფოს ეროვნულ პოლიტიკასთან.

4. ნაციონალიზმის ლიბერალური კრიტიკის მიხედვით, ერს პოლიტიკური მნიშვნელობა აღარ გააჩნია და იგი მხოლოდ კულტურული და ფოლკლორული ფენომენია და კულტურული გლობალიზაციის ერაში იგი დეპოლიტიზირებულია. რაც გულისხმობს, რომ ერის კულტურული დონე განსხვავდება სახელმწიფოს პოლიტიკური და რეგიონალურ-ეკონომიკური დონისაგან. ლიბერალური მიდგომის მიხედვით, ე.წ. „პოსტნაციონალურ სამყაროში“ სახელმწიფოს ეროვნული სუვერენიტეტი მნიშვნელოვნად შეიზღუდება, შესაბამისად ლიბერალური ხედვის მიზანია ამოაგდოს ერის ცნება პოლიტიკური ჩარჩოებიდან.

ჩვენი შეხედულებით, გლობალიზაცია გარკვეულწილად არის უმართავი პროცესი, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ზე-სახელმწიფოთა ძალისხმევა საერთაშორისო ასპარეზზე თამაშის წესების განსაზღვის თვალსაზრისით, მნიშვნელოვან გავლენას ახდენს თანამედროვე მსოფლიო წესრიგის ფორმირებაზე.

ასევე, მიგვაჩნია, რომ გლობალიზაცია კომპლექსური პროცესია, რომელიც წინააღმდეგობრივ შედეგებს იწვევს კულტურისა და ძალაუფლების ცვალებადობასთან დაკავშირებით. ამიტომ, გლობალიზაციის პროცესთა გასაგებად საუკეთესოა ის გზა, რომელიც არა მარტო გლობალური ძალაუფლების ფაქტორს გაითვალისწინებს, არამედ ლოკალურისასაც.

თანამედროვე გლობალური კულტურის ჰიბრიდულობა არღვევს კულტურის ე.წ. ტერიტორიულ კონცეფციას, რომელსაც, თვის მხრივ, საფუძვლად უდევს ნაციონალიზმი და ნაციონალური იდენტობის იდეა. ადამიანთა გლობალური უთანასწორო მდგომარეობასთან დაკავშირებით, ჰიბრიდიზაციის პერსპექტივა განსჯასა და საქმიანობას ათავისუფლებს ეროვნულობის, ერთობის, ეთნიკურობისა და კლასის შეზღუდვებისგან. ასევე, ჩვენ არ უნდა გამოგრჩეს მხედველობიდან, რომ მულტიკულტურალიზმი თანამედროვე სახელმწიფოში შეიძლება გამოხატული იყოს ქვეყანაში დომინანტი ეთნოსის კულტურის

გვერდით, სხვა ეთნიკური კულტურების არსებობით. ასევე, კულტურული გლობალიზაციის შედეგად ერთგვაროვანი კულტურული ფორმების დანერგვით, პოპულარული კულტურების ადგილობრივ კულტურებში შემოჭრით და დამკვიდრებით. კულტურული „ლოკალიზაციის“ შედეგად სქესის, ასაკის, რასის, კლასის, ფემინისტური მისწრაფებების, სექსუალურ უმცირესობათა და ა. შ. სახესხვაობრივ იდეო-კულტურული ჯგუფების მიერ სეგმენტირებული კულტურულური სივრცეების გაჩენით.

ჩვენი კვლევებით, ეროვნულ კულტურებს აფრთხობს თანამედროვე გლობალური კულტურის გამოწვევები. ამგვარად, აშინებს გლობალიზაციის ყოვლისმომცველი სასიათი. გლობალიზაციის ერაში, ეკონომიკური და ფინანსური ურთიერთკავშირები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანდათანობით, ქმნის მსოფლიოს „საზღვრების გარეშე“, სადაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებენ ტრანსნაციონალური კომპანიები და უამრავი სხვა მსხვილი და გავლენიანი ორგანიზაციები. ხოლო თანამედროვე გლობალური კულტურა, პირველ რიგში, ტექნოლოგიური ცივილიზაციის შემოტანია მსოფლიოში. მისი კოსმოპოლიტანიზმი ძირითადად ეფუძნება უდიდეს ტექნოლოგიერ ბაზას კომუნიკაციის ყოვლისმომცველი სისტემით: მასობრივი კულტურა, პოპულარული, ვიზუალური მასმედია და კომპიუტერულ-ინფორმაციული ტექნოლოგიები, რომლებიც, თავის მხრივ, ნათლად ასახავენ და ადასტურებენ კოსმოპოლიტური კულტურის მრავალგვაროვან და ყოვლისმომცველ ბუნებას.

კულტურული გლობალიზაციის პროცესი ძირითადად დაკავშირებულია დასავლური ცხოვრების წესის, მასკულტურის და აზროვნების ტიპის ექსპანსიასთან. გლობალურად პოპულარული კულტურები, თანამედროვე გასართობი ინდუსტრიის კულტურული პროდუქციები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ თანამედროვე საზოგადოებების ცნობიერებისა და ცხოვრების წესის ფორმირებაზე. ეს პროცესი მოიცავს, როგორც დიდ, ასევე მცირე სახელმწიფოებსა და კულტურებს. იგი საფრთხეს უქმნის ეროვნულ იდენტობას, ერების კულტურულ და ცნობად კავშირს თავის ისტორიულ ფესვებთან.

ჩვენი ანალიზით, მოვლენები რომლებიც თან ახლავს გლობალიზაციის პროცესს, არაპირდაპირი გზით იწვევენ ნაციონალური კულტურების დასუსტებას. პირველ რიგში, ეს შეეხება ეროვნულ ენას, მისი მნიშვნელობის დაკინებას. რადგან წარმატებული ეკონომიკური საქმიანობა მოითხოვს ინფორმაციული გაცვლის დროულ განხორციელებას ერთ ენაზე, ასეთი ენა გლობალიზაციური პროცესებისათვის ინგლისურია.

დასავლურ – ეპროპულ და ამერიკულ კულტურას, აქედან გამომდინარე, მის ეკონომიკურ შესაძლებლობებს ძნელად თუ გაუწევენ კონკურენციას და წინააღმდეგობას სხვა საზოგადოებები. ისმება კითხვა: ხომ არ ნიშნავს ეს, რომ ეკონომიკურად ნაკლებად განვითარებული საზოგადოებები განწირულები არიან კულტურული გაერთგვაროვნებისა და კულტურული იმპერიალიზმის ბატონობისათვის?! . . .

მიგვაჩნია, რომ ეკონომიკური უზრუნველყოფის გარეშე საკუთარი კულტურის შენარჩუნება გამორიცხულია. ჩვენი აზრით, კულტურა განწირულია იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოება სამი-ოთხი თაობის განმავლობაში ეკონომიკური განვითარების ნულოვან ნიშნულს ვერ გასცდება.

ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ერმა-სახელმწიფომ და მისმა ეროვნულმა კულტურამ გარკვეული ცვლილებები განიცადა ეკონომიკური გლობალიზაციისა და ეკონომიკური გარდაქმნების შედეგად, მაგრამ მისი პოლიტიკური და კულტურული მახასიათებლები მაინც უნდა განვასხვავოთ ეკონომიკური სისტემის ბუნებისაგან. ქვეყანას უნდა შეეძლოს არეგულიროს და აკონტროლოს ის მასობრივი ინტერნაციონალური ძრები, რომელიც გლობალურ კულტურას მოაქვს, და საკუთარი ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე, უნდა განსაზღვროს, რა არის ერისათვის კარგის მომტანი ან მაგნე ზეგავლენის მატარებელი.

ჩვენი შეხედულებით, გლობალიზაციის ეპოქაში, ყველა ერს აქვს კონკურენტულობის განვითარების თეორიული შესაძლებლობა, რომელიც დამოკიდებულია როგორც გარე, ისე შიდა ფაქტორებზე. გარე ფაქტორები მოიცავს რეგიონული და გლობალური მმართველი ინსტიტუტების პოლიტიკას. შიდა ფაქტორები კი ეროვნული ბიზნესის ტრანსნაციონალიზაციის დონეს, მთლიანი ეროვნული პროდუქტის ზრდას, მაღალტექნოლოგიური, დამატებითი ღირებულების შემცველი პროდუქციის წარმოებას, ცოდნის ეკონომიკისა და მერიტორატიულ ფასეულობებზე ორიენტაციის ხარისხს, ეროვნული და რეგიონული საინოვაციო კლიმატის არსებობას, ეროვნულ კულტურულ მენტალიტებს და სოციალური კაპიტალის განვითარების დონეს.

აქედან გამომდინარე, ჩვენი დასკვნით, კონკურენტული უპირატესობის მოპოვების თვალსაზრისით, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რამდენად იქმნება ქვეყანაში ცოდნის კომერციალიზაციისა და ინოვაციური ტექნოლოგიებისათვის აუცილებელი გარემო, ვითარდება თუ არა ეროვნული

წარმოება და ბიზნესი, რომელიც ექსპანსიურდება გლობალურ სივრცეში და ზრდის მთლიან ეროვნულ შემოსავალს.

5. განვითარებად ქვეყნებში, გლობალიზაციის პროცესი საკმაოდ მტკიცნულად აღიქმება. განვითარებადი ქვეყნების ნაწილი ცდილობს ჩაეტოვს გლობალიზაციის პროცესში და მოქმედებს იმ თამაშის წესების მიხედვით, რომელიც ამ პროცესის ძირითადი აქტორების მიერ არის ინიცირებული. რიგ ქვეყნებში და მათ ეროვნულ კულტურებში აშკარად შეიმჩნევა ანტიგლობალისტური ტენდენციები, ისინი ერთგვარად კონფრონტაციის რეჟიმში იმყოფებიან დასავლურ განვითარებულ სამყაროსთან და „არ მოდერნიზდებიან“ ე. წ. დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული პროექტის მიხედვით.

მიგვაჩნია, რომ განვითარებადი ქვეყნების უმეტესობა საჭიროებს ადგილობრივი პირობების შესაბამისი გონივრული ეკონომიკური პოლიტიკის გატარებას. თუ ქვეყნის სახელმწიფო პოლიტიკა სწორად არის დაგეგმილი და მთავრობაც, პირველ რიგში, ეროვნული ინტერესების შესაბამისად მოქმედებს, მაშინ მოდერნიზაცია განაპირობებს ეკონომიკურ ზრდას ქვეყანაში და ეროვნულ-კულტურულ თვითმყოფადობაც შენარჩუნებული იქნება.

ჩვენი შეხედულებით, განვითარებადმა სახელმწიფოებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ მათ საზოგადოებაში დაძლევულ იქნას სიღარიბე. რადგან, წარმატებული სახელმწიფოს პირობებში, საზოგადოება, რომლისთვისაც სიღატაკის პირობებში თვითგადარჩენა უკვე აღარ წარმოადგენს ძირითად საზრუნავს, უფრო მეტად იქნება დაინტერესებული თავისი ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნებით.

6. ჩვენი შეხედულებით, გლობალიზაციის პროცესი იწვევს არადასავლური კულტურების „შთანთქმას“ გლობალური კულტურის მიერ, რომელშიც დომინანტური პოზიცია დასავლეთს უკავია. გლობალიზაციას და კულტურულ იმპერიალიზმს პირველ რიგში მასობრივი კომუნიკაციის საშუალებები უწყობენ ხელს. სწორედ ისინი ახდენენ ამერიკული თუ სხვა რომელიმე დომინანტი კულტურის პოპულარიზაციას და ხელს უწყობენ მის გავრცელებას. შესაბამისად, მასობრივი კომუნიკაციის გავრცელების, ტექნიკური განვითარების კვალდაკვალ იმატებს გლობალიზაციის ზრდის პროცესიც.

მიგვაჩნია, რომ გლობალური კულტურა მოკლებულია ისტორიულ ბაზისს და ფესვებს, შესაბამისად ნაკლებ სავარაუდოა, რომ მასობრივი მოხმარების „კომერციულმა კულტურამ“ მოახერხოს „თვითმყოფადი ეროვნული კულტურის“ ჩანაცვლება. რა თქმა უნდა, გლობალიზაციის პროცესი გარკვეული მიმართუ-

ლებებით ასუსტებს ერი-სახელმწიფოების და ეროვნული კულტურების პოზიციებს საერთაშორისო ასპარეზზე, მაგრამ ამავე დროს, გლობალური გამოწვევები აღვივებს და აძლიერებს საზოგადოებრივ თვითმმართველობაზე დაფუძნებულ ერი-სახელმწიფოების ნაციონალური იდენტობის მწვავე განცდას.

გლობალიზაციის პირობებში, თანამედროვე მსოფლიოს განვითარების ერთ-ერთ მთავარ ამოცანად გვესახება გლობალური და ლოკალური პროცესების ურთიერთშეთანხმება და ინტეგრაცია. ვფიქრობთ, რომ ერმა-სახელმწიფოებმა როგორმე უნდა იპოვონ გამოსავალი გლობალიზაციის ლაბირინთიდან. ამისათვის კი მიზანშეწონილია კომფრონტაციული განვითარებიდან კომპრო-მისულ განვითარებაზე გადასვლა. სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები, პირველ ყოვლისა, „მაღალი პოლიტიკის“, ეროვნული უსაფრთხოების ინტერესებს გულისხმობს, ამდენად, ნებისმიერი მთავრობა ეროვნული ინტერესების დაცვის პოლიტიკას უნდა ატარებდეს.

ჩვენი დაკვირვებით, გლობალიზაციის მითოსური აბსტრაქციის მიღმა, მსოფლიო წესრიგს ქმნის და თამაშის წესებს რეალურად განსაზღვრავს მსოფლიოს გლობალური მოთამაშე – ზე-სახელმწიფოები. ძლევამოსილი ტრიადა – ამერიკის შეერთებული შტატები, იაპონია და ევროკავშირის ქვეყნები (მომავალში ალბათ დაემატება ჩინეთი, ინდოეთი და საგარაუდოდ რუსეთიც) ამ ზე-სახელმწიფოებს ნაციის მიჯნა არ გადაულახავთ, შესაბამისად, მსოფლიოში მიმდინარე გლობალური პროცესები სათავეს მულტინაციონალური სამყაროდან იღებს. ხოლო ის რომ, ნაციებად დაყოფილი მსოფლიო არათანაბარი სიძლიერისა და შესაძლებლობის ერი-სახელმწიფოებისაგან შედგება – თავისთავადი და საყოველთაოდ აღიარებული ფაქტია.

7. დასავლური კულტურა და პოლიტიკური ეკონომიკა გლობალიზაციის დომინირებად ფორმად იქცა. თუკი დასავლური მოდელის გლობალური მოძალება, ერთის მხრივ, კაცობრიობას უფრო იდენტურს და მსგავს ხდის, მეორე მხრივ, იგი იწვევს მდაფრ უკურგაქციას, განსაკუთრებით კულტურის სფეროში.

მსოფლიოს ისტორია კონფლიქტების ერაში შედის. ოდონდ კონფლიქტებს აღარ წარმოშობს იდეოლოგია ან ეკონომიკა, არამედ – კულტურათა შეჯახება. ახალ მსოფლიოში, ფართო, სერიოზული და საშიში კონფლიქტები (ჰანთიგტონის მიხედვით) შეიძლება განვითარდეს არა სოციალური კლასებს, მდიდრებს და ღარიბებს, ან გარკვეულ ეკონომიკურ დაჯგუფებათა შორის, არამედ იმ ხალხებს შორის, რომლებიც სხვადასხვა კულტურებს მიეკუთვნებიან.

ასეთი ხასიათის ომები და კონფლიქტები თავს იჩენს ცივილიზაციის ჩარჩოებში. თღონდ, ყველაზე საშიში კონფლიქტების გაჩადება მოსალოდნელია ცივილიზაციის განაპირა საზღვრებზე.

ამ თვალსაზრისით, განსაკუთრების საყურადღებოა დასავლური იუდეურ-ქრისტიანული ცივილიზაციისა და აღმოსავლური მუსულმანური ცივილიზაციის დაპირისპირება და ურთიერთობის კრიზისი, რომელიც თანამედროვე მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პრობლემაა.

8. თვითმყოფადი კულტურის წარმომადგენლები ცნობიერად თუ არაცნობიერად გრძნობენ და მიიჩნევენ, რომ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ, ტექნოლოგიურ პომოგენიზაციას მოჰყვება გვერდითი მოქმედებები, რაც უწინარესად მათი ტრადიციების, კულტურის, ცხოვრების წესის შეცვლას განაპირობებს. ღირებულებათა კრიზისი გლობალიზაციის ეპოქაში ობიექტურად იწვევს ეროვნული თვითშეგნების, ეროვნული კულტურის პოზიციების მნიშვნელოვნად დასუსტებას. ჩვენი აზრით, ამან შეიძლება გამოიწვიოს პიროვნების კულტურული მეხსიერების ანომია და პიროვნების სოციალური დეზორიენტაცია, რამაც, თავის მხრივ, შეიძლება განაპირობოს საზოგადოების ტრადიციული სოციო-კულტურული სტრუქტურების რდვევა.

ეროვნულ-კულტურული იდენტობის შენარჩუნება, ნებისმიერი ერის, ერისახელმწიფოს პირველად მიზანს უნდა წარმოადგენდეს. შესაბამისად, თუ ჩვენ გამბობთ, რომ ეროვნული პოლიტიკის უველდებიურ ცხოვრებაში გატარება გულისხმობს მოცემული საზოგადოების ეკონომიკურ კეთილდღეობაზე ზრუნვას, იმასაც ცალსახად ვაცხადებთ, რომ ეს თავისთავად მოიაზრებს, ეროვნულ-კულტურული თვითმყოფადობის გადარჩენაზე ზრუნვას, რომლის გარეშე ვერც ერთი სახელმწიფოს მთავრობა ვერ შეძლებს საზოგადოების ნებაყოფლობით კონსოლიდაციას და მისი მხარდაჭერის მოპოვებას. შესაბამისად, ვერც ერთი მოცემული საზოგადოება ეროვნული ერთიანობისა და სოლიდარობის განცდის გარეშე ვერ იქნება წარმატებული.

ჩვენი დაკვირვებითა და ანალიზით, ერი-სახელმწიფოს ნაციონალური ეკონომიკის გაუქმებას მოჰყვება ჩვენი ეროვნული ინტერესების გაუქმებაც.

გლობალისტების პოზიციის საწინააღმდეგოდ, რომლებიც მსოფლიოს ეკომომიკურ გლობალიზაციას საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევის უნივერსალურ საშუალებად მიიჩნევენ, შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ წარმოუდგენლად მიგვაჩნია ეროვნული კულტურის არმქონე სახელმწიფოს ეკონომიკური განვითარება.

ქაცობრიობის ერებად დაყოფა და ეროვნული იდენტობის გაუტეხავი სიცოცხლისუნარიანობა, მთელ მსოფლიოში, ერთდროულად საფრთხესაც შეიცავს და იმედსაც გვისახავს. თუ ერი-სახელმწიფო სწორად და გონივრულად მიიღებს გლობალურ ეკონომიკურ ცვლილებებს, შექმნის უფასჩურ ბაზას კაპიტალიზმის განვითარებისათვის და ამავე დროს საკუთარ კულტურასაც განავითარებს. მაშინ ერისა და სახელმწიფოს ინტერესებზე აგებული ეროვნული პოლიტიკა დიდი ალბათობით იქნება ჯანსაღი ერის არსებობის გარანტი. ჯანსაღი ერი, თავის მხრივ, ყოველთვის გახსნილი იქნება ურთიერთობისათვის, რაც თანდათანობით სტაბილურობასა და მშვიდობას დაამკვიდრებს მსოფლიოში. თუ ასეთი პერსპექტივა რეალურია, მაშინ ერი-სახელმწიფოს აქვს მომავალი და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ეროვნული კულტურებში ნაციონალური იდენტობა და ნაციონალიზმი, როგორც კაცობრიობის მამოძრავებელი ერთ-ერთი ძირითადი ძალა, კვლავაც დარჩება წამყვან პოზიციებზე.

## გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბზიანიძე, 2008 აბზიანიძე აკაკი, „საქართველოს სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობები“, გამომცემლობა „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი
2. აკობია 2006: აკობია ეკა, „საერთაშორისო ურთიერთობების თეორია“, „სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
3. Албер 1998: ალбер Мицель, „Капитализм против Капитализма“, Издательство „Економическая школа“, Москва
4. ანდერსონი 2003: ანდერსონი ბენდიქი, „წარმოსახვითი საზოგადოებანი“. გამომცემლობა „ენა და კულტურა“, თბილისი
5. ასათიანი 2006: ასათიანი მარიკა, „კულტურის სოცილოგია“ „სოციალურ მეცნიერებათა პლევის ცენტრი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
6. ასათიანი 2010: ასათიანი როზეგა „გლობალიზაცია, ეკონომიკური თეორია და საქართველო“, გამომცემლობა „სიახლე“, თბილისი
7. Аксенова 2005: К. А. Аксенова , „Реклама и Рекламная деятельность“, Издательство „Приор“ Москва
8. Барт 1994: Ролан Барт. „Миф сегодня“  
Барт Р. Избранные работы: „Семиотика. Поэтика“. Издательская группа „Прогресс“, „Универс“, Москва.
9. ბეგო 2003: ბეგო ულრიხ, „რა არის გლობალიზაცია“ გამომცემლობა „ელფი“, თბილისი
10. Боас 1997: Боас Франц, „Границы сравнительного метода в антрологии. //Антрология исследований культуры“, том 1, Издательство „Университетская книга“, Санкт-Петербург
11. Богомолов 2003: Богомолов Олег Тимофеевич, „Анатомия глобальной экономики“: учебное пособие. Изд. „Академкнига“, Москва
12. Бове 1995: Бове Кортленд., Аренс Уилльям., Современная реклама“, Тольятти: „Издательский дом Довгань“, Тольятти
13. გაგოშიძე 1996: გაგოშიძე შოთა, „ეურნალისტის საფუძვლები“, გამომცემლობა „ლოგოსი“, თბილისი

14. Гелбрейт 1979: Гелбрейт Джон Кеннет, „Економические теории и цели общества“, Изд. „Прогресс“, Москва
15. გელბერი, 2003: გელბერი ერნესტ, „ერები და ნაციონალიზმი“  
გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი
16. Гуревич 1986: Гуревич П. С. „Новая технократическая волна на западе“  
Изд. „Прогресс“, Москва
17. Гидденс 2005: Гидденс Ентони, „Социология“, Изд. „Едиториал УРСС“, Москва
18. Грюнебаум 1998: Грюнебаум Фон Густав „Классический ислам“ .  
Изд. „Наука“ Москва
19. ბიჭაშვილი 2006: ბიჭაშვილი მამუკა, „პოლიტიკური ოეორია“  
„სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ცენტრი“,  
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
20. დავითაშვილი 2003: დავითაშვილი ზურაბი, „ნაციონალიზმი და გლობალიზაცია“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
21. დიურინგი 2009: დიურინგი საიმონ „კულტურის კვლევები: კრიტიკული შესავალი“, „ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი
22. Делез 2007: Делез Жил, Гваттари Френсис, „Капитализм и шизофрения: Анти-Эдип“, Пер. с франц. и послесл. Д. Кралечкина –  
Изд. „Екатеринбург: У-Фактория“, Екатеринбург“,
23. დემეტრაძე 2007: დემეტრაძე ირმა, „ნაციონალისტური ტრაგედია“,  
სახელოვნებო მეცნიერებათა მიერანი, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი,  
გამომცემლობა „კენტავრი“, №3 (32), თბილისი
24. ელიასი 2005: ელიასი ნორბერტი, „ცივილიზაციის პროცესის შესახებ“, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი
25. Валлерстайн 2001: Валлерстайн Иммануэл „Анализ мировых систем и ситуация в современном мире“,  
Изд „Университетская книга“, Санкт-Петербург
26. თევზაძე 2002 თევზაძე გიგი, „ინსტიტუციური ცვლილებების სოციოლოგია“, გამომცემლობა „მეცნიერება, თბილისი
27. Яжбировская 2008: Яжбировская И. С. , Глобализация и трансформация общества: в странах центрально- и юго-восточной Европы“,

- Издательство «Academia», Москва
28. Иноземцов 1999: Иноземцов В.Л.. «Новая постиндустриальная волна на западе», Изд. „akademia”, Москва
29. Иноземцов 2000: Иноземцев В.Л. „Современное постиндустриальное общество: природа, противоречия, перспективы“, Изд. „Логос“, Москва.
30. զանցո, 1979: ոմանական զանցո, „Թմօնքա զոնցին զրո՞յցա“  
զամոնցյամանա, „տեսչ“, տօնութեա
31. զաձանածյ 2006: զաձանածյ Ելրցո, „Աշրուգավանութեա ձոլո՞յցա“  
„Խոչոալյար մյօնոյրյատա զալցան Սեբյո“,  
զամոնցյամանա „մյօնոյրյա“, տօնութեա
32. Кейнс 1978: Кейнс Джон Миенард, „Общая теория занятости, процента и денег“, Перевод с английского изд. „Прогресс“, Москва
33. Кирилина 1999: Кирилина, А.В. „Гендер: лингвистические аспекты“, „Институт социологии“, Изд. „РАН“, Москва
34. զոքյա 2004: զոքյա զօջարդո, „Խոչոալյար քա ձոլո՞յցայա“  
Ծյրմօնտա լցյանոյնո-Ծբոնարո“,  
զամոնցյամանա „լողաւ ձրյեո“, տօնութեա
35. Конт 2003: Конт Огюст, „Дух позитивной философии: (Слово о положительном мышлении)“, Перевод с французского И. А. Шапиро — Ростов н/Д: Феникс,
36. յոլու 1999: քոմինոյ յոլու, „Յոլո՞յոյցյար Խոչոառաջան“.  
զամոնցյամանա „Յոլո՞յոլոցմա“, տօնութեա
37. Кульман 1993: Кульман Анри. „Экономические механизмы“, Пер. с фр. - Изд. „Прогресс Универс“, „Универс“, Москва
38. Лиотар 1998: Жан-Франсуа Лиотар, „состояние постмодерна“, „Институт экспериментальной социологии“, Издательство "АЛЕТЕЙЯ", Санкт-Петербург
39. լուսը 1988: Джон Локк – „Два трактата о правлении“, том 3, в кн. Избранные произведения в трех томах. Изд. «Мысль», Москва
40. լուսոյոցանու 2001: լուսոյոցանու ջ. զորքյանո լու „ՅԱԼՈՒՅՐՄԱՆՈՂՈՏ“,  
զամոնցյամանա „տեսչ“, տօնութեա
41. Лоуи 2002: Лоуи Т. Глобализация, государства демократия образ новой политической науки“, Изд. „Полис“, „Политические

- исследования“, - 1999. №5. Москва
42. Майерс 2002: Майерс Дэвид Джонс, „Социальная психология“, Издательство „Питер пресс“, Санкт-Петербург
43. მარლია 2006: მარლია ელგუჯა, „საზოგადოებასთან ურთიერთობის სამაგიდო ენციკლოპედია“, გამომცემლობა „ცოტნე“, თბილისი
44. მელიქიძე 2006: მელიქიძე ვალერი, „მსოფლიო პოლიტიკის გლობალიზაცია“ „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ცენტრი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
45. მუსხელიშვილი 2006: მუსხელიშვილი მარინა, „სამოქალაქო საზოგადოება: შედარებითი ანალიზი“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
46. ნათაძე 1988: ნათაძე ნოდარი, „ერი და ეროვნული კულტურა“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
47. Парсонс 1977: Парсонс Талконт, „Система современных обществ“, „System of Modern Societies“, Пер.Л.А.Седова и А.Д.Ковалева, Изд. „Аспект-Пресс“, Москва
48. Перкинс 2007 Перкинс Джон, „Исповедь экономического убийцы“, 4-е Издание, Изд. „Претекст“, Москва
49. Портер 2000: Портерマイкл „Конкуренция“, Перевод с английского, Изд. „Вильямс“ Санкт-Петербург, Москва, Киев.
50. უვანია 2006: უვანია ნინო, „საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიკა“, სოციალურ მეცნიერებათა ცენტრი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
51. Цыпин 2002: Протоиерей Владислав Цыпин, „Курс Церковного права“. Изд. „Клин“, Москва
52. ტომასო 2000: А. Де Токвиль, „Демократия в Америке“ Изд. «Весь Мир», Москва
53. Тоффлер 2002: Элвин Тоффлер „Шок Будущего“, Издательство „ACT“, 2002, Москва
54. Reich 1991: Robert Reich, „The Work Of Nations. Preparing Ourselves for XXI Century Capitalism“, „Ltd. New York“, New York
55. რონდელი 2006: რონდელი ალექსანდრე, „საერთაშორისო

- „ურთიერთობები“, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი
56. სამადაშვილი 2009: სამადაშვილი ა. „სამეწარმეო და ტექნოლოგიურ ინოვაციათა მენეჯმენტი“ გამომცემლობა „საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი
57. სთორი 2007: სთორი ჯონი, „კულტურის კვლევები და პოპულარული კულტურის შესწავლა“ „ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა“, თბილისი
58. სმითი 2008: ენტონი დ' სმითი, . „ნაციონალური იდენტობა“ გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბილისი
59. სმითი 2009: ენტონი დ' სმითი, „ნაციონალიზმი - თეორია, იდეოლოგია, ისტორია“ თარგმანი ინგლისურიდან მარიამ ჩხარტიშვილისა, ქართული ტექსტის რედაქტორი რუსულან ამირეჯიბი-მალენი, გამომცემლობა „ქართული ენის საერთაშორისო ცენტრი“, თბილისი
60. Stewart 1997: Stewart T. „Intellectual Capital. The New Wealth of organizations. publishing groupv, „Ltd. New York“, New York
61. სულუხია 2001: სულუხია თამარი, „დასავლეთის ქვეყნების ურბანული იდენტობისა და გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი
62. Федотов 2002: Федотов А.П. „Глобалистика: Начала науки о современном мире“, Курс лекций, Изд. „АспектПресс“, Москва.
63. ფერგულიშვილი 2000: Адам Фергюсон, „Опыт истории гражданского общества“, Изд. „Росспен“, Москва
64. ფუკუიამა 1999: ფუკუიამა ფ. „ისტორიის დასასრული და უკანასკნელი ადამიანი, გამომცემლობა: „მშვიდობის დემოკრატიის და განვითარების ინსტიტუტი“, თბილისი
65. ყულიჯანიშვილი 2002: ყულიჯანიშვილი აკაკი, „კულტუროლოგია“ გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი
66. ხომერიკი 2006: ხომერიკი ლელა, „გენდერი და პოლიტიკა“
67. ჯაფარიძე 2009: ჯაფარიძე ქეთევან, „მედიაკრიტიკოს პატრიარქი“ სახელოვნებო მეცნიერებათა მიებანი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, გამომცემლობა „გენტავრი“, №3 (40), თბილისი
68. Хантигтон 2003: Хантигтон С. „Столкновение цивилизаций“, (Пер. с англ. Т. Велимееева. Ю. Новикова.)

„Издательство АСТ“, Москва

69. ჰეივუდი 2005: ჰეივუდი ენდრიუ, „პოლიტიკური იდეოლოგიები“, გამომცემლობა „ლოგოს პრესი“, თბილისი
70. ხობსბაუმ 1998: ხობსბაუმ ერიკ, „Нации и национализм после 1780 года“, Васильев А. А. — перевод с английского, Издательство „Алетейя“, Москва
71. გოფმან 1999: Гоффман А. Б. „От «малого» общества к «большому»: классические теории социального роста и их современное значение // Новое и старое в теоретической социологии“. Изд. „Ин-т социологии РАН“, Москва

•      **თრი ან მეტი ავტორი წიგნები**

1. გოგოლაშვილი 2006: გოგოლაშვილი ქახა, კაპანაძე სერგი, „ევროპავჭირის პოლიტიკა და ინსტიტუტები“ გამომცემლობა „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი“, სერია „ევროინტეგრაცია“, თბილისი
2. გოგოლაშვილი 2006: გოგოლაშვილი ქახა, კაპანაძე სერგი, „ევროპავჭირის პოლიტიკა: მიმდინარე საკითხები“ გამომცემლობა „საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი“ სერია „ევროინტეგრაცია“, თბილისი
3. კვესელავა 2006: კვესელავა ი. შუბითიძე გ., „პოლიტოლოგია“ „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის ცენტრი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
4. კოპალეიშვილი 2009: კოპალეიშვილი მადონა, ბედინაშვილი ირინა, „უცხოეთის ქვეყნების ეროვნული საინოვაციო სისტემები“, გამომცემლობა „ტექინფორმი“, თბილისი
5. ოქროცვარიძე 2010: ოქროცვარიძე ავთანდილი, ლაჭუეპიანი თენგიზი, ოქროცვარიძე ლალი, „მსოფლიო ეკონომიკა“, გამომცემლობა „საქართველოს სახელმწიფო აგრარული უნივერსიტეტი“, თბილისი
6. უორუოლიანი 2001: უორუოლიანი გია, ბერიკაშვილი თამარი, მუსხელიშვილი მარინა, „დემოკრატიზაცია. საზოგადოებები გარდამავალ

- პერიოდებში: დემოკრატიაცია თანამედროვე  
სამყაროში“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
7. სამსონია 2004: 6. სამსონია, გ.ამყოლაძე, მ.ლომსაძე „ტექნოლოგია და  
საზოგადოება“ გამომცემლობა „საქართველოს  
ტექნიკური უნივერსიტეტი“, თბილისი
8. სანიკიძე 2001: სანიკიძე გიორგი, კილურაძე ნინო,  
„თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები“  
გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
9. წერეთელი 2006: წერეთელი ი. ქ. კაგიტელაშვილი. „კულტურა და  
მოდერნიზაცია“, „სოციალურ მეცნიერებათა კვლევის  
ცენტრი“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი
10. ხიზანიშვილი 2007: ხიზანიშვილი სალომე, ყულიჯანიშვილი აკაკი,  
წიქარიძე ლევანი, „საქმიანი ურთიერთობების  
კულტურა“, გამომცემლობა , საქართველოს ტექნიკური  
უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების,  
მეცნიერების და კულტურის ცენტრი“, 2007, თბილისი
11. ჰერსტი 2005: ჰერსტი პოლი, ტომასონი გრემი, „გლობალიზაცია  
„კრიტიკული ანალიზი“, გამომცემლობა „დიოგენე“

- ყოველთვიური ჟურნალი ან სხვა ტიპის პერიოდული გამოცემის სტატია
1. აზმაიფარაშვილი 2010: აზმაიფარაშვილი ნინო „ევროპული სივრცე და  
და კულტურის გლობალიზაცია“, „ნიდერლანდების  
სამეფოს კულტურის საერთაშორისო კონფერენცია“,  
„სახელოვნებო მეცნიერება, პრაქტიკა, მეჯმენტი,  
საქართველოს შოთა რუსთაველის ოეატრისა და  
კინოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი
- 2 Banani 1975: Banani A. „Islam and the West”, International Journal „of  
Middle East Studies“, Los Angeles, Vol. 6, № 2)
3. გორგილაძე 2009: გორგილაძე ი. „თურქეთის ტრანსკასპიური პოლიტიკა“  
„საისტორიო მაცნე, გამომცემლობა „შოთა რუსთაველის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, XVIII, 2011 ბათუმი
4. Diamond 1996: Diamond L. Towards Democratic Consolidation. Journal „of  
Democracy“, Chikago

5. დემეტრაძე 2007: დემეტრაძე ირმა, „ნაციონალისტური ტრაგედია“, სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, №3 (32), თბილისი
6. ედილაშვილი 2006: ედილაშვილი ნ. „ისლამური ექსტრემიზმი: ემუქრება თუ არა საფრთხე სახელმწიფოს“ ქურნალი „კავკასიის მაცნე“, № 14, თბილისი
7. ეპშტეინი 2004: ეპშტეინი მიხაილი „კულტურა – კულტუროლოგია – ტრანსკულტურა“პერიოდული გამოცემა „ცივილიზაციური ძიებანი“ №2 გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი
8. თაჰირ-ულ-ქადრი 2004: თაჰირ-ულ-ქადრი „კულტურის გლობალიზაცია?“, პერიოდული გამოცემა „ცივილიზაციური ძიებანი“ №2, გამომცემლობა „არტანუჯი“, თბილისი
9. თვალიაშვილი 2006: თვალიაშვილი მ. სიმაშვილი თ. „გლობალიზაცია და პოლიტიკურ ძალთა ახალი გადანაწილება“, ქურნალი „კავკასიის მაცნე“, №14, თბილისი
10. ქაციტაძე 2007: ქაციტაძე კახა, „პოსტინდუსტრიული საზოგადოების ინფორმაციული მაჩვენებლები“ „ევროპული ძიებანი“- სტატიების კრებული. კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი, თბილისი
11. სიმაშვილი 2006: სიმაშვილი თ. „ალ-ქაიდას შექმნა და განვითარების ეტაპები“, ქურნალი „კავკასიის მაცნე“, №14, თბილისი
12. Cottam 1982: Cottam R. W. „Nationalism and the Islamic Revolution in Iran“, „Canadian Review of Studies in Nationalism“, IX, no 2.
13. ჩხაიძე 2007: ჩხაიძე ირაკლი, „ნაციონალიზმის ეთნოსიმბოლისტური გაგება: ქართული მაგალითი“ „ცივილიზაციური ძიებანი“ №5, თსუ, თბილისი
14. ყულიჯანიშვილი 2002: ყულიჯანიშვილი აკაკი, სტატია „გლობალიზაცია და ნაციონალური კულტურები“ ქურნალი „ეპოქა“ №2, გამომცემლობა, პოლიტიკური მეცნიერება“, თბილისი
15. ჯაფარიძე 2009: ჯაფარიძე ქეთევან, „მედიაკრიტიკოს პატრიარქი“ სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი, საქართველოს

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი,  
გამომცემობა „კენტავრი“, №3 (40), თბილისი

16. Хайек 1991:  
Фридрих Фон Хайек, Безработица и денежная политика“,  
„Экономические науки“, 1991.- № 12. - С. 42.

• **ელექტრონული დოკუმენტი ინტერნეტიდან**

1. აბდულაევი 2006: Абдуллаев И. З. „Информационное общество и глобализация: критика неолиберальной концепции“ Издание на русском языке. Издательство «Фан ва технология», ТАШКЕНТ  
<http://www.ict.uz/upload/iblock/96a/96a693b5698e5e2072a635b8b54f01cc.pdf>
2. ამერიკის ხმა 2011: Америкის ხმა „როგორ განვითარდება ავღანეთში ვითარება ბინ ლადენის სიკვდილის შემდეგ“  
<http://www.voanews.com/georgian/news/world/US-Afghanistan-Bin-Laden-121253304.html>
3. ამირეჯიბი 2010: Амирэжиби რუსედანი, „კონცეპტი და მეტაფორული აზროვნება (შიში ვების მაგალითები)  
[http://www.icgl.org/Linguistic/koncepti\\_da\\_metaporuli\\_azrovneba.pdf](http://www.icgl.org/Linguistic/koncepti_da_metaporuli_azrovneba.pdf)
4. Бауман 2007: Зигмунт Бауман „Национальное государство и что будет дальше“, <http://www.strana-oz.ru/?article=326&numid=7>
5. Белл 2007: Белл Данеэл, Иноземцев, В. Эпоха разобщенности.  
Размышления о мире XXI в. – М.: Центр исследований постиндустриального общества, 2007. – С. 9, 213.  
Иноземцев Журнал: [Век глобализации. Выпуск №1/2008](#)  
<http://www.socionauki.ru/journal/articles/129823/>
6. ბერძენიშვილი 2010: ბერძენიშვილი ამირანი, „ინფორმაციულ-ტექნოლოგიური რევოლუცია და მისი კულტურული შედეგები“, „ედუარდ კოდუას დაბადების 80 წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენციის (23-24 ოქტომბერი 2009) მასალები“ - „პიროვნება, კულტურა, საზოგადოება“// „სოციალურ მეცნიერებათა აქტუალური პრობლემები“, გამომცემლობა, „თსუ“ თბილისი  
[http://www.tsu.edu.ge/data\\_file\\_db/faculty\\_social\\_political/eduard%20koduastvis%20mizghvnil%20konferencia.pdf](http://www.tsu.edu.ge/data_file_db/faculty_social_political/eduard%20koduastvis%20mizghvnil%20konferencia.pdf)
7. ბერძენიშვილი 2008: ბერძენიშვილი ლევანი, „პატრიოტიზმი, ნაციონალიზმი და იდენტობის სხვადასხვა დონე“, 2009  
<http://tbiliso.ge/index.php?/topic/966-პატრიოტიზმი-ნაციონალიზმი-და-იდ->

8. ბოლქვაძე 2008: ბოლქვაძე ქეთევანი, „გლობალიზაცია, ვესტერნიზაცია და მოდერნიზაცია“  
<http://irdb.wordpress.com/2010/02/15/გლობალიზაცია-ვესტერნიზა/>
9. გაბუნია 2001: გაბუნია დ. (რედაქტორი) „INTELLEQTUAL PROPERTY READING MATERIAL”/ წიგნი I - „ინტელექტუალური საკუთრება“ (თარგმანი: გაბუნია დ. კვიმსაძე გ. ბელითავერი ზ.), გამომცემლობა „ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი – საქვატებები“, თბილისი  
[http://sakpatenti.org.ge/files/\\_86\\_730923\\_book1.pdf](http://sakpatenti.org.ge/files/_86_730923_book1.pdf)
10. Дерида 2004: Жак Дерида „Глобализация и реальность“, Жур. „Космополис“, N2(8), <http://cosmopolis.mgimo.ru/fileserver/8/8-12.pdf>
11. გვთ 1998 : უმბერტო ევო, „ინტერნეტიდან გუტენბერგამდე: ბექსტი და პიპერტექსტი“, მოსკოვი  
[http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/Eko/Int\\_Gutten.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/Eko/Int_Gutten.php)
12. ზომელი 2010: ზომელი გეორგი, „სოციოლოგია“  
[http://www.socium.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=139:2010-11-29-14-47-36&catid=51:2010-10-30-12-49-53&Itemid=112](http://www.socium.ge/index.php?option=com_content&view=article&id=139:2010-11-29-14-47-36&catid=51:2010-10-30-12-49-53&Itemid=112)
13. Емелин 1999: Емелин В.А. „Телевидение: стиль и образ постмодерна“  
 Москва. Апрель 1999. <http://emeline.narod.ru/tv.htm>
14. Емелин 1999 Емелин В.А „Глобальная сеть и киберкультура~  
 Москва. Июнь 1999 года <http://emeline.narod.ru/tv.htm>  
<http://cosmopolis.mgimo.ru/fileserver/8/8-12.pdf>
15. ვოლკერი 2010: ვოლკერი კურტი, „ცენტრალური ევროპის გადაწყვიტება“  
<http://foreignpress.ge/?p=15107>
16. Ильин 1996: См. Ильин И.П. „Постструктурализм. Деконструктивизм.  
 Постмодернизм“. Издательство: „Интрада“, C. 224 – 226; [Библиотека Гумер - философия](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/Ilin_Post/80.php)  
[http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/Philos/Ilin\\_Post/80.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/Ilin_Post/80.php)
17. Емельянов-Хальген 2011: Андрей Емельянов-Хальген „Глобализация и традиционные культуры“, 01.06.2011  
<http://www.velikoross.ru/article/show/?id=127>
18. კაბულია 2011: კაბულია რევაზ, „გლობალიზაცია და საფინანსო-ეკონომიკური პრობლემები განვითარებად ქვეყნებში“, „ეკონომიკური პროფილი“ № 8, 2011 წ, იანვარი,

- თბილისი <http://unik.edu.ge/uploads/documents/science-center/ekpr/ekpr08.pdf>
19. Капица 2004: Сергей Капица, „Демографическая революция и будущее человечества“, Источник: Журнал "В мире науки" №4 (апрель) <http://ivanstor.narod.ru/kapica/kapica.htm>
20. ქარევი 2010: ქარევი ნ. „რეფორმაციის ისტორია“, თარგმანი: ირაკლი ხითარიშვილი <http://defencegeorgia.blogspot.com/2010/11/blog-post.html>
21. ქასტელი 2010: მანუელ ქასტელი „ინფორმაციული კაპოტალიზმი“ – ფრენკ უებსტერის მიხედვით, [http://socium.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=153:2011-01-31-12-29-55&catid=53:2010-11-06-08-42-17&Itemid=113](http://socium.ge/index.php?option=com_content&view=article&id=153:2011-01-31-12-29-55&catid=53:2010-11-06-08-42-17&Itemid=113)
22. Льоса 2010: Варгас Льоса, „Глобализация и культурная идентичность“ <http://noblit.ru/content/view/648/1>
23. მექაბიშვილი 2008: მექაბიშვილი ელგუჯა, მექაბიშვილი მარიამი, „ეკონომიკის გლობალიზაციის მოდელები“, ერგელოვიური საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, „საქართველოს ეკონომიკა“, №3, 2008, თბილისი, <http://www.geoeconomics.ge/>
24. მოლდალიევი 2002: მოლდალიევი ორთხბეკი, „ისლამი და საერთაშორისო ტერორიზმი: იმუქრება ისლამი, თუ ემუქრება ილამს?“, ჟურნალი „ცენტრალური აზია და კავკასია“ <http://www.open.ge/index.php?m=28&y=2002&art=10572>
25. ნადარია 2010: ნადარია ხატია, ჭანკოთაძე ანი „მოდერნი და პოსტმოდერნი“, <http://chankotadze.wordpress.com/2010/06/09/მოდერნი-და-პოსტმოდერნი/>
26. ნათაძე 1988: ნათაძე ნოდარი, „ერი და ეროვნული კულტურა“, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი [http://www.gumer.info/bogoslov\\_Buks/Philos/Ilin\\_Post/80.php](http://www.gumer.info/bogoslov_Buks/Philos/Ilin_Post/80.php)
27. Palmer 2002: Tom G. Palmer , „Globalization Is Grrreat! Cato InstituteVolume 1 number 2. Washington <http://www.cato.org/pubs/letters/palmer-catoletters.pdf>
28. Тоффлер 2008: Тоффлер Элвин, „Третья волна“, „Библиотека Гумер – „Культурология““ [http://www.gumer.info/bibliotek\\_Buks/Culture/Toffler/\\_entry.php](http://www.gumer.info/bibliotek_Buks/Culture/Toffler/_entry.php)
29. Смирнов.2007: Смирнов В. Н. «Теория современного менеджмента.

- Изд. „Спортивн –менеджмент XXI века“, Москва  
<http://www.coach-s.narod.ru/sporting6.html>
30. Фридман 2000: Фридман А., „Понятие глобализаций. Лексус и олимпийское дерево“  
<http://filosof.historic.ru/books/item/f00/s00/z0000690/st013.shtml>
31. შებდომა 2010: შებდომა რატი, „რისკის საზოგადოება“,  
<http://blumgardt.wordpress.com/2010/05/12/რისკის-საზოგადოება/>
32. შედრა 2009: შედრა ომარი „ მართვის კულტურა“ (სააგენტო  
 რუბრიკა), სამეცნიერო და სამეცნიერო პოპულარული  
 სტატიები, 2009, თბილისი.  
<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0001/000497/statiebi.pdf>
33. ძოწენიძე 2009: ძოწენიძე ციცინო, სამეცნ. ჟურნალი „ეკონომიკური  
 პროფილი“ №5, თებერვალი 2009, თბილისი  
<http://unik.edu.ge/uploads/documents/science- center/ekpr/ekpr05.pdf>
34. ხითარიშვილი 2010: ხითარიშვილი ირაკლი, (თარგმანი), „რეფორმაციის  
 ისტორია“, „ბროქტაუზ-ეფრონის ენციკლოპედიური  
 ლექსიკონი“, <http://defencegeorgia.blogspot.com/2010/11/blog-post.html>
35. ხინჩაგაშვილი 2010: ხინჩაგაშვილი შოთა „მულტიკულტურალიზმის  
 გამოწვევები“. <http://prof.ucoz.com/news/2010-12-24-1700>
36. ჯაფარიძე 2004: ანანია ჯაფარიძე, „კულტურა და ეროვნული მისია“  
<http://www.gtu.ge/Faculties/theology/books/kultura%20da%20erovnuli%20misia.pdf>  
<http://prof.ucoz.com/news/2010-12-24-1700>
37. პორი 2009: Мартин Хор , „Возрождением колониализма”,  
<http://www.thenation.com/authors/martin-khor>

- სადისერტაციო ნაშრომები

1. გეგეშიძე 2010: გეგეშიძე ეკა, „მთლიანი შიდა პროდუქტი და  
 ეკონომიკური ზრდა“ სადოქტორო დისერტაცია,  
 თსუ, თბილისი
2. თურქია 2008: თურქია გიორგი, „ტრანსნაციონალური  
 კორპორაციების როლი საქართველოს ეკონომიკაში“,  
 სადოქტორო დისერტაცია „საქართველოს ტექნიკური  
 უნივერსიტეტი, თბილისი
3. ივანიაშვილი ივანიაშვილი გიორგი, „ გლობალიზაცია და

ერი-სახელმწიფოს მომავალი“

სადოქტორო დისერტაცია, თსუ, თბილისი

4. პიტიურიშვილი 2009: პიტიურიშვილი თეა, „ისლამი და ნაციონალიზმი  
ირანში (60-80-იანი წლები) სადოქტორო დისერტაცია,  
თსუ, თბილისი
5. ჭილითაშვილი 2009: ჭილითაშვილი ანა, „ტერორიზმი, როგორც  
გლობალური პრობლემა: კრიმინოლოგიური ანალიზი  
და ბრძოლის მეთოდები საქართველოში“,  
სადოქტორო დისერტაცია, გრიგოლ რობაქიძის  
სახელობის უნივერსიტეტი, თბილისი
6. ჯამაგიძე 2010: ჯამაგიძე ლელა „ტრანსნაციონალური კორპორაციების  
როლი მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის  
პროცესში“, სადოქტორო დისერტაცია, თსუ, თბილისი